ცოცხი



4 2018

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის მე-60 წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2018 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე

ცისანა ანთაძე

გენრი დოლიძე

შოთა ზოიძე

დავით თედორაძე

ლალი კონცელიძე

გუნა სამნიძე

რამაზ სურმანიძე

ჯემალ სურმანიძე

ბელა ქებურია

ვახტანგ ღლონტი

თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2018

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“-ის
სტამბაში. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ანზორ კუდბა – ევლია (რომანი. დასაწყისი) 3
მარიამ წიკლაური – ლექსები 23
ზაზა ბიბილაშვილი – ლექსები 32
გიზო თავაძე – ლექსები 43
იზა ოსეფაიშვილი – გაიღიმეთ, დროებითია ყველაფერი (მოთხრობა) 50
ვაჟა ოთარაშვილი – ლექსები 55
ეკა კვანტალიანი – ლექსები 62

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება) 70

პროზის დოსიეპოლოგია დაბრუნების 140-ე წლისთვისთვის

ილია ჭავჭავაძე – საქართველოს მატიანე 76
აკაკი წერეთელი – დღევანდელი ლხინი... 80
გრიგოლ ორბელიანი – რა გვიხარიან? 82
შერიფ ხიმშიაშვილი – ჩვენ გვინდა განათლება 83

წერილები

მამია ფაღავა – ექსპედიციის დღიურები (დასასრული) 84
ალექსანდრე ჩხაიძე – სელიმ ხიმშიაშვილი – ოსმალეთის ხელისუფლების
სტრუქტურის ურჩი მოხელე 108
ჯემალ (სარგის) ჯაყელი – მხოლოდ სიმართლე და არაფერი სხვა! 116

პოლემიკა

შოთა ზოიძე – „პრელესტ ბაბალე“, ბარათაშვილის სურათი და
ხინკალი იმპერატორისათვის 119



ᲐᲜᲖᲝᲠ ᲙᲣᲓᲒᲐ

ᲔᲕᲚᲘᲐ

(რომანი)

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა:

მეძინა და აღარც მეძინა...

მეძინა თუ არ მეძინა?

ნეტა, საიდან, საიდან მწვევია გაორება მე ამ-ნაირი?

მეძინაო, ვთქვა, არ ვიქნები მართალი, მა-გრამ მეღვიძაო, რომ დავიჩემო, მართალი არც მაშინ ვიქნები.

მაგრამ ეს ხომ ძილ-ღვიძილია ჩვეულებრივი...

ვფიქრობ?

არა მგონია, ვფიქრობდე.

სულაც: დაცლილი ვიყავ ფიქრებისაგან, მა-გრამ ხომ შეიძლება ვცდებოდე და რა უფლები-თაა, ჩემს ნებას გახვევდეთ თავს?

ასე რომ: გინდ გიფიქრია, გინდ არც გე-ფიქროს, განა სულერთი არ არის მავან და მა-ვანთათვის?! მაინც არავინ გისმენს და აღარც ისმენს შენსას! შენც ხომ აღარაფერი „გეყურე-ბა“ კაი ხანია...

იყო და არა იყო რა... მოდით და ასე დავიწყოთ (ხომ მაინც სულერთია მავანთ და მავანთათვის) და სწორედ ამ დღესა და ამ ყოფაში ვიყავი, რომ სული შემეხუთა: ვერც ჩავისუნთქე და ვეღარც ამოვისუნთქე.

რაო, რა მოხდაო?

ხომ ასე გაიფიქრეთ, თქვენც, უნებლიეთ?

აქ კი გამომღვიძებოდა, თუკი არ მეღვიძა... (ყურის ბიბილოზე ხომ არ მებწკინა)?!

– ხდება რამე, თუ უკვე მომხდარ არს, ან აწი უნდა მოხდეს?

მოემზადეო, თითქოს შეირხაო სივრცე და მკერდზე ვიტაცე ხელი.

სივრცე კი (იქნებ, თვალი მატყუებდეს) აძა-გძაგებულიყო როგორც არასდროს, სწორედ ვან გოგის ერთი მშვენიერი სურათის ფონისნაირად და გამაჟრჟოლებს მეც მხატვარივით: – ვინ იყო? იყო კი? მაგრამ „მოემზადეო“, რომ მიბრძანებენ?

– არ მიბრძანებია, გითხარი მხოლოდ, გირ-ჩიე, იქნებ, თუკი მიიღებ ამ ჩემს რჩევას: ეს შენი საქმეა და... შენ თავისუფალი ხარ... – ისევ მაში-ნდელივით აძაგძაგდა სივრცე და ცაც გადაიხ-სნა. აღარც კი ვიცი, როგორ და პირჯვარი გადა-ვისახე სამჯერ.

ასეც მსმენოდა: შესთხოვე ზეცას, რაც რომ ძალიან გინდოდეს და უსიკვდილოდ შეგისრუ-

ლდებაო. მე კი ველარ მომიგონებია, რა მსურდა ყველაზე უფრო და ქანდაკივით დავდუმდები.

– სურვილი... ისურვე რამე, თუნდაც არასასურველი! – მიბრძანებენ და აღარც მიბრძანებენ, მაგრამ ხმა რომ ველარ ამოვიღე, ე, მაშინ იყო, რომ იძრა მთელი ეს სივრცე და გაგიჟებულივით ახარხარდა: – სასურველი გამოგელია? ვერ დამაჯერებ, ბალღო... მომიტევე, რომ ბალღი გიწოდე და... მართლა ვერავინ დამაჯერებს, რომ აგსრულებოდეს თითქოს ყველა სურვილი. რაც იგივეა, გამოგლეოდეს, ან სულაც... იმდენი გსურდეს, რომ ყველაზე სანუკვარიც ველარ გამოგერჩიოს ამდენი სურვილიდანო?!

დამხარხარებდა ზეცა მაღლითგან...

მომხშირებოდა სუნთქვა. მიწას დაჭყლეტილივით და ჰაერს მოწყურებულმა შოშიასავით დავაღე პირი. მაგრამ ამოტუმბულიყო ჰაერი ჩემ ირგვლივ და ამან შემაძრწუნა, – მაინც რამდენ ხანს გამეძლო მე უჟანგბადოდ?

აქ ფიქრმაც დამიტევა და ამან მომგვარა შვება.

ჰოდა: შევეგუე იმას, რომ ორ-სამ წუთში აღარ ვიქნებოდი და მკერდზე დავიკრიფე ხელები.

მაღლა ავიხედე და: დამხარხარებდა ისევ ზეცა მაღალი:

– ნახეთ, იოლი გამოსავალი არ ნახა?! არა, ბატონო ადამიანო... იცოცხლებ შენ! მე ასე მსურს! – და წაიღო ფიქრმა სივრცე დამცინავი.

ხმას აღარც მე ვიღებ, შევატყვე, ამან უფრო გააღიზიანა უხილავი, რომელსაც თითქოს და რაღაც-რაღაცებისთვის უნდა შევემზადებინე:

– მოემზადეო, ეს შენ მითხარი და აღარ ვიცი, რისთვის შევმზადებულიყავი... – ავლუღლუღდი გულუბრყვილო ბავშვივით.

– მე ხომ, მე...

– გაგაფრთხილე და ყური რატომ არ უნდა მოგეპყრო ჩემთვისო, შენ კი მოჰყევი იქითურ-აქეთურს, ღობე-ყორეს მოდებიხარო. შეიძლება, მზადაც იყო ჩემს მოსასმენად, მაგრამ... – ჩვეულ ფიქრს წაუღია სივრცე: აბუტბუტებულიყო ისიც თავისთვის, მაგრამ უკვე მე აღარ მესმოდა მისი. მზერა მის ბაგეებზე შემჩერებოდა. ისიც შემცბარი ჩანდა: – თიხა და კაცი, თიხა-კაცი და თიხის კაცი ჯობდეს იქნება, ან სულაც თიხაკაცი?

„თიხის კაციო... თიხაკაციო, მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს თიხის კაცი, ან თუნდაც თიხაკაცი? მაინც რომელზე შევაჩერო არჩევანი? – გავიფიქრებ და გამიმწარდება ნერწყვი.

თიხის კაცი, თიხაკაციო, – ვიმეორებდი დაბნეული და სივრცესაც გააძაგძაგებს. ამიტანს ჟრჟოლა: – თიხის კაცი, თუ თიხაკაცი? – ამოვთქვამ და სასულეში არ გადამცდება ის სამსალა ნერწყვი?!

– როგორც გინდოდეს, როგორც შენს სულს წყუროდეს! – იელვებს და სივრცესაც შეაჟრჟოლებს. მაგრამ დალაგდება ყველა და ყველაფერი; მეც აღარ მაძაგძაგებს უკვე და იმ სამსალა ნერწყვსაც ამოვახველებ.

– იყოს თიხის კაციო, წამოვიძახებ და მივაშტერდები სივრცეს უკვე დალაგებულ-დაწყნარებულს. აქ ღრუბელიც გამომიჩნდება, იქიდან კი თეთრწვეროსანი ბერი ჩამოიქნება. იგიც აიქნევს ხელს და გოროზი მთაც აღიმართება იმის წინ. მკლავებაწეული თეთრწვეროსანიც ხელისგულებშუა მოიქცევს მთელ ამ მთას და „სახეში“ შეასუნთქავს, ჩაისუნთქავს და მარჯვენას შემოიქნევს, მერე მარცხენასაც შემოულაწუნებს და თვალები გამინათდება: ამსიმაღლე მთის გაცრას ხომ არ აპირებსო, გამკენწლავს და შემეჭმუხნება შუბლი.

ჰოდა: იცრებოდა მთა-გიგანტი ჯადო საცერში... თვალი ვერ მომეწყვიტა გოლიათი თეთრწვეროსანისათვის, თან: ფიქრიც არ მასვენებედა, ამდენის შემძლე მე რატომ ვერ უნდა ვიყოო?!

– საცერ-გობა, საცერ-გობაო, – ჩურჩულებდა თეთრწვეროსანი გოლიათი თავისთვის. ისიც მორჩა, როგორც იქნა, თავის საქმეს და წვიმამაც წამოუშინა, – მადლობა, გამჩენელო ღმერთო! – ამოთქვა და გაცრილ სილაგორას ზედ დაანერწყვა.

„ცომივით მოზელს და...“ – ფიქრი არ დამემთავრებია, რომ აიზილა ის სილაგორაც და თიხის კაციც გამოიკვეთა უცებ იმისგან.

უყურა თეთრწვეროსანმა თავის ნახელავს, უყურა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა. მივაყურადე, მაგრამ ვეღარ გავარჩიე მისი ნათქვამი, მაგრამ მაინც მოვასწარი, რომ დაკვირვებით შემეთვალიერებინა ის თიხის კაცი. ოღონდაც: ვგრძნობდი ქვეცნობიერად, რომ ჯერ არ დაესრულებინა შემოქმედს თავისი ნახელავი, თავისი ღვთაებრივი ჩანაფიქრისათვის ჯერაც ვერ შეესხა ფრთები და ამით საძირკველიც გაედგა რაღაც დიადისათვის...

– ბიჭოს?! შენ მართლა არ ამოიცანი ჩემი ფიქრი?! – ათრთოლებული სივრცე შუაზე გააპო ელვამ და სუნთქვა შემეკრა. ასე სუნთქვაშეკრული შევყურებდი თეთრწვეროსან გოლიათს და მიფანცქალებდა გული: – ეს შენი თვალებია, ასე რომ ელავენ...

ისიც მოიხრება წელში და სულს შთაბერავს თიხის კაცს (დიდება გამჩენს)!

– ადამ! – თეთრწვეროსანმა ხელი დაჰკრა თიხის კაცს და კაცმაც გაკვირვებული მზერა შეაგება სრულიადის შემოქმედს.

– აუუუ... რამდენ ხანს მძინებიაო?! – წამოიძახებს თიხის კაციც და ზანტად გააზმორებს.

ესეც მისი პირველი გაზმორება!

– ჩემი სახება და ხატი ცხოველი... – ამოთქვა თეთრწვეროსანმა, – ხილულ იყავ აწი შენც, ჩემო ადამ! – ზედ დააყოლა გაკვირვებულმა თავის პირველ ნათქვამს, ერთ ჩასუნთქვადაც რომ აღარ ეყო ამხელა (ამხელაო) სივრცე, უსასრულოდაც რომ მოიხსენიება ხალხში, ხელები გაშალა საკუთარი სიდიადით აღფრთოვანებულმა და ჩაიძირა (ოცნებად) თავის ფიქრებში.

იყო...

იყო მაგრამ აღარც იყო(!)

და მაინც: ყოველივე ამის აღსაქმელად როგორღა მემყოფებინა ჩემი თვალსაწიერი: „ხდება, ალბათ, რაღაც ისეთი, რომ ვეღარ გამიცნობიერებია...“ – არც მქონდა ფიქრი დამთავრებული, რომ მოვფხიზლდი უცებ: მე ზეციური კიბე დავლანდე მიწამდე ჩამოშვებული და ამ კიბეზე თიხის კაცი ჩამოდიოდა...

ლალი-შაქირა:

კარი პირველი:

დღეს თორმეტი საათის მარშრუტკით ქალაქში უნდა დავბრუნებულიყავი და ადრე გამაღვიძეს. არავინ გამომაცილოთო, ხმასაც კი ავუწიე და გამოვედი სახლიდან.

გზის პირას დავდექი.

ქვევიდან ამოვარდნილი შარა ახმიანებულიყო და თვალი თავდაღმართს გადავტყორცნე. იქ ბავშვები შემოჰხვევიან ვიღაცას.

– ლალი-შაქირა, გვიმღერე ერთი შენებურად და... თურა და იაზს გეთამაშები, კაი? – ეხვეწება ერთი კნაჭა ბიჭი.

– ლალი-შაქირავ... თუ იცეკვებ, ფულს მოგცემ, – ხურდა ფულს აჩხრიალებს ჯიბეში ღიპგადმოგდებული ქერათმიანი.

– თუ იზამ, ლალი-შაქირა, ისე, რომ... ხომ ხარ აგზე და უცებ რომ გაქრე... ფხალ-ლობიას გამოგიტან და გაგასისინებ, თუ გატყუებ, თვალები დიმიდგეს!

და მართლაც: ბავშვების გუნდი თვალის დახამხამებაში გაიფანტა რატომღაც.

რატომღაცო? რატომ რატომღაც, როცა ლალი-შაქირა მართლა გაქრა თვალდახელშუა.

აღარსად იყო.

ვიდექი გაოგნებული.

– ხომ ნახე ლალი-შაქირაი? იბრეთი კაცია, არა? მაგრამ ჯაზი არაა!

– ბაბუ. ვინაა ლალი-შაქირაი? – ვეკითხები ჩემზე არანაკლებ გაკვირვებულ ბაბუაჩემს.

– ლალი-შაქირაი? ყრუ-მუნჯია ჩვენი ლალი-შაქირაი. მაგრამ არც ყრუ დაბადებულა ამ დუნიაზე და არც – მუნჯი. დამუნჯდა ჯერ და... მერე, აღარც ხმის ამოღება ინება და აღარც – მოსმენა... შეიძლება ყრუ არც იყოს, თუმცა რას გუუგებ, ძიავ, ლალი-შაქირას?

– მაინც რა დაემართა?! – ცნობისმოყვარე თვალები შევანათე ბაბუაჩემს და იმანაც გამიღიმა.

– ინათიანი კია, ძიავ და... – თვალი მოხუჭა და მივხვდი ამბის მოსაყოლად რომ მოემზადა.

სუნთქვაც უნებლიეთ შემეკრა და სულაც გადამავიწყდა, რომ ბათუმისაკენ მიმავალ მარშრუტკას ვუცდიდი.

– შაქრო ერქვა, ჩვენებურად შაქირაი...

– მაინც რა კაცია, ბაბუ?

– რა კაცია და... ინათიანი ხომ არ ხარ? მთავარია, ყველას უყვარს სოფელში! თვითონ ლალი-შაქირას, ჩემო იმავ, ვინ იცის, რა უყვარს და რა არ უყვარს... იქნებ, სძულს... არა, ლალი-შაქირას არავინ სძულს! სიძულვილი შეიძლება არც იცოდეს ლალი-შაქირამ... ლალი-შაქირას ყველა უყვარს... ადამიანი და... სიცოცხლეც უყვარს, ძიავ, აბა, ჩემო იმავ?! ღმერთი სიცოცხლეაო, გამიგონია ლალი-შაქირასგან, როცა ლაპარაკობდა... ჰო. ღმერთიაო, ამოთქვამდა ზოგჯერ თავისთვის, მთელი დუნიის გასაგონად და ჩაიღიმილებდა, – და სიყვარულით...

უზენაესზე ლოცულობდა; განგებას მჭევრმეტყველების ნიჭითაც დაუჯილდოებია ლალი-შაქირაი. ისიც ქადაგებდა ღმერთზე, რომ ღმერთია სიყვარული და უღმერთოდ, უსიყვარულოდ როგორ გაძლოსო ადამიანმა, ვეღარ წარმომიდგენია, ჩემო იმავო...

ხოჯიობა ხომ არ დაგეწყოო, – შესთავაზეს ერთხელ და ჯამეშიც შეუძღვნენ. იმასაც შეეკრა სუნთქვა და მანამდე არც მოუთქვამს სული, სანამ არ გამოიყვანეს იქიდან.

საოცარია და იმდენი იცის, ძიავ, რომ... ამდენი იცოდეს ერთმა კაცმა... – თავი გადააქნია ბაბუაჩემმა, – ძნელი წარმოსადგენია მართლაც!

– მაინც საიდან, ბაბუ? იქ, ქვევით მართლა იყო ლალი-შაქირა... მერე მოხდა რაღაც... რაღაცას სთხოვდნენ და... ისიც გაქრა, თითქოს არც ყოფილიყოსო...

– ჰო, არც ეს გამიკვირდება... ფრენაზე ოცნებობდა ლალი-შაქირაი!

– დამჯდარიყო თვითმფრინავში და...

– ფრენაზე ოცნებობდაო, გეუბნებოდი და... არ მისმენ, ბაბუ... არწივის ბედს შენატროდა და უჟმურაყოლილივით დეიარებოდა სოფელ-სოფელ... კარ და კარ... და გულიც ავს რომ უგრძნობდა?! ერთ დღეს კაი დაღამებულიც არ იქნებოდა, რომ ჩაიძინა და ესიზმრა, აფრინდა თითქოს და არწივივით გაშალა ფრთები. შემოიფრინა მთელი ხეობა და კაკლის ხის ძირში უუთეთრეს კრავს მოჰკრა თვალი. ბევრიც აღარ უფიქრია და ტყვიასავით დაეშვა ძირს. დააცხრა შიშისგან აცახცახებულ კრავს და კლანჭები ჩაასო ღრმად. აიქნია ფრთები, მაგრამ... არა, ძალა აღარ ეყო, რომ აფრენილიყო.

გამოღვიძებულმა, თავ-პირში წაიშინა მუშტები, რა მჭირს, რა მემართებაო?! რატომ, რატომ ვერ ავფრენილვარო და: საკუთარ თვალში დაპატარავ-დამცირდა. გული აიყარა ყველაფერზე: ემდუროდა სოფელს, ემდუროდა ადამიანს.

კვირის სწორს, სამშაბათი უნდა ყოფილიყო. მოუბრუნდა გული: ჯერ აქაურობაზე, მერე – იქაურობაზე.

ფრთები კი მართლა გამოსხმოდა შაქირას. ირმწუნა, რომ შეუძლია ფრენა და დილას, მზის ამოსვლისხანს აფრინდებოდა მართლაც. მთავარია, დრო მოეკლა იქამდე, – მაგრამ თუ ვეღარ ავფრინდი, თავიც არ მინდა ცოცხალიო, – ამოთქვა ერთხელ გულდათუთქულმა და წარმოიდგინა ჰაერში იყო და გარს უვლიდა თავის სოფელს.

მთავარია, დრო მოვკლაო იქამდე, ვთქვათ ასეც: და მართლაც: არ დამდგარიყო ჯერ ამის ჟამი! არ ჩამომდგარიყო ის წუთი, როცა ააწყდებოდა მიწას და იფრენდა თავდავიწყებამდე, იფრენდა თავის ნებაზე და რაც შეიძლება მაღლა და მაღლა.

„აფრენას რა უნდა, ძიავ, გინდოდეს ფრენა და ვერ იფრინო?! თუკი ინდომა კაცმა... რას არ შეძლებსო, ნეტა?! – მუხლზე დაირტყა ხელი და ადგილიდან წამოიჭრა. ეზო ხელებგაშლილმა შემოირბინა, მაგრამ ვიღაცამ შეასწრო თვალი და ხელები ჩამოუვარდა ძირს, იმან კი, ვინც „თვალი შეასწრო“ შაქირას, მთელი სოფელი შემოირბინა, შაქირაი გაგიჟებულაო და იცით სოფელი და სოფლის წისქვილი. ჰოდა, ამბავიც მაშინვე ჩამოფქვა.

„მზის ამოსვლამდე მთელი საუკუნეა,“ – ამბობდა შაქირა გულისფანცქალით და აღარც კი ახსოვს, როგორ აღმოჩნდა დიდი კაკლის ხის

ტოტზე (ადრე კიბის გარეშე, თითქმის აღარავის ახსოვს, ვინმე აცოცებულიყოს ამ კაკალზე) და წარმოიდგინეთ სახტად დარჩენილი შაქირა, თოკზე მოსიარულე ჯამბაზივით რომ ირწეოდა იმ ხის ტოტზე და მიწას მონუსხული თვალებით ჩასცქეროდა.

თავი მაღლა აიღო და ლოცვად დადგა: „ღმერთო ძლიერო... მე ძე ვარ შენი, შაქირაი, ასე რომ მოწყურებია ფრენა. მომეცი ძალა, რომ ავფრინდე... ჩამისახე ფრენის სურვილი, რომ ავფრინდე მართლა! მე არწივობა მინდა და ნუღარ დამიმიწებ ამ ჩემს ბავშვურ ოცნებას! შემაძლებინე ფრენა და დამითმია ათი წლის სიცოცხლე! არ იკმარებს ათი წელიწადი? ოცი წაიღე მაშინ! ოციც არ იკმარებს? წაიღე მაშინ მთელი ჩემი სიცოცხლე! ოღონდ ავფრინდე ჯერ და მერე მომკალი. არა და: მაინც წაიღე ეს ჩემი სიცოცხლე! – გაუფართოვდა თვალები, რომ რაც შეიძლება უფრო ფართოდ მოეცვა სივრცე და ამ სივრცისათვის მიეცა თავი.

და: მართლა გაფრინდა შაქირაი!

სივრცესაც სულ სხვანაირად, თითქოს ახლებურად აღიქვამდა: მიხვდა: სცნო შაქირა სივრცემ, აღიარა და თავიც მის წიაღში დაიგულვა.

ჰოდა: ხის ტოტიდან ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს, მაგრამ ბოლო წამიც ჩამოდგა მის ცნობიერებაში და აემღვრა სივრცეც, შეკუმშა თითქოს: ჰაერში დატრიალდა და ასე ტრიალ-ტრიალით წამოვიდა მიწისკენ, მაგრამ იმ კრავს მოჰკრა თვალი, სიცოცხლეს რომ ეთხოვებოდა იმ მართლაც უცნაურ სიზმარში. სიზმარიც აუხმიანდა მეხსიერებაში და გუნებაში გაუელვა: „ეს კრავი რომ შემეწირა ჩემი ღმერთისთვისო...“

არც დაემთავრებინა ფიქრი, რომ ეტკინა ძლიერ, გონის წართმევამდე.

ტკივილი იყო ეს... დიდი ტკივილი, ფიქრიც რომ წარეტანა მისი და სურვილი ყოვლის.

იყო ტკივილი, იყო, მაგრამ მიილია თითქოს, რომელსაც აღარაფერიც აღარ მოჰყოლია.

მერე: აღარაფერიც აღარ იყო... აღარაფერი!

მაგრამ როდის, როდის მოხდა ეს ყველაფერი?

დიდი ხნის წინ!

– და დამუნჯდა?

– აბა, რა ვიცი? აღარ ლაპარაკობს, მაგრამ ლაპარაკობდა ადრეო; ამბობენ: აღარც ესმისო!

ისე: ძალიან ბევრი იცის, წარმოუდგენლად ბევრი. თოფალიც ამიტომ არისო... იცის, თითქმის ყველაფერი იცის:

იმდენი, ათ კაცს რომ ეყოსო. ასეც იტყვიან კიდევ:

ამბობენ, თბილისში, უნივერსიტეტში უსწავლიაო, ფილოსოფიურზე. მთელი სამი წელი და შვიდი თვე... ეს ყველაფერი გაფრენამდე იყო... ჩვენებურაი თუ მოუქცევდა ზოგჯერ, თვარა თბილისელი გეგონებოდა მთლად. ჩვენებური იერიც მალე დაიბრუნა, მერე ტონიც შეცვლია, მაგრამ მაინც გამოარჩევდი ყველაში. ზოგჯერ წაიანგლებდა და „ჭოსაც“ გამოურევდა, მაგრამ შვენოდა კიდეც: „ჭოვ, ხობოსავით რომ იკრიჭვი, რა გგონია...“ და სხვა მრავალი ამნაირი უცხო არ ყოფილა მისთვის... – ამოიხვნეშებს ბაბუაჩემი და მხარზე დამიტყაპუნებს ხელს: – საკმარისია, ვინმე ჩვენებური ქალაქში აღმოჩნდეს, თუნდაც ერთი კვირით და ქალაქურად იქცევა უკვე და ესაა გამაღიზიანებელი. ძნელია ქალაქელობა, მაგრამ იოლი არც სოფლელობაა.

– შენ, ბაბუ?

– აჭარულაი კაი ხანია მეც აღარ ვუქცევ, მაგრამ ხეობაში ჩამოსული ვიცვლები როგორღაც და ჩვენებურაი ვუქცევ მეც. ამ ხეობიდან მოვდივართ ჩვენ და მეამაყება მე ჩემი აქაურობა! სოფელში მიბრუნებულებს ერთი სული გვაქვს, ჩვენებურაი მოვუქციოთ... კახელიც კახურაი უქცევს კახეთში და გურულებიც ხომ უქცევენ ჩაქცეულებივით... ჰოდა, ამითაა კაი სოფელიცა და ქალაქიც. ასეა შაქირაიც, მაგრამ იგი დღეს აღარც ლაპარაკობს და გაგონებაც აღარავისი არ უნდა! შაქირაი სხვა კაცია, სხვა თიხისგანაა მოზელილი... შენ კი: არაა აუცილებელი ჩვენებურაი უქცევდე. ერთსაც გეტყვი: შაქირას შეგიძლია მიენდო, რახან ამდენ ბიჭებში შენ გამოგარჩია, უნდა გეამაყებოდეს შენ ეგ ამბავი! შაქირას ესმის შენი... იმას ყველასი ესმის, მაგრამ მისი არავის ესმის! შენ ყური მიუგდე შაქირას

და... იკითხება მისი სული! იგი არ გელაპარაკება, მაგრამ გესმის შენ იმის! იმას ხომ ზათი ესმის შენი! ჰკითხავ რამეს და უკვე პასუხიც იცი. არ ვიცი, რა ჰქვია ამას, შორს ვარ მე ამისგან, შაქირაი... ლალი-შაქირაი შეიძლება არცაა მთლა მიწიერი, აბა?!

* * *

ერთი სული მქონდა არდადეგების დადგომამდე: გული სოფლისკენ მიმიწევდა.

მელოდა იგიც. ამბავსაც აუარებას დამახვედრებდა. შენ ოღონდ უსმენდე! მთხრობელიც როგორი იყო, განუმეორებელი! მთხრობელიო, ვამბობ და.. სიტყვას უკან არსადიდებით არ წავიღებ!

უსიტყვოდ ჰყვებოდა და ესმოდა(!) მაკითხებდა თავის ფიქრებს. ჩემი ფიქრი ხომ ცხადი იყო მისთვის. კითხვის ჩამოყალიბებამდე იცოდა, რასაც ვკითხავდი.

ბარე სამჯერ მაინც მომინახულებდა დღეში: ლოცვებს მასწავლიდა: „ჭეშარიტი მუსლიმი შენი აზრით მაინც რამდენი იქნება სოფელშიო და ხელს მიიფარებდა ბაგეებზე, ქვას ეურებოდესო... რატომ მართლა არ დამუნჯდები ლალი-შაქირავ და მიწით არ ამოგევსება ეს სამიწე პირი, ქალაქიდან ამოსულ ბიჭს გონებას რომ უბნელებო. შენ კი არა და... – ჩაიცინებდა და აჩურჩულდებოდა (ისევ უსიტყვოდ): „ამას მე და შენ, ძიავ, როგორ დავადგენთ, როცა ხოჯებსაც კი უჭირთ ამის დადგენა... შენ, ჩემო ნოე, თვითონაც არ იცი, რა კაი სახელი გაქვს, ბიბლიური და ქრისტიანობაც ხომ იუდაიზმის წიაღში იშვა! და მე მუსლიმმა რა უფლებით დავიწუნო? ვიცი, შენც ქრისტიანი ხარ, ბაბუაშენის ნებართვით მოგნათლეს, თუმცა თვითონ ნათლობას არ დასწრებია... არავის უმხელს, რომ წინააღმდეგი არ ყოფილა... კი არ ეშინია, ერიდება უფრო. გიყვარს ღმერთი და სხვანაირად როგორ შეიძლება! იგი იყოს შენი შემწეც და მფარველიც. მწყალობელი ჩვენი... გახსოვს, როგორ იწყება ერთი ჩვენი ქართული ზღაპარი: „...იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელიო“, ძიავ, ჰოდა, გწყალობდეს ის შენი ქრისტე ღმერთი! შეიძლება, სულაც უფლის რჩეულიც იყო!“...

– შაქირა ძიავ, სადაა ღმერთი? – ვკითხავდი მეც და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შემეკვრებოდა.

„ალაჰი, ძიავ, ყველგანაა... ღმერთი, ძიავ... – თვალები გაუბრწყინდებოდა და აცახცახებულ ხელებს მაღლა აღაპყრობდა: „მე ვხედავ, ძიავ...“

– იესოსაც ხედავთ?

„იესოს? მაგრამ ერთი რომაა ღმერთი?! მუსლიმი იმას ალაჰად უხმობს, ქრისტიანები – სამებას აღიარებენ... ინდოელებიც თავიანთ სამებას სცემენ თაყვანს... ამიტომ: ღმერთი ერთია, ძიავ... ერთი... ერთადერთი! მეც ერთ ღმერთს ვხედავ... თვალები დამიდგეს, ერთი ღმერთი თუ არ განაგებდეს სამყაროს!“

– მეც ასეთი ღმერთი მწამს, შაქირა ძიავ...

„ჯერ შეიძლება, ისეც ვერ გწამდეს, როგორც საჭიროა და „ისე“ თუ არ გწამს, ვერც იხილავ!“ – თავს უკმაყოფილოდ გააქნევდა და აუცრემლიანდებოდა თვალები: „გინატრია, ძიავ და არ გამოგჩენია?! არ გინატრია გულით, თვარა... ნატვრაც უნდა იცოდეს კაცმა, აბა?! იცოდეო? არა... ნატვრა უნდა შეგეძლოს კაცს! ყველას არც შეუძლია ნატვრა. არა ნატვრის სწავლება შეიძლება... შენ ხომ ალაჰის რჩეული ხარ?! მაგრამ შენ ქრისტიანი ხარ, ვიცი, შენი ღმერთი იესო ქრისტეა... და სამება... დაილოცოს მისი სახელი!“

– მე რომ ერთხელაც არ გამომცხადებია?!

„და ეძებ მაინც! მაგრამ სად დაეძებ?! აგერ არაა?! სულ ახლოს, აგერ კი არა, შენშია იგი, შენი ღმერთი! უიმისობაა ძნელი და შეუძლებელია, თვარა... უიმისობა რომ გაგიჭირდება, ძიავ, ე, მაშინ შეიგრძნობ ღმერთს...“

– მაგრამ ზოგჯერ სულ რომ არ მახსოვს?

„ზოგჯერო, თურმე გახსოვს კიდეც... მთლიანად არ დაგვიწყებია... მთავარია, გწამდეს, რომ შეიგრძნო მერე!“

– არ ვიცი, რა ვიფიქრო ღმერთზე... ხომ უნდა შეგეძლოს მისი წარმოდგენა, რომ იფიქრო?

„შენშივე უნდა მოიძიო იგი... დიდ არს ალაჰი!“

– შაქირა ძიავ... – ყელზე დამდგარი ნერწყვი სასულეში გადამცდა და ხველება ამიტყდა.

„რაც ცოცხალია შენში და ამოძრავებულა, ადგილზე რომ ვეღარ დამდგარა, ალაჰიც ის არის, ძიავ... შენი სულიც ალაჰია! ჩემი სოფლის სულიც ალაჰია. მერე სცილდება ღმერთი ჩვენს სოფელს, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოივლის მთელ ამ მხარეს: და იზრდება და იზრდება, ფართოვდება ჩვენშივე, ჩვენსავე წარმოსახვაში და ამ წარმოსახვას იქითაც და აქეთაც. აბა, აიხედე მაღლა და ტანში რომ გაგაჟრჟოლებს, ე, ალაჰია, ისიც, ძიავ... დაილოცოს მისი სახელი და სახსენებელიც; – დაკვირვებით შემათვალიერებდა, – მაშალა სუფჰანელაო, ხმას „დაუწევდა“ და მკერდზე მიმიკრავდა. მეც ავმჩატდებოდი მისი შეხებისთანავე, თითქოს და ფრენაც შემძლებოდესო და ხელებს გავშლიდი უნებლიეთ. ოღონდაც მსურვებოდა და.. ფრენა გამიჭირდებოდა ვითომ? ასე რომ, მიხაროდა შაქირა ძიას გამოჩენა, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ იმას უხაროდა უფრო ჩემი ნახვა, ვიდრე მე – იმისი.

ჩემზე ფიქრობდა ლალი-შაქირა და არა მარტო ჩემზე! ყველაზე ფიქრობდა ეს კაცი, ფიქრობდა სოფელზე... ლოცულობდა ჩვენი გულისთვის, მაგრამ ერთხელ: აღარ გამოჩნდა: თითქოს ფეხი დაეკრას და ცხრა მთას იქით გადახვეწილიყოსო სოფლიდან.

არავინ უწყოდა: რა იქნა ლალი-შაქირა, პირი მიწამ უყო თუ...

* * *

ლალი-შაქირას უმცროსი და ჰყავდა გათხოვილი მეზობელ სოფელში.

ბიჭი შეძენოდა სულ ახლახან.

ხარობდა ლალი-შაქირა... მერე გულმაც ვეღარ დაიტია ამხელა სიხარული... საამისოდ სოფელიც აღარ ეყო დ გასცდა იმ სოფელს.

დადიოდა სოფელ-სოფელ... „დიდი ბიძაა ლალი-შაქირაო, შაქირა ტაიაო და“.. ხარობდა გულით. უნდოდა მთელი ქვეყნიერებისათვის ემცნო ეს ამბავი და... ქალაქშიც ასე ჩააღწია: „მე რომ ახალი სულის გამოჩენა მიხარია, ძიავ, რატომ სხვებიც ასე ახლო არ მიიტანენ გულთან ამ ამბავსო?“ – დაეთუთქებოდა გული, – რატომ არავის არ ახარებს სხვების სიხარული?!“ – კითხვას სულშივე ჩაიბრუნებდა და შეძრწუნდებოდა, მაგრამ ვცდებოდეო იქნებაო, გაუელვებდა და მკერდზე დაირტყამდა მომუშტულ ხელს.

მაღლა აიხედავს ანაზდად:

სამშობიარო სახლის წინ იდგა.

იდგა ლალი-შაქირა და ელოდა.

აქ:

ავს უგრძნობს გული და ნერვიულმა კანკალმა აიტანა.

იქ:

მაღლა, მეორე სართულზე, ნომერ მეცხრე პალატაში დიალოგი გამართულიყო ასეთი:

დ ი ა ლ ო გ ი:

გინეკოლოგი: – საქმე ცუდადაა, ქალბატონო... კაი იქნება, თქვენი მეუღლე მენახა...

დედა: – ქმარი? (შეიშმუშნება): – ქმარი?

გინეკოლოგი: – ჰო, ქმარი... დაველაპარკებოდი...

დედა: – რაშია საქმე? იქნებ, მე დამლაპარაკებოდი ჯერ...

გინეკოლოგი: – ოჯახის უფროსს როდის ვნახავ?

დედა: – იმას ვერ ნახავთ... იმან დაგვტოვა მეც და ჩემი შვილიც (ატირდება).

გინეკოლოგი: – მაშინ თქვენ გეტყვით... (სახემოქუფრული).

დედა: – რაშია საქმე? აღარ მეტყვით?

გინეკოლოგი: – გეტყვით, როგორ არ გეტყვით, მაგრამ... (შუბლს გაიხსნის).

დედა: – ექიმო?! (გაკვირვებული და აღშფოთებულიც).

გინეკოლოგი: – მე სულაც არ მინდა, გული გატკინოთ... შეგაშინოთ... უკეთესი იყო ჩვილის მამისთვის მეთქვა, მაგრამ რადგან არაა იგი ფიზიკურად... (თავს დახრის ძირს).

დედა: (ნერვიულობისგან აცახცახდება): – მაინც რა მოხდა ისეთი, რომ...

გინეკოლოგი: – თქვენი შვილი... (თავს აიღებს მაღლა), – უსინათლო...

დედა: – რაო, რა თქვით? (გაოგნებული)

გინეკოლოგი: – ბრმა დაიბადა...

დედა: – ბრმა?! (გაშეშებულიყოსო თითქოს, ხმაც ჩაუწყდება).

გინეკოლოგი: – ჰო... ასეა ეს და... მიმძიმს, მაგრამ... ხომ უნდა იცოდეთ, რომ...

დედა: – კიდევ რა ჭირს ჩემს შვილს?

გინეკოლოგი: – რა ჭირს? ჭირს ნამდვილად: კიდევო? ვერ გაივლის... ფეხს ვერ აიდგამს... დიაგნოზიც...

დედა: (თვალებზე აიფარებს ხელებს): – ვაიმე, შვილო... ალაჰის რისხვა ვერ აგვცდა, ვერ აგვცდა... ისეთი რა დავაშავე, შვილო, რომ... ისეთი რა დავაშავეთ?.. ვერც გაივლის, ვერც დაინახავს...

გინეკოლოგი: (ზურგს შეაქცევს ატირებულ დედას), – იქნებ, ჯობდეს... (ნერწყვი ყელზე დაადგება და გაბმული ხველება აუტყდება).

დედა: – იქნებ ჯობდესო... რა უნდა ჯობდეს, ბატონო.. იქნებ: მაინც ეშველოს რამე...

გინეკოლოგი: – არაფერიც არ ეშველება... (ძალიან ხმადაბლა), – რა უნდა ეშველოს (კიდევ უფრო დაუწევს ხმას, ბოლო სიტყვები არც გაუგონია დედას).

დედა: – რაღა მეშველება?! (გამწარებული იატაკზე დააბაკუნებს ფეხებს. ხელებს უმწეოდ გაასავსავებს), – იქნებ, ჯობდესო... მაინც რა უნდა ჯობდეს?

გინეკოლოგი: – ვიცი, რაც უნდა ჯობდეს, მაგრამ... (სუნთქვა შეეკვრება).

დედა: – ვაიმე, შვილო... (ამოიგმინა).

გინეკოლოგი: – საავადმყოფოში რომ დაგეტოვებინათ...

დედა: – როგორ? აქ ვის დავუტოვო?!

გინეკოლოგი: – არავის...

დედა: - არავის?!

გინეკოლოგი: – მაგრამ ნუ აჩქარდევით (ღრმად ჩაისუნთქავს და პირგამშრალი განაგრძობს): – დრო კიდვ გაქვთ...

დედა: – დრო?!

გინეკოლოგი: (თითქოს დაბნეულიც): – მოიფიქრებდეთ, იქნებ და...

დედა: – რა უნდა მოვიფიქრო?! (აღშფოთებული და დაბნეულიც).

გინეკოლოგი: – კიდევ გეყოლებათ..! (ამოთქვამს და შვებით ამოისუნთქავს).

დედა: – მეყოლება?! ჰო, მეყოლება... მეყოლება...

გინეკოლოგი: – ცოდვა დარჩება...

დედა: – როგორ?

გინეკოლოგი: – ერთადერთი გამოსავალი...

დედა: (ხელი აიქნია და მოხუჭა თვალი): – დედას ვერ დამიძახებს, ვერ დამიძახებს... (თითქოს ის ერთადერთი სიმიც ჩაწყდა, ჩვილთან რომ აკავშირებდა და თვალთ დაუბნელდება): – ნეტაი, მშობიარობას გადავყოლოდი... (თავი ვეღარ მოაბა სათქმელს და უფიქროდ დარჩა).

* * *

გულმკვდარი დაბრუნდა შინ. სულ გამოცარიელებული. ხის ტახტზე მიესვენა ფერმიხდილი და შიშმა აიტანა უცებ; ბიჭი ეძახდა, დედაო.

რა იყო, შვილოო, გასძახებს დედა.

მარტო დამტოვეო?!

ვაიმე, შვილოო... მართლა რას გერჩოდი, ასე რომ მოგიძულეო. ხის ტახტიდან წამოიჭრება და ცრემლები გადმოსკდება, თმებს ჩამოიშლის და ჩამოიკაწრავს ლოყებს.

„ეს რა ჩავიდინე? როგორ ჩაიდინე, შე უბედურო?! ამიტომ: დედობის უფლება ჩამოგერთვა შენ! აღარ ხარ დედა, უკვე აღარ ხარ დედა, დედა აღარ ხარ, შე უბედურო!“ – ეს ამოძახილია გულის, იქნებ სულისაც. ჰოდა, ლამის გაუსკდეს ეს გული, ამოეწვას სულიც თითქოსო და გრძნობასაც დაკარგავს.

ლალი-შაქირა მოასულიერებს და გონს მოიყვანს.

ქალი წამოიწევა და მაღლა აღაპყრობს ხელებს, რატომ არ ჩამქოლავს ალაჰიო და ხმამაღლა ატირდება.

„ბიჭი ჰადაა... ჰო, ის ქორი და... თოფალი ბიჭი ჰადაა? ქორი და თოფალი...“ – წამოიღრუბლება ლალი-შაქირა და უხეშად შეანჯღრევს თავის უფროს დას.

– მითხრეს, შაქირავ, ქორი და თოფალიაო... კიდევ და კიდევ... ვინ იცის რაღა არ ჭირდა ჩემს ბიჭს?! – თავში შემოირტყამს ხელებს უფლებაყრილი დედა.

„ბიჭი ჰადაა, ქორი და თოფალი?!“ – ლამის საგულედან ამოუვარდეს ლალი-შაქირას მოწურული გული. კაცი ცახცახს აეტანა.

ანაზდად ხელი შეუშვა შეშინებულ ქალს და გადააფურთხა განზე: „ვინ წაიყვანა?“

– სამშობიაროში დატოვეს, შაქირავ...

„სამშობიაროში?! იბრეთი ამბავია... იბრეთი და... რას უპირებენ“.

– აბა, რა ვიცი, რას უზამენ?

ლალი-შაქირამ მთელი „გუგუმი“ წყალი გადაივლო თავზე, შეიბერტყა მერე და მოითქვა სული, წამით გიჟური ფიქრიც მოიწყვიტა თავიდან და თავისთვის ჩაიჩურჩულა: „ბაღვი დააგდე... უცოდველი ჩვილი და მიუსაფარი... ნეტა, ვის იმედად? დატოვე და არც გიფიქრია, რა ბედი ეწეოდა შენ ჯილაგს, მიატოვე სნეული – როგორ, როგორ მოიძულე შენი ბაღვი?! ალაჰის გამოგზავნილი... ადამიანი... ამ დუნიაზე იმასაც უნდა მისცემოდა ადგილი... ასე უსუსური მობრძანდა და შენ უფრო აუბედურებ?! აბა, მითხარი, არის კი შენს ადამიანობაში ადამიანური თუნდაც ნეკისოდენა?! ასე დათვიც არ მოიქცევა! ქორი და თოფალი რომ მოვიდა ქვეყნად, ამიტომაც უნდოდა პატრონობა! ქორი და თოფალი რომაა, ეს არ ეყოფოდა განა? შენ კი... მიაგდე“. – ფიქრობდა ლალი-შაქირა და განა მარტო ფიქრი იყო ეს?! გოდება იყო ეს... დიდი მოთქმა და... გაგიჟება. ფიქრობდა მართლა გადარეულივით. ამდენს მაინც ვერ გაუძლო და მთლად აცახცახებული ჩაემხო პირქვე. თითქოს და ძვლებგადამტვრეულს ქაფი სდიოდა პირიდან. ტანზე ორთქლი ასდიოდა.

იწოდა ლალი-შაქირაი, გადაიწვებოდა სადაცაა და ჩამთავრდებოდა თავის თავში, მაგრამ არ ამოწურულიყო ჯერაც ლალი-შაქირას დღენი, იმას უნდა ეცოცხლა კიდევ!

ბოლოს წამოდგება ცოცხალ-მკვდარი, პირს ხელით შეიწმენდს და გადააფურთხებს. მიაწვება კარს და ასე მიუგდებს გაუბედურებულ ქალს: „მე დავბრუნდები და მარტოც არ ვიქნებიო“.

– ლალი-შაქირავ! – წამოიკივლა გაუბედურებულმა ქალმა, – გევედრები...

„აკვანი დამახვედრე!“

„აკვანს სექვის გვერდით დავდგამთ...“

„ჰო, სექვის გვერდით...“-ო.

საოცარია და ესმოდა ყველას ლალი-შაქირაის ფიქრი...

* * *

ბინდდებოდა, ლალი-შაქირაი რომ მობრუნდა. ჩითის ნაჭრებში გახვეული ჩვილი მოუყვანა დედას.

„აკვანიო?!“ თვალით იკითხა ლალი-შაქირამ: „არ არის აკვანი? სექვი ხომ არის სახლში?! სექვი იქნება ამის აკვანი,“ დაასკვნა და ღრმად ჩაისუნთქა.

– შაქირავ, ჭოვ... ეს ბაღვი ხომ მზის უნახველაი მოკტება?! – ატირდება დედა და ჩვილისკენ გაუწევს გული, – შაქირავ, ჭოვ...

– ზზზზზმმმმუუოო, – დაიზმუვლა შაქირამ და ძალით გაიღიმა: – „კაია, გოვ, რომ მოგბრუნებია გული ბაღვისკენ...“ – მაგიდიდან ფანქარი აიღო და გაკრული ხელით წააწერა კედელზე: ნ ო ე.

– ნოე სადაური სახელია, შაქირავ? – იუცხოვა ქალმა.

მაგას შენ მაინც ვერ გაიგებო, ხელი ჩაიქნია შაქირამ, რაც არ უნდა ერქვას, ერთად უნდა გავზარდოთო.

და უვლიდნენ ნოეს: დედა ხმადაბლა, ლამის ეჩურჩულებოდა ჩვილს, – შაქირა უსიტყვოდ და მაინც ყველაზე გასაგებად.

თვითონ ნოეს ყველაზე მეტად ლალი-შაქირასი ესმოდა.

მაგრამ: შეიცვალა უცებ ქალი-დედა, გული გაუცივდაო თითქოს. გულმავიწყობა დასჩემდა, ნოეს ოდნავ წამოკვნესებაზეც კი უსიამოდ გააჟრიალებდა და გავარდებოდა სახლიდან, გვიან ღამით დაბრუნდებოდა ხოლმე და ჩვილისკენ ხომ არც გაიხედავდა. ერთ დღეს კი: ჯაზი თუ

შეუჩნდა, დაჰკრა ფეხი და გადაიხვეწა სოფლიდან. მერე, მერე შეიტყო შაქირამ, რომ ვიღაცას სადღაც, დღვანში კილდის თავზე სამოსახლო რომაა, ფუტკარაძეებში, იქ მოუკრავს თვალი და მერე იმის კვალიც გამქრალა. ფუტკარაძეებში როგორ მოხდა და მერე იქიდან სად ამოყო თავი, არავინ უწყის.

მართალი თუ გინდათ იცოდეთ, ამ ამბავს ლალი-შაქირა დიდად არ შეუწუხეია: თავს ევლებოდა ნოეს ლალი-შაქირა. ჩიტის რძეც რომ ენდომებია ბიჭს, თავს მოიკლავდა ლალი-შაქირა და უსიკვდილოდ გაუჩენდა. ერთხელ წამალი შემოაკლდა ნოესთვის და სოფლის უხუცესმა მოუტანა, მე არა, სოფელს უთახრი მადლობაო. ის დღე იყო და ლალი-შაქირამაც კიდევ უფრო შეიყვარა სოფელი: უყვარდა დიდიც და პატარაც; უყვარდა ხე, ქვა, ზეგანი, ღელე და...

სოფელი ეხმარებოდა ბიჭს და ძღვენით მისულ თანასოფლელებს ხელგაშლილი ხვდებოდა ლალი-შაქირა, დიდი პატივით მიაცილებდა ალაგემდე, უკანმობრუნებული თვალებით ეფერებოდა სტუმრის ნატერფალებს, კრთოდა მეტისმეტი სიხარულისგან.

დრო კი დიოდა...

ჩვილს, როგორც სამშობიაროში უწინასწარმეტყველეს, ფეხი ვერ აედგა და ენაც ვერ მოებრუნებინა. ბრმა და კოჭლი, ალბათ, არც სოფელს მოსდიოდა თვალში, მაგრამ ამას არ აგრძნობინებდნენ ლალი-შაქირას.

ქარმა არ დაჰკრასო, ეშინოდა და ამიტომაც იტყოდნენ სოფელში: „მზეთუნახავია ლალი-შაქირაის ნოე-ბიჭიო, თუ გარეთ არ გამოიყვანე, მზეთუნახავი იქნება, აბა, როგორ გგონიაო, დასძენდნენ ამ ამბით შეწუხებული თანასოფლელები.

ტიროდა ნოე-ბიჭი, ტიროდა გაუთავებლად. თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ თავად ამის მიზეზი კაი ხანია იცოდა. ტირილს შებინდებისას წყვეტდა. ჩაესვენებოდა მზე და თავისებურად მოწურავდა ქარისგან დაშაშრულ ტუჩებს, მერე ერთი ნახევარ-პირით წაიტირებდა, მეორე ნახევარპირის ე.წ. ღიმილს სახვალიოდ შემოინახავდა და გრძელდებოდა ასე.

ამასობაში ხუთი წლისაც შესრულდა ნოე ბიჭი. ლალი-შაქირამ დაბადების დღე გადაუხადა. გული კი: ავს უგრძნობდა და არ კი უწყოდა, საიდან? როგორ?

დღისა და ღამის გასაყარზე სამუდამოდ დადუმდა ბიჭი. აწი ვეღარასოდეს ატირდებოდა იმ თავისი ერთი ნახევარპირით და ის მეორე ნახევარპირიც დაუმდაბლავდა, თითქოსდა, ღიმილისათვის რომ გაეპობოდა ზოგჯერ და ასე იშვიათად.

ყანის დასავლით ერთი მარტოსული ხე იდგა: იმას ამოფარებოდა მზე. სწორედ იმ ხის ძირში გაუთხარა ლალი-შაქირამ პაწია საფლავი თავის სათაყვანებელ ბიჭს. შიგ ჩაასვენა ჩონჩხად ქცეული სხეული, მიწაც თითებით წააყარა და ხელისგულებითვე შემოუბეკნა ირგვლივ, ოფლი ვალმოხდილივით შეიწმინდა და: ერთი პაწია საფლავიც გაითავისა სოფელმა.

„ამდენ ხანს, უბრალოდ, არ მინდოდა ლაპარაკი, აწი კი არაფრის გაგონებაც არ შემიძლიაო!“ – შეეკუმშა გული და უკანმოუხედავად დატოვა იქაურობა.

მერე: ერთხელ ძველ ვაზს, დიდი ხანია გაშენებულს, გადაეყარა გზაზედ და თვალები გაუბრწყინდა; ძირფესვიანად მოგლიჯა, მთავარი ძირიდან ჯვარი გამოთალა და ბეჭსა და ბეჭს შუა მიიმაგრა, დადგა, მოითქვა სული, პირჯვარი გადაიწერა და მერე: უამჯვაროდ არც არავის უნახავს ლალი-შაქირაი. ჯვარი იყო მისი მარადმეგზური.

შინ გულიც აღარ უჩერდებოდა და ასე ადვილადაც ვერ მოიხელთებდით:

აქ რომ ეგონათ, იქ იყო უკვე, იქ რომ ეგონათ, უკვე აქ იყო, ან სულაც სხვაგან, ყველგან იყო ლალი-შაქირაი და იმავ წუთიდან შეეძლო არსადაც არ ყოფილიყო.

სწორედ რომ წყალივით იყო:

ჰო: წყალიც იყო ლალი-შაქირაი...

გ ა რ დ ა ს ა ხ ვ ა:

სოფელში მთელი სამი თვე არ გამოჩენილა ლალი-შაქირა.

მოენატრათ კიდეც.

და ლალი-შაქირამაც აღარ დაახანა.

ალიონზე გამოჩნდა სოფელში, შემოსავლელ გზაზე. წვერი მოეშვა, დატალღული ჭაღარა თმა მხრებზე ჩამოშლოდა. ზურგზეც ჯვარი ჰქონდა დაკრული, სხვა არაფერი ებადა.

ხალხიც ნელ-ნელა იყრიდა თავს სოფლის ცენტრში, კანტორის წინ ცაცხვის ხე რომ დგას ტოტებგაშლილი, იმის ჩრდილქვეშ. დაჯვარული კაცი შუაში მოიქციეს თანასოფელელბმა. იგიც იდგა ამ დიდ წრეში სულშეხუთული და ღვარად სდიოდა ოფლი.

– შაქირავ, ჭოვ... ხომ არ მოგწყვიტა წელი ამსიმძიმე ჯვარმა და... ალაჰის რისხვა არ დაგატყდეს თავზე?! – უსაყვედურებს სოფლის უხუცესი სკენდერ ეფენდი.

– ამ ჯუმა დღეს ჯვარი ამეიტანებოდა სოფელში?! – თოფალი ქემალა მუშტსაც მოუღერებს რჯულის მოღალატეს, – ნახე, ე მაი წვერებით თუ არ გათრიონ... ჯამეზე იყო გადაგებული და...

– ერთი დაანებეთ თავი ლალი-შაქირას, ამას რომ უჭირს, ისე გუუჭირდეს თქვენს მტერს, – სიტყვას სოფლის უხუცესი სკენდერ ეფენდი შეაწევს ლალი-შაქირას, – სული მოითქვა და ლალი-შაქირას მიუბრუნდა: – შენ, ძიავ, ქვეყნის აბმავს ამეიტანდი სოფელში, ვიცი... აბა: გვითხარი რასა იქს დუნია-მემლექეთი?

– ჯვარს რა თავში იხლი, ლალი-შაქირავ?! – კითხავს კაცი ჩალმიანი, ჟღალწვერიანი.

– შაქირავ, ჭოვ... მეისროლე მაი ჯვარი ხევში და...

– გაქრისტიანდი, ჭოვ?

ლალი-შაქირაც გასწორდა წელში და ღიმილი ჩაიყენა თვალებში: „ერთი შენც!... შედი იმ შენს მაღაზიაში...“

– შაქირავ, ორი საკითხი უნდა გეირკვას დღეს: ერთი – დუნია-მემლექეთის და მერეც – შენი, ჭოვ!

„მე ტაბურეტზე თუ არ შედვექი, ისე ვერაფერს შეიტყობთ ჩემგან...“ – ჩაითქვა გულში ლალი-შაქირამ, თუმცა იცოდა, დარწმუნებულიც იყო, რომ ფიქრი მისი ასე თუ მოუვიდოდა უფრო ზუსტად და ფიქრიანად სოფელს.

– ლალი-შაქირა! – მხრები აიჩეჩა სკენდერ ეფენდიმ და ჩაფიქრდა, „ამას... ლალი-შაქირას არაფერი არ უთქვამს ტაბურეტკაზე... იმან, იმან წამაკითხა თავისი ფიქრი, ჯაზია ლალი-შაქირაი! ჯაზი...“

და ისევ გაუგზავნის თავის ფიქრს ლალი-შაქირაი სკენდერ ეფენდის: „წაიკითხე ხომ, ძიავ, შენ ჩემი ფიქრები“, – გაიღიმებს თავისებურად, – გამეიტანს სკენდერ ეფენდი, ჩვენი ხუსია ტაბურეტკას და...“

– გამეიტანე, ხუსიავ იი ტაბურეტკა და ლალი-შაქირაი დუნია მემლექეთის ამბავს დაიწყებს! – სოფლის უხუცესი სკენდერ ეფენდი გაკვირებულია, ამას რას ვლაპარაკობო.

„შევთანხმდით, სკენდერ ეფენდი ხომ?“

„შევთანხმდით! – თქვა სკენდერ ეფენდიმ და აქოშინებულ ხუსიას ტაბურეტი გამოართვა, – შევთანხდით, ძიავ! – შესძახა და ტაბურეტიც წინ დაუდგა ლალი-შაქირას.

ლალი-შაქირა შედგა ტაბურეტზე და იქცა ფიქრად: „ჯერ დუნია-მემლექეთის ამბავს გეტყვით... – ფიქრი გაუგზავნა ხალხს, – იცით, რა ხდება დუნიაზე? აირია დუნია-მემლექეთი, ძიავ...“

– მერე და... შენ საიდან იცი ამდენი, ლალი-შაქირავ? – იკითხა ვიღაცამ.

„საიდან ვიცი? საიდან და... – აქ წამით შეიწყვეტს ფიქრს ლალი-შაქირაი და შუბლზე მიიკაკუნებს საჩვენებელსა და შუათითს: „მე ვფიქრობ...“

– ფიქრით მეც ვფიქრობ, ძიავ მაგრამ რათ გინდა ამფერი ფიქრი, თუ ვერავინ გეიგონა... მეც ვფიქრობ, მაგრამ დუნია-მემლექეთის ამბავს მე ვინ მკითხავს?! არც სხვებმა იციან... – ხელები მაღლა აღაპყრო სკენდერ ეფენდიმ და ხალხს გოროზად გადახედა.

„თქვენ ფიქრობთ. მეც ვიცი, რომ ფიქრობთ, მაგრამ აზრიც უნდა დაატანოთ ფიქრს...“ – ფიქრი ბურუსში გახვია როგორღაც, მაგრამ ამით სულაც არ ცდილა შეურაცხყოფა მიეყენებინა ვინმესთვის: – ფიქრობთ კი, მაგრამ...“

– ვფიქრობთ, მაგრამ... – რაღაც ვერ გამაგებინე, ლალი-შაქირავ... ან, არ გინდა გამაგებინო... მიგიხვდი... ვფიქრობთ, მაგრამ არ ვაზროვნებთო, გინდოდა გეთქვა და ბურუსშიც ამიტომ გახვიე ფიქრის მეორე ნახევარი...

„ვერ მოგიცლიათ თქვენ... აზროვნება ბელქი შეგიძლიათ და იცით კიდეც. მოაზროვნე კაცი და მოუთმენლობა ვერ თავსდებიან ერთად. ესეც ჩემი პირველი შეგონება! დუნია-მემლექეთის ამბავი გაინტერესებთ? უჭირს ჩვენს ქვეყანას და ჩვენით უჭირს! ჩვენ რომ არ გვიჭირდეს, ქვეყანასაც არ გუუჭირდებოდა, ესეც მეორე შეგონება და შეგონებაც მესამე: გაგვიჭირდება უფრო მეტად... ამაზე მეტადაც და რომ აღარ გადავშენდეთ... პირველი: გვიყვარდეს მოყვასი და მეორე, მტერიც გვიყვარდეს ჩვენი!“

– მტრის სიყვარული არ იქს! – ახმიანდა ხალხი.

„ძნელია მტრის სიყვარული, ძიავ, მაგრამ საჭიროც რომაა არ გძულდეს იგი? სიძულვილი დუნია-მემლექეთს დაგვიქცევს... გეთანხმებით, რომ ძნელია, მაგრამ თუკი გადარჩენა გვინდა, უნდა შევიყვაროთ მტერი! სიძულვილი გულიდან ამოვიღოთ, რადგან სიკვდილივითაა სიძულვილი... სიკვდილივითო რომ ვამბობ, არც ამაში ვარ მართალი, რადგან სიძულვილი სიკვდილია თავად, სიყვარული კი – სიცოცხლე და უკვდავება! ამიტომ: შევიყვაროთ! დაე, გვიყვარდეს!“

– ჭოვ... იბრეთი კაცი ხარ, ლალი-შაქირავ... – ჩაფიქრდება სკენდერ ეფენდი, – ლამაზობით ლაპარაკობ, ჭოვ, მაგრამ ვერ დაგიჯერებ, რადგან მოყვარე რომ უნდა გიყვარდეს, ამაში ვერ შეგედავები, მაგრამ მტერი შევიყვარო, ხომ შევიქნები ქვეყნის სასაცილოდ?!

„მაგრამ შენ რომ სიძულვილიც არ შეგიძლია, სკენდერ ეფენდი?! ეს მიხარია მე, ლალი-შაქირას!“

– ლალი-შაქირავ, ჭოვ... ამბობ, მტერიც გიყვარდესო, მაგრამ იმ მტერს რომ არ ვუყვარვარ?! – წამოიძახა ვიღაცამ, მაგრამ იცნო ლალი-შაქირამ ეს ჩაბარიტონებული სიტყვა.

„ტარიელავ, არც შენ შეგიძლია სიძულვილი და... ბევრს არ შეგიძლიათ აქ სიძულვილი... ამიტომაც არ დავიკარგებით... მახარებს მე ეგ ამბავი... თვალები დამიდგეს, თუ არ მიხაროდეს!“

– არ შეიძლება მტრის სიყვარული, არ შეიძლება! – ხმა ამოიღო ფრიდონა მაღალმა, მთელი თავით მაღალი რომ იყო შეკრებილთა შორის.

„ბელქი არ დამიჯერებ, მაგრამ მაინც მინდა გირჩიო: ერთ ლოყაზე რომ სილა გაგაწნან, მიუშვირე მეორე ლოყაც!“

– ლალი-შაქირავ, გეთანხმებით ყველა, რომ უნდა გვიყვარდეს მოყვასი... ჩვენი მოყვარე, – ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა სკენდერ ეფენდიმ, – მაგრამ მტერიც გიყვარდესო, როცა ბრძანებ, მოგვეცი უფლება, რომ არ დაგეთანხმოთ და... ვიცი, არც შურს იძიებ ამაზე... მაგრამ ამდენ ხანს არ ყოფილხარ სოფელში და დღეს გამოგვეცხადე... ამიტომ: სოფელს, კეთილი ინებე და მოახსენე კიდეც შენი ამბავი!

– მოყევ, ლალი-შაქირავ! – იძახის ტარიელი.

– მერე დუნია-მემლექეთის ამბავიც გვითხარ! – ამას ფრიდონა მაღალი ითხოვს ლალი-შაქირასგან.

„ჩემი ამბავი, ძიავ? მაგრამ რომ არ დიმიჯეროთ?“

– შენ თქვი, ლალი-შაქირავ და დიგიჯერებთ, თუ არ დიგიჯერებთ, ეს ჩვენი საქმეა, – ხელს მაღლა ასწევს სკენდერ ეფენდი და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება.

„თუკი დამიჯერებთ... – ჩაახველა ლალი-შაქირამ და თვალი მოავლო შეკრებილ ხალხს: – მაშინ ჩემი წუხანდელი სიზმრით დავიწყებ... იქნებ, არც დაგაინტერესოთ ჩემმა სიზმარმა, მაგრამ ჩემი ამბავი მართლა რომ წუხანდელი ამბით იწყება?! – წმინდა სალიტერატურო კილოზე ისე გადავიდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ და როდის დაუტევა კუთხური დიალექტით მეტყველება.

– ჰოდა, მიაწექი, ჭოვ!

„კაი, ხალხო... მაგრამ მარტო მოსმენაც არ კმარა, უნდა დამიჯეროთ!“

– შენ, ძიავ, წუხანდელი სიზმარი ჩამოფქვი და დიგიჯერებთ, თუ არ დიგიჯერებთ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია!

„მაშინ, ძიავ... გინდ დამიჯერეთ გინდაც ნუ დამიჯერებთ... კი მეწყინება, რომ აღარ გესმით ჩემი, მაგრამ სათქმელიც რომ არ გითხრათ, მართლა არ შემიძლია. ღმერთი მიწყენს!“

„ღმერთი კი არა, ალაჰი, ჭოვ! – შეუსწორებენ.

შეცბება უცებ ლალი-შაქირა, მაგრამ სოფელი გაამხნევებს:

– მიდი, შაქირავ!

– მიდი, ძიავ!

– მიდი, ჭოვ!

– მიდი, დიადია!

ჰოდა, მოდგება ჩვენი შაქირაც:

„წუხელ, ხალხო, ქრისტე ღმერთი მოვიდა ჩემთან...“

– ქრისტე ღმერთს შენთან რა უნდოდა, ჭოვ?

„იცის, ძიავ, იმ ქრისტე ღმერთმა, ვისთანაც მივიდეს...“ – წარბი შეიკრა ლალი-შაქირამ, – მესიზმრა-მეთქი, გამომეცხადაო, კი არ მითქვამს? მხოლოდ მესიზმრა, მაგრამ ისე ნათლად მახსოვს მისი სახე, ცხადში მენახოსო თითქოს. ისეთი იყო, ისეთი... ისე უჩვეულო... თვალები დამიდგეს, ანგელოზი მონაგონია მასთან! სხეული – გამჭვირვალე, ფერი... ვერა, ვერ ვიტყვი, რა ფერისა იყო, ბრწყინვალე და... ამაღლებული... ხელიც კი შევახე, მაგრამ...“

– იყო თუ არ იყო, ლალი-შაქირავ?

– სხეული არ ჰქონდა?

– ჰქონდა სხეული?

„მე ხომ ურწმუნო თომა არ ვყოფილვარ, ჭოვ, ეჭვი შემეტანა მის მატერიალობაში, მაგრამ...“

– თქვი, ლალი-შაქირავ, რატომ არ იტყვი, ჭოვ? – ესმის ყოველი მხრიდან.

– ჰემ და თქვი, რა გითხრა იმ ქრისტე ღმერთმა?

„არც რა...“

– აბა, ისე.. ისე მოვდა შენთან შენი ლამაზი თვალებისთვინ?

„მესმოდა მისი სულისთქმა.. მესმოდა მისი გულისთქმაც... მას შემდეგაა, თქვენი ფიქრი რომ მესმის ასე კარგად... მესმოდა ადრეც, მაგრამ ასე კარგად არა...“

– ჰოდა, თქვი, რა უნდოდა შენთან ქრისტიანების ღმერთს... შენთან?

„იმას ჩემთან? არც რა, ძიავ... ნდომით მე მინდოდა მისგან... მივყოლოდი თან, სადაც წავიდოდა, თან ვხლებოდი... მეფიქრა ისე, როგორც ფიქრობდა იგი... წყალში შევიდა ბოლოს, წელამდე წვდებოდა წყალი და მეც თან შევყევი... თვალი გამისწორა გახარებულმა და: თვალი კი არ მიყურებდა უკვე, ზეცა შემომცქეროდა, ზეცა... ზეცით ამომვსებოდა ეს თვალები... და მე: ავმაღლდი... წყალი ამოიღო იმან პეშვით და თავზე დამასხა... ეეე... როგორ ხარობდნენ მისი ცისფერი... უძირო თვალები?!“

– მუსლიმი მოუნათლიხარ, ჭოვ?! – უკვირს სოფელს და არც მალავს შეშფოთებას.

– მუსლიმი არ ხარ, ჭოვ? თუ... – იკითხავს ერთი.

– მუსლიმი აღარ ხარ, ჭოვ? – ხელებს გაასავსავებს მეორე.

– მერე, ჭოვ?

„რომ მოვფხიზლდი, აღარსად იყო ქრისტე ღმერთი... აღარც მდინარე იყო და...“

– ეს ჯვარი, ჭოვ?

„უკვე მეკიდა ზურგზე... ამ ჯვარით მოვსულვარ თქვენთან და არ გამაგდებთ, მგონია, სოფლიდან, ამ საწუთროდან... წუთისოფლიდან...“ – სული მოითქვა ლალი-შაქირამ და განაგრძო: – ჯვარი... ეს ჯვარი... ხომ ვაზის ძირისგანაა...“

– მერე და ასე ჯვარაკიდებულმა უნდა იარო, ჭოვ?

„ჰო, ვიარ ასე ჯვარაკიდებული, აბა, არ ვიარ, ძიავ?! სოფელ-სოფელ... ასე უნებებია ქრისტე ღმერთს!“

– მერე, ჭოვ, ალაჰის რისხვის არ გეშინია?

„თითქოსდა არ მსაყვედურობს... შენი ნებაო, ლალი-შაქირაო!“ – დიდ არს ალაჰიო!“ – მუშტები შემართა ლალი-შაქირამ.

– დიდ არს ალაჰი! – ახმიანდა სოფელიც, – ჰოდა, იარე შენც ამ სოფელ-სოფელ, ლალი-შაქირავ ამ დუნიაზე და... დუნია-მემლექეთის ამბავი არ დაგვიგვიანო! არავის, უშავებ შენ, ლალი-შაქირავ...

„დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე...“

– პირჯვარს მალი-მალ იწერს ლალი-შაქირაი, – ვიარ ასე ჯვარმოკიდებული... ჰოდა, მარადის და უკუნითი უკუნისამდე...“ – აუხმიანდება სული და ფიქრსაც აქ დაიდუმებს.

დუმს ახლაც...

დუმს ლალი-შაქირაი, მაგრამ ესმის და მერე როგორ ესმის?!

* * *

მთელი ერთი კვირაა, ადგილზე არ მიჩერდება გული. მინდა, დავკრა ფეხი და გადავიკარგო აქედან. მიზეზი კი ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელია, დომინოს რომ ვეძახით.

ვერაფრით გავუგეთ ერთმანეთს. ერთხელაც... შე რეგვენოო... გაუგებარი რააო აქ და რუკის ჯოხი მესროლა. ამცდა ბედად და იქედნურად ვუთხარი, არ გაგიმართლათ, მასწ... ვატყობ, ფიზკულტურაში მოიკოჭლებდით თავის დროზეო. ეს იყო და ეს: დავცილდით უბრად ერთმანეთს და გვეგონა, ამით ამოიწურებოდა ეს ჩვენი კონფლიქტი, მაგრამ, ჩვენი მღვდელი რომ ასე არ წირავდა?!

დერეფანში გამაჩერა და დაცინვით მითხრა: ისევ შენს ვირზე ზიხარო?!

მეც: ჩამოსვლას არც ვაპირებო, აღარ დავუგვიანე პასუხი და ახალი კითხვაც გამოვუცხვე მაშინვე: არც თქვენ ჩამოსულხართ ე მაგ თქვენი ვირიდანო?

ორჯერ და სამჯერ რეგვენი ყოფილხარო, მომახალა იმანაც და სილა გამაწნა მარცხენა ლოყაზე და მარჯვენა მივუშვირე: ლალი-შაქირა გამახსენდა უცებ და ახლა მუშტი მომხვდა მარჯვენა ლოყაზე. დავბარბაცდი, მაგრამ არ წავქცეულვარ და აგიც არ შეგძლებიაო, ვუსაყვედურე... – მაგრამ ამაზე აღარ შევჩერებულვარ და გუნდასავით ვესროლე გეოგრაფიის მასწავლებელს: – დომინო ბატონო, თქვენთან შედარებით იუდა ისკარიოტელი ანგელოზად მოეჩვენებაო კაცს!

– შენ უბრალო ბავშვი მართლა არ ყოფილხარ, შენ ანტიბავშვი ხარ, ანტიბავშვიო! – მიყვირა.

– თქვენ კი, – ანტიადამიანი! მე კი, სამწუხაროდ, მესამე ლოყა არ მომცა ღმერთმა, რომ მოგიშვიროთო! – გავძახე და ზურგი შევაქციე.

– მამაშენს მოიყვან ხვალეო! – მომაძახა მოულოდნელად.

– მოვა ხვალ დილას და... ბარემ გაკვეთილზეც დაისწროთო.

– მე ვეცდები, რომ... პედკოლექტივი მოიწვიონ და... ამ პედკოლექტივმა გადამიწყვიტოს შენი ბედი! დარწმუნებული ვარ, იქვე დასრულდება შენი სკოლის კარიერაო!

– თქვენი ადამიანობის კარიერაც, ვხედავ, დღესვე უნდა დასრულდესო! – მივახალე, რომ არ მეთქვა, გავგიჟდებოდი, ალბათ.

(ასე დასრულდა ჩვენი შეხლა-შემოხლაც).

* * *

...ჩემდა გასაკვირად: მკვდარივით ჩამეძინა. ძლივს გამაღვიძეს დილას.

– რაო, ყმაწვილო, სკოლაში აღარ აპირებ წასვლას?! – მამამ შემომიბღვირა. ამ ბოლო ხანებში ასე უხეშად მეპყრობა და მიყვირის სულ. თუკი არ მიყვირის, ზედაც არ მიყურებს, თითქოს არც ვყოფილვარო. – შავმა კატამ ხომ... არ გადაგირბინა სიზმარში და... – გააწკლაპუნა ენა, – გუშინაც ხომ არ დაგიშავებიაო სკოლაშიო?

– არა, მე არ დამიშავებია, მაგრამ მაინც მოგიწევთ სკოლაში წასვლა – გეოგრაფიის მასწავლებელს მონატრებიხარო...

– ეს რომელიო?

– დომინოს რომ ვეძახით ბავშვები.

– ჩვენც ასე ვეძახდით... გუშინაც დააშავე?

– ასე ჰგონია დომინოს...

– რაო, არც დომინოს ესმის შენი?

– ასე გამოდის, – ვამბობ.

– ამას უყურეთ ერთი?! – ხელები გაშალა აღშფოთებულმა მამაჩემმა, – მართლა არ ესმით შენი? სამწუხაროა, სამწუხაროა... არ ესმით თურმე ამ ვაჟბატონის... ისევ შემარცხვინე ხომ?

– მე არ შემირცხვენიხართ... აქეთ შემარცხვინეს... დამამცირეს, გათელეს ჩემი უფლებები!

– ბავშვის უფლებები გაუთელია თურმე გეოგრაფიის მასწავლებელს, რომელსაც დომინოს

ეძახიან სიყვარულით... ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს, თორემ... შემომაკვდები, იცოდე!

– და მაინც მიხვალთ სკოლაში? – ვიკითხე დასაზუსტებლად.

– მივდივარ, აბა?! და თუ გინდა, რომ არ შემომაკვდე, აორთქლდი და გიმეორებ: არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

– ვეცდები, თვალში აღარ მოგვხდე და...

– ჰო, თავიდან დამეკარგებოდე, კაის იზამდი...

– დაგეკარგები, აბა არ დაგეკარგები?! – ვიტყვი მამაჩემის გასაგონად.

დამეკარგე, დამეკარაგეო, ჩაილაპარაკებს იგიც ბრაზმორეული და ეზოდან გადავა. მე კი წამიღებს ჩვეული ფიქრი:

„...და საიდან დაიწყო ეს ყველაფერი? იქიდან, რომ მაისტერ ეკჰარტზე ვკითხულობდი... შტაინერი იყო ნაწარმოების ავტორი. ნოე, ყურადღებით... არ დამანახო მაი წიგნი, თორემ ფანჯრიდან გადავაგდებ... პირდაპირ სანაგვეში აღმოჩნდება, იცოდე... მეც თვალები მოვწყვიტე წიგნს და თვალი გავუსწორე მასწავლებელს. იმანაც ამარიდა თვალი. კითხვა განვაგრძე; დომინომ კი ახალი გაკვეთილის ახსნა დაიწყო. მაგრამ მთლად მაინც არ დავვიწყებივარ და მეორედაც გამომიჭირა, წამასწრო დანაშაულზე და ხელი გამეტებით დაჰკრა თავის მაგიდას: – ამას არც გეოგრაფია აინტერესებს და აღარც ჩვენი ერის ისტორია... იკითხე ეს სულელური მისტიკა და... სხვა აღარფერიც აღარ უნდა! – რუკის ჯოხი, აღარც კი მახსოვს, მერამდენედ მესროლა დღეს, მაგრამ ახლაც ამაცდინა და ტაში შემოვკარი. კლასმაც მომბაძა და მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელსაც დომინოს ვეძახით. ვიღაცამ „დომინოო“ შემოსძახა კიდეც.

ამას ის მოჰყვა, რომ გამაბრძანეს გაკვეთილიდან, მერე: დერეფანში ხდება ამბავი, და მეორედ აღარც მოვყვები... ისედაც იცით ყველაფერი... მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ... სახლში აღარ დავხვედრივარ მამაჩემს. აღარ მინდოდა, კიდევ უფრო გამერთულებინა ჩვენ შორის არსებული ისედაც გართულებული მდგომარეობა.

აქედან შორს, გამკენწლა უნებლიეთ და ლალი-შაქირაც არ გამოჩნდება ამ დროს?

„ვიცი ყველაფერი, ჩემო ნოე... აბა, გელი შენცა და შენს ნოეს კიდობანს! მერე და საქმე მაქვს შენთანო“.

ვიცოდი, მეჩვენებოდა ეს ყველაფერი და მაინც ვკითხე, მართლა ჩამოვიდეო?

თავი დამიქნია ლალი-შაქირამ: „გელოდები, ძიავ...“

მეც სოფლისაკენ გავეშურები ისე, რომ ერთხელაც არ მოვიხედავ უკან, ჩემი ქალაქისკენ.

და არ ვიცი, რატომ და როგორ და ლალი-შაქირას ჩანაწერი გამახსენდა ერთი: „დუღს ჩემი ქალაქი, დუღს და სადაცაა გადმოვა იმ თავისი პირევლსაწყისიდან, გადმოდინდება მთის მდინარესავით და... მიექანება სადღაც. სოფელი კი მდორე ღელეა... დგას ეს ღელე, დგას და აღარ მდინარებს, მაგრამ მკვდარიაო, ენა არ მომიბრუნდება, ამის სათქმელად. დუღს მირიადი ნაწილაკი... და ყველა კი არ მიმდინარეობს, მიიდრიკება უბრალოდ თავისკენ, რომელშიც სიხარულის თესლი ჩაუგდია და გაუსხივებია შემოქმედს.

მდინარე: ვითომ შეჩერებული დროა?!

ეს: მასში აჭრილი მილიარდი სიკვდილია... მარადისობას რომ საფუძველს უყრის... გადგმულია სიცოცხლის საძირკველი... უჩინარი და მარადიული მდინარება – თვითონ სიცოცხლე! მე: ამ უჩინარი დრო-მდინარის ერთი უმნიშვნელო ნაწილაკი, სიკვდილი ვარ... მარადისობაში ნებსით თუ უნებლიეთ ჩართული... თითქოს ამ მარადისობას ვქმნიდე...

თავს მაღლა ავიღებ და ჩემთან მოდიო, ხელს მიქნევს ლალი-შაქირა და ქრება:

„აბა, სად უნდა წავსულიყავი, თუ არა ჩემს სოფელში... სოფელში, რომელსაც ლალი-შაქირა ჰყავს... იქნებ, გიჟიც და იქნებ, ბრძენიც... მაგრამ ყველაზე ახლობელი ადამიანი ჩემთვის...“ – ვფიქრობ და გულიც გამიწევს მისკენ: „მაგრამ შინ რას იფიქრებენ? იფიქრებენ... მაგრამ... იფიქრონ, რაც უნდათ! მერე და ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გვინდაო და... მე აღარ მეკითხე-

ბიან, მე როგორ მინდა. რაო, განა საფლავში არ ვწევარ? აბა, სცადე და გადაბრუნდი! მე არ მინდა ზევიდან დამყურებდნენ... ასე მგონია, დამყურებენ და მიბრძანებენო კიდეც... მე კი არც ის მიყვარს... არ მსიამოვნებს, როცა მიბრძანებენ... არა, ბატონო... ასე მართლა არ იქს! – დავასკვნი თითქმის დაუფიქრებლად და რაღა დაუფიქრებლად, როცა ლამის გამისკდეს ფიქრისგან თავი! მერე და... მომნატრებია სოფელი, მომნატრებია ღელე და... მომნატრებია აქ ყველა და ყველაფერი...

მეც დავკარი ფეხი და... ბათუმი უკან დამრჩა.

ბაბუას კი, კარი გამიღო თუ არა, მაშინვე განვუცხადე: – შენმა შვილმა, თეიმურაზმა, ძალიან მაწყენინა და გამოვექეციო. იცოდე, ბაბუ... თუკი ჩამომაკითხა აქ, ისე ჩავთვლი, რომ... ჩამშვები იქნები. მიუღებელია შენთვის ჩემი პიროობები, კეთილი, სხვაგან მოვნახავ გადასაყუდრებელს... მითხარი პირდაპირ და... აღარ დავრჩები შენთან.

ბაბუას აღარ უსაყვედურებია ჩემთვის, მაგრამ გულში რომ მამტყუნებდა, ამას გამომაპარებდა?!

– ბაბუო... – მაკოცა მხარზე და მითხრა: – მე არ შევატყობინებ შენს ამბავს, მაგრამ აქ რომ გაჩნდება ამ მოკლე ხანში, ამაში შენც მალე დარწმუნდები!

– მჯერა შენი, ბაბუ, ვიცი, არ ჩამიშვებ, მაგრამ... პირველად აქ მომაკითხავს, რასაკვირველია, მაგრამ... მეც ისე, დაუფიქრებლად გითხარი და ამით გაწყენინე, ბაბუ...

მერე გავიგე: ბაბუს წერილი მიეწერა თურმე მამაჩემისთვის, „ნოე ჩემთანაა და თუ გინდანა კარგად დამთავრდეს ეს ყველაფერი, სოფელში ფეხიც არ ჩამოდგაო. საქმეც მერენა მოგვარდესა და თვალები წინასწარ რათ უნდა დავითხაროთო?“

ერთხელ ვუსაყვედურე კიდეც, შვილი გაგექცა მაშინ სახლიდან, იცოდი კიდეც, სად იმალებოდა და არც მოიკითხეო.

იმანაც იქედნურად გაიღიმა, „რომ ვიცოდი, სადაც რომ იყო, იმიტომაც არ მოვიკითხეო“ და სასოებით შენახული წერილიც ამოიღო უბიდან, სული შეუბერა და მუხლზე დაირტყა.

მეც ხელი იმ წერილისკენ გავიწვდინე უნებლიეთ და იმანაც, ნუ აჩქარდებიო, ცხვირწინ ამიფრიალა წერილი, აქეთ მისაყვედურა და ხელისგულზე დამიდო ბაბუას წერილი: – ბრძენი კაცია ბაბუაშენი, აბაო!

– და ბრძენკაცი ჩაუშვი შენ, მამაჩემო!

– და შენ გგონია, რომ ესაა ჩაშვება? კიდევ ერთხელ დაგიმტკიცებ, რომ ბრძენია ბაბუაშენი, – იმან წინდაწინ გათვალა ყველაფერი... აბა, დაფიქრდი, ეს წერილი რომ არ გამოეგზავნა ჩემთვის, რანა მომხდარიყო შენი აზრით? შენ კი ნაადრევად, დაუფიქრებლად გამოგაქვს დასკვნები ისე, რომ წაკითხულიც კი არ გაქვს ეს წერილი. ჯერ წაიკითხე და დასკვნები მერე გამოიტანე!

მეც გავშალე წერილი და სულმოუთქმელად ჩავიკითხე ბოლომდე.

– წაიკითხე ხომ? – ჩაფიქრდა მამაჩემი. – მაინც როდის მოასწრო ამ წერილის გამოგზავნა?! წამოსასვლელად ვიყავი გახაზირებული... მარშრუტკაშიც უნდა ჩავმჯდარიყავი, რომ ნუღარ აჩქარდებიო, შემაჩერა მარშრუტკის მძღოლმა, შენმა ბაბამ გადმომცა შენდა გადმოსაცემადაო.

მეც წავიკითხე ეს წერილი და უკან გამოვბრუნდი სახლში. – ჰოდა, თქვი, რა უნდა მოჰყოლოდა ჩემს ჩასვლას სოფელში და... წარმოგიდგენია?

წარმომიდგენიაო, მეც ვთქვი ჩაფიქრებულმა, – და მაინც ჩაშვება ქვია ამას... შეგეძლო შეგენახა... დაგეკონსევრებია და... მერე, ჰე, მერე გამოგეჩინა... შემდეგ სულ სხვანაირად განვსჯიდი-მეთქი.

ჰე! მართლა კაი უტუხი ვინმე ვყოფილვარ და... თითქმის უტიფარი... თუნდაც ნატიფარი...

...ჰო, სოფელში ვარ და ერთი სული მაქვს, ლალი-შაქირას ნახვამდე (...)

ლალი-შაქირა კი არ უნდა იყოს სოფელში.

მეც განვმარტოვდი და ფიქრებს მივეცი თავი. ეს ფიქრები კი მხოლოდ და მხოლოდ მო-

გონებათა ფრაგმენტები თუ იყო, მოგონებები თუ არა, დაუმთავრებელი ამბები ხომ იყო?!

„ეს ამბავი გამოქცევამდე ერთი კვირით ადრე ხდებოდა და შეიძლება აწიც გაგრძელდეს: ერთმა თანაკლასელმა დამირეკა, შენ რომ იცი, იქ თუ მოხვალ, კმაყოფილი დარჩები, არ ინანებო.

ჰოდა, რაღა გამაჩერებდა სახლში.

თხუთმეტ წუთში იქ ვიყავი, დანიშნულებისამებრო, რომ იტყვიან.

ოთხნი დამხვდნენ, ჩემი თანაკლასელები ყველა.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე და უსიტყვოდ შევუერთდი ოთხეულს.

– ახლა ხუთნი ვართ... ხუთეული, – მითხრა მასპინძელმა, თემო ერქვა: შემზადებულია... შეკეთებულია და შენ გელოდით, ნოე.

– შეკეთებულია... – ვთქვი, მაგრამ აღარ გავაგრძელე. ადრე „პლანს“ ამბობდნენ, მაგრამ შეიძლება ახლა სხვანაირადაც იწოდება იქნებო, გავიფიქრე და ენას კბილი დავაჭირე, სასაცილოდ არ ამიღონო. პირიც მომეწვა და გამომიყვანა შექმნილი მდგომარეობიდან. ენის წვერზეც ვიკბინე. მაგრამ რაღაც ხომ უნდა მეთქვა და ამოვღერღე: – რატომ არ ვიწყებთ? ველოდებით ვინმეს?

– ველოდებით, ნოე, აბა, არ ველოდებით? ისეთი კაცი გაგაცნოთ, რომ... – პირი ააწკლაპუნა თემომ და თვალი კარისკენ გააპარა.

– ვის? – კი არ მიკითხავს, არამედ წამომცდა უნებურად.

სწორედ ამ დროს შემოაღეს კარი.

კარის ზღურბლზე ერთი მაღალი კაცი იდგა. თვალი შეგვავლო და ღიმილით ჩაილაპარაკა, – მე ექვსს გელოდით... მეც მეშვიდე ვიქნებოდი და... რიცხვი „7“ საკრალურია და... გვაკლია ერთი... კვირის სწორს უნდა ვიპოვოთ იგი... ისე არაფერი გამოგვივა. დღეს კი... ჩვენს „დღეს“ ექსპერიმენტის სახეს მივცემთ... ჰო, თითქოს გამოცოცხლდაო, გასწორდა და მხრებშიც გაიშალა, სათითაოდ შეგვისწავლაო თითქოს, მაღლა ასწია ხელი და ქანდაკად იქცა. შვიდის დათვლა ძლივს მოვასწარი, რომ ჰაერი მოწყურებულივით შეისუნთქა და ამოთქვა: – თავისუფალ ადამიანებს მივესალმები!

ჩვენც კრძალვით წამოვდექით და სალამიც ერთობ მოკრძალებული შევაგებეთ.

– მე თქვენთან თემომ მომიწვია, რომ...

– გაიცანით, მწერალი და მხატვარი გუჯა ჯაფარიძე – სხდომასაც ის გახსნის და...

– არა, სხდომასაც ვერ დავარქმევდი ჩვენს დღევანდელ შეხვედრას... ეს უფრო სამჭედლო იქნება, რადგან აქ უნდა დაიბადოს თავისუფალი აზრი! – სული მოითქვა და ხელი თემოსკენ გამოიწვდინა, – შეგიკეთებიათ? აბა, მომაწოდეთ! – ეს არც ბრძანება იყო და აღარც – თხოვნა. სანთებელათი მოუკიდა და პირველი ნაფაზიც თვითონვე „დაარტყა“. ველოდი, როდის ამოისუნქთავდა, მაგრამ არა, ბოლი აღარც ამოუსუნთქავს და ამან გამაკვირვა. – ფაიზაღი ბოლია... – თვალები აუბრწყინ-აუკიაფდა. – ახლა შენი ჯერია, წუბუკ, – თემოს მიუბრუნდა და თვალი მოხუჭა, – ისე უნდა ჩაისუნთქო, რომ შეისრუტო... შეიწოვო... ტორებში მოიქციო ეს დალოცვილი და... სიცოცხლეა სწორედ... ბოლის მიზერი არ დაიკარგოს, სივრცემ არ მიიტაცოს... გაიჟღინთოს ფილტვები, შეჯერდეს და... ფიქრი იწმინდება ამ დროს და აზრად იქცევა, გესმით თქვენ? თუ ისე შეიწოვეთ, როგორც მე გეუბნებით, ყველაფერი შეგეძლებათ მერე: თვალს დახუჭავთ და... გაფრინდებით! ჰო, გაფრიდებით...

„ლალი-შაქირაც გაფრენაზე არ ოცნებობდა?!“ – გავიფიქრე უნებლიეთ და ყურად ვიქეცი.

– ნუ იფიქრებთ, გრაფი ბოდავსო... გრაფს მეძახიან მე! და დიდი კაციც ის არის, ვინც... ყოვლისშემძლეობაზე ფიქრობს, – ყველა სურვილის აღსრულება შეუძლია!... ჩემი ნატვრა ფრენა იყო ყოველთვის და... – დადუმდა.

შევატყვე, სათქმელი ფიქრში გადაიტანა და თვალიც გაახილა: – მეორე წრეს ვიწყებთ და... – ისევ ისე, ძველებური მონდომებით შეიწოვა „ღვთაებრივი“ ბოლი და ახალგაზრდებს დაგვითმო სარბიელი.

...უკვე მესამეჯერ შევიწოვე ეს თბილი და ასე გამაბრუებელი ბოლი და ჩემს სმენასაც მოა-

წყდა გრაფის სათაყვანებელი სიტყვა: „მივფრინავთ?!“

„ფრენაზე ოცნებობდა ლალი-შაქირაც“. – ისევ შემომიარა იმ ძველმა ფიქრმა.

ამ ფიქრის მოშორება დავაპირე, მაგრამ ფიქრი არ აპირებდა, მომშორებოდა! ჩემთან დარჩენას ცდილობდა: „ჰო ლალი-შაქირა გაფრინდა კიდეც, მაგრამ კრახით დასრულდა მისი ექსპერიმენტი. ოცნება აუსრულებელი დარჩა!“ – ვფიქრობდი, უფრო ღრმად შევყოლოდი ფიქრს და შეკეთებული „ბელომორის“ პაპიროსიც ჩემთან შეჩერდა.

– შეიწოვე-მეთქი, გავიგონებ გრაფის ბრძანებას, მაგრამ აღარ მივიხედავ მისკენ. თან გამიელვებს: სათქმელი აქვს რაღაც და რატომ არ მეტყვისო. სწორედ ამ დროს მომწვდება მისი, თითქოსდა, ჩახუთული ხმა: – ხომ ჩაისუნთქე და... მიყევი ახლა იმ შენს ფიქრს და...“ – მეც ზურგზე არ მოვექეცი იმ ჩემს ფიქრს?

„მე ლაპარაკი მინდა შენთან, მაგრამ სახლში ვერ მნახე და ვერ მნახავ იმიტომაც, რომ... უბრალოდ, არ ვიმყოფები სახლში“. – ვიცანი ლალი-შაქირას შეწუხებული ხმა.

„აბა, სად უნდა იყოო, ნუთუ ფსიქიატრიულში?“ – ვიკითხავ და პასუხის მოლოდინში სუნთქვას შევიკრავ.

„თუკი არ დაგვიწყებივარ ჯერ და საუბარიც არ მოგწყენია ჩემთან, შეგიძლია მომინახულო. ჩვენი შეხვედრა მართლა აუცილებელია... კი მოვიდოდი შენთან, მაგრამ... არ მაძლევენ ამის უფლებას, ზედამხედველები მადგანან თავს, თუმცა რა საჭირონი არიან, როცა განძრევის თავიც აღარა მაქვს, ისეთი ნემსი გამიკეთეს, რომ მურა დათვისთვის რომ გაეკეთებინათ, ისიც ვერ წამოწევდა თავს... ერთ კვირას მამყოფებენ ამ ყოფაში და მერე გზა ხსნილი მაქვს, ძიავ... სადაც უნდა ვიმყოფებოდე... თვითონ, ჩემი ფეხით მივედი ამ სამკურნალო დაწესებულებაში, არავის დაუძალებია ჩემთვის, გინდა არ გინდა, უნდა იმკურნალოო... ასეა ყოველ გაზაფხულზე, მაგრამ გიჟი არ გეგონო?! რაღაცას კი აქვს ადგილი ჩემში, რაღაცა გადახრასო, მინდოდა, მეთქვა. შენი ნახვა კი აუცილებლად მინდოდა, ნოე! და შენგან მოვითხოვ: მომისმინო!

„მე მესმის შენი... ჰო, მართლა, სულ დავიბენი, მგონია... გახსოვს, გაფრენა რომ ინდომე ერთხელ და...“

„მხოლოდ მახსოვსო? ფრენაში ვხედავ მე სიცოცხლის არსს... აბა, კაცი დაერქმევა იმას, ფრენაზე ერთხელაც რომ ვეღარ ჩაფიქრდება?!“ – ლალი-შაქირას ხმა აუთრთოლდა მღელვარებისგან.

„და აქ... მეუბნებიან, რომ შემიძლია გავფრინდე! ავიქნიო ხელები-ფრთები და მიწას ავცდე! და იმდენხანს ვიფრინო, რამდენ ხანსაც მომეგუნებება...“ – ვჩურჩულებ ხმადაბლა, ისე ხმადაბლა, რომ თვითონვე მიჭირს ჩემი ხმის გაგონება.

„ნოე... ისე ახლა რომ ექსპერიმენტს გიტარებთ ის თქვენი გრაფი... ჰო, გრაფი ჰქვია ჩემი აზრით და დიდი ვინმე უნდა იყოს... ასე მგონია, მაგრამ...„ – აქ ლალი-შაქირას ხმა ვიღაცის სიმღერის ხმასაც შეუერთდა და ვეღარც მე მივყევი იმ ჩემს მინავლებულ ფიქრს. ლალი-შაქირას სახებაც ქრება ჩემი წარმოსახვიდან და დახეთ, ისევ ჩემთან არ შეიკვრება ის ჯადოსნური წრე „ბელომორის“ შეკეთებულმა პაპიროსმა რომ შემოხაზა?!

ღრმად ჩავისუნთქე ბოლი და გრაფის ფიქრს დავედევნე უკვე, მე მივფრინავდი მართლა.

„ეს ბიჭი გამორჩეულია ყველასგან... შეუძლია ამ ყმაწვილს ფიქრი, რაც იშვიათობაა ჩვენს ყირაზე შემდგარი დროისათვის. მეც ხომ ასეთ შეგირდს დავეძებ ეს ათი წელია... თუმცა დასაშვებია, რომ ვცდებოდე კიდეც, მაგრამ ეს შეცდომაც, თავად შეცდომაც დასაშვებია, ეს ცდომილება რომ არა, ექსპერიმენტიც არ იქნებოდა ასე საჭირო! ჰო, მაგრამ რაღა მაინც და მაინც ვცდებოდე უნდა?!“ – გრაფმა თავიდან მოიშორა უსიამო ფიქრი და მიწაზე დავეშვები მეც.

– ახლაც კი... – ისევ დაირხა გრაფის თითქოს და შეხუთული ხმა და თვალები ამოვიჟღლიმე, – ჰო, კაი იქნებოდა ახლა ღრმა მედიტაცია! ეს... იმ პროცედურის შემდეგ დესერტივითაა დასაყოლებელი, – ხმას დაუწია მოულოდნელად და ჩვენც ყურად ვიქცევით ყველა.

გრაფი კი ხმასაც გაიბზარავს უკვე: „ჩვენ გამოქვაბულიდან გამოვდივართ... გამოქვაბულიდან-მეთქი! – ექოსავით მოაყოლა და ხმაც დაიტკბო: – მარჯვნივ ჩანჩქერია, დიდი ჩანჩქერი... ხმაურიანი, თითქოს და გამაყრუებელიც, მაგრამ საოცრებაც ის არის, რომ ყურს არ გტკენთ თქვენ ჩანჩქერის ხმაური, პირიქით: გამშვიდებთ თითქოს... თქვენშია გადმოსული მთელი ეს ხმაური... თქვენ ხმაური ხართ! ყურადღება, აბა, ყურადღება! ხმა დაგისაკუთრებიათ თქვენ ამ ჩანჩქერის და ახლა თავად ჩანჩქერი შემოდის თქვენში... თქვენ ჩანჩქერი ხართ! დიდი ჩანჩქერი და... სადაცაა გადმოეშვებით ამ სიმაღლიდან... მაგრამ კი არ გადმოეშვებით, თქვენ სადაცაა, რომ გეუბნებოდით, გადმოშვებულხართ უკვე... ოღონდაც: სანამ ჩანჩქერად იქცეოდით, მდინარე იყავით თქვენ, შეიძლება ყველაზე წყალუხვი მდინარე მსოფლიოში და... გარდაისახეთ თქვენ ჩანჩქერში, გარდმოისახეთ... რადგან მდინარე ვერ გაფრინდებოდით, თქვენ კი გაფრენა გინდოდათ... ახლა კი დროა, გაფრინდეთ! ამოისუნთქეთ... ამოისუნთქეთ წამით და... შეწყვიტეთ სუნთქვა... შვიდის დათვლამდე... დროა! დგება ის წამი, როცა... ნატვრად უნდა იქცეთ და...“ – პირი მოკუმა გრაფმა და ქანდაკად იქცა. მერე, აზრზე მოვიდაო თითქოს, გაფრინდიო, მითხრა და ხელები გაშალა. ხელები გავშალე მეც და... გადმოვეშვი იმ სიმაღლიდან მე – ახმაურებული ჩანქერი.;.. მივფრინავ, მივფრინავ... მე მერცხალი ვარ აჭიკჭიკებული, ვეშვები ქვევით, ვეშვები და უფრო და უფრო მომნატრებია მიწა... და შვიდი მეტრი რომ დაგრჩება მიწამდეო, ე მაშინ გაახილე თვალიო. მივფრინავ თვალდახუჭული, მაგრამ ვხედავ და შევიგრძნობ მე მოახლოებულ მიწას... მიახლოვდება... ვუახლოვდები... ჩვენ ვუახლოვდებით ერთმანეთს, ჩვენს შორის არსებულ ზღვარს.

და ვითვლი: – სულ მალე შევდგები ამ ზღვარზე... ერთი, ორი, სამი და...

– ახელ თვალს!

გავახელ თვალს და... აღარსადაა მიწა...

მე ღრუბელს მივაგორებ, მთა-ღრუბელს... სუნთქვა აღარ მიჭირს... თითქოს ზღაპრულ ქვეყანაში ვიყო... აქ აღარაა მიწა, არის სივრცე... აქ არ დადიან, აქ ფრინავს ყველა!

დაღლითაც რომ აღარ ვიღლები?!

– ფრენა დამთავრებულია და სეანსიც – დამთავრებული. კვირის სწორს აქვე შევიკრიბებით! ერთი გვაკლია, ხომ არ დაგავიწყდათ?! შვიდნი უნდა ვიყოთ, მხოლოდ შვიდნი!...

არც გამოგვმშვიდობებია გრაფი, ისე წავიდა.

* * *

ჰო, ვთქვი ერთხელ... სოფელში ვარ ქალაქიდან გამოქცეული და ლალი-შაქირას ნახვა მომწყურებია. იგი კი არ დამხვდა სოფელში და მართლა გამიტყდა. ერთ-ორ დღეს კიდევ დავრჩები და... ქალაქში დავბრუნდები. შეიძლება იქ იყოს, რომელიმე საავადმყოფოში. მაინც რომელში? ფსიქიატრიულში ვითომ?

– მე კანტორზე გადავალ, ბაბუ, შენ კი... ვისთანაც გინდა, ზათი შეგიძლია იმასთან გადასვლა. მზე ჩასულიც არ იქნება, რომ სახლში ამოვალ და... დავჯდეთ და ვილაპარაკოთ, ბელქი შევთანხმდეთ... კომპრომისიო, არა?! კომპრომისი ზათი დათმობაა! ამის მემრეა, რომ... და იცი რაფრა იტყვიან ჩვენში ამფერ დროს... დათვი თუ მოგერია, ძიავ, ბაბაი დუუძახეო!

კაი, კაიო, თავი დავუქნიე ჩემს ამჭევრმეტყველებულ ბაბუას. იგი კი უცებ მომიბრუნდა და როგორღაც მოწყენით მითხრა: – ლალი-შაქირაი გადეიხვეწა სადღაც, არავინ იცის მისი გზა-კვალი, მაგრამ დერდს ნუ გეიყოლებ... გამოჩნდება ჩვენი ლალი-შაქირაი, აბა, არ გამოჩნდება?! როცა სოფელშია ლალი-შაქირაი, დერდიც არაფრის არაა აქვს სოფელს... თითქოს იგია ჩვენი მშველელი... იგია ჩვენი ცოდვების... ცოდვებს აგროვებსო, ლალი-შაქირაი, მემრე მოიგდებს ზურგზე იმ ცოდვის ფუთას და... მთელი კვირით გადაიკარგება კაცი... მემრე გამოჩნდება და... ამჩატებული... კაი ხასიათზე... იშტაზე მოსული, მაგრამ ახალ ცოდვებს დაახვედრებს სოფელი ლალი-შაქირას და ისიც თავიდან იწყებს ცოდების შეგროვებას. ასე გრძელდება, ძიავ და... წეველ ახლა კანტორზე. დერდს იქ დავაგდებ და მოვბრუნდები... – ულვაშები აიგრიხა მაღლა და ეზოდან გადავიდა.

მე კი არსადაც არ დამჭირვებია გადასვლა: აქეთ მომაკითხეს ძველმა მეგობრებმა. ძელსკამზე ჩამოვსხედით და სასაუბროდ განვეწყვეთ.

– ნოე, ისეთი „ბოლი“ იქნება, რომ... დავჯდეთ იმ ჩვენი დიდი კაკლის ძირში და... წავიკაიფოთ, ისეთი ბოლია, ჩემი დედა... – მკერდზე დაირტყამს მერაბაი მუშტს და დადუმდება. ჩემს პასუხს ელის და თვალი ჩავუკარი მეც:

გადავდივართ ჩვენც.

კაკლის ხეც, თითქოს ჩვენ გველოდაო, შეირხა და თავისებურად აშრიალდა.

ქარმა გაფანტა შეხუთული ჰაერი და სული არ მოვითქვით?!

და „ბელომორის“ შეკეთებულმა პაპიროსმაც ხუთჯერ შემოიარა თავისი კალო და ჩაცხრა ჩვენშივე, რომ ავნთებულიყავით ასაფრენად შემზადებულები...

„ნოე, ჰეი, შენ, ნოე-ბიჭო... იკაროსივით არ დაგემართოს... მზისკენ გატყორცნილს ხელოვნური ფრთები დაგცვივდება და... დაენარცხები შენს მიერვე ათვალწუნებულ მიწას! მიწა არ გაპატიებს!“ – მესმის ლალი-შაქირას შეწუხებული ფიქრი და ვახელ თვალს.

მოლზე წამოგორებული ბიჭები, აბა, ვინ უწყის საითკენ მიერეკებოდნენ თავიანთი ფიქრების რაშებს?!

მზესაც ესმა სიზმრის ზარების რეკა, ძილს მონატრული თვალები ამოიჟღლიმა და ლაზათიანად, მხოლოდ მას რომ სჩვევია, დაამთქნარა და სოფელსაც შეეპარა ბინდი. ერთი შექანდა და შავი ნაბადი მოიგდო მხრებზე.

კაკლის ხემაც გააზმორა და საკუთარ ჩრდილში შეცურა.

პირველი გადმოვეშვი სიზმარეთიდან. ბიჭებიც მოფხიზლებულიყვნენ.

– ესეც კაიფი, – დაამთქნარებს მერაბაი და მთქნარება წაგვიღებს ყველას. – ისეთი არაფერი, მაგრამ... მართლა რა იყო?! აი, ეს მესმის...

– ხვალ?! – ვიკითხავ მე.

– ხვალაც... მზის ჩასვლისას ისევ ამ კაკლის ძირში გელოდებით, – თქვა მერაბამ და პირზე აიფარა ხელი, – იცი, ნოე, რომ მართლა გავფრინდი?! მზისკენ მივფრინავდი, მაგრამ აღარ მახსოვს, დავფრინდი მზეზე თუ... ვეღარ მივაღწიე იქამდე... ვფრინავდი, ხომ იცი?!

„ნოე, ჰეი, შენ ნოე-ბიჭო... იკაროსივით არ დაგემართოს... მზისკენ გატყორცნილს ხელოვნური ფრთები დაგცვივდება და... შენ მიერვე ათვალწუნებულ მიწას დაენარცხები!“ – ისევ მომეახლა ლალი-შაქირას ფიქრი-გაფრთხილება და გამაძაგძაგა უნებლიეთ:

„უნდა ვნახო ლალი-შაქირაი. უნდა ვნახო!“ – ამწრიალებოდა სული.

„ნოე, შენ მე ვერ მომაგნებ... სადაც ხარ, იყავი იქ და მეც გამოვჩნდები ამ მოკლე ხანში“. – მომივიდა ლალი-შაქირას პასუხი და უცებ მოვეშვი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარიამ წიკლაური

მეტრო

მეტრო – ქალაქის ანგელოზი
გვირაბისმხრისა.
მიწისქვეშეთის რკინის ისარი.
გამუდმებული წვრთნის რეჟიმი –
მოპირკეთებულ ქვესკნელს როგორმე
გადაუსხა ცოცხალთა სუნთქვა.
არტი – აქციო ადამიანი ხმაურის ფესვად.
უმზისსხივებოდ ჩახედო მათ მოწყენილ თვალებს,
უთვალიერო მუზეუმური სიჩუმით და ხელშეუხებლად
სხეულები, რომლებსაც ახსოვთ მიწისზედა ცხოვრება კარგად,
რკინის ბორბლების წამახულ ხმაურზე სევდიანად მოკონწიალე.
მეტრო – ქალაქის ანგელოზი გვირაბისმხრისა,
დღის სინათლეზე როცა გამოდის,
სადაც ჩამსხვრეულ გვირაბების მიწისპირებზე ამოუკრავთ
თაბაშირივით – ქალაქის ხედი,
სადაც სინათლის არტაშანი იკავებს ვაგონს,
ყველა სიგნალს ერთად იწოვს
ცოცხალ სხივისაგან აშლილი თვალი
და შორს, მთისწვერზე, წამომდგარი ეკლესიის
უხილავ ჯვარზე
წამოდებული პირჯვრისწერა
ერთადერთი ნიშანია, რომ მეტროს მოდგმაც
ცათა შინა ეთნოსისაა,
მიწისქვეშა მდუმარებიდან
მარჯვენათი გაზის ბუშტუკებს უშვებს მაღლა...
ხოლო მათხოვრებს და ინვალიდებს –
მუზეუმის ძველ თანამშრომლებს
არ ანაღვლებთ აქ რა დღეა, რა რიცხვია, რა საუკუნე.
მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ აქ იხმაურონ ყვავილებივით...

გაზაფხული

არასოდეს „მომიყვანია ეს გაზაფხული“.
ის მოდის ხოლმე პერიოდულად – კომისია,
რომელმაც უნდა კიდევ ერთხელ შეამოწმოს
ჩვენი სიცოცხლის ძველი უნარი.
კომისია, რომელმაც უნდა ზუსტად აღნუსხოს,
რამდენ კვირტს მალავს ხეების ტანი,
ველ-მინდვრები – რამდენ ბილილას.
რამდენ მზის სხივს – დღეების პეშვი,
ბალახს – ქვისძირი, ბელტებს – მიწა,
სილურჯეს-ზეცა, სივრცეებს – ფრთები,
რამდენ სიყვარულს – ადამიანის პატარა გული,
რამდენ ვარსკვლავს – ჩამქრალი მზერა...
მე არასდროს მომყავს ხოლმე ეს გაზაფხული,
გეფიცებით. ვის რად უნდა ამხელა სტრესი,
ამდენ სიბნელეს რა სინათლე ეყოფა მაინც?!
კანონის ენა არავის ესმის,
ყველას თავისი ზამთარი უყვარს –
ხელს შეახოცავ თავისუფლად მოკლე დღეს და
ყველაფერს კვამლს გადააბრალებ...
თავადაც ხომ არ გაწუხებს, არც რამედ გაგდებს,
არც გთვლის ა რ ა ფ რ ა დ.
გაერიდეთ ამპარტავნულ ჭრელ გაზაფხულებს,
ეცადეთ, თვალში არსად მოხვდეთ ამ კომისიას,
რადგან ყველაფერს მხოლოდ ფიარის გამო აკეთებს,
დაგვაფეთებს, სხვა არაფერი
დიდი ვინმე რომ გვეგონოს, რომ გვეშინოდეს...
მთების სიმწვანეც გახრიოკდება,
ამ ტყეების აფერადებაც,
ეს ხეები ისევ ისე შეიბრუნებენ ძილს და სიყუჩეს,
ეს ქუჩებიც ისევ ისე რუხთვალება უიმედობით იქნება სავსე,
არავის ერთი თბილი სიტყვაც არ დასცდება,
ჭორფლიც განა რა, მზეც შორსაა.
ყველაფერი ფიარია, გაივლის, წავა
და არავინ შეგიმცირებთ დარდსა და ნაღველს –
სრული, მუდმივი შტატით არსებობს.
სიმარტოვესაც აქ არაფერი დაემუქრება,
ოღონდ ახლა გაუძელით ამოვარდნებს მზის სიზმრებიდან.
ხელის გულს ვადებ აყვავებულ ნუშის ხეს და ასე ვიფიცებ.

არასოდესს არ დამაბრალოთ,
„რომ გაზაფხული მე მოვიყვანე“.
სადღა გვაქვს ძალა ადამიანებს მისი გაძლების.
„ესეც გაივლის...“

მარილის მაღარო

ძველი მაღარო – მარილის შახტა –
ადამიანის ცხოვრების გემო.
ყველა ლუკმას რომ უნდა ეკმაროს,
ყველაფერს ერგოს.
შენც არ თავდები ამ კედლებივით,
ფასიც გედება სიღრმესთან ერთად.
არვინ გახსენებს, ყველა გგულისხმობს,
გადრიან ღმერთსაც.
თავს ინახავენ შენში უხრწნელად,
სიმლაშისაგან უდგებათ სიტკბო.
მაღაროს თეთრად დაფიფქულ სხეულს
სკნელის მზე იმკობს.
თეთრია სისხლიც, იმედიც თეთრი.
კედლებს ედება ლანდები ეკლის.
ფიქრი, მაღაროს ხელუხლებ მხრისა –
უთქმელი ეთქმის.
მარილის შახტა – ჩაბრუნებული
ცრემლების კორძი, ტკივილი – მოსე.
ვთხრით და ოდესმე ამოვიყოლებთ
მეორედმოსვლას.

* * *

სულერთია, თუკი ცურავ,
რომელ ნაპირს მიადგები,
გაღმა იყოს, თუნდ გამოღმა,
შენი თუ გაქვს იალქნები,
წყალი იყოს, დე, გითვალონ
მილები თუ იარდები.
ოღონდ წყალი იყოს სუფთა,
სიტყვად ყველგან ივარგებდი.

სანიჩბეს და სატივეს და
სანავესაც მიაგნებდი,
შენ თავს თუ არ ღალატობდი,
თუ სიმართლეს იარგნებდი.
ღვთის იმედი გქონდა ერთი
და ზვირთს ზვირთზე მიათრევდი,
შენად ვარსკვლავს რაც ემართა,
იმ ბედ-იღბალს მიაბერდი.
ჰა, გაცურე. სულ მზის შხეფებს
მოაპნევდი-მიაპნევდი,
რა პორტი და რის პირსები,
ძველ ტკივილებს იახლებდი!
ნავსადგურებს გაურბოდი,
ჰორიზონტებს იაკვნებდი.
დარდის გვარლებს ჭიმავდი და
სილურჯეებს მიამქვრევდი...
ხომ იცურე,
ხომ იცურე,
ქარიანი იალქნებით...

ავაზაკური სევდა

ი-ს

შენ ლამაზი ხარ ამ იანვარში,
იმ იანვარშიც იქნები ნაზი,
და ყველა იტყვის, რა მაცდურია
ეს ქალი, მხარზე ჩიტი რომ აზის.
ვიღაც კი, იმ ჩიტს დაემტერება,
მიაყურადებს ყოველ ცისმარე,
ბოლოს გაჩუქებს ოქროს გალიას
წყალობად. შენ და ჩიტი იკმარებთ.
და ერთადერთი ჭრელი ბუმბული
გამოფრინდება გალიის გარეთ.
ქარი წაიღებს, და წაიყოლებს
თქვენი მშვენების ოქროსფერ კარვებს.
გაჰფენს თვალუდგამ მინდვრებზე მახედ,
მწუხრის ქარავნებს წაართმევს სადაფს,
ავაზაკური იქნება სევდაც,
ზმანებაც სავსე იმედის ზადით.

შენ სარკეებში დაგაღამდება,
ჩასთვლემს სალუქ მხრის ნაპირზე ჩიტიც
და უცაბედი იანვრის თოვლი
აგხსნის სასჯელს და ყველაფერს იტყვის.
თოვლი – უბოლო გზების სიმბოლო
ცის უხილავი ხიდების თაღი.
წაგიყოლიებს ერთ ფანტელი
მარტოობითაც არასდროს დაგღლის.
როგორ გიხდება ეს იანვარი.
იმ იანვარშიც იქნები ნაზი.
აგიხირდება ვინმე ოხერი,
მზეშიც რომ თოვლის სურნელი აგდის...

დღე

ჩაიდნის სტვენამ დღის შლაგბაუმი მაღლა ასწია.
გასწიე, წადი.
დღესაც გაივლი კილომეტრებს შუფერხებლად,
და თუ ვერაფერს გააკეთებ,
ხომ ივლი მაინც,
ნაბიჯების აგურებიდან აიყვან კედელს.
ტელეფონის ზარების ცემენტს,
ამბების ხრეშს,
ძველი საქმის ამოთხრილ ორმოს,
გადაულახავ პრობლემათა სქელ არმატურას,
ყველაფერს ისევ
დაუვლი და ფეხსაც წამოკრავ,
წამოიკიდებ, მისწევ-მოსწევ,
ხელებზე ისევ წამოიცვამ
იმედების უკუღმაპირის უხეშ ხელთათმანს
ნაცნობ ნიჩაბს მოიკითხავ მეგობარივით,
არავინ იცის, დღეს რა იქნება.
ბედნიერებაც გამონაბოლქვად გადაქცეულა,
ხსოვნის მძიმე მეტალების კონცენტრაციით
სასიკვდილო შკალას გადასცდა.
სადღა იპოვი ანკარა წყალს, სუფთა ჰაერს, ხეების შრიალს.
სადღა ნახავ ან ისეთ სიცილს,
ქვა არ ჰქონდეს მობმული ფეხზე...
ჩაიდნის სტვენამ დღის შლაგმაუმი მაღლა ასწია.
ქარმა მაინც მოიტანოს მინდვრების სუნი
ან ლიანდაგი გაიქცეს სხვაგან...

* * *

სითბო ჩაუდგა სხეულში წვიმას,
თებერვალია... თბილია თოვლიც.
ეს ყველაფერი რომ არა ახლა,
ანდა, რომ იყოს შორიდან მოვლით
ის, რაც ახლოა და საფეთქლებით
(არა ღრიჭოდან, ფილმის კადრიდან)
რასაც ეხები და ეხეთქები,
არა წარსულს და არა ადრინდელს
და რომ იპოვე მოულოდნელად
გაუყინავი ბუდე კრაზანის.
თბილია, თბილი ეს თებერვალი,
მაგრამ საშველი ეს ხომ არ არის?!
სველი ნაძვები, სუნი სიცოცხლის,
გაზაფხულები მოვლენ და წავლენ.
და სულ იქნება კაცი – მწყემსივით
და გარს ეხვევა ტკივილთა არვე.
ხო, მე ვაჭარბებ და ვაზვიადებ.
კარგი, ბატონო, გავა ზამთარიც.
ყველაფერია... მაგრამ საშველი,
ჩვენი საშველი ეს ხომ არ არის?!

უნივერსიტეტის ბაღში

განა ვბერდებით ან ვმელოტდებით,
უბრალოდ, ბაღი გაკრიჭეს ასე.
აღარც იმ ფიჭვთან არ გელოდები,
არც შეძახილი მიაპობს გამზირს.
ალბათ, აშფოთებთ სიჩუმე მამებს.
პანთეონური დგას მყუდროება.
სულყველაფერი ისეა ირგვლივ,
თითქოს ღამეებს დღე არ მოება.
რა თუ, მზე მოდის მაინც ერთგულად,
მოდის და ეძებს გულთა სინათლეს.
უკან ბრუნდება თუმც კი მეფურად,
დგას დარცხვენილი და თავს იმართლებს
ღამეთა შორის. დგას ატუზული...
სიტყვაც უიღბლო. ხალხიც უბედო.
ჩამქრალა ცეცხლიც გიზგიზა სულის,

რომელმა ქარმა უნდა უბეროს...
სითეთრე – როგორც ზავის ალამი.
და ყველაფერი ტრიალებს წრეზე.
რაც გსურდა, სწორედ ის არსად არი,
რაც გწადდა, სწორედ იმასვე ეძებ...

ზღაპარი სამშობლოზე

როგორ გვაწვალებს სიტყვა „სამშობლო“.
აღარ ვიცით, სად გადავმალოთ,
სად მივუჩინოთ ადგილი, რადგან
აღარც ერთი კონტექსტი ირგებს.
თავადაც ხვდება,
საკუთარი თავის კუთხეში ატუზულა უხერხულად,
დამნაშავედ თვლის უკვე ყველა. რა გაეწყობა?!
ნეტა, სიზმარში ხომ არ ნახულობს
ასეთ თავის თავს?
მიუკეტეს ცხვირის წინ კარი.
აღარც ტექსტი, არც წარმოსახვა, არც სინამდვილე
არ უთმობს ადგილს.
თითქოს, ვიღაცამ უჩინმაჩინის ქუდი დაჰხურა,
საფარველი დაადო თითქოს,
არის, არც არის.
ალაგ-ალაგ ნაკვალევზე მოუჩანს გერბი,
ექო ჰიმნსაც ახეთქებს ტინებს...
ჭირის დღესავით გაურბიან ხსენებას და
ახლომახლო თუ ჩაივლიან,
შეშინებული აფურთხებენ „ფუი ეშმაკსო“.
თუ შემთხვევით სადმე შეეხნენ,
უნებურად, მაინც შეეხნენ,
იფიცებიან, „არც კი ვიცნობდით,
არასოდეს ვყოფილვართ მასთან“.
მიწისქვეშ მკვდრები იტანჯებიან,
მიწის ზემოთ ცოცხალთა მოდგმა.
რამ ქნა ასეთი?
რამ შეაძულა პოეტს, მღვდელს, ვექილს,
გლეხს, დეპუტატს, მეცნიერს, სტუდენტს?
მასწავლებლები ცდილობენ მხოლოდ
სკოლების ძველ კატაკომბებში
ლექსის ძონძებში გამოახვიონ

მისი სახელი – გალოკილი ძვალი, რომელსაც
ერთადერთი, ღმერთის ნება თუ გაანედლებს.
ბავშვებს ამ ძვლის ნაფქვავს ასმევენ, ცრემლში გარეულს,
იქნებ, ასე დაამახსოვრონ.
ჩვენი გულების ინკუბატორებს
დიდი ხანია, გაუთიშეს იაფი დენი,
დიდი ხანია, არც იაფი გაზი იწვის
მარადიული ცეცხლის მშვიდი უდარდელობით,
აბა, სადღა გადავინახოთ, რომელ სათბურში, სახელი მაინც,
უწინ ყველას ერთნაირად რომ გვარქმევდნენ,
უნათლავებსაც?
ბიჭებს, გოგონებს ყველას გვარქმევდნენ!
ყველას გვშვენოდა, ნებისმიერ ასაკში მდგარებს,
„სამშობლო“ გვერქვა, „სამშობლო“ გვეცვა,
„სამშობლოს“ ვჭამდით, ვმღეროდით, ვწერდით...
ახლა რა ხდება, თავის თავსაც აღარ ჰქვია, არაფრად უღირს,
წვიმას სისველე აღარ ჰქონდეს,
ქარიშხლებს- ქროლვა,
მდინარეს – ჩქერი,
ზეცას – სივრცე,
ცეცხლს – სითბო და
გაზაფხულიც მხოლოდ ქვებისთვის რომ მოდიოდეს,
ასეა და რა გაეწყობა?!
ხალხი კი – წყება მოსიარულე ადამიანთა,
კევსღა ღეჭავს – ბედნიერების გემოიანს.
და იზეპირებს ახალ სახელებს:
სამოქალაქო სოლიდარობა, აქტივობა, გენდერი, გრანტი,
ფემინისტი, ელგებეტე, ლიბერალი, ციანიდი, სექტა, შაურმა...
„გარდარეული სიყვარული“ სამშობლოსადმი
არტეფაქტებად შემორჩენილი ფოლკლორსა და ვენახის კვლებში,
გადაიღეთ, სანამ არსებობს, აღნუსხეთ, ზომეთ,
შეიტანეთ გულის დავთრებში,
რომ სამომავლოდ აღარ ეძებოთ საზღაპრო თემა და მოუყვეთ თქვენს
შთამომავლებს,
რომ აქ ჩვენი „სამშობლოც“ იყო,
რომ ის იყო ულამაზესი, უძველესი,
წალკოტი იყო,
რომ ზიზღის ჭია გაუჩნდა ერთხელ,
რომ ჰყავდა მტერი გამუდმებით,
რომ გმირებიც ჰყავდა სამშობლოს,
რომ მისი ხმა – მისი სიმღერა ცასა სწვდებოდა,
რომ გონიერიც ბევრი ჰყავდა, მოღალატეც, მოსიყვარულეც,

უგუნურიც, ზარმაციც, ფლიდიც,
სულ რომ ელოდა მხსნელს და რომ კლავდა, როცა იგი გამოჩნდებოდა,
სულ რომ სწამდა უკვდავება თავისი და
სულ რომ მღეროდა, დარდიანიც, ცოცხალიც, მკვდარიც..
რომ ის ხშირად ვერც იცნეს და
გლახა ეგონათ, უპოვარი ბოგანო კარზე...
საზღაპრე თემებს აქ რა დალევს,
ურჩხულები ცეცხლს რომ აფრქვევდნენ,
ყლაპავდნენ ყველას,
აგუბებდნენ მდინარეებს, ტყეებს ჩეხავდნენ,
გადარეკეს ხალხი შორეთში,
მოწამლეს ყრმები,
ბეტონით ხერგეს ქუჩები და ყლაპეს ბავშვები,
გამოიყვანეს ზომბების მოდგმა,
ო, რა ზღაპრები გვაქვს მოსაყოლი შენზე, სამშობლოვ,
მაგრამ ეგ მერე,
თუ გადავრჩით, ეგ მერე იყოს...
ახლა იმდენად უხერხულია, „სამშობლოზე“ ილაპარაკო,
და იმდენად სამარცხვინოა მისი ხსენება,
მასთან ერთად შემაღლებულზე ჯდომა, ბაასი,
რომ იქნებ, ავდგე და კოდური სახელწოდება გამოგიგონო,
გადაგმალო,
სანამ ჩვენში სავსემთვარობის მგლები ყმუიან...

ზაზა ჯიჯიღაშვილი

სამი დიდი კომბინაცია

I

– გავიგე, მამა –
ყველა პატარამ არ იცის,
როგორ და რატომ უნდა მოიქცეს კარგად,
ცუდი რომ არის, სიტყვა გატეხოს თავისი,
თავის გატეხა რომ არავისი ვარგა;

როგორც ცუდია, ჩატეხოს სხვისი ფანჯარა,
იყოს უხამსი, განსაკუთრებით – გარეთ,
კიდევ – დაჩაგროს თავისზე უფრო პატარა,
ანდა – დასცინოს უფრო დაჩაგრულს მწარედ.

გავიგე, მამა – ზოგი ძალიან განიცდის,
გადაირევა, ისე მიიტანს გულთან –
სხვისი რაც არის, თუ არ აიღო თავისთვის –
რაკი – სხვისია, მაგრამ – თავისთვის უნდა.

ზოგმა ისმინა: ყოჩაღი თუ ხარ – გადარჩი –
შენ ნუ მოგხვდება მუჯლუგუნი და მუშტი –
სუსტი ძმაკაცი იქვე გაცვალე მაგარში,
სადაც გამოდგეს მაგარზე უფრო სუსტი!..

გავიგე, მამა – დღეს შეიძლება, მეტკინოს
ლოყა, ცხვირი და გული მეტკინოს სულაც,
რამე ერთი-ორს კიდევ გამოვრჩე ერთი–ორს –
ვის სიკარგეზეც თურმე არავინ ზრუნავს... –

მაგრამ ეს წყლები – რაშიც ბავშვობა კიდია –
წავლენ-წამოვლენ-აორთქლდებიან ხელად,
და ნატკენებიც ისეთი დროებითია,
რომ ქორწილამდე დამავიწყდება ყველა.

ხოლო პატარებს – გადაქცეულებს დიდებად –
თუ მოაგონებ იმ საქციელებს, ავებს –
სირცხვილისაგან ლოყები აუწითლდებათ,
სინანულისგან შემოიტყეპენ თავებს... –

ასეა, როცა წესრიგი არის დიდების, –
მაშინ მართალი მხოლოდ ის არის ცამდის,
ვინც არასოდეს, არაფრით, არასდიდებით
უწესობას და უნამუსობას სჩადის;

მაშინ სამყარო სამართლის სამართავია,
ნულის ტოლია უსამართლობის რისკი,
რაც მთავარია, მთავარი სამართალია:
კარგად იქნება, კარგი იქნება, ვინც კი!

მაშინ საკვეხნი თუკი რამეა – სიკეთე,
უხერხულია, ოღონდ სიკეთით კვეხნაც...
ჟამი იდგება – სულით და ხორცით ვილხენდე –
როცა დიდების ჟამი იდგება ქვეყნად!..

ხოლო თუ ვინმე თავის ისეთი მტერია,
ძველი ცოდვებით შემოებედა დიდებს,
მტერს არ ეწეროს, იმ ვინმეს რომ უწერია:
დედამიწაზე დაწყევლილივით ვლიდეს –

შეუსვენებლად, უსასრულოდ და ვერსაით,
ზურგი აქციონ, სადაც კი თვალი ჰკიდონ...
ამ დროს, რა კარგად ყოფნა შეეძლო – ჩემსავით,
ცუდად ყოფნა რომ არ აერჩია თვითონ.

II

– რასაც გვარიგებს დიდი გონი და გამრიგე –
შენგან აქამდე ათასჯერ განაგონი –
მესმის, მამაო –
ოღონდ მაშინღა გავიგე,
როცა გაგიღე გული და არა – გონი.

მესმის – სხვა საგნის გადამიღეჭავს ბილეთი,
და აღარ ვიცი, ჩალა ვღეჭე თუ ცოდნა –
რაკი დიდეთი, მე რომ მეგონა, ისეთი
სულ არ გამოდგა, ან თუ გამოდგა – ოდნავ.

წატეხილია ყველა მოკლე და ცრუფეხი,
როცა ცხადია – ზოგ დიდსაც სული მისდის –
ფიცი გატეხოს – საშინელი და უტეხი,
თუკი გატეხა უკეთესია მისთვის;

ზოგი დიდია – განა დიდივით განიცდის –
პატარასავით მიაქვს პატარა გულთან –
თუ მოეწონა და ვერ იგულა თავისთვის,
რაც მოეწონა ანუ თავისთვის უნდა;

ზოგს შეუძლია – ბითუმად ანდა საცალოდ –
ძმაკაცი რაა – სამშობლო, როგორც ჩუსტი,
გაყიდოს ანდა სხვა სამშობლოზე გაცვალოს,
თუ გამოადგა სხვა სამშობლოზე სუსტი;

ზოგი გაიდებს ვინმე ხათრიანს ხიდივით,
ზოგი შეიბჯენს, როგორც ჯოხსა თუ ჭიგოს...
ზოგი დიდია – როდი იქცევა დიდივით –
მოგეჩვენება, ზოგი პატარა იყოს.

და თუ ასეთი მოჩვენებები მოხვავდა,
რაღად გაცუდდეს ან ეს საცდური მსუყე –
რად არ მეტკინოს ლოყა, მეორე ლოყა და
ერთადერთ გულზე არაფერს ვამბობ უკვე...

ღორი ის არის, მარგალიტითაც გამოძღეს –
არც დაუყარო – სადმე გამოთხრის ღორი...
მესმის, მამაო – ყოფა არ ჰქვია სამოთხეს –
ყოფა, ჰა და ჰა, იყოს სამოთხის ჰოლი.

თანაც, მონადენს თუკი ვენდობით ოხშივარს,
რომელიც არის, ყველაზე ცოტა, მყრალი –
უეჭველია, აქვე – სამოთხის ჰოლშივე –
ანტისამოთხის – არის მეორე კარი.

და ვიდრე აქეთ გამოსაცდელი იცდება,
იმ ორ კარს უკან ორი იღბალი იცდის –
რათა ერთისთვის ერთი გამოდგეს მისწრება,
ხოლო მეორე – ზედგამოჭრილი სხვისთვის...

და თუ ხანდახან ხარობს ავსულის გილდია,
თუკი ხეირის დახლი დაუდგამს ბოროტს –

მესმის, მამაო – წუთივით დროებითია,
და გაიხარებს, ვინც გაიხარებს ბოლოს, –

როცა კოცონზე შემოგვაწყობენ ქოთნებად,
დაფაცურდება გულთამხილავი ციცხვი, –
შავგულიანი შავსულეთს მიეკუთვნება,
ნათელქვეყანას – გულნათელია ვინც კი;

კუპრით გაძღება მანამდე სისხლის მწოველი,
აიმწვერვალებს, ხრამში ვინც გადაყრილა...
და გასწორდება უსწორმასწორო ყოველი,
როცა ყოველი დადგება თავდაყირა, –

რომ იმკებოდეს სიკეთისაგან სიკეთე,
რომ სამართალი ქვამარილს აღარ ხრავდეს...
მედგას დროება: სული ვიყო და ვილხენდე –
სალხინებლიდან – უსასრულობის ზღვრამდე!..

ხოლო მავანი, აქეთ ავსულის მესავი,
იქით ავსულის ნაშიერებმა კვნიტონ... –
როცა შეეძლო, ცხონებულიყო – ჩემსავით –
ოღონდ წაწყმედა არ აერჩია თვითონ!

III

ამ სტრიქონების ოქრომჭედლის თუ მლამბავის –
აწ სულ ერთია – გაწაფულის თუ ხამის –
გასრულებულა სიცოცხლის მთელი ამბავიც,
როგორც ბავშვობა, ანდა სიზმარი ღამის.

რომ იფიქრებდი – ბედის ბორბალი დამდგარა
არ დადგებოდა, იგუგუნებდა „ჰოპლას“ –
ისე დამდგარა, იმის კვალდაკვალ დამდგარა
ყოფნის არყოფნა ანუ არყოფნის ყოფნაც.

ოღონდ კადრები თუკი არ შემოგთავაზეთ
ამა ქვეყნიდან – ზენა არის თუ ქვენა,
საერთოდ ენაც არ მომიბრუნდა ამაზე –
საერთოდ კიდევ თუ მომიბრუნდა ენა –

იქნებ, როგორმე ეს შეცოდებაც შემინდოთ; –
მაინც ვენდობით საყოველთაო სახადს –
ერთი დრო მოვა და როცა მოვა თქვენი დროც –
მოხვალთ და ნახავთ, თუკი რაიმეს ნახავთ;

მით უფრო, თქვენთან რაღა ხელი მაქვს, აბა, მე;
და უფრო მეტსაც გეტყოდათ პირში მთქმელი –
თქვენთან, თქვენი ცის როცა მეხურა საბანი,
მგონი, მაშინაც არა მქონია ხელი...

აკი წარსულმაც – კიდობნიანმა პანდორამ –
უკვე მიიპყრო ზურგი, საჯდომი, კეფა, –
აქ რას მარგებდა – იქითობისას მარგო რა –
ან მაშიმშილა, ან ცრუიმედით მკვება...

მგონია, კიდეც გადაურა ბალახმა,
ვინ იცის, უკვე ჭიაღუები ჭამენ...
რაც იყო, იყო – თუ რამე იყო გადაღმა –
აწ თუ იქნება – აქ თუ იქნება რამე.

იქნებ, ამიტომ – წამოვშოტილვარ დამჯერად,
იქნებ, უხმოდაც – ამოვიძახი მალ-მალ:
ვისი ჯერია – ვინ მომატყუებს ამჯერად –
მამა... მამაო... მამა... მამაო... მამა...

ალე

შენს თავს ახტები ყოველღამით, როცა იძინებ.
შენს თავს ახტები ყოველ დილით/ყოველ შუადღით –
როცა ჰა და ჰა მიწრეტილი სიზმრის სიმწირეს
ვერაფერს მატებს სინამდვილის ყუის ყუათი.

შენს თავს ახტები, როცა რისკავ, შეეპასუხო –
კაკუნი თუა ან – ფიჭური ვიბროგანგაში;
როცა კერპივით გატიკნილ და მშიერ „ფეისბუკს“
მჭლე ზვარაკს ტენი რომელიმე ვიწრო ხახაში.

შენს თავს ახტები, როცა სტრიქონს მიაჯახირებ –
კენკავ ზედაპირს გატკეცილი ელექტროფურცლის;
მით უფრო – როცა მისჩანჩალებ სოფლის ნახირებს
და მოძმე პირუტყვს რამდენიმე სიტყვასაც უცვლი;

როცა გადაკვეთ იმ ცისა და მიწის ნაკვეთებს,
სადაც თესავენ ქარს და მერე მკიან ქარიშხალს;

ან როცა ამცნობ მეკართანე-მინიმარკეტელს –
ლარი და ოცი ზედმეტი რომ გიანგარიშა;

როცა სიჩუმეს პულტიანი ხელი აფუჭებს
და თვალი ასდევს-ვეღარასდევს ახსნილ აღვირებს;
ან როცა ზემო მეზობელი თხილის ნაჭუჭებს
შენი ფანჯრის წინ ახვავებს და არც კი აგინებ;

თუ მიაცილებ, ვისაც წერამ შემოუბალთა
ტანზე სიცოცხლის არტახები ანდა რახტები
(ჰო, თორემ გამო ქორწილთა და იუბილეთა,
კარგა ხანია, საკუთარ თავს აღარ ახტები)...

იქნებ, ხანდახან ჰოროსკოპის ცალფერ ბადეში
არასახტომი დღეც გამოჩნდეს, როგორც ორი გზა –
გადააბიჯო საკუთარ თავს ზრდილი ბოდიშით
ან ცდა უიღბლო განიცადოს ლაჯებშორისმა.

მაგრამ სულ მალე კამარების ნაკრები მარჯვე
თავიქითეთის გადასავალს თავიდან შეგრთავს...
ბოლოს გამოვა – ერთი-ორჯერ ან იქნებ, სამჯერ
მაინც ყოველდღე, საშუალოდ, ახტები შენს თავს.

ვინ იცის, ვფიქრობ: შეგჩენია ალე-მანია,
სტომაქუძირო – ივსება და ვეღარ ივსება, –
რაკი მგონია, რომ ნახტომიც არ გინანია,
რომ არ იღლები, და საერთოდ, გეხალისება. –

მაშინ, როდესაც ამის მეტი არ არის ჩარა –
სწორედ იმიტომ, რომ დაღლილმა ვერ შეიკავე
და რომ სიცოცხლის (გზა სადღაა, მით უფრო – შარა)
ყველა ბილიკზე გაშოტილხარ შენ – შენი თავი;

კიდევ იმიტომ, რომ მომდგარი მრავალი წლის წინ
თავს ანუ დიდი გასაყარის ბილინგვა-აბრას
აქეთ-იქიდან ჩავლებული ხელებით ციმციმ
გადმოგახტუნეს პირველად და ყველაზე მაგრად;

ხოლო მას შემდეგ აღარ დადგა შენი ხვალ თუ ზეგ,
და ისე მაგრად გადახტომა ვეღარ გარისკე,
თუნდაც ოთახში, რომელიმე მაღალ სართულზე,
დავუშვათ, ღია ფანჯარასთან, ღია ფანჯრისკენ.

ასე იციან

დაგღლის ტანის დივანზე და ლოყის მკლავზე შემოდება,
გარეთ გახვალ, ნახავ, შენი შემოდგომა გელოდება –

ისევ ისე ფერყვითელი, სუნსველი და გემომწიფე,
ფეხქვეშ ისევ დაძენძილი ნოხის ნაფლეთს შემოგიფენს –

ნიავქარში სადარბაზოს ღია კარში შემოხვეტილს,
და გგონია, გარეთ იყავ – სახლში ახლა შემოხვედი –

სადაც შენი სული ფხიზლობს ან ფხიზელი ძილით სძინავს,
შემოსულხარ რაკი შარშან, იმის წინ და წინის წინაც,

შენი დარდის ეკალ-ბარდით, შენი ომით, შენი ნდომით,
და ამანაც შეგიფარა, თანაც – მთელი შემოდგომით...

გული აგიჩუყდება და მოგივა და შეგიხტება –
ასე იცის შემოდგომამ – შეგიჩვევს და შენი ხდება.

მაგრამ განა მარტო მაგან – ყინვის ეტლით ნასერი ცის
ზამთარმა და გაზაფხულმა და ზაფხულმაც ასე იცის.

ასე იცის ამ ქვეყანამ, სათნოა თუ მურდალია,
თავის პანოს, ხვატით დამწვარს თუ ყინულის სუდარიანს,

პროზის მსუყე საფლობებს თუ პოეზიის მიმქრალ ტონებს
შეგაჩვევს და შეგიჩვევს და მერე უცებ მიგატოვებს.

გამოცხადება

თითქოს სულაც არ არსებობდე,
ამდენ ფოთოლს ქარი ბერტყავდეს,
ამდენ თმას – წლები,
ტაძრის შენება ტაძრობანას თამაში იყოს,
იქ სიარული – შესვენება
მობეზრებულ ცოდვათა შორის...

მაგრამ მე გიცნობ.

მე დაგინახე მიწისძვრისას
სხვების თვალებში და ჩემს გულში.

მე დავინახე, როგორი ხარ:
დიადი და ძლევამოსილი –
როგორც ხავსი,
სასოწარკვეთის მდინარეში
უკაცური და უდაბური ნაპირიდან
ჩაკიდებული.

ვითომშანსონი

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა –
იცი – შანსი მოგეცა.
ძირს ნარი და ხავსია,
მაღლაც რაღაც მსგავსია –
ლამის ყველა შარზეა –
მაგრამ მაინც შანსია!

ამიტომაც – იტყვი, არა უშავსო,
გულში თუნდაც ურჯუკო და უხამსო –
რაკი გემცნო – ლეგიონთა ლეგიონს
გულისნაცვალს ყოფნის ნატვრა უჭამსო –
ვერ დაუძვრა ვინც მებაჟე-გუშაგსო –
ვერც აქამდე, აღარც პირი უჩანსო,
და დარდიან დაუბადებლობაში
ჩარჩენილა უსასოდ და უშანსოდ.

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა –
იცი – შანსი მოგეცა. –
რომ აკლიხარ ნავსიან
უშანსოთა შავ სიას –
უკვე ეგეც შანსია!
თუმცა მაინც შანსია...

ის მითხარი: უქონელს და ოხერსა,
შენც არყოფნის არაფერი რომ გეცვა,
და უეცრად უკვდავების ფართლიდან
მოგიზომეს ყოფნა – ერთი მოკვეცა,
მოაყოლეს თხელი – არა ორკეცა –
ცა და მიწა, ეზო-კარი-ღობეცა –
ანუ მაშინ, როცა შანსი მოგეცა,
ის თუ იცი – რისი შანსი მოგეცა?

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა,
მხოლოდ შანსი მოგეცა –
არც ავსულის თავში ქვას,
არც მომტვრევას ხელების –
შანსი ნიშნავს: შანსი გაქვს
შანსის გამოყენების.

მაგრამ კი არ დაუკარგავ ავში კარგს
სააქაოს გველეშაპის შავ შიგანს, –
შანსი რომ გაქვს და იცი, რომ შანსი გაქვს –
აღიარებ – უფრო მეტი შანსი გაქვს.
და ვინ იცის, მაგ ლაზერის მფლობელსა
უბედობის ბოლო ბუდეც მოგეწვა –
მიგეღწია, რისი შანსიც მოგეცა –
რომ იცოდე, რისი შანსი მოგეცა.

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა,
აკი შანსი მოგეცა. –
მაშ, გაიძრობ ხან სიქას,
ხან გაიცლი არაქათს –
მაგრამ, რისი შანსი გაქვს,
მიხვდე, შანსი არა გაქვს.

თუნდაც ცოტა მუქი ცა...
მიწაც – ერთი მოკეცვა,
როცა მუქთად მოგეცა –
....

ზოგი ღამის ლოცვა

ლოდივით ღამე ჩამოწოლილა.
ჩამოგვიარე, ღმერთო,
ყველას გვეყავი და გაგვწვდი.

ძილდაკარგულს ძილი უპოვე, ღმერთო,
დაამშვიდე და მიაძინე.
ბოროტი გული შეხსენი,
ბოროტება ამოსწმინდე და მოასვენე.
კეთილი გულის სიზმარი ნახე,
ბოროტება ამოსწმინდე და მოასვენე.

ღამეა. ღამე.
მოურჩენელი ძილში წაიყვანე, ღმერთო,
შენთან წაიყვანე, ან სადაც მიგყავს.
მოხუცს დედა მოანატრე და ეჩურჩულე,
რომ სიკვდილი ცუდი არ არის,
რომ სიკვდილში დედასა ნახავს.
ჭირისუფალს მიცვალებული დაასიზმრე,
ეუბნებოდეს, მე კარგად ვარო, შენ არ იდარდო.

ღამეა. ღამე.
გზაში მომკვდარი მოგზაური
ცოცხალ მოგზაურს აპოვნინე, ღმერთო,
ნადირს არ დაუტოვო.
ღამის ყაჩაღი
თავის ბილიკზე
უპატრონო განძს გადაჰყარე.
ვინც ბოღმითა სვამს, ისე დაათვრე,
იარაღი ვეღარ ასწიოს.

ღამეა. ღამე.
მიწას მტკივან მუცელზე ხელი გადაუსვი,
ღამეა, ღმერთო, ახლა არ ეძრას.
ჭექა-ქუხილს ხმა ჩაუწიე,
ალალ-მართალი ბავშვები არ წამოაფეთოს.
უჭეროდ მიძინებულისგან ღრუბელი წაიღე,
ჭერს თუ არ მიუტან,
უჭეროდ მიძინებულს არ დააწვიმო...

ღამეა – სიტყვას რომ გაგიგრძელებს.
ძალას რომ გართმევს იმედისას და მკრეხელობისას.
მართლა ლოდივით ჩამოწოლილა,
თორემ განა შეგაწუხებდი.

ასეთი ღამით უშენობა ძნელია, ღმერთო.

ღმერთო,
ამაღამ იყავი.

ლოცვა

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.
მე ხომ რაღაც შემიცვალეს –
ბილეთი ან ათასწლეული.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.
მე ხომ რაღაც არ გამომატანეს –
რაღაც მომპარეს უსულგულო მებაჟეებმა,
ბარგი როცა ამოაქოთეს –
უკან აღარ ჩააბრუნეს
რაღაც ძალიან, ძალიან საჭირო.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.
მე ხომ რაღაც მომატყუეს
იმათ, ვისაც პირველად ვენდე;
თან ისე მარჯვედ,
რომ ახლაც მჯერა.

ამდენ ხანს როდის დაგიფარავს
ქერი – დოლაბქვეშ,
მარილი – წყალში,
თევზი – ტაფაზე.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.

თუნდაც ასე.

ყოვლადძლიერო.



გიზო თავაძე

ადრე გაზაფხულის დილა

წამოიკიდა ქარმა ნისლი და
მთის მწვერვალებზე ფარდად გაჰკიდა,
ვიდრე ცა უბეს გადაიხსნიდა,
მზე გამობრძანდა თავის ბაკნიდან.
მზე გამობრძანდა თავის ბაკნიდან.
(გაცისკროვანდა თავად ბაკანი),
განახვნა სხივთა დიდი ბანკი და
გადამკრა სხივი – იატაგანი.
ყინვამ გახეხა ხეთა საყელო
და სანამ კვირტებს დააობლებდა,
გადმოაფინა ცამ ცისარტყელა
და გააგრძელა დავა ორბებთან...
წამოიკიდა ქარმა ნისლი და
მთის მწვერვალებზე ფარდად გაჰკიდა,
ვიდრე ცა უბეს გადაიხსნიდა,
მზე გამობრძანდა თავის ბაკნიდან.

აპრილის დილა

შემომათენდა აპრილის ღამე,
ციცრის ფერით და ჭორფლით,
მზეს მოუჩანდა საყელო ხამი,
სერებს ჩრდილავდა ორბი...
ჩამოეღვენთა სტრიქონი, ატმის
ნაპერწკლებიან კვირტებს,

ჟამი მოგაკლდა ორიოდ ადლი
და უძილობა გიტეევს...
წამოგელანდა ბევრჯერ წარსული,
ცას რომ ცრემლებად წასკდა...
 რომ გიჩემებდა თეთრი ასული
სათავისოდ და... ბასტა!..
ღვინისფერია ის სარეცელი,
სადაც იძინე მთვრალმა,
მერე იქ ძილი როგორ შეძელი,
ჰაუ, პატარა ქალმა!..
რამდენჯერ უნდა გაგიაპრილდეს,
ავდარიც იქვე სახლობს,
აწი რა უნდა გაგიადვილდეს,
იქით წასულებს ნაღვლობ...
გამოშუშდება ყველა ტკივილი
უფლის კარებთან, როცა
მუხლზე დადგები, თეთრი გვირილით,
სასოებად და ლოცვად...
შემომათენდა აპრილის ღამე,
ციცრის ფერით და ჭორფლით,
მზეს მოუჩანდა საყელო ხამი,
სერებს ჩრდილავდა ორბი.

ის სახლი

სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული...

გალაკტიონი

როგორ მიყვარდა იმ სახლში შევლა,
ბაბუის ყანწით ფუძის დალოცვა,
ცას გაკაწრავდა როდესაც ელვა,
ფიფქს ჩამოყრიდა მღვრიე ცა როცა;
როცა ბუხარი ყვებოდა ამბავს
და სველი კუნძი ტიროდა ცრემლით...
როს ფიცხი ციცქა ჯებირს და დამბას
გაგლეჯდა, როგორც ეკალ-ბარდს ცელი...
და დეკემბერის უძღები ღამე,
გვეჩვენებოდა მოკლე და თბილი...
ნუცა ბებიას: – იმღერეთ რამე!
მისი „სულიკო“, თაფლივით ტკბილი...

მერე გაფრინდა ცაში ნუციკო,
თან გაიყოლა „იმ დროის“ ეშხი,
ჟამი მიქროდა, როგორც ქურციკი
და ვაკვდებოდით ერთმანეთს ხელში...
იმ სახლში ახლა მღერიან სხვები,
საკვამურს ნისლავს რძისფერი კვამლი...
დაბერებულან ეზოში მსხლები
და ენატრებათ ყივილი მამლის...
P.S. არად აგდებდა მდინარის ღელვას,
მოწყენით იდგა ჭიშკარი, კვირას...
როგორ მიყვარდა იმ სახლში შევლა,
თეთრ ქვებთან ახლოს, რიონის პირას...

დამშვიდობება

რომ მოვა მატარებელი,
რომ მოაკივლებს ბაქანს,
წერილის დამტარებელმა,
ერთი მითხარი, რა ქნას?!
ჩამოილია ცის ნამი,
შხაპაშხუპა და თქორი...
წერილს ის ერთი გიგზავნის,
იმან დაგადო ტორი...
გეყო, რაც იალ-კიალე,
რაც მოხანი და თესე,
წა, ტაძრისაკენ იარე,
უფლის ვირები მწყემსე!..
მახსოვს, იმ ფერდობს თიბავდი,
იმ მთაზე გედგა ძნაო,
ჰა, მოდგა შენი თიბათვე,
გული არ დაგწყდეს, ძმაო!
არ გეყო? ვის მორჩენია!..
თეთრი სიბერეც გშვენის...
რაც გერგო, იგი შენია,
მხოლოდ და მხოლოდ შენი!..
როცა შვილები იტყვიან,
შენი სათქმელიც ითქმის...
სიტყვები შენკენ ილტვიან
და ცოცხალი ხარ, თითქმის...
თიხასთან დაძმობილდება,
შენი ძვალი და ხორცი,

„უფრო და უფრო ბინდდება“,
წუთისოფელი მორცხვი...
ორჯერაც მეტი ებოძათ,
არ გეყოფოდა მაინც,
რაც უნდა ბევრი გეკოცნა,
აგრე გიყვარდა რაიც...
ვერ აგივსებდა საჭურჭლეს:
სიტკბო, სიმდიდრე, ფული,
შეირგე, რაიც გაჩუქეს,
ხარბია კაცის გული!
რომ მოვა მატარებელი,
რომ მოაკივლებს ბაქანს,
წერილის დამტარებელმა,
მითხარი, მაშინ რა ქნას!
ყელზე მოგეჭდოს ხვიარად,
ცრემლი გადინოს მწველი?!
ამსოფლად ქრისტემ იარა,
ოცდაცამეტი წელი!..
რომ ესურვილა დარჩენა,
ამაღლდებოდა ცაში?!
იქ, სულის გადასარჩენად,
მზად უნდა გყავდეს რაში...
როცა მიგიხმობს მაცდურად
და მოადგება ბაქანს,
დაემშვიდობე კაცურად,
სიცოცხლეს, – ლამაზ დაქალს...

ვითარცა ერთი დღე

ჟამმა ურარტუს მთები დანისლა,
კიდობანი და ნოე მღერიან...
გაზაფხულს ელი, — გამომაისდა,
მოიხედავ და ნოემბერია...
ათასი წელი, ვითარც ერთი დღე,
თვალწინ მარაოდ გადამეშალა...
აი, ზაფხული, მოდგა შენი თვე
და გავიხაროთ, ვიდრე მზე ჩავა!..
რატომ მოვედი ან სად მივდივარ,
შენით ცდუნება, დიდზე დიდია...
თუ ამ საწუთროს ფეხზე ვკიდივარ,
მეც არანაკლებ, ფეხზე მკიდია!..

გაზაფხული და გოგოები

თქვენ გგონიათ, გაზაფხული იას მოჰყავს,
ანდა ტყემლის ქარაფშუტა ყვავილებს?
ო. როგორ ვგრძნობ სურნელებას შენი ლოყის
და ყურს ვუგდებ სააპრილო ბღავილებს...
თქვენ გგონიათ, გაზაფხული ატმის ცეცხლით,
ანდა მერცხლის ფრთებით შემოფრინდება?
ო, როგორ ვგრძნობ სიცხოველეს შაშვის კვერცხის
და ყურს ვუგდებ წლების შემობინდებას...
მალე მთები ნისლის ოფლით მოირწყვება,
მზე შეღებავს მწვანედ ოკრობოკროებს,
ჩითის კაბა მოფრიალებს, მოირწევა,
გაზაფხული ჩვენში მოჰყავთ გოგოებს.

თვალს რომ გაახელ...

შენს ძილს ვდარაჯობ, უთოფოდ და უიარაღოდ,
ვერავინ მიცნობს მაგ ქუჩაზე, გარდა თქვენების
და ვარსკვლავები გადადიან ცაზე მალაყებს,
მოწმენი მრუმე ღამეების გადათენების...
შენ ამ დროს ფშვინავ ნებიერად, თოთო ბავშვივით,
თავსთუმლად გიდევს უძინარი ჩემი ლექსები
და მორღვეული ღამის ბინდი გზებზე გაშლილი,
თვალს რომ გაახელ, დაიკემსება...

მე თქვენი!..

სალამი ზონზროხა ბიძიებს, –
საქმოსნებს და ცბიერ თაღლითებს,
კეთილნი გვერდზე რომ მისწიეს,
და ქვეყანა რომ გაღლიტეს...
სალამი უფორმო ღიპოსნებს, –
მათ აღზრდას, ჩაცმას თუ საქციელს,
ხალხი რომ დააჰიპნოზეს,
ქვეყანა ბაზრად რომ აქციეს...
სალამი უჯიშო მედროვეთ, –
შავ ჯიპებს და ფერად ჰალსტუხებს...

ჩვენ, ვინაც სამშობლოს ვერ ვტოვებთ,
დიდად არ მოვწონვართ ამ „ტრუხებს“...
სალამი პიტალო მარქსისტებს, –
უდღეურ ლენინის გოშიებს,
რომლებმაც გააკრეს ჯვარს ქრისტე,
მატყუარებს და როშიებს...
სალამი ბოზებს და ჩათლახებს, –
სამშობლოს სახელით მოვაჭრეთ,
დღემდე რომ გვიჭერენ არტახებს,
ბევრჯერ რომ მარჯვენაც მოგვაჭრეს!..
სალამი, ჰო, ბევრი სალამი,
მე თქვენი!.. დაისს თუ ალიონს...
მანანდე არ დაჯდეთ, სანამ მე
მაქ დავჯდე და თქვენთან დავლიო!..

მეთორმეტე

გახსოვთ, თორმეტი მოციქული,
აქეთ და იქით სოფელი...
ყველა ზრდასრული, მოწიფული,
მრწმენი და უარმყოფელი...
გახსოვთ, მეთორმეტე, თორმეტიდან,
თითქოს უზაკველი, მორცხვი და
უფალს რომ მიეჭრა ორ მეტრიდან
და უმოწყალოდ კოცნიდა...
გახსოვთ, ოცდაათი ვეცხლის ფული
საუკუნეებს რომ ჰგიებსო...
რასაც ვერ მოითმენს მერცხლის გული,
როგორ მოითმინა იესომ!..
როგორ იმარტვილა გოლგოთაზე,
სად ხალხი გადატყიურდა...
ყველა მეთორმეტე, ბოლო ხმაზე,
ბღაოდა: – იუდა, იუდა!..
თორმეტზე გაყავით დედამიწის
მილიარდები და... კი უნდა
ცოდნა, რომელიც დედამ იცის,
შვილებში რომელია იუდა...
ყოველი მეთორმეტე მოღალატე,
უცხვირპირო და უთვალო,
უკვდავო, ზეცით მოგვანათე,
შენ შეგვეწიე, უფალო!..

მე მაპატიე

რკინის ჯვრებზე გაყიდულმა თავადაზნაურობამ, იმპერატორის საამებლად, მაიკო ორბელიანის უმანკოება გაიმეტა...

შენ გახდი მსხვერპლი იმპერატორის,
უჟმური ღამის იქმენ ტარიგი,
არვინ გამოჩნდა იქვე პატრონი,
ასე ინება ბედის გამრიგემ...
როგორ ელოდი, ალბათ, შენიანს,
ვინც არ ჩაკბეჩდა გარგარს ვირივით,
რომ აეკუწა დადეშქელიანს
რუსთა ხელმწიფე გაგარინივით...
ევახ, სად იყო თეთრი მხედარი,
ორლესულ ხმალზე ხელის დამდები
და ჩაესვენა ჩვენი მზე, დარი,
დედა ვატირე იმ თავადების!..
მე შენზე დარდით ღამე ვათიე,
ორბელიანის ქალო, მაიკო,
მე მაპატიე, მე მაპატიე,
მე მაპატიე, ჩემო დაიკო!..

აუხდენელი სურვილი

მოისურვილე უეცრად ვაშლი,
ვით იანვარში ბებომ – ატამი,
ვერ მოგართვი და დაგირჩი ვალში,
უნიათო და ბრიყვი ადამი...
ბევრჯერ მოგვიხდა ღამეთა თევა,
ბევრჯერ ვცოდე და რატომ მაქე მე,
ვაშლი რა იყო, ერთგულო ევა,
არ ვიცოდი და, მაინც მაგემე...
მე რომ მესურვა... არ გავთქვა მიჯობს,
თუმც ყვავილები, იქ ჩვენაც დავრგეთ,
სამოთხის კარი რომ დარჩა ღრიჭოდ,
მე ვინ დამნიშნავს იმ ბაღში გამგედ...
ვერ აუხსნიათ, რა იშვა ადრე,
თეთრი კვერცხი თუ ურუნი ქათამი,
რა სამოთხეში?! უფრო მეტს გკადრებთ,
არ შეიშვება სახლში ადამი.

იზა ოსეფაიშვილი

გაიღიმეთ, დროებითია ყველაფერი

ადამიანს სევდა და ნაღველი სიცოცხლეს უმოკლებს, ღიმილი და ხალისი კი სიცოცხლეს უხანგრძლივებს. დრო სწრაფად მიფრინავს, წლები გვემატება ასაკის მატებასთან, თანდათან ჩვენი სილამაზე, მშვენიერება და მომხიბლელობა წარსულში რჩება. ჭაღარა, გაცვენილი თმები, გამეჩხრებული წარბები და წამწამები, დანაოჭებული სახის ნაკვთები, ხელოვნური კბილები, ბეცის სათვალები, მუხლებში გამოცლილი ძალა, ხელ-ჯოხი, ქუჩაში ზებრაზე გადასვლისას უცნობის დახმარება და თუ ყველაფერ ამას სკლეროზიც დაერთო, საკუთარ სახლსაც ვეღარ მივაგნებთ. ამ გარდაუვალი პრობლემების წინაშე დგას ყოველი ჩვენგანი, ყოველი მოკვდავი, რამდენი წლისაც არ უნდა იყოს იგი, თუ, რა თქმა უნდა, ნაადრევად თვითმკვლელობით არ დაასრულა საკუთარი სიცოცხლე, რასაც უდიდეს ცოდვად ჩაიტანს სამარეში, თუმცა, უცოდველი ადამიანი ჯერ, ამქვეყნად არ დაბადებულა. ამიტომაა ყველა ახალშობილი წინასწარ დასტირის თავის გაჩენას, რადგანაც ადამისა და ევას ცოდვის შვილები ვართ. ვიცი, მკითხველო, გეჩქარება, თუ რისი თქმა უნდოდა ამ პატარა მოთხრობის ავტორს. ახლავე მოგახსენებთ: გჯეროდეთ, ღიმილი ერთადერთი უებარი წამალია ადამიანისთვის. ვინც ღიმილის ფასი არ იცის, ის ვერასოდეს გაიგებს, თუ რამხელა ძალა აქვს გულრწფელი ღიმილით მისალმებას, მილოცვას. მინდა, მაგალითად, საკუთარი თავი მოვიყვანო, რათა მომბაძონ ზოგიერთმა სულიერად ზნედაცემულმა და ტვინით დაჩლუნგებულმა, ქარის მოტანილი ბუმბულივით მოფარფატე ადამიანებმა, რომლებიც შენ გიცქერის, მაგრამ გონებით სადღაც დაფრინავს, მე ასე მიმაჩნია, მათი პიროვნული გონება შერყეულია ან შემთხვევით გამდიდრებული და სრულყოფილად ამოვარდნილია თავისი კალაპოტიდან. ამიტომ მირჩევნია, ასეთი ადამიანებისგან შორს დავიჭირო თავი, რათა მათთან სიახლოვით, შესაძლებელია, მორალური ზარალიც მივიღო. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბევრი რომ არ გავაგრძელო, მინდა, კარგად დამაკვირდეს ნაცნობი თუ უცნობი ადამიანები და ისწავლონ ჩემგან კეთილი ღიმილი, სალამი და მოფერება. ათასჯერ გავიმეორებ, მედიდურნო, უვიცნო და ამპარტავანნო, თუ არ იღიმებით და სალამის თქმას თავს არიდებთ, მაშინ თქვენ მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე ჩამორჩენილ ადამიანად ითვლებით, აგრეთვე, საცოდავად და სასაცილოდ გამოიყურებით. გახსოვდეთ, ყველაფერი დროებითია ამ წუთისოფელში. გაუღიმეთ ყველას, ეს იქნება ახლობელი, მეზობელი, მშობელი, ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი, მოყვარე, ინკასატორი, ბანკირი, ბიზნესმენი, გამყიდველი, მწერალი, პოეტი, სტუმარი, მასპინძელი, თამადა, შუამავალი, ადვოკატი, პოლიციელი, საქმოსანი, სამთავრობო მოხელე,

ექიმი, პედაგოგი, მძღოლი, მეუღლე, დამლაგებელი, აფთიაქარი, ოქრომჭედელი, თერძი, ქალაქის მერი, გიდი, თუ სახელმწიფოს პრეზიდენტი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მკითხველისათვის, ჩემი დილა ასე იწყება: დილით ადრე ვდგები, საძინებელში კარგა მოზრდილ სარკეში ჩავიხედავ და საკუთარ თავს ღიმილით ვესალმები, შემდეგ ხელ-პირს ვიბან, მოკლე ლოცვას აღვავლენ, „მამაო ჩვენოს“ ტექსტით. შემდეგ ქრონიკული დაავადების გამო, მივიღებ საჭირო მედიკამენტებს, მსუბუქად ვისაუზმებ და დღის ბოლომდე შინ თუ გარეთ ვხვდები სხვადასხვა საქმეებით დაკავებულ ადამიანებს. ჩემი მათთან შეხვედრა ყოველთვის ღიმილით იწება.

ეი, შენ, კისერგაშეშებულო, რეზინის ღეჭვით გვერდი რომ ჩამიარე ბრიყვი გამომეტყველებით, ნუთუ ვერ ხვდები, დროებითია ყველაფერი; ჩემო ჩამორჩენილო და დაკარგულო, თუ სიყვარულის დეფიციტს განიცდი, მაშ, ვინა ხარ შენ? რა გიხარია? მე შენზე ძლიერი ვარ! რითი? სიძულვილს ვერ ვგრძნობ ჭკუათმყოფელი ადამიანებისგან და თუ ვინმეს ვეჯავრები, ის ავადაა, მას ჩემი უშურველი ღიმილი მოარჩენს, მერე ისიც მალე შემიყვარებს, ბოღმას გველის შხამივით ქვაზე დაანთხევს, საღეჭ რეზინას გადააგდებს და ლამაზი ღიმილით მომესალმება. ღიმილთან ერთად მოქმედებითი რიტუალებიც უნდა ჩაატარო, მაგალითად: ხედავ, ბავშვი წაიქცა, ტირილი მორთო, მიდი, მიეშველე, გაუღიმე და ტკივილი გაუვლის. ვიღაცას შია, თუ ეკონომიურად ვერ ეხმარები, გაუღიმე, მას გულზე მოეშვება და დამპურებლის მოლოდინით დანაყრდება. შენს მეგობარს ექიმმა განუკურნებელი დიაგნოზი დაუსვა, მიდი მასთან, გაუღიმე და ხელები ისე მაგრად მოჰხვიე, მთელს სხეულში იმედის ჟრუანტელმა დაუაროს. მტერი შეგხვდა? მასაც გაუღიმე, ის გაოგნდება და თავის თავს შეეკითხება, მე ხომ არ ვცდები? ალბათ, ვერ ვხვდები, როგორ მოვექცე კეთილ ადამიანებს, იქნებ გასაკიცხი ვარ?... რეგვენმა შეგაგინა? გაუღიმე და თვალებში ჩახედე, ის დაიბნევა, რადგან, შენ, მასზე ძლიერი მოეჩვენები. მეზობელს რაღაც შეეშალა, დაუფიქრებლად უსახური სიტყვები მოგახალა, მეორე დღეს კვლავ შეხვდით ერთმანეთს, შენ მიესალმე და გაუღიმე, ის ამის შემდეგ არასოდეს გაწყენინებს, პირიქით, დაფიქრდება და მწარედ ინანებს. ქუჩაში მოხუცმა ქალმა ფეხი წამოიკრა და შიშისაგან ხელი ჩაგავლო, მიეშველე, გაუღიმე და ცოტა ხნით დაყოვნდი მასთან, გჯეროდეს ის აუცილებლად ლოცვით გაგაცილებს. თქვენ ჯილდო გადმოგცეს! მადლობას თუ ღიმილსაც დაურთავთ, ორმაგად გამარჯვებული გამოჩნდებით. იუბილარი ხართ! უამრავი სტუმარია დარბაზში 10, 100 თუ 1000 – ყველას გაუღიმეთ, რათა უფრო ბედნიერი განწყობა შეუქმნათ საზეიმო წვეულებას. თქვენი წიგნის პრეზენტაციაა! თქვენ საპატიო ადგილზე ზიხართ, ყველამ ვერ მოახერხა პირადად თაიგულის თანხლებით, პირზე კოცნით მოელოცა, ზოგი კიდევ შორიდან ხელის აწევით მოგეფერათ, თქვენ ყველას გაუღიმეთ იმ დოზით, რომ თითოეულ ადამიანს მისწვდეს მადლიერი ღიმილის სხივი. გჯეროდეთ, მალე მთელი დარბაზი ფეხზე დგომით, მქუხარე ტაშით დაგაჯილდოებთ. გაიღიმეთ, დროებითია ყველაფერი. შენს სახეზე თუ ღიმილს არ ვხედავ, როგორ გავიგო რომ ბედნიერი ხარ? იქნებ, მრუდე გზებით აიწყვე ცხოვრება და თვალებს ვერ მისწორებ? იქნებ, ფულით იყიდე შენი კარიერა და დაკარგვის გეშინია? მაინც გაუღიმე ადამიანებს, რათა გადაფარო ის შავბნელი გზები, ასე მწარედ რომ გაგაბრუა და დაგიბინდა გონება. გაიხსენე დედა, რომელმაც თბილი ღიმილი მოგაგება, როცა ქვეყანას მოევლინე. გაიხსენე ის პირველი ბაღის აღმზრდელი, ღიმილით რომ ჩაგისვა კალთაში. გაიხსენე სკოლის პირველი მასწავლებელი, რომელმაც ღიმილით გადმოგცა და შეგაყვარა „დედა-ენა“. ასე რომ, გჯეროდეთ, ყველაფერი ღიმილით იწყება. ზრდასრულ ნორმალურ ადამიანს კულტურაზე და ეთიკაზე მითითება არ უნდა სჭირდებოდეს. ვისურვებდი ჩემი პატარა მოთხრობა წაეკითხა იმ შემთხვევით გამდიდრებულ ხეპრე მედიდურს რომელიც აგონიაშია ჩავარდნილი. ალბათ, წამსვე ამოიცნობდა თავის თავს. განა ამ ქვეყნიდან მსგავსი ადამიანები რაიმეს წაიღებენ? არც არავინ ითხოვს რისიმეს დატოვებას. თქვენი საჩუქარი ხალხისადმი დაუყვედრებე-

ლი სალამი და ღიმილია, გახსოვდეთ, თუ ღიმილს სიცოცხლეში უხვად აფრქვევთ, გარდაცვალების შემდეგ შენი სული ლაღად იფრენს ზეციურ სამყაროში. არა, არა, უნდა მოგიტევო, რადგან ვიცი, ეს ყველაფერი თავხედობით და უცოდინრობით გემართება. ძნელია, ისწავლო ნამდვილი კაცობა და ნამდვილი ქალობა. ღიმილი აუწონელი ოქროა, რასაც ძალდატანებით ოქროთიც ვერ იყიდი. გაიგე, დროებითია ყველაფერი, დროებითი! მე შენი სახლი არ მჭირდება, მე შენი მანქანა არ მჭირდება, მე შენი პრესტიჟი არ მაინტერესებს, მე შენი ფულები არ მჭირდება, მე შენი სილამაზე არ მშურს, მე შენი ცოლი არ მჭირდება, მე შენი ქმარი არ მჭირდება, მე შენი ცხოვრება არ მაინტერესებს, მე შენი კეთილი და თბილი ღიმილი მჭირდება. ღიმილი უანგაროდ, უხვად, გულრწფელად უნდა დააფქვიო ნებისმიერი ადამიანის პირისპირ. ალბათ რაღაც დროში, ყოველ თქვენგანს პრობლემისა და სასოწარკვეთის მომენტი დაგდგომიათ, გამონაკლისი არც მე გახლავართ, მაგრამ ვეცდები, პირადი ემოციებით სხვებს თავი არ შევაწყინო და თუ მაინცადამაინც – მინდა, ჩემი გულისწუხილი მეგობარს ან ახლობელს გავუზიარო, ეს მაშინ, როცა უკვე გავუღიმე და მყუდრო ადგილას ჩამოვჯექით. უპირველეს ყოვლისა, ღიმილიანი სალამი, შემდეგ კი – პრობლემების მოგვარება, თუ თემაზე საუბარი აუცილებლობას წარმოადგენს ორივე პიროვნებისათვის. მოგითხრობთ საკვირველ და საინტერესო ღიმილზე. აი რა მიამბო 82 წლის მოხუცმა თავისი მამის მონაყოლიდან: 1937-ში დაბეზღების მსხვერპლნი დასახვრეტად გაგვამწესეს მოსკოვთან ახლოს, ქალაქ ბარინოვაში. დასახვრეტ ტრიბუნალზე 180 მსჯავრდებული გვარების მიხედვით ჩაგვამწკვრივეს, რაღაც 10 წუთი იქნებოდა დარჩენილი ბრძანების გაცემამდე რომ უფროსმა ლეიტენანტმა გამოაცხადა: – ყურადღება! მთავრობის ბრძანებით უდანაშაულოთა სიაში მოხვდა 7 კაცი, გვარების გამოცხადების შემდეგ აღნიშნული პირები რამდენიმე ნაბიჯებით გამოვიდეს წინ. ყველამ თვალები დავქაჩეთ და სმენად გადავიქეცით, მოხდა საკვირველება, რიგით მესამე გამოცხადდა ჩემი სახელი და გვარი – ევტიხი შენგელია. ყურებს არ ვუჯერებდი, ჩემ გვერდით იდგა აზერბაიჯანელი, 29 წლის ვაჟკაცი, მან შეუდარებელი ღიმილით ამომხედა და კვლავ თავი დახარა. ვიდრე ცოცხალი ვარ, ის სახე და ღიმილი არასოდეს დამავიწყდება – დასახვრეტმა კაცმა ღიმილი მაჩუქა. იმის შემდეგ ძალიან შემიყვარდა აზერბაიჯანელი ხალხი. მე მათ დღესაც პატივს ვცემ. არ აქვს მნიშვნელობა, რა სჯულის და სადაური წარმომავლობის ხარ, მისი ღიმილი ჩემი გამარჯვების მიმანიშნებელი იყო. თუნდაც გავიხსენოთ კინოფილმ „ღიმილის ბიჭებიდან“ ასეთი ფრაგმენტი, როდესაც დაჭრილ თემურს ბოლოკა ტირილნარევი ხმის კანკალით, რადიოკავშირის „კაბელს“ ართმევს ხელიდან და თან ჰპირდება, მაგრად იყავი თემო, მე მალე დავბრუნდებიო, თემურიც სიმწრის ღიმილით გაჰყურებს მებრძოლ ბოლოკას და ვიდრე თვალს არ მოეფარება, მათი ღიმილიანი სახეები ერთმანეთს იმედით შეჰყურებენ. შესაძლოა, აქ უადგილოც კი იყოს დიდი ბელადის – იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსენება, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო მისი მომნუსხველი მზერა და ღიმილი, რომელიც მტრის აგრესიას აჰიპნოზებდა, უკუღმართს წაღმა შემოატრიალებდა და კეთილ საქმეებს გააკეთებინებდა. მისი ღიმილის სიყვარულით მთელი რუსეთი სტალინის სურათს სახლში, დაწესებულებაში, ტრანსპორტში, ჯიბის დოკუმენტებში სიამოვნებით აკრავდნენ. ნურც გაიკვირვებთ და ნურც გამკიცხავთ, ეს აბსოლუტური რეალობაა. მოწმეები გაინტერესებთ? რამდენიც გნებავთ, ყოველ სიტყვაზე პასუხისმგებელი გახლავართ, უტყუარი ფაქტებით. გავიხსენოთ კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“ როდესაც სამამულო ომში, რუსეთში კახეთიდან ჩასული გამწარებული მოხუცი მამა ნანგრევებში დაჭრილ გოდერძის იპოვის, მართლაცდა, მძიმე საყურებელია, როგორ უღიმის სულთამბრძოლი შვილი სახეშეშლილ გიორგი მახარაშვილს, რათა გულს იმედი ჩაუსახოს განწირულ ბერიკაცს უცხო ქვეყანაში.

1992 წელია, თბილისში ვცხოვრობ, ქალაქში გაუსაძლისი მდგომარეობაა, შიმშილი, განუკითხაობა და მხედრიონის აწყვეტილი თარეში. პური სულადობის მიხედვით ტალონებზე იყიდებოდა, მა-

ღაზიებში თუ პურის საცხობში, კილომეტრიანი რიგები იდგა. ორი შვილი, ერთი უნივერსიტეტის სტუდენტი და მეორე მე-8 კლასის მოსწავლე, მცირე პურის ნაჭრით ვასაუზმე და ისე გავისტუმრე სასწავლებელში, მე, კი, მშიერი, პურის რიგში წავედი, თითქმის 3 საათია, ვდგავარ და არ მოვიდა ჩემი დრო, თვალები დამიბნელდა, გული მიმდის, აუტანელი სიტუაციაა – ბავშვების ტირილი, მთავრობის ლანძღვა-გინება და აურზაური. ერთმა ახალგაზრდამ ლამის ტანსაცმელშემოხეულმა სამი პურით ძლივს მოახერხა რიგიდან გამოძვრომა, მე საცოდავი ღიმილით ამ ახალგაზრდას მკლავში ხელი ჩავავლე და ლუკმა პურის მოტეხვა ვთხოვე, მან დაუფიქრებლად ერთი პური მთლიანად მაჩუქა და იქაურობას გასცილდა, დღესაც ვფიქრობ, ნუთუ ჩემმა ღიმილმა გადამარჩინა?... სამადლოდ თითო ლუკმა პური იქვე გულწასულ ხალხს მეც გავუნაწილე, შემდეგ კიდევ დიდი ხანი მომიწია იქ დგომა, რათა ჩემი კუთვნილი პური ამეღო. იმდროისთვის ახალგაზრდა ვაჟის საქციელი მართლაც სასწაული იყო. პირიქით, ასეთ მომენტსაც შევსწრებივარ, როდესაც თორმეტიოდე წლის ბიჭმა მოხუც ქალს ხელიდან პური გასტაცა და გაიქცა. ცხოვრებაში რა არ ხდება, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც ღიმილებზე მაქვს გამახვილებული. მოდით, ტრაგიკულ ღიმილებს თავი დავანებოთ და გადავიდეთ სახალისო ღიმილებზე, მე პირადად, საერთოდ, მიყვარს ნამდვილ კურიოზებზე და ნამდვილ, ამბებზე წერა. მოგითხრობთ ერთ-ერთ სასწაულ ცოლ-ქმარზე რომლის სიყვარულზე ლეგენდები დადის, ისინი ჩემი კარგი მეგობრები არიან. სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, თუმცა, როგორც კი წაიკითხავენ ჟურნალ „ჭოროხში“ ჩემს მოთხრობას, უმალ ამოიცნობენ თავიანთ თავს. ვიცი, არ გამიბრაზდებიან, რადგან უპრეტენზიო ცხოვრებით ცხოვრობენ. ჰოდა, მოგითხრობთ ამ წყვილის შესახებ: ჯერ აღვწეროთ მამაკაცი: მაღალი, ულამაზესი სახის ნაკვეთებით, გემოვნებიანი ვარცხნილობით, სამოსელით, დახვეწილი მანერით, განათლებული, ინტელიგენტი კარგი მანქანითა და ოჯახით უზრუნველყოფილი. ახლა გაგაცნობთ ამ მამაკაცის მეუღლეს. დაბალი, შავი, გრძელი ცხვირი, გაწეწილი სასწაული ვარცხნილობით, უსახური სამოსელით, საშუალო განათლებით, დაბალი ინტელექტით, გამოგრეხილი ფეხებითა და ლამაზი კბილებით. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, სადაც „მაგრამ“ არის მითითებული, როდესაც ამ შესანიშნავ მამაკაცს, ვიდრე დაქორწინდებოდა, ახლობელმა, ოფიციალურად დაუსვა კითხვა, ყოველგვარი ბოდიშის მოხდის გარეშე, თუ რატომ ირთავდა ასეთ უშნო ქალს ცოლად, მან მოკლედ უპასუხა: ამ ქალს ისეთი ღიმილი აქვს, მთელი მსოფლიოს ქალებს ვანაცვალებო, მას ვერავინ და ვერაფერი შეედრება ქვეყნად, ამიტომ, მე არ მინდა, სხვა დაეპატრონოს ჩემს მაცოცხლებელ ღიმილს, ის ულამაზეს ქალებზე მეტად ლამაზია.

გაიღიმეთ! გაიღიმეთ! გაიღიმეთ! იწამეთ! თქვენ უსათუოდ გაიმარჯვებთ. თუ სალამს ღიმილს არ დაურთავთ, მაშინ თქვენი სალამი ფუჭია. გუშინ ამხანაგს საჩუქარი გადაეცით შეწუხებული სახით, ღიმილის გარეშე, ვფიქრობ, ის საჩუქარი მფლობელისთვის არარაობაა. მე შენი სტუმარი ვარ, ვხედავ სუფრა გაგიშლია, მრავალი დასახელების ხორაგით, მაგრამ ოჯახის დიასახლისს სახე ჩამოგტირის, ღიმილს ვერა და ვერ ვხედავ, ლუკმა ლამისაა ყელში გამეჩხიროს, ნუთუ ვერ ხვდები, რა უგემურია შენი პურმარილი, მასპინძელო?... საცობის გამო სამსახურში ძალიან დამაგვიანდა, ნერვულობით ლამისაა, გული გამსკდომოდა, რომ არა ჩემი დირექტორის საპატიო ღიმილი.

ერთხელ ძალიან მაღალი წნევა მქონდა, მედიკამენტების მიღების შემდეგ დიდი ვერაფერი შედეგი მივიღე, იძულებული გავხდი, სასწრაფო გამომეძახა, რომელიც ოც წუთში ჩემს სახლთან გაჩნდა, ექიმი ძალიან კეთილი და ღიმილიანი აღმოჩნდა, ისეთი ტკბილი, სიტყვებით მესაუბრა, წნევა სწრაფად ნორმაზე დამიდგა. წასვლისას ღიმილითვე დამემშვიდობა და ღამით შესანიშნავად მეძინა. ჩემი ვაჟი და მისი მეუღლე საზღვარგარეთ გაემგზავრნენ სამუშაოდ, კარგა დრო იყო გასული, როდესაც მათი ყოფით ძალიან დავინტერესდი, განსაკუთრებით რძლისაგან მეწყინა უყურადღებობა, როგორც ქალს. ბოლოს ინტერნეტის საშუალებით ჩემმა სიცოცხლე რძალმა, ისეთი ღიმილი

შემომაფრქვია, ყველაფერი დამავიწყდა. ო, რამხელა ძალა აქვს ჯანსაღ ღიმილს!... ერთ პატარა კურიოზს მოგითხრობთ: ავტობუსის გაჩერებაზე ვდგავარ ბათუმში, ჩემთან ახლოს ბოშა ქალი მოვიდა, ხურდა ფულებით სავსე ჯამით და დახმარება მთხოვა, მე ვუთხარი, სამგზავრო თანხაზე ოცი თეთრი მაკლია და აქეთ დამეხმარე-მეთქი, ქართული კარგად იცოდა, თვითონაც გაიღიმა და მეც ღიმილით ვესაუბრებოდი, მანიშნა, ხელი გაშალეო, იქნებ, გაგიკვირდეთ კიდეც, მათხოვარმა ბოშამ მთელი ნაგროვები ხურდა მუჭაში ჩამიყარა, ჩვენ, ორივე, ვიღიმებოდით, ისიც კმაყოფილი იყო და მეც, რა თქმა უნდა, მალე თავისი ხურდა ბოშას უკან დავუბრუნე და ღიმილით დავშორდით ერთმანეთს. ეს მომენტიც არასოდეს დამავიწყდება. კარგად უნდა დააკვირდეთ ადამიანის ღიმილს, თუ რამდენად გულწრფელია იგი. თუ ღიმილი ერთჯერადი და მაცდურია, ნუ მოტყუვდებით ამოცნობაში, თორემ დამარცხდებით. ღიმილი მრავალგვარია: ღიმილი გულრწფელი, ღიმილი სიყვარულის, ღიმილი გამამხნევებელი, ღიმილი მხარდამჭერი, ღიმილი ირონიული, ღიმილი დამამცირებელი, ღიმილი ნაძალადევი, ღიმილი ყალბი, ღიმილი კომპლექსური, ღიმილი სიმწრის, ღიმილი მაცდური, ღიმილი მომაჯადოებელი, ღიმილი ბოროტული, ზოგჯერ ღიმილის საშუალებით უზნეო და უსახურ ადამიანებს ჩაუდენიათ სასწაული ქმედებები, მაგალითად: გამოუძალავთ დიდძალი ფულადი თანხა. გაუძარცვავთ უმწეო და მარტოხელა მოხუცები. გაუუპატიურებიათ ქალები და არასრულწლოვანი გოგონები. გულუბრყვილონი დაუჩვევიათ ნარკოტიკებს, სიგარეტის წევას, ლოთობას, ქურდობას, სხეულით ვაჭრობასა თუ ათასგვარ სისაძაგლეს, აზარტულ თამაშებს. უკანონო იარაღის ტარებას და კაცთა კვლასაც კი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გირჩევთ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვიცხოვროთ ჯანსაღი ღიმილით. გაიღიმეთ! გაიღიმეთ! გაიღიმეთ! ღმერთი ჩვენთანაა. იწამეთ და გაიმარჯვებთ.

31.03.2018 წ.

ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური დუეტი

ციკლიდან: „ლურჯა ცხენების მისტერიები“ –
გალაკტიონის და მერი შერვაშიძის სიყვარულის ისტორია

1

* * *

ქარი ქრის... დაგლიჯა ღრუბლები...
დათეთქვა... დაძენძა... დაფლითა...
ო, მერი, მომეცი უფლება,
ეგ ბაგე აგივსო თაფლითა...
ნეტა, თუ იხსენებ იმერეთს
და ღამის ზღაპარში – ჭინჭრაქას...
სჯობია პარიზულ ქიმერებს
ნატვრების დანთება იმ ჭრაქად,
ერთად რომ უსხედით ყველანი
მამიკო... დედიკო... ბებია...
და ცრემლად იქცევა მელანი –
იქამდე დარდების მთებია...
ქარი ქრის... ბობოქრობს აქ მარტი...
მე არაყს... შენ მანდ სვამ კვლავ მარტინს...
ქარი ქრის... დაგლიჯა ღრუბლები...
დათეთქვა... დაძენძა... დაფლითა...
ო, მერი, მომეცი უფლება,
ეგ ბაგე აგივსო თაფლითა...

2

ჯვრისწერა ღამით...

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!...

გალაკტიონი

კვლავ დაგაბრუნე ივერიაში
ჩემი ლექსებით... ჩემი მუზითა...
არ იღუპება ის ერი მაშინ,
როცა სიცოცხლეს ხარკად ვუზიდავთ...
ღამით ჯვრისწერა ვინ მოიგონა,
თუ მოგიტაცეს მზაკვრულად... ძალით...
შენ ჩემთვისა ხარ ვარსკვლავგოგონა,
მარადი სატრფო და ნატვრის თვალი...
ესეც პარიზი... მონმარტი... სენა ...
ფრანგულ გარემოს ეჩვევი მერე…
ათრთოლებს მხოლოდ პოეტურ სმენას
უძვირფასესი სახელი: „მერი...“
როგორ მინდოდა შენთან ჯვრისწერა
და შენთან ღამის გაცისკარება...
გნატრობ... და ტანი მაღლა იწევა...
სული კი ცაში დაიარება...

3

* * *

ღამეა... პარიზს ღრმა ძილით სძინავს...
ვერ აღწევს ქართულ ბულბულთა კვნესა...
ცოტა დავთვერი და მტკვარზე წვიმა
წვეთებით მთვარის ჰოროსკოპს კემსავს...
მერი... ეს ხიდი ჭკუიდან შემშლის...
მილიციელის მესმის გინება...
ჩავყურებ მორევს... მტკვარია ჩემში
და თითქოს სისხლად მიედინება...
მერი, უშენოდ უკვე ვერა ვძლებ...
მიცახცახებენ ხელზე ვენები...
გალაქტიკაში შენ ერთს დაგეძებ,
მომაქროლებენ ლურჯა ცხენები...

4

* * *

> გადმოცემით გალაკტიონმა შოკოლადის
> ქაღალდზე ლექსი დაუწერა მერის 1947 წ.

ლექსს შოკოლადის ქაღალდზე გიწერ,
ჩემო ტკბილო და ჩემო ლამაზო...
ეს ერთი ფილა ვიშოვე სიმწრით
და, სამწუხაროდ, მანდ ვერ გთავაზობ...
რა უცნაური სიტყვით მომმართე,
რა სიყვარულით მითხარ სათქმელი...
შენთვის მთაწმინდა გავამონმარტე,
მამადავითზე გინთე სანთელი...

5

* * *

ჩემში ლივლივებს ლექსის ნოტები...
სიტყვის მუსიკა, მერი, მაოგნებს...
ბგერებში ისე განვიტოტები,
როგორც ფერებში მონე, ვან გოგი...
ნეტავი, ჩემთან იყო ამ წუთას,
რომ შენს კულულებს ფრთხილად ვეფერო...
ეჰ, მონატრებამ გაასათუთა
აქ, თბილისური ღამის ელფერი...

6

* * *

მენატრები... ო, მერი...
უცნაურად მიზიდავ...
თმაკულულა ირემო,
მესტუმრე პარიზიდან...

7

* * *

გამომეღვიძა... თითქოს, მეძახდი...
შენი ხმა ყურში ჩამჩურჩულებდა...

ფრანგულმა ღამემ ვეღარ შელახა
სიზმარში კარგო, ხილვის ცდუნება...
ძილში მივიღე შენი წერილი...
გამომაღვიძა ნატვრის ნამქერმა...
გთხოვ, მიატოვო სენაც... ლევილიც...
სულთა ხანძარი აღარ ჩაქრება...
ტრფიალის ტანჯვას მთაწმინდის მთვარე
მამადავითთან აუნთებს სანთელს...
მერიიიი!... ცხოვრება გამიცისკარე,
თბილისის ციდან პარიზის ცამდე...

8

* * *

სადაა, ნეტა, ჩემი სატრფო, ჩემი ვარსკვლავი
და ემიგრანტი დედოფალი ივერიისა...
წითელრაზმელთა ეომება მგლურად მკლავს მკლავი...
ანბანი რომ აქვს იმ ერს იისა...
აქ, ხორხოცებენ ურჯულონი ურიცხვნი, ურცხვად...
ლურჯა ცხენები ვერ უძლებენ უკვე მარულას...
მთაწმინდა ჩუმად ჩამოწმინდავს ღამეულ კურცხალს,
ვაჟა-ფშაველას თვალიდან რომ გამოპარულა...
ეჰ, მერი... მერიიი... ქართველები მამულს ყიდიან,
რომ ჩამოხვიდე, ვეღარ იცნობ თბილისის უბნებს...
მტკვარზე ნახევარმთვარის მსგავსი შუშის ხიდია
და რეალობა შენს ოცნებებს ვერ გააღრუბლებს...
ყველა მთავრობა მუხთალია, თუმცა იმან ხო
მტრების დაკვეთა შეასრულა, არა – ხალხისა...
მერი, მანდ დარჩი, საქართველო რომ შეინახო…
თუ მონატრებამ ძველებურად გაგახალისა...

9

37...

დღეს აკაციის ხეები მოჭრეს,
ჩემი დარგული მწვანე ფიჭვებიც...
თემურ-ლენგივით ჟამია კოჭლი:
ხალხს ასახლებენ... ხვრეტენ... იჭერენ...

გაუსაძლისი ყოფაა, მერი...
ხატებთან სანთელს ვეღარ დაანთებ...
მაქვს პაპიროსის ჩამქრალი ღერი
და ცარიელი ძველი სანავთე...

10

* * *

იქნება, ჩემმა სიყვარულმა გადაგიარა...
მერიი... იქნება, გაგიტაცა მონმარტმა... ლუვრმა...
სული მოგელტვის, მარტო გალას ლექსი კი არა –
გესმის რითმებში საორღანო მუსიკის ურვა...
მაგრამ წამიერ ეჭვებს ფანტავს ლოცვები შენი...
ხატთან ვედრება: „ო, უფალო, გალას უშველე!...“
და საჯანმრთელო პარაკლისი გელათში მშველის
და ამ ლექსებით ჩვენს სიყვარულს ტაძარს ვუშენებთ...

11

* * *

მადლობა, მერი, შენ მასწავლე ნამდვილი სევდა...
ციური ტრფობით დაიღვენთა ცრემლის ცვილები...
რის ეიფელი, მთაწმინდაზე მთვარე შეჩერდა
და წინაპრების ახმაურდნენ თითქოს ჩრდილები...
მერი, მიყვარხარ... მონატრებას ლექსებით ვხატავ...
სულ სხვაა სიტყვის მელოდია, ფერი, მუსიკა...
ჩამავალმა მზემ ლიხის მთები ცად აიტატა...
ჩამო იმერეთს... მანდ პარიზში რაღას უზიხარ...
მერი არ გძინავს?... მონატრება საბნად გახურავს...
სიტყვაა ჩვენი მშველელიც და გადამრჩენელიც...
ნუღარ იჯავრებ, თუ გეტყვიან რამეს ახვრულად...
გახსოვდეს მუდამ: გალა გიხმობს!...გალას შენ ელი!...

12

გალაკტიონი მერის პარიზში, ანუ ბარათი მავთულხლართებიდან...

როგორ მინდოდა შენი ნახვა... შენი ალერსი...
მაგრამ უეცრად დაგატყვევა, ალბათ, პარიზმა...

დიდ ცოდვად აწევს, სამწუხაროდ, მოსეს ისრაელს,
რომ ვერ შეიცნო ღვთის ნათელი – ქრისტეს ქარიზმა...
კასპის კლდეები მატარებლის ფანჯრებს აწყდება...
ვერც მე შევძელი საფრანგეთში ჩამოსვლა ისევ...
მზე ჩადის... ქართლის სანახები ქრება... ბაცდება...
მაგრამ ხილვებში ჩემთანა ხარ კვლავ მოკისკისე...
ველარ მიშველის ვერც ვიიონი, ვერც ლამარტინი...
ველარც ჰიუგო ან მერიმე და პოლ ვალერი...
დღეს შენი ნახვა აღარ არის უკვე მარტივი:
მავთულხლართებში გაყურსულან შემოგარენი...
მერიიი... მოვიდა ჩემი სიტყვა – ჩემი ძახილი...
მჭრელია, როგორც სააკაძის მძიმე მახვილი...

13

ოცნებების გაპარიზება

„გადმოგირეკავ...“ – მეუბნება ჩემი კულულა –
„რა საოცარი ტაძარია წმინდა თეკლასი...“
ნატვრის ლერწმები ერთურთისკენ გადაღუნულა –
შეყვარებულებს გადასხმიათ წყალი ემბაზის...
დაველოდები... ნეტარია ეს მოლოდინი...
რა დამრჩენია... საბჭოეთში, აბა რას იზამ...
ვზივარ დუქანში... ღვინოს ვწრუპავ ფრანგი ლორდივით
და ვგრძნობ სასმელმა ოცნებები გააპარიზა...
ეჰ, ჩემი მერი „კოკო შანელის“ მოდელი არი...
სიზმარში ვნახე, რომ გხატავდა მოდილიანი...

14

„მერი... შენ ერთი...“

გავიდა ჩემი გემი „დალანდი...“
თან წაიყოლა ხატება მერის
და ჰორიზონტზე ძლივსღა დავლანდე
ჩამავალი მზის ყაყაჩოს ფერი...
ჩამოწვა სევდა და სანაპიროს
ცრემლის სიმლაშე ზღვისას შეერთვის...
გალა მოისვრის ჩამქრალ პაპიროსს...
თანაც ბუტბუტებს: „მერი... შენ ერთი...“

15

ახალი მთვარის ფაზა...

ბორდოს ბორდოსფერ სიზმრებს...
თელავს გათელილ თელებს...
ქარის ბობოქარ ჰიმნზე –
გალა შემოჰხვევს ხელებს...
და შენ მოგართმევს მერი
ამ სიშორეთა ნაზავს...
ჰერი, ჰერი და ჰერი –
ახალო მთვარის ფაზავ!...

16

ჯვარცმის მისტერია

დღეს იუდა ქადაგებს, მერი, ამბიონიდან...
დღესაც გვერდზე გამდგარა, რა თქმა უნდა, პილატე...
უცოდველი მიპოვე, ნეტა, ერთი ორი და
ანდა უღალატობით ვინ მოგყვება დილამდე...
დღესაც ისევ სავსეა ხელისუფალთ ქისები...
ისევ გააქვთ ხორხოცი ფარისეველთ არმიას...
და გრაალის თასი კი ქრისტეს სისხლით ივსება
და ცრემლით ენამება თვალნი წმინდა მარიამს...
მაგრამ ქრისტეს აღდგომა – მისტერია ნათელი...
მძიმე ლოდი სამარის როგორ გადააგორა...
ღმერთო, გადამირჩინე, ერი – ჩემი ქართველი!...
ივერიელთ დაცემა, ღმერთო, არ გამაგონო!...

ეკა კვანტაღიანი

პოეტური დუეტი

ციკლიდან: „ლურჯა ცხენების მისტერიები“ –
გალაკტიონის და მერი შერვაშიძის სიყვარულის ისტორია

1

თბილისურ პარიზს...

თბილისში გელის კარები სახლის –
ნაბიჯებს წვიმის ხმაური ერთვის...
ქარი სარკმელთან თავს მინებს ახლის,
ხატებს აუნთე სანთელი ერთი...
მეც შემოვედი ოთახში ცალად,
გავხედე სენას – ხმა მესმის მტკვარის...
და ვეგებები უშენოდ გალა,
პარიზულ თბილისს – თბილისურ პარიზს...

2

ბასტილია...

გულამდე სწვდება ლექსები მხოლოდ,
ხან იღიმიან... ხან კი ტირიან...
ლა ტურის ბინის თავი და ბოლო
გადაიქცევა, ვით ბასტილია...

პარიზი ყველას იფარავს, ლტოლვილს,
ცნობილია თუ მიუსაფარი...
მხატვრული ტილო – შედევრის ტოლი
მონმარტმა ქალაქს გადმოაფარა...
რითმის ფერების ვეძებე გამა,
მტანჯავს სიშორე... ვტირი ფარულად...
ვერვინ ვერ შეძლო შენსავით, გალა –
ტრფობა აეხსნა ტრიუმფალურად...

3

* * *

მარტი ხანდახან ამინდს აურევს,
მაინც ვარდებში მოჩანს ვერსალი...
ვით ნიჰილიზმი შოპენჰაუერს
და გაღიმება მადამ დე სტალის...
აქ, სევდიანი არ უნდა ჩანდე,
მომწონს ოცნება და მოლოდინი...
მოგზაურობა უყვარდა შარდენს,
მე კი შოპენი და ბოროდინი...
უკრავენ შტრაუსს, ბახსა და ბიზეს,
თითქოს გაცოცხლდა მუზის სულეთი...
ამ მარტოობის დაგეძებ მიზეზს...
უშენოდ – ყველგან არის სულერთი...

4

* * *

ბროლის ჭაღები ვენეციური,
თითქოს თვალს ჭრიან სალონურ კაფეს...
ჩვენი ტრფობაა ეს ზეციური,
რომლისთვის გზები პარიზშიც ვკაფე...
და შოკოლადის პატარა ფილებს,
იზოგებ ზოგჯერ წამლის აბებად...
ზედ ქიმზე ეკვრის რკინის ეიფელს
შენგან მოძღვნილი დითირამბები…
ისე აკლდება დღეებს სინათლე,
ვით კაბის სიგრძე ევროპულ მოდას...
ქართულ ტაძრებში ანთებულ სანთლებს,
შენი ლექსები ლოცვად მოჰქონდა...

მიირთმევ ღვინოს და ითვლი წამებს...
ღმერთმა შეგარგოს, როგორც ზედაშე...
ეს სიყვარული შენით ვიწამე,
ვერ დაგვაშორეს, გალა, მე და შენ...

5

შენთან მთაწმინდა - ჩემთან მონმარტი...

გათენდა... ნელა მივედი ხატთან –
ლოცვამ ამბავი შენი მიამბო...
თბილისის ზეცის ლაჟვარდებს ხატავ
და ქარტეხილებს მკერდით მიაპობ...
გადავიკითხე ლაისტი... რემბო...
თან ნარიყალას ვფიქრობ მაღლობზე...
თითქოს, შეჩერდა ცხოვრების ტემპი –
ჩამოდი დროზე...
კვლავ სიმბოლიზმი ეძებს სიმბოლოს...
შენი ლექსებით მე შემომნატრი...
ყოველთვის ვბრძოლობთ, თუმც რჩება ბოლოს
შენთან მთაწმინდა, ჩემთან – მონმარტი...

6

სიურრეალისტური ფერწერა

ჟინჟღლავს წვიმა... ფოთლებიდან ჟონავს...
მანდ თუთა გაქვს – იმერულად ბჟოლა...
მზე ანათებს ისე, როგორც ჟოლო
ღრუბლებიდან... სიომ შემაჟრჟოლა...
იასამნის ყვავილს იისფერად
სურნელება დავუხატო, ვცდილობ...
მერე უცებ ქარმა დაუბერა,
როგორ უნდა შენგან დამაცილოს...
ბნელ ოთახში სევდიანი ქალის
სილუეტი იკვეთება მკრთალად...
გალა – მუზად ჰყავს სალვადორ დალის...
მე კი მამკობს ლექსით ჩემი გალა...

7

შეხვედრა

არსად შევხვედრივართ ერთურთს სადმე...
მართლა არ გიცნობდი ადრე სულაც...
შენ – თბილისურად მომესალმე...
მე – გაგიღიმე პარიზულად...

8

გალაკტიონის „მერი...“

ვიხსენებ ახლა იმ ცას –
ვარსკვლავთ ეფარა ფარი...
და უკვდავებად იქცა
მუზების დედოფალი...
ისევ სურვილი ამხელს,
შეეფაკლება ღაწვი...
ლექსად გაიწვდი ამ ხელს –
პარიზს დარდები აწვიმს...
განთიადია... ზეცას
გადაჰკრავს ბორდოსფერი...
ჰგავს პოეზიის მერცხალს
გალაკტიონის „მერი...“

9

* * *

ეტლის ბორბლები იცვლებიან ავტომობილით...
ამჟამინდელი ფენომენი... დროის ფაქტორი...
ღამე გაუხდა ჯავრისაგან ავტორს ძმობილი...
ვკითხულობ ბარათს, მიყვარს ე მაგ ლექსის ავტორი...
აქ, ივერია გულით დამაქვს... გზები ივლისმა
მწვანით შემოსა... ყვავილების ცქერით გართულა...
შენმა ლექსებმა პარიზიც კი გაათბილისა
და საფრანგეთში ჩემი ყოფა გააქართულა...

10

ჯექა-ქუხილი თბილისის ცაზე

სულში მოისმის გრძნობის ხმაური
სავსე ტრფობისგან ღრმა შინაარსით...
ლექსად მომიძღვენ ქათინაური,
ნაზია, როგორც შტრაუსის ვალსი...
პარიზის მეტრო აყრუებს სმენას,
შენგან მაშორებს რამდენი მილი...
ნელი ნაბიჯით მივყვები სენას...
დღეს ოპერაში გველის ბელინი...
მივირთმევ ისევ ფრანგულ კრუასანს
და ქართულ პურის სურნელს ვიხსენებ...
მაკრთობს მხატვრობა დე ლა კრუასი...
სასადილოში ღვინოს გისხამენ...
კანკალით მიგაქვს ბაგესთან ჭიქა,
მევიოლინე უკრავს ბეთხოვენს...
უცებ თბილისის ცამ დაიჭექა...
მოგონებებით გამოგეთხოვე...

11

37...

37 როგორ ბობოქრობს...
მამულს დაატყდა რეპრესიები...
თავისუფლებას ადებენ ბოქლომს
და განწირულთა ფურცლის სიები
აშრიალებენ ქარში მზაკვრულად
ყოველი წუთის მძიმე განაჩენს...
ქრისტე ისევე ჯვარზე გაკრულა
და დედა ღვთისა თუ გადაგვარჩენს...
ო, ნუ მეხილოს მუხლზე დაცემა
ჩემი ერისა, შენც ხომ მანდა ხარ...
და რადიოთი სჭექს გადაცემა...
ნეტა, შემეძლოს, ვიდგე მხარდამხარ...
ჰიუგო წერდა „ოთხმოცდაცამეტს...“
37-ის სისხლიან ქარით
ვეღარ დაიტევს ქართული ცა მეტს
და გასცრეცია მზეს მინანქარი...

12

* * *

შენთვის დღე ღვინით,
ჩემთვის – დე ვინი...
ზედ ჩაი ლიმნით
და პაგანინი...
ბანკის კრედიტი – შენი ვერდიქტი...
შენ – ლექსის ბანი, მე კი – მონბლანი
თმას გამითეთრებს... ვით ქართულ თეთრებს
ვითვლი დარდებს და გათვალიერებ...
შენკენ გაქრება დასალიერი...
დასავლეთს ახსოვს რობერ სპიერი...
თუმცა გვაშორებს ჟამი ცბიერი...
შენა ხარ ჩემი ჟაკიც... პიერიც...
აქაც ქართული თან მდევს იერი...
...თვლემენ ნისლიან ორთქლში დღეები,
ვით სენის გასწვრივ ორქიდეები...

13

* * *

მიგზავნი ბარათს ლექსებით ისევ,
ნისლს დაუფარავს მთაწმინდის ხედი...
სევდისგან გული რად გადამივსე,
ემიგრანტობის მწარეა ხვედრი...
მომენატრება ტფილისი ძველი,
პოეზიაზე სჯა-მასლაათი...
ნელა ირწევა ხის სავარძელი
და ყრუდ გუგუნებს კედლის საათი...
უშენოდ, ნეტა, როგორ გავძელი?...
ვკითხულობ ლექსებს... მსურს გავარკვიო...
შენ გადმოლახე სივრცის მანძილი,
თუ მე ვარ შენთან მანდ, გალაკტიონ...

14

* * *

შადრევანივით შამპან-არდენში,
შამპანურივით მოსჩქეს სევდაო...

მოგონებები ისევ შარს მდებენ
და მონატრების მეცა ელდაო...
საქართველოში იყო შარდენი,
ამბობდნენ, ცოტა გაქართველდაო...
მოდილიანი მონპარნასიდან
დარჩა ოცნების მონ სენიორი...
ერთს ამოგარჩევ პოეტს ასიდან,
რადგან ერთია გალაკტიონი...

15

მერის წუხილი...

შენს ნახვას ხელს ვერ უშლიან,
ვერც ნისლი თვალთა, ვერც – ლიბრი...
გულს წიგნად გადაუშლია,
შენთვის ფრანგული ვერლიბრი...
ვიცი, გიხილავ, მოვა დრო...
სევდაა ჟამს რომ აძნელებს...
დარდებმა, თითქოს, მომადნო,
დავეძებ ცისფერყანწელებს...
ფასი ტრფობისა ძვირია,
ლექსი მაჩუქე... მოგენდე...
ვით მარგალიტის მძივია,
მკერდით გატარებ ყოველდღე...
ვწუხვარ, ერჩიან ქართველებს,
მანდ დროა ისევ შავბნელი
და კაცს სულს ამოართმევენ...
აქ, მოდა... კოკო შანელი...
ყოველ გაზაფხულს ქართული
მომაგონდება მიმოზა...
შენზე ფიქრებში გართული,
თავს ფრანგულ შლაპით ვიმოსავ...

16

კვართი სვეტიცხოველთან

როგორც დროშები ფხოველთა,
ღრუბლებს გაშლიათ აფრები...

ჰგავს კვართი სვეტიცხოველთან
ანგელოზს ცაში აფრენილს...
კვლავაც შადიმანს ღალატით
ქართლის ცა რად შეუზარავს?!...
სააკაძის ხმალს დავნატრით
და ვახტანგ მეფის მუზარადს...
მზე შუბის ტარზე დახრილა,
ჯვართან შეიკრა კამარა...
მეფე ერეკლეს მახვილმაც
მტრის ჯავრი დაასამარა...
გალა... დროშები ფხოველთა,
გაშლილან როგორც აფრები...
ჰგავს კვართი სვეტიხცოველთან
ანგელოზს ცაში აფრენილს...



ზურაბ ხაბაძე

უსათაურო და უმისამართოდ*

„ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად,
რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოელანდებათ“.
უილიამ შექსპირი

მე დავუმეგობრდი ერთ ლექტორს, პროფესორ პავლე ჯორბენაძეს. მან დედაბრიშვილი შეცვალა მგონი უფრო უკეთესისკენ. ჩვენი მსჯელობის საგანი ხან რა იყო და ხან – რა. განსახილველ თემაზე მეუბნებოდა: ნუ ამტკიცებ, შენთვის წერე, თუმცა შენთვის ნაწერი თუკი ის ღირებულია, სხვისთვისაც გამოდგება.

ერთხელაც, ჩვენი საუბარი ხელოვნების რაობას შეეხო, რომლის დროსაც მან მითხრა: ანგარიში ყველაფრისადმი გასაწევია, მაგრამ რაც შეეხება ხელოვნებას, მეეჭვება, რადგან პლატონის აზრით „ის რაც ხალხს მოსწონს... ადვილად არის განსაჭვრეტი და დასამახსოვრებელი... მშვენიერებას არ შეიცავს. ის კი არ არის მშვენიერი რაც ბრბოს მოსწონს, არამედ ის რაც კერძო რჩეულებს“.

– იმავე პლატონის მოსაზრებით „ნამდვილი მსაჯული ბრბოსავით არ უნდა აფასებდეს მუსიკალურ ნაწარმოებს“, ეს შეხედულება ეწინააღმდეგება ზაქარია ფალიაშვილის მეთოდს. იგი ხომ ბრბოსაც ასმენინებდა? – შევეპასუხე მე.

– მართალია, მაგრამ იცი რას გეტყვი? – ნათქვამის არეალი გააფართოვა პავლემ. – ამ შემთხვევაში პლატონიც მართალია და ფალიაშვილიც, იმიტომ რომ ერთი კომპოზიტორი იყო, მეორე ფილოსოფოსი. ხელოვნების, უფრო სწორად მუსიკალური სმენის, თვალსაზრისით ფალიაშვილია მართალი, ხოლო ფილოსოფიური თვალსაზრისით – პლატონი, თუნდაც იმიტომ, რომ მისი მოწაფე, არისტოტელე, ხელოვნებას შემდეგნაირად განმარტავს: „ხელოვნება არის ადამიანის მანიფესტაცია და... ამის გამო უნდა ეწოდოს მას თავისუფალი ხელოვნება“.

– ეგ როგორ უნდა გავიგოთ, ბატონო პავლე? – მივუგე მე. – მანიფესტაცია, ხომ ლათინური სიტყვაა (manifestio) და ნიშნავს გამოცხადებას, მასობრივ მსვლელობას ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავად.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 5, 6, 2015 წ.; № 3, 4, 6, 2017 წ.; № 3, 2018 წ.

– ანტიკური მოაზროვნეები ყველაფერს პოლიტიკას უკავშირებდნენ, დღეს კი საქმე მთლად ასე არ არის. მანიფესტაციის განსაზღვრება ასეთნაირად არ მიესადაგება ხელოვნებას, რადგან ხელოვნების უშუალო მიზანი სათნოებას არ გულისხმობს. – მეუბნება პავლე.

– პლატონის აზრით, „გრძნობათა წინაშე, გაშლილ სამყაროზე უშუალო დაკვირვება მეტს ცოდნას გვაძლევს, ვიდრე თუნდაც უდიდესი მგოსნის მიერ შეთხზული პოემის კითხვა“. ამაზე რას იტყვით? – ვუსვამ კითხვას თანამოსაუბრეს.

– შეიძლება მართალი იყოს პლატონი, მაგრამ ხომ არსებობს დანტე ალიგიერი? – მიმტკიცებს თავისას პავლე. – განა დანტეს უნახავს ჯოჯოხეთი, რომ უშუალო დაკვირვება ეწარმოებინა მასზე? ან რომელ ფილოსოფოსს უნახავს იგი, რომ მის შესახებ აზრი გამოეთქვა? დაკვირვებამ ცხოვრების მიმართ, პლუს გენიის წყალობამ მისცა დანტეს შესაძლებლობა მისებურად გაეაზრებინა ჯოჯოხეთის სცენები და როცა კითხულობ გჯერა მათი. მაშინ, როცა პლატონის აზრით, ხელოვნება აძინებს კაცს და მატყუარა სიზმრებს ჰგვრის. მხატვრული შემოქმედება ფილოსოფოსობა და ჭეშმარიტების ძიება კი არაა, არამედ სიცრუეში ჩაძირვა და სულის გაბინძურებაა, რაც ჩემთვის მიუღებელია.

– ალბათ, ამიტომაც თქვა არისტოტელემ ამაზე, რომ „პლატონი გენიოსია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მეტია“.

– დიახ, დიახ, „სახელმწიფოს“ მეათე წიგნში პლატონი წერს: ძალიანაც, რომ გძაგდეს მასხარის პიროვნება, თუ დაიწყებ გადაჭარბებული სიამოვნებით მასხრობის მოსმენას, თეატრში იქნება ეს თუ კერძო საუბარში... მოგივა ის, რომ თვითონაც მიჰყოფ ხელს იმას, რაც სხვებში მოგწონდა. პლატონი ჭეშმარიტების ნაცვლად ჭორებით კვებავს საზოგადოებას. – ამყარებს ჩემს ციტირებას პავლე.

– კომედია ნაკლებად მომწონს და მიზიდავს, მის ნახვას და მსახიობის ტაკიმასხრობას მოლა ნასრედინის ოხუნჯობის კითხვა მირჩევნია, თუმცა ამას ვერ ვიტყვი თეატრსა და კინოში სანდრო ჟორჟოლიანისა და აკაკი კვანტალიანის განსახიერებულ როლებზე. – ვერთვები საუბარში მე.

– პლატონის აზრით, საქმეზე პოემების წერას, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, საქმესთან შედარებით. ერთი სიტყვით, მან იცოდა სინამდვილის ზედაპირი, მისი გარეგნული ქერქი და არა ამ სინამდვილის არსება.

– იგივე პლატონის შეხედულებით, ტრაგედიაც ზნეობრივად რყვნის საზოგადოებას, თავისი ქცევით არც ტრაგედიის გმირები ემსგავსებიან ბრძენთ. არადა, პირიქით მგონია, – ვამტკიცებ მე. – განა შექსპირის „ოტელო“ რყვნის საზოგადოებას? ან გნებავთ მოქმედი მსახიობები? მე კინოში მინახავს ლოურენს ოლივიეს „ოტელო“. მიუხედავად ინგლისურის არცოდნისა, იმდენად კარგი იყო, არც მჭირდებოდა თარგმანი. შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, როგორ ტიროდა ოტელო, მთელი თავისი აგებულებითა თუ არსებით ქვითინებდა – ეს რა ჩავიდინეო. ალბათ, თვით პლატონისთვის მისაწვდომი რომ ყოფილიყო ეს სანახაობა, მაინც არ იტყოდა ამდაგვარად.

– პლატონი ამბობს: „ბრძენი ის არის, ვისაც აქვს უნარი თავისი გრძნობების ბატონი იყოს... თავისი სულის მგრძნობელობითი ნაწილი დათრგუნოს სულის გონიერი ნაწილის საშუალებით“. ასე რომ, მისი აზრით, ეჭვიანობაც უნდა დათრგუნოს ბრძენმა. სხვა შემთხვევაში დავინახავთ უბრალო ცხვირსახოცმა სანამდე მიიყვანა ადამიანი. ოტელო, ვერ იმორჩილებდა თავის გრძნობებს, ვერ ბატონობდა მასზე. ფილოსოფია კი აძლიერებს სულის გონიერ ნაწილს, რომლის საშუალებით ვეუფლებით ჩვენს ვნებებს, ჩვენს მგრძნობელობას, ე. ი. ჩვენი სულის უგუნურ ნაწილს. – ამბობს პავლე.

– გეთანხმებით. მაგრამ, რა კავშირშია ხელოვნებასთან ეჭვიანობა, ან კიდევ გრძნობების მოთოკვა? პირიქით, მგონია, რომ, რაც უფრო ტემპერამენტიანი და ემოციურია მხატვარი, მით უფრო

საინტერესოა მისი შემოქმედება. – გამოვთქვამ საკუთარ მოსაზრებას მე. – არისტოტელეს აზრით, „მიბაძვა რომელსაც ეწევა ხელოვნება ყოველი არის ტიპიზაცია“. იგი ეწინააღმდეგება, არ იზიარებს თავისი მასწავლებლის, პლატონის, კონცეფციას და ამბობს: ვინც აზროვნებს... აზროვნების პროცესში სიამოვნებას განიცდის... სწორედ ხელოვნება არის ისეთი მოქმედება, რომელიც თავისთავად არის სასიამოვნო. უპოემოდ ცხოვრება წაართმევდა კაცს ადამიანური არსებობის ერთ-ერთ ნიშანს და დაამსგავსებდა მას ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მიერ დამონებულ პირუტყვს. ასეა, ჩემო კარგო, სანამ ადამიანი არსებობს, ყველაფერს აქვს თავისი მეორე მხარე. იგივე არისტოტელეს აზრით, გენიოსი მხოლოდ ხელოვნებაში შეიძლება იყოს ადამიანი, სადაც ინტუიციით უნდა განჭვრიტოს ბევრი რამ, რასაც ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ვერ იზამ.

– ხელოვნება იმიტომ კი არ არსებობს, რომ კაცს დაანახოს ის სასიხარულო საგანი, რომელსაც ხელოვანი ბაძავს. ძალიან არასასიხარულოც რომ იყოს, თუ კი იგი მოექცა ხელოვნების ჩარჩოებში, სწორედ მაშინ ხდება სასიხარულო. – არისტოტელეს სხვა ციტირებას მთავაზობს პავლე.

– არა მგონია, ბატონო პავლე, მთლად მასე იყოს. ვერ დავეთანხმები არისტოტელეს ამ აზრს, იმიტომ, რომ ხელოვანმა უნდა იცოდეს რა დახატოს და რა – არა. მაგალითად, ჩაის პლანტაციებში დასახატავია თუ არა ჩაის ბუჩქი, ან რომელიმე ქარხანაში რკინის მილები? – ვაცხადებ მე.

ბატონ პავლეს გაეღიმა. – სწორედ მაგაშია საქმე. მხატვარს დიდი განათლება და ხედვა სჭირდება იმისთვის, რომ იცოდეს რა დახატოს და რა – არა. არც ერთი ძველი იტალიელი მხატვრებისგან არ მინახავს ვინმეს ყასაბი დაეხატოს, გიგო გაბაშვილს კი დახატული აქვს. სხვა ბევრ მხატვართანაც მინახავს მსგავსი რამ. ხელოვნება უნდა აღწევდეს კანონზომიერების ჭვრეტამდე და ამით ეძლევა მას ესთეტიკური სიამოვნება.

– განა ყასაბი არ არის პრაქტიკული პიროვნება? – შევედავე თანამოსაუბრეს. – კი არის და უდავოდ ცალკე პორტრეტი შეიძლება დაიხატოს მასზე. – თავადვე გავეცი პასუხი დასმულ კითხვას. – მაგრამ, თუ ხელში არ დააჭერინე სისხლიანი ხორცი რა ესთეტიკას მიანიჭებს მნახველს. ზოგჯერ ბოროტმოქმედსაც ხატავენ, მაგრამ არა იმგვარად, რომ სხვებს დაანახონ რა კარგი საქციელი ჩაიდინა ამ კაცმა, პირიქით, იმგვარად, რომ ბოროტმოქმედება სხვებმაც არ ჩაიდინონ. ამის მაგალითია ლაოკოონი, რომელსაც გინდა დაეხმარო და ბავშვებიანად იხსნა გველისაგან.

პირიქითაა, ილია რეპინის „ივანე მრისხანე“, რომელიც სიბრალულის მაგივრად ზიზღს იწვევს, თუმცა ამ შემთხვევაშიც გეცოდება შეშლილი მამა, რომელსაც ვერ დაუმორჩილებია თავისი თავი და ნერვები. ნამუშევრის აღქმა აღქმაა. მთავარი მაინც ისაა, როგორ მიუდგება ხელოვანი გადმოსაცემ თემას. არისტოტელე ამბობს: ...ხელოვნებამ ქვეყანა ისე უნდა წარმოადგინოს... როგორც არის ეს ქვეყანა სინამდვილეში. ამაზე მეტი მხატვრულ რეალიზმზე არა უთქვამს რა. ამიტომაცაა საჭირო ვნებებისგან სულის განწმენდა (კათარზისი) და გულწრფელობა. რა თქმა უნდა უფლისადმი.

წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი (მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა) ამბობს, რომ „ფსალმუნების წერის დროს, მეფის სასახლის ახლოს ჭაობში ბაყაყი ყიყინებდა. გაიცა ბრძანება განედევნათ იგი, მაგრამ ამის შემდეგ მეფემ სამგზის ნახა... დიდი ბაყაყი, ესე იგი გომბეშო, რომელმაც უთხრა მას: „არ დაგანებებ შენ... რომ ადიდო ღმერთი, როგორც შენ არ დამანებე მე, ვადიდო ის“. მაშინ მეფემ თქვა: „ყოველი აქებდით უფალსა“. ამით იოანემ მოიყვანა მაგალითი ებრაელთა მეფის, დავითის, ცხოვრებიდან. მაგალითი იმისა, რომ ყოველი ადიდებდეთ უფალსო. მეც მაქვს შიში უფლისა იმ ქვეყნად არ მითხრას: აბა ერთი შენ რა გააკეთე ჩემთვისო. ასე, რომ იოანესი არ იყოს, არც უფლის დიდება მოგიტანს ცუდს.

უცებ ბატონმა პავლემ საუბრის თემა შეცვალა და ისევ თეატრზე ჩამოაგდო სიტყვა.

– სიბრალულიც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს თუ იგი ზომას გადააჭარბებს. ტრაგედიამ სიბრალულისა და შიშის ცოცხალი ემოციები უნდა აღუძრას მაყურებელს. მაყურებლის აღელვების გარეშე მხატვრულ ნაწარმოებს დაეკარგებოდა ყოველგვარი ეფექტი. თეატრი არის თავისებური კლინიკა, დრამატურგი არის ექიმი, ხოლო ტრაგედია არის ის წამალი, რომელმაც ვნებით დაავადებული სული უნდა განკურნოს. – ასე ამბობს არისტოტელე, მაგრამ ილია ამბობდა: „თეატრი ერის სარკეაო“.

თეატრი სჭირდებათ მაშვრალთ, ტანჯულთ და გაუბედურებულთ და არა ბედნიერთ, არა იმათ ვისაც მსუბუქი და გახარებული სული აქვთ, ვისაც არაფერი არ აწუხებთ. ღმერთებს თეატრი არ დასჭირდებათ და ისინი ვერავითარ სიამოვნებას ვერ ნახავენ თეატრალურ წარმოდგენაში. თეატრალურ სცენაზე წარმოდგენილი ტრაგედიით ღიზიანდება მაყურებელი, ამიტომაც არ მიმაჩნია მავრის თეთრ კანიანად ჩვენება მართებულად, იგი შექსპირმა იმიტომ წარმოადგინა მავრად, რომ უფრო მძაფრი გაეხადა სიყვარული და ამით დიდი საფიქრალი გაუჩინა მაყურებელს. ჩვეულებრივი ცხოვრება და ჩვეულებრივი ადამიანი ვერ მისცემდა მოკვდავს ისეთ აღზნებას, რასაც იგი თეატრებში „ოტელოს“ წარმოდგენაში ნახულობს.

– არისტოტელეს მოძღვრებით „გრძნობა არის კაცის ბუნებრივი ნაწილი და როგორც ასეთს... მოკვლა კი არ სჭირია, არამედ – მოვლა. თეატრიც უვლის გრძნობებს, აძლევს მათ თავისუფალი გაქანების საშუალებას“, მაგრამ ნიჰილიზმით დაავადებული ადამიანი ყველაფერს თავისებურად აღიქვამს. – ჩავერთე საუბარში მე.

ერთხელ საშიში ღელვის დროს პერონმა (ნიჰილიზმის მამამთავარმა) მიუთითა მეზღვაურებს ღორზე, რომელიც არხეინად იწვა გემბანზე გოჭებთან ერთად. აი ასეთი უნდა იყოს ბრძენი... სულაც არ აქცევს ზღვის ღელვას ყურადღებასო. თუ ცხოველად იქეცი ადამიანი, მაშინ არც ღელვის შეგეშინდება და არც ცურვის არცოდნის.

შიშის აღძვრისა და სიბრალულის საშუალებით ტრაგედია აღწევს ვნებათა განწმენდას. სიბრალულიც ტანჯვაა ტანჯვის მიმართ, ანუ, თანატანჯვა. ტრაგედია იწერება მხოლოდ ისეთი მაყურებლისათვის, ვისაც აქვს შემეცნების ნიჭი და შეუძლია ამის გამო სიბრალული და შიში განიცადოს. „ტრაგედია... სიბრალულისა და შიშის აღძვრის ოსტატობაა“.

– ყველა ადამიანი განსხვავდება ხასიათში სიავითა და სათნოებით, შემოქმედება კი ან ბუნებისაგან კარგად დაჯილდოებული კაცის საქმეა, ან – გადარეულის. ამათგან, პირველებს აქვთ უნარი სხვადასხვა ფორმა მიიღონ, ხოლო მეორენი ესთეტიკოსები არიან. ამას პლატონზე აქცენტირებით მოგახსენებ. – მეუბნება ბატონი პავლე. – პლატონი იმასაც ამბობდა „ზომიერება სიამოვნებისაგან და სურვილებისაგან თავშეკავებაა“. ამაშიც უნდა დაეთანხმო, მაგრამ ეს იმდროინდელი ხელოვნებისათვის (ოქროს შუალედი) არის დამახასიათებელი და მაგაში ვერ გაამტყუნებ პლატონს, იმიტომ, რომ ანტიკური ხელოვნება ვერ ეგუება გადაჭარბებას.

თუ ჩვენ სინამდვილეში ვნახეთ სამფეხა ცხენი, ის მშვენიერი სანახაობა კი არა, საზიზღრობა იქნება. ქართულ ზღაპარში გვხვდება მსგავსი არსება. მაგალითად, სამფეხა რაში, რომელიც ზეპირსიტყვიერებიდან სახვით ხელოვნებაში გადატანილი, ასევე, მშვენიერი ვერ იქნება, იმიტომ, რომ ეს მართლაც საოცარი ცხოველი ბუნებამ ოთხი ფეხით შექმნა. ადამიანის თვალიც ასეა შეჩვეული მასზე. ამიტომაც, თვალისთვის უხეში და შეუგუებელია სამფეხა ცხენი, თანაც – არაესთეტიკური.

– გასაგებია, ბატონო პავლე, მაგრამ ბერძნებმაც ხომ შექმნეს კენტავრი? პართენონის ბარელიეფშიც გვხვდება ფიდიასის „კენტავრომახია“ – როგორც „გიგანტომახია“, ისევე ბრძოლა „კენტრავრებთან“. ეს მოტივი ზევსისა და აპოლონის ტაძრებშიაც გვხვდება, რენესანსმაც წინ წამოწია ეს თემა. ჩემთვის პირადად სანდრო ბოტიჩელის „ვენერა და კენტავრი“ არის თითქმის გათანაბრებული

ბერძნების ხელოვნებასთან. მართლაც რა მოხერხებულად და დიდებულადაა კენტავრის თავი დამორჩილებული ქალღმერთის უნაზეს თითებს!

– ჩემი აზრით, მაინც ვერ მოახერხეს ბერძნებმა ორი მშვენიერი სხეულის შერწყმა. ცალკე კი ორივე მშვენიერია. როგორ ერწყმის ისინი ერთმანეთს ჰარმონიულად, სწორედ ესაა საკითხავი. – მერთვება საუბარში პავლე. – მართალია, ლეგენდებში მოხდენილად ჟღერს, რომ აქილევსს კენტავრი ქირონი ზრდიდა და ასწავლიდა სიბრძნეს, მაგრამ ეს ყველაფერი კარგია ზეპირსიტყვიერებაში. მშვენიერების პრინციპებისთვის მიუღებელია – ცხრათავიანი დევი ან ჰადესის ძაღლი „ცერბერი“, რომელსაც, ასევე, მრავალი თავი აქვს. რეალობაში არსად გვხდება ერთი სხეულის ორი თავი. გამონაკლისი ბუნების შეცდომაა. ზოგჯერ ხომ მახინჯიც იბადება? ორთავიანი ხბო, ხან კიდევ – ოთხფეხიანი ქალი. არ ვიცი, ჩემთვის პირადად მიუღებელია კენტავრის მშვენიერება ფერწერასა და ქანდაკებაში.

ამ საუბრით დავშორდით იმ დღეს ბატონი პავლე და მე.

მერე იგი ინგლისში გაემგზავრა. დაბრუნებიდან მეორე დღეს შევხვდით ერთმანეთს. უცნობ სამყაროსთან მისი უშუალო შეხების დეტალები მაინტერესებდა.

– დღეს 12 იანვარია. როდის ჩამობრძანდით ინგლისიდან? – ვეკითხები ბატონ პავლეს.

– გუშინ, დილის 6 საათზე. – მპასუხობს ის და თითქოს ჩემს გულისნადებს მიხვდაო, ძუნწად, მაგრამ საზღვარგარეთულ შთაბეჭდილებებზე მაინც მესაუბრება. – სხვათა შორის, არის მსგავსებები აქაურობასა და იქაურობას შორის. იქაც კლასებად დაყოფილია საზოგადოება. იქაც ახლოს ვერ მიხვალ მდიდრებთან. ძალიან სიძვირეა იქ.

– ნახეთ მუზეუმები?

– კი, როგორ არა, მაგრამ ერმიტაჟი უფრო მდიდარია თავისი კოლექციებით, ვიდრე ინგლისის რომელიმე მუზეუმი.

ამის შემდეგ ის უცებ ცვლის საუბრის თემას და მეკითხება:

– ვინ დაწერა „რომეო და ჯულიეტა“?

– შექსპირმა, თითქოს არ იცოდეთ. – ვპასუხობ მე.

– იცი რას გეტყვი. ნამდვილი ამბავია, მანამდე ვინმეს დაუწერია „ბანელო“, მაგრამ შექსპირმა უკეთ დაწერა და ჩვენც შექსპირის ვიწამეთ. ჩემი აზრით, რომანტიზმის იქით ვეღარ განვითარდა ხელოვნება. რა თქმა უნდა ახალი. ან პიკასოს დაემსგავსები ან რაფაელს.

– ბატონო პავლე, დრო ცოტათი იცვლება. ყველაფერი იმ დროშიც ასეთივე იყო, ოღონდ დაფარული. – მოკლე განმარტებით ვკმაყოფილდები მე.

– ფიზიკური შრომა კაცს ანადგურებს. რამდენადაც მას არც დრო აქვს და არც მოცალეობა. ქართველი გლეხი ღამითაც კი ამინდს დარაჯობდა – ხვალ არ გაწვიმდეს, ვაითუ ყანაში წასვლა ვერ შევძლოო. – მეუბნება პავლე. – ყველაფერი, რაც ხელოვნებაში კეთდებოდა, ელიტარული კლასისთვის კეთდებოდა. შენ რომ ამბობ, ხალხს ანგარიში უნდა გაუწიოს მხატვარმაო, არ არის ეგრე. ეგ კომუნისტების ლოზუნგია... ხალხი? ხალხი ბრბოა, როგორც მდინარე და სტიქია მიედინება თავისთვის. ძველი მხატვრები დიდ გასამრჯელოს ითხოვდნენ თავიანთი ნაწარმოებებისთვის. ყველაფერი შეკვეთით კეთდებოდა დიდი შრომისა და თავდადების ფასად. ამიტომაც იქმნებოდა დიდი ხელოვნება.

– კი მაგრამ, ბატონო პავლე, თქვენ ხომ წარმოთქვით ფრაზა – შრომა ანადგურებს კაცსო. თუ მასეა, მაშინ ლეონარდოც უნდა მოეკლა შრომას.

– არა, მაესტრო, მე შემოქმედებით შრომას არ ვგულისხმობ. ლეონარდოს მეცნიერული ნაწარმოებებიც შემოქმედებითია, ის არც იმაში დამცირებულა, რომ მისი მოსწავლე რაფაელი იყო.

– განა შემოქმედებითი არ არის ყველა შრომა, – შევეპასუხე მე. – მაგალითად, მამულაიშვილი არსებობდა, მგონი, მცხეთაში, რომელსაც ყვავილების ბაღი ჰქონდა მოშენებული. მან მ. კვესელავას თხოვნა შეასრულა – ქვაზე ამოსული ყვავილი მოუტანა – „შეხედე სიცოცხლე ქვაზეც კი ხარობსო“.

– ესეც ელიტარულს უკავშირდება. – თავისას გაიძახის პავლე. – გაიხსენე კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“: „რაოდენ შიმშილისა და მსხვერპლის ხარჯზე აშენდა სვეტიცხოველი. სიყვარულიც, რომ სიყვარულია იგიც კი მეფე გიორგიმ წაართვა არსაკიძეს“. განა რუსთაველისეული სიყვარული და არსენა ყაჩაღის სიყვარული ერთი და იგივეა?

– ამით იმის თქმა ხომ არ გნებავთ, რომ გაუნათლებელი კაცი რაინდად ვერ ჩაითვლება? – ვუსვამ კითხვას თანამესაუბრეს.

– დიახ, ცხოველურ ინსტიქტებს აყოლილი და სულით დაცემული ადამიანი ვერაგია, ვერაგი თუ არა, ეგოისტი. თუ არა და – დაკომპლექსებული.

– ამაში ვერ დაგეთანხმებით, ბატონო პავლე. კეთილისა და ბოროტის კვალიფიკაციები სწორედ არისტოკრატულ მორალთან შეპირისპირებაში იბადება. – ვერთვები მე. – „ბოროტი“ მონათა მორალში არის ყველაფერი ის, რაც ბატონთა მორალითაა გამართლებული. „კეთილია“ ყველაფერი, რაც დაჩაგრულის, სუსტის, არსებობას გააადვილებს. მონათა მორალში ბატონთა შეფასებების სრული გადაფასება ხდება. წოდებრივად მაღალი ადამიანი და მისი სულიერი მდგომარეობა კვალიფიცირებულია როგორც „ბოროტება“, „კეთილი“ კი – უძლური, ტანჯული და ღატაკია.

გაგრძელება იქნება

აჭარის დედაქალაქის დაბადების 140-ე წლისთავისთვის

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს მატიანე

შინაური მიმოხილვა, 1879 წელი, თებერვალი.

ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი – აჭარლები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა, იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არავინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო; არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი. „დროების“ №32-ში კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმეთაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამც თუ გადამეტებულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს, არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს, რაც საცოდაობა აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა. ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა – ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალხსა. არ დააკვირდება მის აწინდელს მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით, თუ სხვა ღონისძიებითა და თუ დროებით მაინც არ ამოუშვა იმ მოვალეობისაგან, რომელიც ხაზინის ინტერესს შეადგენს. ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელი საჭიროებაა ქობულეთის და აჭარისათვის, თუ მთავრობას ჰსურს დაანახვოს ხალხსა თვისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა-და სანატრელია ყოველი კაცისათვის, სახელდობრ – ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო. მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას, და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოო საქმის წახდენა და

ღალატია სახელმწიფო საქმისა. ეგ შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არაფერს დაჰკარგავს: ხალხი, ფეხზედ წამომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელ-საკმელი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი მხარე მთავრობისა ფეხადგმული არ არის ჯერ აჭარასა და ქობულეთში, თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავ. გრიგოლ გურიელი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიყვანს...

ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში. რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირვება საშინელია მარტო ის ამტკიცებს, რომ თითონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმისი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ არ იცის, რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ეძნელება და ემძიმება. სჩანს მართლა დიდი უბედურება უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებული იქმნა ეგ უბედურება ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიშველებია კიდეც გაჭირვებულს ხალხს, მაგრამაო იგი შველა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის! რატომ იმდენად არ მიჰშველებიან, რამდენადაც საკმარისია? რაო? სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია? განა ამისთანა შემთხვევაში, უღონობის გარდა, სხვა რამ მიზეზიც შეიძლება რომ იყოს! უღონობა კიდევ ჭკუაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრნია, რით ავხსნათ ეს ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თვის გარშემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს. ან სულ ჰო, ან სულ არა. აქ ორ წყალ-შუა დგომა უადგილოა და ამაზედ მეტიც, თუ სწორეს გვათქმევინებთ...

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანაებში მოვალე და ყოვლად-შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულისტკივილითაც შევყურადეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალს დედას. როგორ ტყის ნადირსავით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედ-დანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საცოდავი კნავილი ბავშვისა: „მამავ, პური, მამავ, პური“... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავი ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ – უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწილებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალწინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო... იცით მერე ამისთანა ყოფა რა ტანჯვაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ხედავ, რომ გარშემო მთელი მაზრა, ათას-ათასი ღვთის-კერძო ადამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიშვლები, მშივრები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი!..

აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწო-

დე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. აქ უკან დახევა სირცხვილია და ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი. ამ ძმობამ ჩვენი ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!.. ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის – რა არის შველა. რა არის ძმობა გაჭირვებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს; რედაქციები „ივერიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე მზად არიან მაგ შესაწირვის მისაღებად. ჩვენ ვურჩევთ, რომ შემწირველთა უფრო „დროების“ რედაქციას მიჰმართონ, რადგანაც „დროება“ ყოველ-დღე გამოდის და ამის გამო მას შეეძლება ყოველ-დღე აუწყოს საზოგადოებას შეწირულის ფულის ანგარიში და ამასთანავე შემწირველთა სახელებიცა.

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!.. ახლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც სწუხ და ჰფიქრობ!..

ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დასცემია აჭარა-ქობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა – დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გაზეთ „Голос“-ში დაბეჭდილი იყო კორესპოდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდილი, რომ აჭარლები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო. ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა, კორესპოდენტმა, მაგრამ გამჟღავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ისეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიო სახელმწიფოს წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ...* (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი) თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში...* (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი) მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, – სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში? ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს – ვიმეორებთ – მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, – და მიდის სად? ოსმალეთში...* (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი) რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართალი ამბავია!..* (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი) რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ – სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავისი დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდგანვე, რისთვისაც იღწვის და ამ წუთისოფელის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, – დიაღ, სტოვებს და მიდის სად?..* (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი) ოსმალეთში!..

ეს რა ამბავია, რა ამბავია!.. ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარ იყენებს, ვეღარ იშვნევს, ვეღარ ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიდისო... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის საით... რამ მიიყვანა საქმე იქამდის. ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რამდენიმე კაცის გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზედ დგება. ამათ შორის, საცა გამოგდებული სამსახურიდან კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდის მიიყვანს საქმეს...

ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია...

უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ...* (აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი) მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაეანახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავ-კარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედგამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აწყოს. ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა, ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალწინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამაპაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა – შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდან აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...

ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1957, გვ. 466-475.



პაპაკი წერეთელი

დღევანდელი ლხინი...

ბატონებო!

ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირად დავსწრებივართ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა, მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავად, რომ ხანდახან ამ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ჭმუნვის ღრუბელი გადაჰკრია, თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწყვეტდათ გულსა. თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ინაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე.

დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლულო და სიხარული უღრუბლო! და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითეული თქვენთაგანიც კარგადა გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენის მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება.

დიაღ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია.

და რა იყო, ბატონებო, ეს ანდერძი?

...აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო: დედაენა და ერთობა! ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარხსენებულს მამა-პაპებს.

პირველი, ესე იგი, ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება, და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელნიც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ესე იგი, ერთობა. ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთ გვარად აუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის, საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთის შეხედვისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც: ამის დასამტკიცებლად შორს ნუღარ წავალთ. – საკმაოა, რომ აქვე, აი სუფრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენის წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქეთაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი!

დიაღ, დღემდი თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილათ და ძლიერად ავასრულებთ, თუკი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს.

აქ ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ: მტრის და მოყვრის პასუხის გება! ვისგანაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.

ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადებს, და ვინც აგვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დავუმტკიცოთ სიყვარული...

თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭული...

მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, – და უბედობას ვეწინააღმდეგოთ!

ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა.

მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისეთ შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ.

გაზ. „დროება“, №239, 1878.

გრიგოლ ორბელიანი

რა გვიხარიან?

ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულო მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო, განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, – ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

ჩვენცა, აგრეთვე, საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვვიწყებია დაშორებული ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვინატროდით, როდეს აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა.

და აი, დღეს გვისმინა ღმერთმაცა და დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა, მოხარულნი ვმადლობთ უფალსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად... და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედასაქართველოს შვილნი.

გაზ. „დროება“, №239, 1878.

შერიფ ხიმშიაშვილი

ჩვენ გვინდა განათლება

კაი იქნება, ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული, მაგრამ თუ იგი არ მოხდა, საცაა უნდა იქნეს, ვინატროთ, ბედნიერად იყვნენ. განათლება სჭირდება, ბატონებო, იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ... და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლურად დატოვებთ.

გაზ. „დროება“, №126, 1878

წერილები



მამია ფაღავა

ექსპედიციის დღიურები[1]

30 ივლისი, კვირა. **გაღმა ქორაჲთ** უნდა დავიწყოთ მუშაობა. მცირე დასახლებაა მასისის მარჯვენა სანაპიროზე, შემაღლებულ ადგილას, გაშენებული.

შენიშვნა: სათავეში მდინარეს **მასისს** ეძახიან, დაბლა – **ელიასხევს**. პირველი სახელი დაბადების ადგილის მიხედვით შეურქმევიათ, მეორე – იმ სოფლის მიხედვით, რომელსაც ჩამოუვლის და შუაზე ყოფს. აქაც იგივე მეორდება, რაც შავშეთში: შავშეთისწყალს სათავეში ფაფართი ჰქვია, დაბლა – შავშეთისწყალი...

გზად სასტუმრო „მასისთან“ გავჩერდით. მევლუდ დოლენჯოღლი გამოგვეგება, ჩვენი მეგობარი და მასპინძელი. იქვე, ეზოში, ძელსკამზე ჩამოვსხედით. ბარემ ვიტყვი, რომ მევლუდი კარგი მექართულეა და, რაც მთავარია, დიდი ინფორმაციის მატარებელი; ამიტომაც, სადაც კი დავიმარტოვებთ, ვცდილობთ, მოვათხრობინოთ რამე, ისიც გვიამბობს დაუზარებლად...

დღესაც, ჩვენი შეხვედრისა და მოკითხვის შემდეგ, ვთხოვეთ მევლუდს, ადგილის სახელები ჩაგვაწერინეო.

– წყალი არი დამდგურებული (აქ: დამდგარი – ავტ.), **სახტომიდან დევწყოთ**:

ჴარის საწვენი (შდრ.: ხარი ჲათაღი)...

მერე ერთი ოჯახის ქოხები არი, იქ წყალი არი, ხელ ვერ შეყოფ, მოდრიკავს. დღეს გევნეს, პიკნიკი იჯებიან, დიდი სასრ̇ნი (სასვენი – ავტ.) **არი**, **სანჩხრის თავი**. **სანჩხრის თავში ყოფილა *სატყეპი,**

კულუშისი წყალი,

პეტრაჲ **დურგი (ზურგი – ავტ.),

დიდი დურგი,

წოწოლ ტბაჲ,

დიდ ხაშული,

ლომბი ტბავი (ლომის ტბა – ავტ.),

სარცხი ტბავი – კვირაში ერთი დღე სარცხელი დრო ყოფილა, იმ დროზე ხალხი გევდოდეს, სარცხელს იქმოდეს.

***სატყეპი** – საინტერესო სიტყვაა, სამჭედლოს მნიშვნელობით. მჭედელი სცემს (ूროთი), **ტყეპავს||ტყიპავს** რკინას. **ტყეპა** ტაოურში ცემასაც ნიშნავს: ქორწილში „გავსტყიპეთო პარხლელები“, – უთხრა ერთ დღეს მალხაზსა და ზაზას მევლუდმა (მალხაზმა მომაწოდა ინფორმაცია).

****დურგი** გამოთქვა მევლუდმა, იგივე გაიმეორა ჩაკითხვის შემდეგ.

დავაკვირდეთ მევლუდის თხრობის მანერას: დაასახელებს გეოგრაფიულ სახელს და მოაყოლებს განმარტებას.

---

[1] დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 2018 წ.

ცოლმა დაუძახა ლაპარაკში გართულ მევლუდს, შემოდიო სასტუმროში.

– რასმე ვწერავთ და მოვალ! – გასძახა მევლუდმა. შემდეგ მომიბოდიშა, მალე მოვალო და სასტუმროს ჰოლში შევიდა.

„მასისის“ ეზოში ვართ. ჯგუფებად დგანან ექსპედიციის წევრები: ვინ ახალჩამოსულ მერაბ ხალვაშსა და ადამ მახარაძეს ელაპარაკება მდინარისპირა ფანჩატურში, ვინ მანქანასთან დგას და აბოლებს, ვინ კიდევ ფოტოგრაფირებითაა დაკავებული. მე, ქალბატონი თინა და მაია ვსხედვართ თაკარა მზის ქვეშ მევლუდის მოლოდინში...

აი, მევლუდიც გამოჩნდა ცოლისგან თავდახსნილი. გვერდით დამიჯდა და ერთი ამბავი მომიყვა, ვფიქრობ, საინტერესო:

„სარცხელი დღე არ ყოფილა, ბიჭი გასულა, სარცხი ტბავში შეხედავს კი, ლამაზი გოგო იბანავს, თმები დიდი აქ. მივა, გეჯხედავს კი, გოგო დეჯნახავს კაცს, ჩეეფლობა (აქ: ჩაყვინთავს) **და დეჯმალვის** [წყალში]. **სავარცხალი დარჩა გოგოს**. [ბიჭი] **სავარცხალს ასწევს და მეჯპრის, *წუმუვა ასე. გოგოც ადგება კი ტარაღი** (სავარცხელი – ჩამწ.) **არ იქნება, იტირავს. ი ტარაღი დიდი ოქროჯდან ყოფილა. ბიჭის უკნიდან წუმოვა** [ქალი]. **ჩქარა და ჩქარა ბიჭი ჩუმუა აქე, ჭამის უკნედან** (აქ: წინ) **ჩუმუა. ის გოგო ფერი გოგო ყოფილა. უთქვია** [ბიჭისთვის], **ნაჩუქარია, ვისმე უჩუქებია**.

ჩვენ რაცხას გვაჩუქებენ, შევნახავთ.

ბიჭს უთქმია კი, დავქორწილდეთ!

დაქორწილდენ.

ქალი ფიქრობს, ტარაღ მეჯპრის, წავა.

ტარაღი კაცმა დამალა, ქალი ვერ მეჯპრის. ბაღნები მეეწრებიან, არ ულაპარაკია. ხუთ წელ უკან იპუებს ტარაღს. გეჯქცევა, წევა. ამ კაცს უთხრა: მე იქ გავალ [ტბაში], **სისხლი თუ დეჯნახე, წადი, თუ ვერ დეჯნახე, მელოდე.**

გავა ტბაზე. ამას [ქალს] **აღარ შუუშვებენ ტბაში, დაჰკლვენ. კაცი გევა, ტბა სისხლიანია... წუმუა. ორი ღარჭი დარჩა. იმიდან არიან ფერიანნი**“.

მშვენიერი ლეგენდაა ფერი ქალისა და სოფლელი ბიჭის სიყვარულზე. ადრეც მომისმენია ანალოგიური თქმულება ელიასხევში. ბარემ აქვე მოვიტან ძველ ჩანაწერს:

„...იმ ტბაში ემე ყოფილა, ფერი. იცით ფერი? ჰოდა ისეც (აქ: **ისიც**) **არ ვიცი, ილაპარიკებენ, წორია, მართალი. ინტკორ ჩვენი ჯაილა არი, სანჩხერ არი, შილალე, იმის თავ არი ასე ბევრი, დიდი ვაკე. იქ ჯაილაში მიდიან. იქ გასულან ჯაილაში. ერთი ბიჭი რამ ყოფილა, საქორწინებელი ბიჭი. გასულა იმ ტბაზე ერთ დიდზე კი. ხედავს ფერი გოგო ტაღრუჯობს და იმა დეაშიკება. რა არი ეს დაეაშიკება? ის ფერი გოგო ჩუმუუყვანია სახში, მარა** [ქალს] **ბევრი ვერ უცოცხლია კარზე. ერთი კვირა დამდგარა. უთქვია, წიმიყვანე სახლისკეო. მუუყვანია. ტბაში შესულა** [ქალი], [ბიჭს] **დუუნახია კი, სისხლი ამოსულა, დუუკლიან. ასე ილაპარიკებენ ძველი კაცები, ბერები**“.

ეს ამბავი რეჯებ ქესკინმა მომითხრო 1995 წელს.

მევლუდის მონათხრობში ერთი ინფორმაციაა საყურადღებო, რომ **ფერი ქალის** ჩამომავლებს უწოდეს **ფერიანნი.** ელიასხევში გავრცელებული ერთი ქოხის სახელის, შტო-გვარის წარმოშობა უკავშირდება „ფერის ქალის“ ლეგენდას...

სხვა ქოხის სახელების შესახებაც უნდა იყოს გადმოცემები ტაოს მექართულე სოფლებში, სხვა თქმულებებიც, ყველაფერს მოძიება და ჩაწერა უნდა. ყველაფერი უნდა ჩავიწეროთ, რაც ჯერ კიდევ ახსოვთ ტაოელებს. დღეს არ თუ ვერჩაწერილი სიტყვა თუ სახელური ან ზმნური ფორმა, დამხმარე სიტყვაც კი, ხვალ შეიძლება ვეღარ მოვისმინოთ. მენანება ყოველი დაკარგული სიტყვა. ჩვენი მთავარი ვალიც ესაა, ჩავიწეროთ და შევინახოთ ყველაფერი, რასაც მოვისმენთ, რასაც მოგვითხრობენ ტაოელები.

დუგურში წადითო დღეს, გვთავაზობს მევლუდი, სოფლებიდან პიკნიკზე წავიდნენ, ხალხს იქ ნახავთო. მე საქმე მაქვს, მოვაგვარებ და ამოვალო, – გვეუბნება.

– და ეს დუგური ჯაილაა თუ საპიკნიკე?

– უწინ დუგური სოფელი ყოფილა, ყურძენი მოვდოდა!

– მთაში, მასისის კალთებზე, ვაზი ხარობდა?

– იხარებდა: ჯინეში, ცხენი ძუძუ, კარული, კურტაჯ||კურტაჯ.

ჯინეში და **ცხენის ძუძუ** კლარჯეთშიც ხარობდა, **კარული** და **კურტაჯ** ჭოროხის ხეობაში დღემდე არ შეგვხვედრია...

– დავუჯეროთ მევლუდს და წავიდეთ დუგურში! –ასეთია ექსპედიციის გადაწყვეტილება.

მევლუდი გზას გვასწავლის!

მანქანაში ჩავსხედით და გზას დავადექით...

გზა მაღლა-მაღლა მიიწევს, ორ საათამდე დაგვჭირდა დუგურში ასვლამდე.

დუგური მასისის მთის ძირშია, ალპურ მდელოებზე. კარვები გაუშლიათ მოპიკნიკეებს პატარა მდინარის, – მასისის ორივე მხარეს: ცეცხლს აჩაღებენ, ზოგი ჩაისთვის წყალს ადუღებს, სხვები – მაყალზე ხორცს წვავენ... ერთი სიტყვით, დიდ სამზადისში არიან დუგურის სტუმრები.

მოლაპარაკეს ეძებენ ექსპედიციის წევრები: კარვებთან მიდიან, ეცნობიან მოპიკნიკეებს. მე მდინარის გაღმა, მარცხენა ნაპირზე გავედი, იქ, სადაც წყაროა, ცივი, ხელს რომ ვერ ჩაყოფ ისეთი და სადაც რამდენიმე ოჯახი სუფრას შლიდა.

წყაროსთან მივედი, მევლუდის ნაქებ წყაროსთან. წყალი დავლიე. ყურში ჩამესმის მევლუდის სიტყვები: „ხელს ვერ ჩაყოფ წყალში, [ცივია], საზამთროს ჩადეფ, გასკდება“. წყალი ცივი კია, მაგრამ ხელი რომ ვერ ჩაყო ისეთი არა. სხვა რა ვთქვა, საზამთრო არ ჩაგვიდვია წყაროში, არ გაგვისინჯავს, გასკდებოდა თუ არა, მრავალთაგან იმ უბრალო მიზეზით, რომ არ გვქონდა. „წყალში ხელ ვერ ჩაყოფ“ ფრაზეოლოგიზმია ჭოროხის ქვეყნებში გავრცელებული, წყაროს სიცივის ხარისხის მაჩვენებელია იგი.

წყაროსთან ძმები ჩეიჯანები (ჩეჩეჯები) და მათი მამა ჰაკი გავიცანი. ავუხსენი, ბათუმიდან მოვედით-მეთქი, უნივერსიტეტის პროფესორები ვართ, თქვენზე წიგნს ვწერთ და მასალებს ვაგროვებთ-მეთქი...

ჩანს, მოეწონა ჰაკის ჩემი ნათქვამი, გვერდით გამიხმო, ქვაზე ჩამოვსხედით...

რამდენიმე წინადადებით მომითხრო ჰაკიმ მის შესახებ: 74 წლის ვარ, იმამი ვიყავიო, ახლა ემექლი (პენსიონერი) ვარო. ბურსაში ვცხოვრობ შვილებთან და მათ ოჯახებთან ერთად. ახლა აქ ამოვედით, დაბლაა ჩემი სოფელი, ათი დღის შემდეგ ბურსას წავალთო.

ჩანს, უყვარს ჰაკის მშობლიური მთები: ფეხზე გაუხდია, პერანგის ღილები შეუხსნია... სიამოვნებს მთის სუფთა და გრილი ჰაერი.

ჰაკი მზადაა სასაუბროდ. მკითხე, რაც გინდაო, მეუბნება.

– ჰაკი ბატონო, ადგილის სახელები ჩამაწერინე, შემდეგ სხვა ამბებიც მომიყევი, სოფელში გაგონილი ძველი და ახალი ამბები.

სანაცრიე,

საპწკინალო,

მადენი (გოზლუღებზე ხმარობენ – ინფ.),

სასლიპავი – იქ სამოცდაათი ქოხი ყოფილა, გოლი ყოფილა კიდევ.

პატრაჯ მასისი, კრატერი არი იქა, ვულკანი ჩუმოსულა.

ჭიშკარი,

ქორსანაცრიე.

ბევრი უნახავს და გაუგონია იმამყოფილს; ცდილობს, გაიხსენოს და მომითხროს. ერთი ასეთი ამბავი მომიყვა:

„ქელაზორი არი, იქომ საყდარი ყოფილა, ქეშიში მჯდარა, სომეხი. დილაზე ამდგარა, მასისზე თეთრი რამ დუუნახია. [კაცები] **გაგზანა, მიდით, ნახეთო**.

მისულან, უწევნიან, ხელი დამზრალა, წუმუღიან, დამდნარა.

[ქეშიშს უთქვამს] **აქ აღარ დეჯდგომებაო, ამდგარან, წესულან**“.

იგივე თქმულება მცირე სხვაობით ჩავიწერე 1995 წელს ელიასხევში. ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა: პირველად ნახეს ტაოელმა სომხებმა მასისზე თოვლი? იქ ხომ მთელი წლის განმავლობაში დევს იგი? აბა, სომხები||ერმენები რომ ამტკიცებენ, ტაო ჩვენიაო ისტორიულად?!

ნეტავი, რატომ გაჩნდა ეს თქმულება? ვიცი, მიპასუხებენ, მარადიული გაზაფხულის იდეეაო ჩადებული ამ თქმულებაში. კი ბატონო, მჯერა! მაშინ სხვა კითხვას გავცეთ პასუხი: ქელაზორის მონასტერში რატომ მაინცდამაინც სომეხი ქეშიში იჯდა?

კიდევ ერთი სევდიანი ისტორია მომითხრო ჰაკი ჩეიჯანმა სომეხი ბიჭის სიყვარულის შესახებ:

„აქ ერთი სომეხი ბიჭი ყოფილა, ოლვილო. ქართველი გოგო დააშიკებია. უთქმიან კი, ქვეჲთ სადგიყანა (სადიკე ყანა – დააზუსტა მთხრობელმა – ავტ.), **რუ არ ხყოფილა, უთქვიან ქი, აქ რუ მეჲყვანე, გოგო'ნა მოქცეთ. აქ ერთი კილდე ყოფილა, ფინთი კილდე, გასაჭრელი, წყალი რომ მოვდეს. იმანაც იმ რიყეში შიშა მოზიდა, დაჯოხა კილდეზე. უნთია ი შეშა, ქვა გუუცხელებია, იმის უკან წყალი დუუსხმია, ი ქვა ისე გუუფრეწია, ისე გუუჭრია, წყალი მუუყვანია.**

– აჰა, რუ მევყვანე, გოგო – მომე!

გამოჰკიდებიან, შენ'ნა დაგკლათო!

გუ̈მუქცევლა, გუ̈მოსულა იქა (ხელით მაჩვენებს ადგილს მასისს გაღმა ფერდობზე – ავტ.), **ყვერე გუუკეთებია, წყალი დუუგუბებია, გუუფრეწია და გესულა იმ წვერზე. ლომბი ტბა არი, იგი გაფრეწილა და წუუღია. იეთის ბიჭი თაზე აყუდებულა, თა** (აქ: ქვა – ავტ.) **შექნილა, ახლაც ჩანს** (ჰაკი მაჩვენებს „გაქვავებულ ბიჭს" – ავტ.)".

იმავე თქმულების ელიასხევურ ვარიანტში მოტყუებული ბიჭი კლდიდან გადაუგდიათ, **„დაბლა ჩავარდნამდი უძახია კი: ღმერთმა იმ წყლით მოსარწყავი ჭალა-ყანა ქვიანი ქნასა და არ ამოვდესა. ჰოდა, ის ჲაილა ისე ქვიანია, მეტი კაჲ ჭალა-ყანა არაა და იმა ილაპარიკებენ კი: ისე იმ სომხი ბიჭ ადე დუუდვია და იმი ბრალია. ამ ჲაილას კუპრეთი ქვია"**[2].

– რატომ გატეხეს სიტყვა გურჯებმა? – შევეკითხე ჰაკის.

– სომეხს ქალს არ მიცემდენ აქაურები! – მიპასუხა მთხრობელმა.

– კი მაგრამ ხომ დაპირდნენ, პირობაც დაუდეს...

– არ მიცემდენ, ისე იყო...

კონკრეტული პასუხი არ აქვს ჰაკის ჩემს კითხვაზე, მაგრამ იცის, რომ არ მისცემდნენ.

– ბატონო ჰაკი, აქაური გვარები, „ქოხის სახელები" ჩამაწერინე!

დოლენჯანი||დოლენჯიანი (შდრ.: დოლენჯოღლი||დოლენჯაშვილი),

სალიანი,
სოითრანი<*სოითრიანი,
იბრიმიანნი,
თათარიანნი,
დენგიზიანნი,
მეძაღლენი,
ხამწვანნი,
მოხლიკიანნი,
მუთაფიანნი,
ბასტაები,
ვოლელიანნი,
არხვიანნი,
ხიტიანნი,
დელგუზიანნი,
ჩეიჯანნი.

თითოეულ „გვარს" საფუძვლად მამაკაცის სახელი (ზოგჯერ ქალისაც) ან მეტსახელი უდევს, თუმცა ყოველთვის ნათელი არაა იგი: გასაგებია – **მეძაღლე**, მაგრამ გაუგებარია **მოხლიკი, ხამწვა...**

ჰაკისთან საუბრიდან რამდენიმე ფრაზას ცალკე მივაქცევ ყურადღებას:

– თოვლი *ფაჲ წუ̈მუა, წყალიდან ღვარი წუ̈მუა.

*ფაჲ – ზავის მნიშვნელობითაა ნახმარი.

– ვინმე რომ ავად გახდება, *ვამცხომლებთ: ქვაბში წყალ ადუღებ, ჯელაღინი ხალი გედეჲხურავ, გიდიეყუდები ზედა, კარქა დაგცხება, გამთელდები...

[2] მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი, 2005, გვ, 149.

***დამცხომლება** – გაციების, შეციების ანტონიმია, **დაცხომას** ნიშნავს.

როგორც ვთქვით, ჩვენ ახლა ალპურ ზონაში ვართ, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა, მასისის მწვერვალის ძირში. აქ ძველად სოფელი იყოო, მეუბნება ჰაკი, დილით იგივე თქვა მევლუდმა, ვაზი ხარობდაო, ახლაც არისო ვაზის ძირები, რამდენიმე ჯიშიც დაგვისახელა...

მოდი, ავიდეთ, მაჩვენეთ ვაზის ძირები... მსურს, დავრწმუნდე, ამ სიმაღლეზე სოფლის არსებობა მაეჭვებს. მაეჭვებს ისიც, აქ, 2000 მეტრზე მაღლა ვაზი რომ ხარობდა... საზაფხულო საძოვრები რომ იყო, სარწმუნოა, მაგრამ ვაზი ალპურ ზონაში... ვერ დავიჯერე.

არ წამიყვანა ჰაკიმ ვაზის ძირების სანახავად, ღორღია, ვერ დაინახავო...

ბავშვობა აქ გავატარეო, ჰაკიმ. ერთხელაც ვნახე, გარეული თხები ჩამოსულიყვნენ, შევშინდი, მამასთან გავიქეციო.

– ნუ გეშინია, წყლის დასალევად იქნებოდნენ ჩამოსულიო.

– ზამთარი დიდი იცის დუგურში?

– **დიდი თოვლი მოვა, „ფაჲც წუ̈მუა“**, მეუბნება ჰაკი, „**ეჲვსობა ჴევი**“.

კარგა ხანს ვისაუბრე ჰაკისთან. ამასობაში სუფრა გაშალეს და სადილზე მიგვიწვიეს. ექსპედიციის სხვა წევრებიც გამოვიდნენ ხევს გაღმა. სადილზე უარი ვუთხარი, მადლობა გადავუხადე ჰაკის, დავემშვიდობე და წყაროსთან შეკრებილებთან მივედი...

მალე ჩვენი წამოსვლის დროც დადგა. ფოტოები გადავიღეთ მასისის ძირში და დავტოვეთ დუგურ ჲაილა.

გზად მიტოვებულ სოფელში ვისადილეთ. ჩვენს წინ მაღალი მთაა, ქვიან-კლდოვანი და ძნელად მისადგომი. გვითხრეს, მთაზე „ძველი ციხეაო“ (ისე, კაცმა რომ თქვას, სადაა ახალი ციხე?!). მთის ძირიდან ვაკვირდებით. მსურს, ავიდე და ადგილზე ვნახო. ფერდობზე ავედით მერაბი, მალხაზი და მე. აქედან კარგად ჩანს მწვერვალი, სადაც, სავარაუდოდ, ციხე უნდა იყოს; ნაშენის კვალი არ შეინიშნება.

– არ ღირს ასვლა, არაფერი ჩანსო, – მალხაზმა.

დავეთანხმეთ და უკან გამოვბრუნდით.

დაბლა დავეშვით. მანქანიდან ვაკვირდები დასახლებას: ტერასებზე გაშენებული სოფელი უბნებადაა დაყოფილი, „ქოხის სახელების“ საცხოვრისებად. სახლები, ქოხები ტიპური ტაურია...

ივლისის ბოლო დღეებია. ტაოელები ჭალებში გასულან, თიბავენ, ზამთრისთვის თივას იმარაგებენ, დაბლა ჩამოაქვთ და „ეზოებში ჯოხავენ“.

ხევეკში მევლუდი შეგვხვდა, მანქანა გააჩერა:

– **მთაში მოვდოდი, დიგინახეთ, გული გემეხსნა!**

– მევლუდ, ქობაის გაღმა მაჰალეში გვსურს გავიდეთ...

– **დაბლა ჩახვალთ, ზეჲსკე შუუხვევთ და ახვალთ**, – გზას გვასწავლის მევლუდი, **საღამოს ხევეკში გელოდებით, ხალხი მოვა, ვაფერჴულო'ნა**...

ბარემ ვიტყვი: დილით შევთანხმდით, რომ მევლუდი საღამოს „მასისის“ ეზოში ხევეკელებს შეკრებდა და „აფერჴულებდა“. ჰოდა, ფერხულზე გველოდება ამ საღამოს მევლუდი. ფერხულთან ერთად ვიხვარათებთ ხევეკელებთან.

– აუცილებლად მოვალთ-მეთქი, – ვპირდები მევლუდს.

აღმართი ავიარეთ და ქობაჲს გუნეჲ მაჰალეში ავედით.

გუნეჲ მაჰალე, – გაღმა ქობაჲ, არაა დიდი დასახლება: ერთ ტერასაზე გაშენებული ოცამდე ქოხია სულ. მანქანიდან გადმოვედით და დასახლებაში შევედით. ვხედავთ, ქალები მოდიან სოფლის გზაზე. გამოველაპარაკეთ, გვიუცხოვეს, არ ისურვეს ჩვენთან ხვარათობა.

– გაღმა კაცები არიან, იმათ ელაპარაკეთო, – გვითხრეს თურქულად.

ორმოცდაათიოდე მეტრი გავიარეთ: რამდენიმე მამაკაცი სახლის მშენებლობაზე მუშაობდა, ბეტონი აჰქონდათ მაღლა სართულზე...

– „კოლაჲ გელა“, – მივმართეთ მათ სოფელში გაგონილი თურქული სიტყვათშეხამებით და იოლად საქმის კეთება ვუსურვეთ.

მადლობა გადაგვიხადეს კეთილი სურვილისათვის, თავად კი მუშაობა განაგრძეს.

– რამდენი ქოხია გუნეჲ მაჰალეში? – ვეკითხებით ერთს, რომელიც არ მუშაობს, სავარაუდოდ, სახლის პატრონს.

– ქართული ცუდად ვიცითო, – გვეუბნება თურქულად.

– მეზობელ სახლებში არიან ქართულის მცოდნეები?

– ცარიელია, არავინ ცხოვრობსო აქ, – გვპასუხობს.

ვატყობ, არ სურთ ჩვენთან საუბარი. ასეც ხდება, რამდენიმე ათეულ კილომეტრს გაივლი, დამლაპარაკეს კი ვერ ნახავ და ხელცარიელი გამობრუნდები. მეორეცაა და სოფლის მცხოვრებლებს მოხეტიალე უსაქმურები ვგონივართ, მოცლილები და ხშირად ჩვენთან საუბარი დროის უქმად ხარჯვად მიაჩნიათ. მახსოვს, შავშეთში მითხრა ერთმა იმერხეველმა: ნეტაჲ თქვენ, რაფერ მიცლილი ხართო...

ძნელია სოფელში მუშაობა. ზოგადად არაა იოლი მასალის მოპოვება-ჩაწერა. ველზე გასულს ყოველთვის არ წყალობს ბედი...

სოფლის შესასვლელში გაჩერებულ მანქანასთან დავბრუნდით, ველოდებით ექსპედიციის დარჩენილი წევრების მოსვლას თამარი, ტარიელი და მე. თამარს „მოძაგდა“ ერთ ადგილას დგომა, სახლების ფოტოებს მაინც გადავიღებო და სოფლის ორღობეში შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და მითხრა: გზისპირას ორი მამაკაცი დგას, მიდი, ეგებ დაალაპარაკოო.

გავყევი თამარს. პირველივე სახლის ეზოში ორი გუნეჲ მაჰალელი, – აჰმედ სარიყაია და აბდულაჰ თორამანი გავიცანი. ორივე ლაპარაკობს ქართულად, აჰმედი – უკეთ.

აჰმედი და აბდულა ქალაქში ცხოვრობენ, დიდ ქალაქში, ბურსას, იქ საქმობენ; ზაფხულს ატარებენ მშობლიურ სოფელში, რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქსა და საქმეს დაუბრუნდებიან.

იქვე, ძველი ტაოური სახლის ეზოში, ძელსკამზე ჩამოვსხედით მე და აჰმედი, აბდულა ხის მორზე ჩამოჯდა. მალე მესამეც მოვიდა, ჩვენთან ახლოს დადგა...

– ესაც ჩვენი სიძე, აბდულა ოზურთ! – გამაცნეს ახალმოსული.

– სიძე ქართულად ხვარათობს? – ვკითხულობ.

– არა, სიძეა და...

მასპინძლებს ავუხსენი ჩვენი მოსვლის მიზეზი და მიზანი. საქმე მოგვიწონეს, დახმარებაც აღგვითქვეს.

გულნაკლული მივდიოდი ქობაჲს გაღმა მაჰალედან, ახლა კი საქმის ასე შემობრუნება მახარებს და იმედით განმაწყობს.

სოფლის გვარები, „ქოხის სახელები“ ჩაგვაწერინეთ პირველად! – ვთხოვ ახალგაცნობილებს.

ველიოღლი,
ტურციანი,
ქაჩოები,
ყემბერები,
სულოღლი,
ზეინიანი,
ბექირიანი,
ფოირაზები,
ნებიანი,
თულუღიანი,
კუდიანნი.

ჩამოთვალეს სოფლის „გვარები“ აჰმედმა და აბდულაჰმა. ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ, კერძოდ, გვერდიგვერდ გამოიყენება **–ებ**'იანი და **ნ**'არიანი მრავლობითის ფორმები: **ბექირიანნი** და **ქაჩოები, ყემბერები** და **ზეინიანნი**... ვფიქრობ, საყურადღებო ფაქტია. და კიდევ, აქვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ ასახელებენ „ქოხის სახელებს“ მრავლობითის ფორმით? განა საკმარისი არ იყო მხოლობითში დასახელება? რასაც ზოგჯერ ვხვდებით კიდეც: ველიოღლი, სულოღლი, ტურციანი... დასმულ კითხვაზე პასუხი სოფლის უბნების სახელებმა გაგვცეს: ყოველ უბანში ერთი სულალე, ერთი „ქოხის სახელი“ ცხოვრობს, ხშირად რამდენიმე ოჯახად გაყოფილი: ყემბერები, ქაჩოები, ბექირიანნი, კუდიანნი... ამიტომაცაა,

რომ სოფლის უბნის სახელი და „ქოხის სახელი“ ერთმანეთს ემთხვევა.

– ადგილების სახელებიც ჩამაწერინეთ-მეთქი, ვთხოვე ინფორმატორებს.

– აქედან წევედით, ბევრი არ ვიცით, რასაც გევხსენებთ, ჩაგაწერინებთ! – გვითხრა აჰმედმა:

ნეკნარი (<*ლეკნარი),
ვაკე,
დიდი ვაკე,
ბიკრიეთი (<*ბირკიეთი?),
ფოროზოვლი (<*ფოროზოული),
ნასელავი,
წყაროთ’,
ლელევრი (<*ლელეური),
კორდნალი,
გენიჭევი,
წისქვილიკარი,
ღათცორო<*ღათსორო, ც:ს მონაცვლეობით),
საკიზლო (<*საკიზილო, შდრ. კიზილჯუღი),
სახაზო,
***ძველი აგარა**,
კილდიათი,
****საცური,**
უკან მთა|უკანი მთა,
ომერიან კარი,
ალიან კარი.

*ყურადღებას მივაქცევ ტიპონიმს „**ძველი აგარა**“. სახელი ქვაბაჲს გაღმა მთის ფერდს ჰქვია, სადაც ძველად ჲაილები იყო. მიტოვებული ჲაილები 1995 წლის ექსპედიციის დროს გვაჩვენეს. შემდეგ „გეჲხრაკა“, გადაიწვა „ძველი აგრები“. დღეს „აგრები“ არსადაა, სახელიღა – დარჩა მის სახსოვრად.

****საცური** – ადგილი, სადაც მორებს აცურებენ.

აბდულაჰი და აჰმედი ცდილობენ, დააკმაყოფილონ ჩემი ცნობისმოყვარეობა; რაც მთავარია, არ მერიდებიან, თავისუფლად ხვარათობენ. ჩვენს საუბარს მოხუცი ქალბატონი, რომელიც ეზოში „საქმობდა“, შორიდან უგდებდა ყურს, ჩვენთან მოსვლას ჩვენი უცხოობა უკრძალავდა. ვაკვირდები მის ფუსფუსს. შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩემი დაინტერესება რესპონდენტებს, ამ სახლის პატრონიაო, ამიხსნეს.

ძველი ტაოური სახლის ეზოში ვსხედვართ, სახლი საკმაოდ დიდია: ქვემო სართული გათლილი ქვითაა ნაშენი, მეორე – ხისაა. მალე ექსპედიციის სხვა წევრებიც შეიკრიბნენ ჩვენ გარშემო. მერაბმა სთხოვა ქალბატონს, გადამაღებინეო სახლის ინტერიერი.

ნება დართო ქალბატონმა, თავად შეუძღვა სახლში აპარატმომარჯვებულ სტუმარს.

ჩვენ კიდევ ეზოში ვაგრძელებთ საუბარს. რამდენიმე საინტერესო ფრაზა ჩავიწერე აჰმედისა და აბდულაჰის დიალოგიდან:

– არ *გიმზირონ, ჰო!

– ****ვებნევი, თქვენი სისხლიდან ვარა.

– ჩვენი გურჯები ვხედავ, მეხარება, ჰამა ბევრი ცივი არიან.

– ბათუმ წამოდი, *****ღორი წიწილა’ნა დიგიკლაო.

*ტაოურში უფრო გავრცელებულია **მზერა** ყურების მნიშვნელობით.

****თქვენი სისხლიდან ვარა** – თქვენი ნათესავი ვარო, „ი თქმაა“. საყურადღებოა ძველი ქართულისებური ზმნური ფორმა „ვარა“ (შდრ. **მე ვარა, შენ ხარა**).

*****ღორი წიწილი** – აქ: გოჭი.

რუსების ბოროტების შესახებ ქვაბაჲს გუნეჲ მაჰალეშიც მოგითხრობენ:

„აქ ერთი ებეჲ იყო, დიდი ქალი. იტყოდა, ქი რუსი მოსულა, *ღობეები გუუღიან, დეკაცები – მუუკტუნებიან. აქიდან გადმუვლიან (ხელით მაჩვენებს ქვაბაჲს თავზე წამოყუდებულ მთას **– ავტ.). მოკლეს კაცებივო, ქალებიც ზოგი საყვარლები წუუყვანიან, ****აჯახეს დეკაცები რუსი ასკერები, ღენჭები დუუკლიან, ხელში რაცხა ქონდენ, გუმუღეს, სახლები გახრაკეს...“**

*ღობეები გუუღიან – ღობეები დაუნგრევიათ.

****აჯახეს დეკაცები** – აქ: დედაკაცს დანა|ხიშტი ჩასცეს. ჯახება – დარტყმა, ჩაცემა.

მონათხრობში ორი კონსტრუქციაც იქცევს ინტერესს:

ა. „ქალებიც ზოგი **საყვარლები წუუყვანიან**“ (სახელობითი ვითარებითის (საყვარლებად) ნაცვლად).

ბ. „**აჯახეს დეკაცები რუსი ასკერები**“ (შდრ. აჯახეს დეკაცებს რუსმა (ან: რუსის) ასკერებმა).

ორივე კონსტრუქცია ენის უცოდინრობის შედეგია და არა დიალექტური ნორმა.

გუნეჲ მაჰალედან წამოვედით და ქობაჲს გავლით ბალხიბარში წავედით. გადასახვევი შეგვეშალა, ყურადღება არ მივაქციეთ ლაპარაკში გართულებმა; მალე ხეობაში ჩავედით. უკან დაბრუნებას ვარჩიეთ, შემოვლითი გზით წავსულიყავით: ცენტრალურ გზაზე გავედით, პარხლისწყლისა და ელიასხევის ხერთვისიდან ნახევარ კილომეტრზე მეტი ვიარეთ სარიგიოლისაკენ, შემდეგ მარცხნივ შევუხვიეთ და ბალხიბარში ავედით. მანქანა მოშორებით გავაჩერეთ, ფეხით გავედით სოფელში. ბარემ ვიტყვი, რომ დასახლებაში სამანქანე გზა არ შედის, სოფელთან მთავრდება. სახლებს შორის ვიწრო ბილიკებია მხოლოდ. ორღობეს მივუყვებით. პირველყოფილი გარემო იშლება ჩვენ წინ. ირგვლივ ყველაფერს სიძველის ელფერი დაჰკრავს, რაღაც იდუმალებას მოუცავს გარემო. მარტოობის განცდა გვეუფლება, მიტოვებულ სოფელში დავაბიჯებთ. ბოლოს ერთ სახლს მივადექით. შუა ხნის მამაკაცი გამოვიდა ბავშვთან ერთად. გაგვეცნო: თელათ შირინი ვარო, ორმოცდაერთი წლის, აქაური. ძელსკამზე მიგვითითა, „**დაჯექით, წყალი ჭუუგდო** (sic) **და მოვალო**“ მოგვაძახა და სადღაც გაუჩინარდა. სახლის ქვეშ მოზრდილი რუ გადის, იქვე დოლაბის დიდი ქვაა, ჩვეულებრივი წისქვილის ქვას არ ჰგავს, უჩვეულოდ დიდია. არხში წყალმა ჯერ იკლო, შემდეგ მთლიანად შეწყდა. ჩვენს ქვემოთ ღრმა ხევია, სადღაც სიღრმეში ცენტრალური გზა ჩანს. ვათვალიერებთ სოფელს, ფოტოებს ვიღებთ.

მალე თელათიც მოვიდა.

– ეს რა ქვაა? – კითხულობს მერაბი დოლაბის ქვაზე.

– **მუუტანიან კაცები, დინგი, ისენი უქნიან, მუჭით** (აქ: ხელით) **გუუხრეტიან, დინგი უქნიან, ქერი დუუნაყიან ხელით. ბეჭით მუუტანიან აქ** [ქვა].

თელათის მოთხრობით, ეს ქვა ხელის წისქვილის უნდა იყოს. ქერს ნაყავდნენო ხელით. ეამაყება, რომ „ბეჭით მუუტანიან“ ამოდენა ლოდი. ჩემთვის გაუგებარია სინტაგმა „დინგი უქნიან“. დინგი „ღორის ცხვირია“ (საბა), მაგრამ „დინგის ქნა“ რას უნდა ნიშნავდეს? თუშურში „დინგის“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დიდი ზომის სანაყი ქვა“[3]. ჩანს, **დინგს** იგივე მნიშვნელობა აქვს ტაოურში. ახლა გავიგე, – „**სანაყი ქვა**“.

– თელათ, ყანა-ბახჩის სახელები ჩამაწერინე! – ვთხოვ მასპინძელს. ჩვენს დასახმარებლად შემართული თელათი მკარნახობს:

კუშაღი,
რუ ძირი,
ჴეჲ (<*ჴევი),
ფირიალო,
ტაჩჭანტური(?),
გივნარი,
ვაკე,
***პაპაშლარი||პაპაშები (იქ ძიან და! პაპაშებ ჴევია, იქ ძიან და!** – განმარტა თელათმა),
ონახათკარი,
შირინები,
ბასლიანი,
თოზაღები,
პაწაები,
პაჩელიანი,
ეიბიანი,
ომარიენნი,
ლიტრიანნი (შდრ.: ლიტრევი||*ლიტრები),
დელიანნი,
ჭარაბიანნი,
აბდლიანნი.

*ორთაბათუმის თემში, ყოროლიწყლის ხეობაში გვხვდება გეოგრაფიული სახელი **პაპაშ-**

[3] ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

ლავა, ჩამოუდის იმავე სახელწოდების მდინარე, ყოროლისწყლის მარცხენა შენაკადი. ტაოური **პაპაშები** და ორთაბათუმის **პაპაშლავა** საერთო ფუძის სახელებია. იგივე ფუძე გამოიყოფა ზემოაჭარულ სოფლის სახელში **პაპოშვილები<*პაპაშვილები**. დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებში **პაპა** მამაკაცის სახელი ჩანს.

„იქ ძიანო“ „გვარები“, ამიტომაც ქვიაო ეს სახელები. გულნატკენია თელათი, რომ სოფელი სავსე იყო, მაგრამ დაიცალა, **„აქ იყვნეს, ჰამა ბოჲნე წევნეს“**. თავად ვერ წარმოუდგენია სხვაგან ცხოვრება, აპროტესტებს კიდეც ქალაქურ ყოფას: **„არ მინდა იქოვრობაჲ, აქ კაჲა, ერთი ბინა შინა რაჲნა იქნას?“** აქაური ქარაფები და ხევ-ხუვები უყვარს და არ ეთმობა. ძალიან ცოტაა დღეს თელათისთანა კაცები ჭოროხის ქვეყნებში. უმეტესობა ტოვებს წინაპართა საცხოვრისს და ბედის საძიებლად ქალაქში მიდის. ვერც სოფლიდან წასულ ტაოელს, კლარჯსა და შავშს გავუმტყუნებთ...

ქართულ არხებს უყურებს თურმე თელათი, მაგრამ ლაპარაკს ვერ ხვდება, **„ბევრი ცქვიტა ხვარათობენ, ვერ მივხვდები იმა ხვარათობა. იმათ უთხარი, ქი ნელა იხვარათონ, მივხვდეთ...“** ერთხელ, იგონებს თელათი, ბალხიბარი **„...გუმოსწიეს, „იმედი“ კანალში ჩვენი თავი ვისეირეთო“**.

– ძველ სურათებში მინახავს, აქ ხის სახლები იყო, ახლა ქვის სახლებია, ძველი რა იქნა? – კითხულობს მალხაზი.

– გახრაკულა, *ხამიდან უშენებიან. **ჲეთმიშ დორთა გახრაკულა, ხამიდან უშენებია კაცები. სამი სახლი არ გახრაკულაო, თელათმა, ზემოდან ჩანსო.

***ხამიდან** – ხელმეორედ, ხელახლა, კვლავ; თავიდან, განმეორებით[4].

****ჲეთმიშ დორთ** – 74, გულისხმობს 1974 წელს, როცა ბალხიბარი გადამწვარა.

– ეს რაა? – ვეკითხები თელათს ეზოში მდგარ ძველ ნაგებობაზე.

– *სამჯე არი, თივა'და დაჯოხო.

– ამას რას ეტყვით, ხეზე რომ ადის? – ციყვზე ვეკითხები.

– კაკლი მყავი.

1995 წელს „კაკლიმყვარი“ ჩავიწერეთ ციყვის მნიშვნელობით, ახლა – „კაკლიმყავი“.

***სამჯე** – ადგილი, სადაც ნამჯას ინახავენ.

ბილიკით სახლში მიგვიყვანა თელათმა. მეუღლე გამოვიდა მისი ჩვენთან შესახვედრად. სახლში შეგვიპატიჟა, ჩვენ კარზე საუბარი ვამჯობინეთ.

– თელათ, ბევრი მეჲვა (ხილი – ავტ.) ჩანს თქვენს სოფელში. ყურძენიც გქონიათ, რა ჯიშები ხარობს აქ?

– თურვანდა (თეთრია – მთხრობელის განმარტება), **კურტაჲ – ძველი ყურძენია, შავი, ცხენი ძუძუ, კარული... აქოვრობაჲ ბოვრი ყურძენია, ბოვრი გახმა**...

– ამას რას ეტყვით?

– ატამია, ერთი სამხრაჲ არი (აქ: სახრავი), **არ გეჲპობა; აჲ – გეჲპობა** (გვიჩვენებს ატმის მეორე ხეს – ავტ.) ***ძგულეში**.

– სხვა რა ხილი გაქვთ?

– თუთა არი, ბალი არი, სხალი არი... თამ ასხია.

*ჩემთვის მთლად გასაგები არაა **„ძგულე“**, მაგრამ რამდენადაც სახლეჩი (რომ გეიპობა – ავტ.) ატმის შესახებ საუბრობს თელათი, შუაზე გაიპობაო, იქნებ გულში გაიპობაო, გვეუბნება.

– კაცო, ამდენი ყორე ვინ აშენა? ამდენი ქვა საიდან მოზიდეს?

– დედეებს ზრუგით მუუტანიან [ქვა] **და უქნიან. ზურგით ქვა მუუზიდიან, მიწა მუუზიდიან, ყანა გუუკეთებიან...**

წარმოვიდგინოთ, რა ჯაფა გაუწევიათ ბალხიბარელებს, ქვაბაელებს, ბალხელებს, ელიასხეველებს, იეთლებს... ზოგადად ტაოელებს, დავაკება რომ შეექმნათ და დაერგოთ ან დაეთესათ: ქვა ზურგით მოზიდეს და ყორეები||ყვერეები აშენეს, მიწაც ზურგით მოზიდეს და დავაკება შექმნეს...

– სკები გაქვთ? თაფლს ყიდით?

[4] შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

– თაფლსა ჭვამთა, დარჩება – გავყიდით!

მცენარეთა სახელები მაინტერესებს, ვკითხულობ.

– ამას რას ეძახით? – ხელით ვაჩვენებ ყორეზე, ქვებს შორის ამოსულ ბალახზე.

– ყვაჲლი!

– ესენი?

– ტუტა – შავი, თეთრი – თუთა!

ჩანს, ბალხიბარში განასხვავებენ **ტუტასა** და **თუთას**, განსხვავება ხელოვნურია, მაგრამ მაინც ყურადღებამისაქცევი.

– რა ჰქვია ამ მსხლებს?

– აჲ ბანგურა სხალი, აგი – ბირყიმი სხალი.

ვაშლი მოგვართვა ქალბატონმა, აგერ ავკრიფეო. ჭამეთო, გვაძალებს თელათი, კიდევ მოდითო, გვპატიჟებს, ყურძენი დამწიფდება, ჭვამოთო.

– რა ჰქვია ამ ვაშლს?

– *ზღაფული ვაშლი!

– სოფელში მარტო ხართ?

– მარტოჲ არა! [ბევრი] **ბურსისკე წევდენ, ჭკვიდამ არ არიან, მუშაობა მოძაგნეს.**

საღ გონებაზე მყოფად არ მიაჩნია თელათს, ვინც წინაპართა კერა დატოვა და სხვაგან წავიდა; მუშაობა მობეზრდათ და იმიტომ წავიდნენო, – წასვლის მიზეზს ეძებს მთხრობელი.

***ზღაფული** –ზაფხულ'ის ნაცვლად: ზაფხული>*ზხაფული (ხ'ს გადასმის იშვიათი შემთხვევა)>ზღაფული (ღ:ხ მონაცვლეობით, რომლის საფუძველიც ნაპრალოვანთა ასიმილაციაა).

თელათისა და მისი მეუღლის მეტყველებაში შესამჩნევია ტონური მახვილი:

იმხნა ნეკერ ვდგე'მნით; ბგანები წამაასხი, შეჭა'მე...

ხშირად აღვნიშნავ, ამა თუ იმ სოფლის მეტყველებაში ტონური მახვილი შეიმჩნევა-მეთქი. აღვნიშნავ იმიტომ, რომ ყველგან არ ჩანს იგი.

ბოლო ფრაზები ჩავიწერე შირინების კარზე. ჩაიზე გვეპატიჟებიან, უარს ვეუბნებით, ღამდება, დროა, სასტუმროში დავბრუნდეთო... კიდევ მოსვლის დაპირებით ვემშვიდობებით სტუმართმოყვარე შირინებს.

კვლავაც დავბრუნდებით ბალხიბარში, სოფელში, რომლის ორღობეებსა და ბილიკებზე ძველი ტაოელების ნაკვალევი ჯერაც იკითხება.

31 ივლისი, ორშაბათი. დილით ექსსპედიცია რამდენიმე ჯგუფად დავყავით:

1. არქეოლოგები – მერაბ ხალვაში, ზაზა შაშიკაძე, ჯიმშერ ჩხვიმიანი და ადამ მახარაძე ჭოროხის ხეობას აუყვებიან მატერიალური კულტურის ძეგლების შესასწავლად;

2. მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ მგელაძე, მალვინა ფუტკარაძე და მე ექსპედიციის მანქანით **უტავის||უთავის** ხეობაში ვიმუშავებთ;

3. თინა შიოშვილი, მაია ბარამიძე და თამარ სირაძე სასტუმროში დარჩებიან, მოგვიანებით ახლო სოფლებში გავლენ;

5. რამაზ ხალვაში იუსუფელში წავა სამუშაოდ.

საუზმის შემდეგ გზას დავადექით.

სარიგიოლზე გავჩერდით, უტავის გზა ვიკითხეთ. საჩაიეში გურჯები ისხდნენ, ჩაიზე მიგვიწვიეს: ფუათ სოლმეზი, მემედ ფოირაზი, ისმაილ ილმაზი, ქების იარჯი – გაგვეცნენ.

საჩაიე სარიგიოლის თავში, ქუჩის მარცხენა მხარესაა, მეპატრონე ქართველია...

მცირე ხანს ახალგაცნობილებთან ვისაუბრეთ. ყველა რესპონდენტი თავისებურად საინტერესოა. ჩანს, გრძელი ზამთრის დღეებში, სხვა დროსაც, მარტოდარჩენილებს უფიქრიათ, დაკვირვებიან საკუთარი თუ მეზობელი სოფლის მეტყველებას, მსგავსება-განსხვავებანი „დაუდგენიათ", ახლა ჩვენ გვიზიარებენ „კვლევის შედეგებს":

ქალს იეთში დუუძახებენ **ბრო**,

ხევაიში – ნო,

ქობაჲში – გნო,

სახელს არ იტყვიან, „**გნო, მოდი აქო, დუუძახებენ**".

– კაცს (აქ: ქმარს) როგორ დაუძახებენ ქალები (აქ: ცოლები) ბალხში?

– ბერო! სხვა კაცი თუა – ძმაო: ძმაო, შემომხედე!

მსჯელობას მემედ ფოირაზი განაგრძობს:

– **ჩვენ წყალსა ჴევ ვუძახივარ, აბლი** (აქ: პატარა) – **ნაკადია.**

მომისმინე – ყური დიმიგდე!

ჩვენ გვარებზე უკნიდან –იან მოვა: კავლიანი, ქოჩელიანი, ყურდიანი, აილიანი, მაჰმადიანი, კოიდიანი, – განაგრძო ისმაილ ილმაზმა.

ვერ დაიწუნებს კაცი სარიგიოლელი გურჯების დაკვირვებებს. მცირე ხანში საყურადღებო ინფორმაციები შევკრიბეთ საჩაიეში. შემდეგ უტავის გზაც გვასწავლეს მასპინძლებმა: დაბას გასცდებით, ხიდს გადაივლით, მარჯვნივ შეუხვევთ და ხეობაც დაიწყებაო.

ხეობაში შევედით. გზა დასახლებების თავზე გადის, გზის ქვეშ სოფლები თუ სოფლის უბნებია გაშენებული, ბაღ-ვენახებით და ძველი თუ ახალი სახლებით. გზა მაღლა-მაღლა მიიწევს.

აღვნიშნავ, რომ მთელი ხეობის სახელია **უტავი**, დასახლებები მხოლოდ უბნებია მისი. ვფიქრობთ, ახალ მოვლენასთან გვაქვს საქმე, კერძოდ: ხეობაში გაშენებული პატარა სოფლები ჩვენს დროში ერთ სამუხტროში||სამამასახლისოში გააერთიანეს და ხეობის სახელი უწოდეს...

ჯამის უბანში გავჩერდით. გზისპირას მდგარ პირველივე სახლთან მივედით. მანქანის ხმაზე ეზოში ჯერ ცნობისმოყვარე ბავშვები, მალე კი იმათი მამა, სავაშ სარიც (ხოლოლარ) გამოვიდნენ.

ეზოში მდგარ ფანჩატურში მიგვიწვია სავაშმა. ყველაფერს რძის მძაღე სუნი ასდის. ჩანს, ყველს ახმობენ ბეღელში. სუნთქვა მიჭირს, ვცდილობ, არ შევიმჩნიო. მალე ქალბატონმა ჩაი და აირანი მოგვართვა...

სავაში ახალგაზრდა კაცია, ასე 30-35 წლის, შავგრემანი. ჩვენი სტუმრობის მიზეზი ავუხსენით. დახმარება აღგვითქვა.

– სავაშ, უტავის მაჰალეების, ყანა-ბაღჩის სახელები ჩაგვაწერინე!

ჯამე მაჰალე,
არუზე მაჰალესი,
ქეთევრე<*ქეთეურ'ი?
სოფიგილი,
ბაღლიქ მაჰალესი,
კერევლათ მაჰალესი.

უტავის ექვსი უბნის სახელი ჩაგვაწერინა სავაშმა, შემდეგ – მეზრეების:

ნაქერავ,
ანუთხევ,
ჯელიჯვარ (<*ძელიჯვარ?),
დიდმუხა.

უტავის უბნებისა და მეზრეების სახელწოდებათა ერთი ნაწილი ქართულია, ესენია: **ქეთევრე** (<ქეთეური), **კერევლათი, ნაქერავი, ანუთხევი, ჯელიჯვარი, დიდმუხა**. მეორე ნაწილი – თურქულია: **ჯამე მაჰალე, არუზე მაჰალე, სოფიგილ, ბაღლიქ მაჰალე**.

ჩვენი დაკვირვებით, **ჯელიჯვარ <*ძელიჯვარ**'ისაგან **ძ:ჯ** მონაცვლეობით.

შევნიშნავ, რომ ადგილის ძველი, ქართული სახელები თანდათან დავიწყებას ეძლევა. და ეს არცაა გასაკვირი, რამდენადაც ხეობა მთლიანად მეთურქულეა. ქართული გეოგრაფიული სახელები და ზოგიერთი თქმულება-გადმოცემა ქართული კუნძულებია ხეობის მკვიდრთა მეხსიერებაში.

– სავაშ, შენ რომ ადგილის სახელები დაგვაწერინე, უმეტესობა ქართულია. სხვა ადგილების, – ჯამე მაჰალე, არუზე მაჰალე, სოფიგილ, ბაღლიქ მაჰალე ქართული სახელები ხომ არ იცი?

– არა, მეტი არ ვიცი!

– უტავში ვინ ცხოვრობს? აქაურები მოსულები ხართ თუ ადგილობრივები?

– ძველად ქართველები ყოფილან, ახლა აღარ ვიცით [ქართული]. ჩვენი წინაპრები ქართველები ყოფილან. დედეები იტყოდნენ, ჩვენი მამები ქართულად ლაპარაკობდნენო, ჩვენ კი აღარ ვიცით ქართული.

ასი წლის წინ, როცა ხეობაში ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა, უტაველები ქართულად ლაპარაკობდნენ, – შემახსენა მალხაზმა.

უტავში შექმნილი ვითარების შესაფასებლად ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის გახსენება დროული იყო...

მნიშვნელოვანია, რომ სავაშ სარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ცნობა ერთმანეთს ემთხვევა.

– სავაშ, უტაველების ძველი გვარები|ლაღაბები გვითხარი.

– **ხოლოლარ** (შდრ. ხოლოები), **დეველარ** (შდრ.: დევები), **ალიგილლარ** (შდრ. ალიგილები).

გვარები თურქული აფიქსითაა გაფორმებული, მაგრამ სახელის წარმოების წესი ქართულია, ისეთივე, როგორიც – მექართულე ტაოში.

– მეტი არ არის?

– სხვა არ ვიცი. ჩვენი სოფლიდან ბევრი ყარსში წავიდა, გადასახლდა. ხუთასამდე ოჯახი იყო, სამასამდე დარჩა. ახლა ახალგაზრდობა სამუშაოდაა წასული, სოფელში ქალები არიან მხოლოდ.

– თქვენი სახლი ახალია, ქვით ნაგები, ძველი სახლი გახსოვს, ალბათ, როგორი იყო?

– ძირში ახორი, II სართული სახლი, საცხოვრებელი, თავში – ბეღელი. ახლა შეიცვალა, ახორი ეზოში გავიტანეთ. ძველ ახორში ძროხების გვერდით **ქომ**'ი (გომი? – ავტ.) იყო, ახლა ცალკე აქვთ.

– ამას რას ეძახით? – კარტოფილზე ვეკითხები.

– **ქართოლ!**

– ამას?

– **ჯიმჭარი**...

– იცით, რომ ეს ქართული სახელებია?

– ვიცი! მე ვიცი, რომ ჩემი წინაპრები ქართველები იყნენ, სხვისი – არ ვიცი.

სოფელს ძველი ჯამე აქვს, ორიარუსიანი და მოჩუქურთმებული. სავაშმა არ იცის, ვინ ააშენა იგი, ან როდის ააშენეს.

ბილიკით ჯამესთან ავედით. მართლაც, საინტერესო ნაგებობა ჩანს, ვათვალიერებთ, ვიღებთ, ჩუქურთმებს ვაკვირდებით...

ჩუქურთმები ხელითაა ნაკვეთი. ჯამე ახლაც მოქმედია, მთელი უტავი აქ ლოცულობს თურმე.

ჯამიდან გამოვედით.

– ამას რას ეძახით? – ქვის ყორეზე ვეკითხები.

– ზოგი **ქაპს** ეძახის. **ყორე|ქორე**'საც ამბობენ მოხუცები.

უტაველთა რამდენიმე თაობა ქართულად აღარ ლაპარაკობს, ზოგიერთი ქართული სიტყვა ჯერ კიდევ ისმის მათ თურქულში.

ჯამიმაჰალედან მაღლა, სოფიგილში, ავედით. დოღანების კარზე გავჩერდით. ახალგაზრდა ქალბატონს დაელაპარაკა მალვინა, ჩვენი მოსვლის მიზეზი აუხსნა. თითქოს არც გაკვირვებია, გაჩერდა და თანდათან ჩვენი საუბარიც აეწყო. მალე შუახნის ქალბატონი და მემედ ალი დოღანი მოვიდნენ. ბარემ ვიტყვი, რომ ქალებმა სახელები არ გვითხრეს, დაგვიმალეს.

– ბათუმიდან არიან სტუმრები, – წარუდგინა ჩვენი თავი ახალმოსულებს ახალგაზრდა ქალბატონმა.

უცხოთა გაგონებაზე შუახნის ქალბატონმა მუხტარს დაურეკა, ჩვენი აქ ყოფნის შესახებ მოახსენა „მამა მარჩენალს" უტაველმა „ასინეთამ", შემდეგ მალვინას მიაწოდა ტელეფონი, აუხსენიო, მუხტარს ვინ ხართ და რა გინდათო.

კარგა ხანს ესაუბრებოდა მალვინა მამასახლისს, უხსნიდა, ვინ ვიყავით და რისთვის დავდიოდით აქაურ სოფლებში... ბოლოს გვითხრა: ნება დაგვრთო მამასახლისმა, იმუშავეთო. საუბრის დეტალები ჩვენთვის აღარ უთარგმნია. აღარც ჩვენ მოგვიკითხავს.

ახლა, როცა „მარჩენალმა" იცოდა, ჩვენც თავს უფლება მივეცით, კითხვები დაგვესვა დამხვდურებისათვის.

ადგილის სახელები ჩაგვაწერინეთ-მეთქი, ვთხოვე ქალბატონებს.

ლელევანი<*ლელოვანი,
საფუსქეთ'ი<*საფუსქედი(?),
ჭორევლი<*ჭოლევლი<ჭოლეული,
ავაზან'ი,
ნახსეთ|ნაქსეთ'ი,
ხუნესი,
ჯელიჭვარი<*ძელიჯვარი,
მადენ'ი,
ღობილთხევ'ი,
***კალმაჰათ**,
ანუთხევ'ი,
ისმეგილ'ი,
სანაჯიეთ'ი,

დიდქეთ'ი,

კალვან<*კალოვან'ი.

გაგვიმრავლდა უტავის გეოგრაფიული სახელები რიცხობრივად და, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, უმეტესობა ქართულია, მხოლოდ ორიოდე ჩანს თურქული: **მადენი** და **ისმეგილი**.

*ყურადღებას იქცევს **კალმაჰათ**'ი<***კალმახათ'ი<კალმახეთი**.

კალმახეთი კალმახის სახლეულის საცხოვრისს აღნიშნავს.

ბალხი, ბალხიბარი და **ქაჯისკარი** ელიასხევში, **კალმახეთი** უტავის ხეობაში საინტერესო ფაქტია. სამივე გეოგრაფიული სახელი ამირანის მითთან გვაკავშირებს.

ერთი საყურადღებო ფაქტიც მოგვაწოდა ახალგაზრდა უტაველმა ქალბატონმა: ძველიდან ჩვენ ქართველები ვყოფილვართო. ეს სოფელი არ ყოფილა ქართველების, მაგრამ გვეუბნებიან, ქართველები ხართო.

სხვა ადგილებიდან ვართ მოსული, – ხაზგასმით თქვა მეორე ქალბატონმა, – უტაველმა „ასინეთამ" და ასეთი ამბავიც გაიხსენა: **თანჯიათი** ყანის სახელია. ეს მოსულმა მასწავლებელმა რომ გაიგონა, გურჯები ყოფილხართო, თქვა.

ახალგაზრდა ქალბატონის თხრობაში მნიშვნელოვნად გვეჩვენება განცხადება: „ძველიდან ჩვენ ქართველები ვყოფილვართო". თუმცა დარწმუნებული არაა, ეჭვებშია, ამიტომაც იტყვის, „გვეუბნებიან, ქართველები ხართო".

მეორე რესპონდენტი იტყვის: „სხვა ადგილებიდან ვართ მოსულიო", მაგრამ მასწავლებლის ნათქვამსაც მოაყოლებს: „გურჯები ყოფილხართო" რომ უთქვამს „თანჯიათის" გაგონებაზე. ისიც საინტერესოა, საიდან იცის მოსულმა მასწავლებელმა „თანჯიათი" რომ ქართულია?

ჩანს, უტაველთა ცნობიერებაში ჭიდილია, გურჯები არიან თუ – არა. მათ მეხსიერებაში ფერმკრთალდება ქართულთან კავშირის ხსოვნა. შესაძლებელია, უტაველებმა ერთ დღესაც ირწმუნონ მოსული მასწავლებლის ნათქვამი – „გურჯები ყოფილხართო" და სარწმუნოდ სოფლის ქართული გეოგრაფიული სახელები და მათ თურქულ მეტყველებაში დალექილი ქართული სიტყვები მოიყვანონ: **ქართოლი, საყელო** (ძროხის საბმელი), **ჯიმჭარი, კედელი, პანტა, მუმლი, ავაზანი, ჭერი** (ღობეზე გადებული სარი – ავტ.), ***ჯოლა, ხალბაკევ**'ი (მიკროტოპონიმია) და სხვა მრავალი.

– ***ჯოლა** რაა-მეთქი, ვიკითხე.

– **ჯოლა? ჟაბანი ჯოლაა, სახლის – თუთა**, – აგვიხსნა ქალბატონმა.

ჯოლა, ჩანს ფონეტიკურად სახეცვლილი (**ჟ:ჯ** მონაცვლეობით) **ჟოლა<ჟოლია**. ვხედავთ, აქაურები ლექსიკურადაც განასხვავებენ შინაურ და ველურ თუთას ერთმანეთისაგან.

ვმსჯელობთ თაკარა მზის ქვეშ ყორეზე ჩამომსხდარნი: ქალები აქტიურობენ, სავაში – გვისმენს. ბოლოს ისიც ალაპარაკდა, კითხვა დაგვისვა მოსულებს:

– ჩვენთან სათივეს **კალტავარს** ეტყვიანო. **კალტავარი** გურჯულია თუ არა?

ექსპედიციის წევრებმა მე შემომხედეს, ჩემგან ელოდებიან პასუხს.

– ქართულია-მეთქი კალტავარი, არ დავფიქრებულვარ, ისე ვთქვი. კალტავარის ქართულობას სავაშისა და სხვების ცნობიერებისათვის აქვს მნიშვნელობა. მოგვიანებით დავფიქრდი კალტავარზე. სათივის მნიშვნელობით **მერეგი** ვიცი აჭარულიდან, **ქორი** ვიცი შავშეთიდან, **კალტავარი** პირველად გავიგონე...

ჩანს, ესიამოვნა ჩემი პასუხი სავაშს.

აშკარაა ფიქრობს უტაველი სავაში აქაურ ქართულ სახელებზე: **ტიხპირი** (ქართულის არმცოდნის წარმოთქმული **ტყისპირი** უნდა იყოს), **ფუჭ**'ი... ეს კი არა, **არდუჯი||არდუჩიც** (უთხოვარი – ავტ.)[5] იცის, დღეგრძელი ხე რომაა და მისი მოჭრა რომ ჟასაღია.

სოფიგილიდან წამოვედით და **ბალაძეების** (ბალაზელარ) უბანში გავჩერდით. უცხო მან-

[5] შდრ.: არდუჭი – მცენარე (წიწვოვანთა ოჯახიდან), ზოგან „მადა'საც ეძახიან. შდრ.: საბა: მადალოში... იხ.: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 383.

ქანის დანახვაზე მოტოციკლეტით მომავალი მემედ დოღანი გაჩერდა, გაგვეცნო, საიდან მოხვედითო, დაინტერესდა. გაიგო რა ჩვენი ვინაობა და მოსვლის მიზეზიც, დახმარების სურვილი გაუჩნდა.

სოფლის უბნების სახელების გახსენებით დაიწყო:

დუთდერე<*თუთდერე, შდრ.: თუთისხევი.
ყიშლა,
არდუშლი,
ჩაჲაღზი,
ფიშხეთი,
ახალთა,
ჭეშნევ,
ბაღლიქ,
ბალაზელარ,
ემედოღლუ,
***ტუბეთელარ,**
სოფიგილ,
გუნგუზე,
არუნზე,
ქეთევრე,
თომელთ'.

***ტუბეთელარ'** ტოპონიმში გამოიყო **ტუბ-ეთ-ე-ლარ**. შდრ. **ტბ-ეთ-[ე]-ებ-ი**. **–ლარ** თურქული მრავლობითობის სუფიქსი ახალი დანამატი უნდა იყოს. ყურადღებას იქცევს ასევე **ტუბ**'ფუძე. ვითომ სრულხმოვნობითაა ნაკარნახევი იგი?

სოფლის უბნების შემდეგ მეზრეების სახელები ჩავიწერეთ:

ნაქერავ,
ჯელიჯვარ,
კალმახათ,
დიდმუხა,
ხუნეს,
ანუთხე (<*ანუთხევ?),
ნახსეთ'
ღობილთხევ'
კალვან'(<*კალოვან),
დიდქეთ' (<*დიდქედ'),
დერექეთ'(<*დერექედ'),
სირთჲაილა,
საფუზარა (*საფუძარა),
გოჭიეთი.

სოფიგილში ჩაწერილი რამდენიმე გეოგრაფიული სახელი განმეორდა, მაგრამ მაინც ჩავიწერეთ, თუნდაც განსხვავებული ბგერათშედგენილობის გამო შდრ. **კალმაჰათ** და **კალმახათ**.

დაბოლოს ყანების სახელები:

დუზლარ,
საზუ̈ნე<*საზვინე,
სასელიათ'
შალოთქეთ,
ჭირბოლო,
ჭანჭახ',
დუბე,
ვარღანეთ,
ხალბაკევ'
ჩაილარ'.

რამდენიმე ტოპონიმს მივაქცევ ყურადღებას:

– ჭეშნევ'სა და **ხალბაკევ'**ში –ევ სუფიქსი გამოიყოფა. კიდევ ორი ერთეულით გაიზარდა **–ევ** სუფიქსიან ტოპონიმთა რიცხვი.

– ბალაზელარ (<*ბალაძელარ შდრ. ბალაძეები). ამავე რიგისა უნდა იყოს **გუნგუზე** (<*გუნგუძე) და **არუნზე** (<*არუნძე). სამივე თურქულად გამოთქმული ქართული გვარ-სახელია.

– მეზრეს სახელად მთხრობელმა დაასახელა **გოჭიეთი**. დღეს მექართულე ტაოშიც აღარავინ იცის გოჭის მნიშვნელობა, იტყვიან – **ღორიწიწილი**. ტოპონიმმა შეინახა **გოჭ**' ფუძე.

დაბოლოს, მემედ დოღანის მიერ დასახელებულ გეოგრაფიულ სახელთა უმეტესობა ქართულია, რაც მნიშვნელოვანია. მართალია, უტავის ხეობა მეთურქულეა უკვე, ბოლო ასი წლის განმავლობაში უტაველებმა ქართული უარყვეს, მაგრამ მათ ცნობიერებაში ქართულის კვალი მთლიანად არ წაშლილა.

მემედი დაგვემშვიდობა და მოტოციკლით ზემო უბნებისაკენ წავიდა, ჩვენ – **გუდასხევში**, აწინდელ **ოზგუვენში,** წავედით.

გუდასხევი ღრმა ხეობაა. გზა მაღალ ფერდობებზე გადის, მგზავრი ზემოდან დაჰყურ-

ებს ხეობაში ჩაკარგულ მდინარეს. სოფელი ერთ ფერდობზეა გაშენებული, ჩანს ტერასები, ტერასებზე – ნათესები: კარტოფილი, ლობიო, არცთუ მრავალფეროვანი ხეხილი. სოფელს ჩამოუდის რუ, სარწყავი არხი, რომელიც არწყულებს გუდასხევის ბაღჩებსა და ყანებს.

გუდა საკუთარ სახელად ჩანს ძველ საქართველოში. მოვიყვანთ 616-619 წლის წყისის წარწერას თქმულის საილუსტრაციოდ: „ესე ჯ˜ი ქ˜სი მე კოსტანტი ძ˜ნ სტეფანესმან და **გუდასმან** აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯ˜ისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზ˜ა სც˜დ ჩ˜ნდა ცოლისა და შვილთა ნოებერსა ი˜ზ ამნ“[6].

გუდასხევში სწორედ საკუთარ სახელს – **გუდა**' გამოვყოფთ. საკუთარ სახელს – **ელია** ვხედავთ **ელიასჯევში**.

11 ოჯახიაო დღეს გუდასხევში, გვითხრა ჯანან ქუშდილმა. ზამთრობით **მახათეთში** (ახლა – ქუთლუჯაში) ჩავდივართო, იქ გამოვიზამთრებთ, ზაფხულში აქ ამოვალთო... ჯანანი, ჩვენი ინფორმატორი, ახალგაზრდა ქალია, ბევრი არაფერი იცის სოფლის შესახებ, გარკვეული ინფორმაცია მაინც მოვიპოვეთ გუდასხევის შესახებ.

სოფელში გავრცელებული „ქოხის სახელები“ ჩაგვაწერინა ჯანანმა, მოგვიბოდიშა, ბევრი არ ვიციო:

ქაზაზლარი შდრ. ქაზაზები
მემოლარი – მემოები
პალიქლარ – პალიქები
დურაქლარ – დურაქები
თულუშლარ – თულუშები

ლაღაბებით იცნობენო გუდასხეველები ერთმანეთს.

ლაღაბი გვარების შესაბამისია სოფლის ტოპონიმებიც: **ქაზაზები, მემოები, პალიქები, დურაქები, თულუშები.**

გუდასხევის უბნის სახელწოდებები აღნიშნავს კონკრეტული დიდი ოჯახის ჩამომავლების საცხოვრისს:

ქაზაზები – ქაზაზის ჩამომავლების უბანია;
მემოები – მემოს,
პალიქები – პალიქის,
დურაქები – დურაქის,
თულუშები – თულუშის.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ **მახათეთის** ფუძეც ადამიანის საკუთარი სახელია – **მახათა** (შდრ. გვარი – მახათაძე). მახათეთი მახათას ჩამომავლებით დასახლებული უბანია.

ანალოგიურ ფაქტებზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებთ, რომ დასახლების იგივე პრინციპი დასტურდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც: აჭარაში, მაჭახელში (გამოკვეთილად), მისი კვალი ჩანს შავშეთსა და კლარჯეთშიც. ვფიქრობთ, სოფლის განსახლების ეს ტიპი საერთოა მთელი ჭოროხის ხეობისათვის.

გუდასხევიდან წამოვედით და დევთისაში ჩამოვედით. სოფელი იუსუფელი პარხლის გზაზეა. ჯამესთან გავჩერდით, ძელსკამზე ჩამოვჯექით, დამლაპარაკეს ველოდებით. ჯამიდან სამოცს გადაცილებული მამაკაცი გამოვიდა, **თაჰირ დუმანი**. გავეცანით.

თაჰირი ქუჩუკ ხევეკელია, დევთისას ხიდსიქითა უბნელი.

გეოგრაფიული სახელები ჩაგვაწერინა თაჰირმა:

ჯარათი,
ძველი ბარი,
წვერი ნალი,
სათივრე ღელე,
ღოროვლი,
ბახჩები,
ხევნარი,
პარხალა.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა გეოგრაფიული სახელი ქართულია.

სოფლის ლაღაბებიც ჩაგვაწერინეთო, ვთხოვთ თაჰირს:

ქოჲდიანი,
ქოდალიქო,
კავლიანი,
მუსიანი,

[6] კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 34.

ისმაილოღლიანი,
ზურნები,
ეიბიანი.

ჩამოთვლილი ლაღაბებიდან გამოვყოფ სახელს **ისმაილოღლიანი**, ორმაგი სუფიქსით (-ოღლი, -იან) ნაწარმოები ქოხის სახელი. გამოვყოფ იმიტომაც, რომ ანალოგიური წარმოება ახალია ტაოს საკუთარ სახელთა ნომენკლატურაში.

სარიგიოლში ავედით. მაღაზიის გამყიდველს ვთხოვეთ, ზღაფორში გაგვყოლოდა. არ დაიზარა, გაგყვებითო, მაგრამ გაირკვა, რომ სოფელში მანქანით ასვლა შეუძლებელი იყო: გზის მშენებლები ბეტონს აგებენ და ვერ გაივლითო.

აქ ვისაუბროთო გამყიდველმა. სკამები დაგვიდგა.

უპირველესად ვიტყვი, რომ ზღაფორი მეთურქულე სოფელია. არც ჩვენმა ინფორმატორმა იცის ქართული, თუმცა აღიარებს, რომ მისი წინაპრები გურჯები იყვნენ.

– ყანა-ბაღჩების სახელები ჩაგვაწერინეო, – ვთხოვთ მასპინძელს.

ვანი,
აკაკეთი,
ხაჯიოლდერე,
ჯამი ყაფისი (შდრ. *ჯამი კარი),
გირგოლეთ (შდრ. *გრიგოლეთ'),
შავლალეთ,
ჭოლეთ,
თუხათ,
კოზანეთ,
ჩარმანეთ (<*ჭარმანეთ?),
წუმახეთ',
ხოსილეთ'
ხოსტეგარა (<*ხოსტაგარა?),
ბენარა,
საბზოვან (<*საბზევან?),
სეფეგარა (<*სეფაგარა),
უბან',
ჩილიქეთ' (<*ჩილიქედი),
ხორქ' (<*ხორკ?).

დასახელებული ყველა გეოგრაფიული სახელი ქართულია, გამონაკლისია **ხაჯიოლდერე** და **ჯამი ყაფისი** (იგი ქართული **ჯამი კარის** თურქული თარგმანია), სჭარბობს **–ეთ** სუფიქსიანი სახელები. ყურადღებას მივაქცევ რამდენიმე ტოპონიმს: **თუხათ'**, **წუმახეთ'** (<წუმახ!), **ხორქ'** (||ხორკ), სამივე ძველი ფენა ჩანს ტაოს ტოპონიმიაში.

რამდენიმე მეტსახელიც ჩაგვაწერინა მაღაზიის მეპატრონემ:

დურსუნლარ შდრ. დურსუნები,
ტულუსლარ – ტულუსები,
ყარ[ა]ღალარ – ყარაღები,
შუქრილარ – შუქრიები,
მემიშლარ – მემიშები,
კოკრილერ – კოკრიები,
ყადილერ – ყადიები.

ყველა სახელი თურქულადაა გაფორმებული **ლარ||ლერ** სუფიქსით. ისინი თითქოს შესაბამისი ქართული ქოხის სახელის (მეტსახელი გვარის) თარგმანია, ანდაც მისი ყალიბითაა ნაწარმოები.

1 აგვისტო, სამშაბათი. მშვენიერი დილაა. სასტუმროს პატრონი, ჩვენი „ქართველი ძმა მუხო" კარგა ხანია, ფეხზეა, მზისგან გადახანძულ ეზოს რწყავს... ვისაუზმეთ. სოფლებში წასასვლელად მოვემზადეთ. ქალბატონების მოლოდინში ბაღში ვსხედვართ. ვსაუბრობთ გუშინდელზე, დღევანდელ სამუშაოს ვგეგმავთ. მუხოც მოვიდა, ჩვენთან ჩამოჯდა, დილის ჯაფით დაღლილი. კარგა ხანს ვისაუბრეთ. როგორც მოგახსენეთ, მუხო ადრე მძღოლი ყოფილა, თურქეთის მრავალი პროვინცია მოუვლია, ბურსაში თევზის საოჯახო მეურნეობა უნახავს, გადაუწყვეტია ანალოგიურის მოწყობა მშობლიურ კუთხეში. მდინარისპირა მინდორი, სადაც ახლა სასტუმრო „აგარა" და თევზის მეურნეობაა განთავსებული, მუხოს ოჯახის საკუთრება ყოფილა, დანარჩენი საკუთარი შრომით შეუქმნია: ქოხები სასტუმროსათვის, აუზები – კალმახებისათვის, რუ გამოუყვანია პარხლისწყლიდან, ეზო-კარში წიწვოვანი მცენარეები გაუშენებია, ბაღში ფარშევანგები გაუშვია... სამოთხე შეუქმნია საკუთარი და ოჯახის წევრთა შრომით.

ირგვლივ ყველაფერს გამრჯე და გემოვნებიანი კაცის ხელი ატყვია. მუხოს სიამოვნებს ჩვენთან ყოფნა, მიყვარსო განათლებულ ხალხთან საუბარი. მრავლისმნახველია ჩვენი მასპინძელი. ვინ აღარ სტუმრობს „აგარას“: ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი, ართვინის გუბერნატორი თუ თურქეთის მეჯლისის წევრები... ხეობაში მოსული სტუმარი მუხოს „აგარაში“ მოჰყავთ აქაურ მასპინძლებს. ჰოდა, მასპინძლობს მუხო შინაურს თუ გარეულს, დღითიდღე იზრდება მისი ნაცნობების წრე...

დღეს ექსპედიცია ორად გაიყო:

პირველი ჯგუფი: თინა შიოშვილი, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ მგელაძე, თამარ სირაძე, რამაზ ხალვაში, მალვინა ფუტკარაძე და ტარიელ დიასამიძე ქართულენოვან სოფლებში იმუშავებენ.

მეორე ჯგუფი: ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ადამ მახარაძე და მე ჩევრელში მივდივართ, იუსუფელს ზემო სოფელში, ჭოროხის ხეობაში თუხარისის ციხის შესასწავლად.

იუსუფელიდან სპერისაკენ მიმავალ გზას დავადექით, გავიარეთ თექ ყალე, დორთ ქილისა, მალე ცენტრალური გზიდან მარჯვნივ შევუხვიეთ და ჩევრელში ავედით. სოფელი ჭოროხის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული, მდინარისპირა ველზე და მთის ფერდობებზე. მანქანა ოქუზ დერესა და მდ. თუხერისის ხერთვისში გავაჩერეთ და სამხრეთის კედლიდან ციხეზე ავედით.

საშინლად ცხელა...

თუხარისზე ადრეც ვყოფილვარ. დღეს მეორედ ვარ ციხეზე. მიზიდავს ძნელად მისადგომი ციხეები, სიძველეები ზოგადად. მიხარია, კოშკებიდან რომ გადავხედავ ციხის მიმდებარედ გაშენებულ სოფლებს, მეციხოვნესავით ვუთვალყურებ გარემოს... ხშირად ვფიქრობ ჭოროხის ქვეყნებში მიმობნეულ სიძველეებზე, ეკლესია-მონასტრებსა და ციხეებზე, სარწყავ არხებზე, ხიდებზე, საწნახელებზე... ყველაფერს წმ. თამარის სახელს რომ უკავშირებენ ჭოროხის ქვეყნელები. აჭარელთა, შავშთა, კლარჯთა, ტაოელთა, სპერთა მეხსიერებას სხვადასხვა ნარატივში დღემდე შეუნახავს თამარის სახე: თამარი დიდი დედოფალია, გამრჯე და მზრუნველი თავის ხალხზე...

თამარი ზრუნავს სოფლებზე: გაჰყავს არხები, აშენებს ეკლესიებს, მონასტრებს, ციხეებს, ებრძვის მომხდურებს. არაფერს იშურებს ქვეყნის სამსახურით დამაშვრალი: წყალი მოჰყავდა ტაოელთათვის, წითელი დაელია თურმე, ნაწნავები მოიჭრა, გაყიდა და აღებული ფულით არხის მშენებლობა დაასრულა. ნაწნავების გაყიდვა მოუხდაო დედოფალს ოთხთა ეკლესიის მშენებლობისას... ვინ იცის, რამდენი გაჭირვება გადაიტანა ქვეყანასა და ხალხზე მზრუნველმა დედოფალმა.

სამხრეთის კედელთან დავსხედით, სული მოვითქვით და მუშაობას შევუდექით: არქეოლოგები ხელჩასაჭიდ ფაქტებს ეძებენ ციხის დასათარიღებლად. ვხედავთ, კოშკის გვერდით ადგილობრივ „არქეოლოგებს“ თუ ოქროსმაძიებლებს ღრმა თხრილი გაუჭრიათ. მერაბი აკვირდება თითქმის სამმეტრიან ორმოს: სხვადასხვა ფენა შეიმჩნევაო, გვეუბნება, ჩვენი გასაკეთებელი საქმე გაუკეთებიათო განძის მაძიებლებს! ნახანძრალიც ატყვიაო მიწას...

– ნახანძრალი გასაკვირი არ უნდა იყოს. ვინ იცის, რამდენჯერ გადაწვეს და დაანგრიეს თუხარისი! – ვამბობ გულისტკივილით.

თხრილში კერამიკის ჭურჭლის ნაშთები ჩანს. ვცდილობთ, მივწვდეთ, მაგრამ ვერ ვახერხებთ.

კარგად ვისვენებთ ისტორიულ ძეგლთან. დაღლილობა გვეხსნება, ვერც მწვავე მზეს ვგრძნობთ... წარსულთან იდუმალ დიალოგში გადის საათები. ეს ის დროა, ცოცხლად რომ ვეხებით წარსულს, თანაზიარი ვხვდებით წინაპართა საქმისა...

თუხარისი ზემოდან დაჰყურებს ჭოროხისპირა ველებს, ათ საუკუნეზე მეტია, დარაჯობს მათ. ციხე იცავს, ასევე, **ოქუზ დერეს** (შდრ. ქართ. **ხარის ხეობა||ხევი**. **ხარის ხევად** მონათლა ახალმა ნათლიამ **თუხერისი<თუხარისი –** ავტ.) სანახებს, მწვანეში ჩაფლულ ხეობასა და

სოფელს. ჭოროხისპირა ველებიცა და მასზე გაშენებული სოფლებიც მალე წყლის ქვეშ აღმოჩნდება, დიდი ენერგოპროექტი შეიწირავს მას და ტაოს, ზოგადად საქართველოს, ძველი ისტორიის ნაწილსაც. ბებერი თუხარისი კიდევ ხელოვნური ტბის „მცველად“ იქცევა.

ციხის ეზოში, ჩრდილო მხარეს, ჭის მსგავსი ნაგებობის ნაშთები შეინიშნება, შესაძლებელია, ბუნებრივი მაცივარი ჰქონდათ აქ გამართული. წესად ყოფილა ციხეებში „მაცივრების“ მოწყობა.

მზე აცხუნებს! გადახანძულა ირგვლივ მთები, გახრაკულა, როგორც მექართულე ტაოელი იტყვის. ჭოროხი და ოქუზდერე აცოცხლებს ჩევრელსა და თუხარისს.

ჩრდილო კოშკითა და მიმდებარე გალავნით იწყება ციხის ისტორიაო, – ასკვნიან მერაბი და ჯიმშერი, – დანარჩენი ნაწილი გვიანდელი ჩანსო.

საყურადღებო დასკვნაა თუხარისის ისტორიის გასააზრებლად.

ციხე ავზომეთ: 36X36=936 კვადრატულ მეტრს.

ციხის კედლები დაუმუშავებელი ქვითა და დუღაბით არის ნაგები. კედლების სისქე ერთ მეტრზე მეტია...

ერთი შესასვლელი აქვს თუხარისს სამხრეთიდან, სხვა სამი მხრიდან მიუვალია იგი, იცავს მტკიცედ ნაგები კედლები და ბუნებრივი ზღუდეები.

სამხრეთის კოშკთან მოვიყარეთ თავი. აქ შედარებით გრილა, კოშკის კედლებში ვერ აღწევს მზის მხურვალება, ვსაუბრობთ. მხოლოდ ჯიმშერი განაგრძობს ციხის დეტალურ შესწავლას: დაძვრება კედლებზე, ზომავს კედლის სისქეს, აზუსტებს დეტალებს, ყველაფერს რვეულში ინიშნავს, უღებს ფოტოებს...

კარგა ხანია, ველოდებით, როდის დაასრულებს ჯიმშერი მუშაობას, დღესვე გვწადია ქისკიმში წასვლა და ქისკიმის ციხის შესწავლა.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ჯიმშერი ჩამოვიდა ციხის კედლებიდან. თუხარისის შესწავლა დავასრულეთ, დადგა ქისკიმის ჯერი...

იუსუფელი-ისპირის გზაზე გავედით, რამდენიმე კილომეტრი ისპირისაკენ ვიარეთ, შემდეგ მარცხნივ შევუხვიეთ და აღმართებს შევუდექით. ექვს კილომეტრზე მეტი გავიარეთ უკაცრიელ გზაზე: ახალნაშენი სახლი გამოჩნდა, რაც სოფლის დასაწყისად მივიჩნიეთ. მალე ქისკიმში ვიყავით. ზღვის დონიდან 1600 მეტრზე მაღლაა დასახლება. ველზეა გაშენებული ქისკიმი – თავისი ქუჩებითა და ორღობეებით.

შეძლებული სოფელი ჩანს ქისკიმი: კეთილმოწყობილი სახლები, მოვლილი ეზო-კარი, ბაღ-ვენახები და სათესები, სახნავები, ჯიშიანი საქონელი და სხვა მრავალი ამის თქმის საფუძველს გვაძლევს.

ქუჩა ამწეს გადაუკეტავს, ელექტრონის ბოძს ცვლიან მუშები, წვალობენ, უჭირთ ძველის ამოღება და მის ნაცვლად ახლის დაყენება. მანქანა გავაჩერეთ. იქვე მდგომ მამაკაცებს ვეკითხებით ციხის ადგილმდებარეობას.

– გვაჩვენებენ, მაღლაოო ციხე, მთის წვერზე.

იქით ვიყურებით, საითაც გვაჩვენებენ. ვერაფერს ვარჩევთ. ვერც იუსუფელი-ისპირის გზიდან დავინახეთ ციხე.

ვერაფერს ვხედავთო, ვამბობთ.

მაღლა, მთაზე არისო ციხე, – დაბეჯითებით გვეუბნებიან ქისკიმელები. ჩვენც გვჯერა მათი ნათქვამი.

ორღობეს მაღლა ავუყევით ახალგაზრდა ქალაქელი ქისკიმელის, ოსმანის თანხლებით.

ქალაქელი ქისკიმელი ვუწოდე ოსმანს, რამდენადაც იგი მშობლებთან ერთად ბურსაში ცხოვრობს, იქ გაიზარდა, წელს უნივერსიტეტში ჩარიცხულა, ახლა ზაფხულს წინაპართა სოფელში ატარებს, ბათუმში ჩამოსვლაზეც ფიქრობს, მეგობარი მყავსო თქვენს ქალაქში...

სოფლის გარეთ გავედით. გზიდან ვუყურებთ ციხეს, თითქოს რაღაც ნაშენი განირჩევა მთაზე.

ოსმანი გვიყვება, ნამყოფი ვარო ყალეზე, მეზერიაო იქ, აუზიცაოო ციხის ერთ მხარეს, წყალს აგროვებდნენო შიგ...

წყლის მარაგი ნამდვილად დასჭირდებოდათ მეციხოვნეებს, იმდენად მაღალზეა ციხე, იქ წა-

რმოუდგენელია ბუნებრივი წყლის არსებობა, არც რუს გაყვანაა შესაძლებელი მიუვალი მთის წვერზე.

ჯიმშერს ვეთათბირები, მე და შენ ავიდეთ-მეთქი ციხეზე, სხვები თუ უარს იტყვიან. მჯერა, ზაზა აგვიბამს მხარს.

გზას მივუყვებით. მთის ფერდობებს ვათვალიერებთ, ციხისკენ მიმავალ ბილიკს ვეძებთ, ანდა მარჯვე ადგილს, საიდანაც შევძლებთ სიმაგრეზე ასვლას.

მერაბი, ზაზა, ადამი და მე ვსაუბრობთ, ჯიმშერი იქვე ტრიალებს. ოსმანი ზაზას უხსნის რაღაცას თურქულად, ხელით აჩვენებს მთისკენ. უცებ აღმოვაჩინეთ, რომ ჯიმშერი აღარაა ჩვენს შორის. პირველად ვიფიქრეთ, სურათებს იღებდა ორღობეში, ალბათ, ჩამოგვრჩაო გადაღებით გართული.

სოფელში ჩამოვედით. ჯიმშერი არსად ჩანს. ბოლოს ოსმანმა გვიხსნა: ადგილიც გვაჩვენა, აქედან შეუყვაო მთის ფერდობებს ჯიმშერი.

ვჯავრობ!

ვჯავრობ ორი მიზეზით: ჯერ ერთი, რატომ არ გვითხრა და ისე წავიდა; მეორეცაა და, მარტო რატომ წავიდა, ჩვენ ხომ აქ იმიტომ ამოვედით, რომ ერთად ავიდოდით ციხეზე... მეც ხომ მსურდა, მენახა ქისკიმის ციხე?

ზემოდან დავყურებთ ქისკიმს: მშვენიერი დასახლებაა, მწვანეში ჩაფლული, სოფლის უკან, ხევში, ტერასებია, ხელოვნური დავაკებები სახნავ-სათესად.

ქისკიმელებთან ვსაუბრობთ!

– ზაზა, ჰკითხე ერთი ამათ, ამ ვაზის სახელები თუ იციან? – ვთხოვ ზაზას.

– ***საფერავ**',

****ქეჩი მემესი** (შდრ. თხის ძუძუ),

*****ქუზუ გოზი** (შდრ. ბატკნის თვალა),

******კაროლ** (<კარულ'ი?),

****** ხათხულ**' (შდრ. ხალთურ'ი),

******თუღრანდ**ა,

******ჩოჩხასი** (შდრ. ჩოჩხათი!).

– რა კარგი ჯიშები დაგვისახელეს! – აღფრთოვანებას ვერ ვმალავ.

***საფერავი** აქამდეც ამოსულა! ჩანს, მთელს საქართველოში იყო გავრცელებული ვაზის ეს საინტერესო ჯიში.

****ქეჩი მემესი** შდრ. „თხის ძუძუ". სხვაგან, დუგურში და კლარჯეთში, **ცხენის ძუძუც** ჩავიწერეთ. დუგურში იციან **კარულიც**.

*****თ. **ქუზუ გოზი**, შდრ. ქართ. **ბატკნის თვალი**. კლარჯეთში „ხარის თვალი" (თ. ოქუზ გოზი) დავადასტურეთ. ორივე ჯიში ქართული ჩანს: **ქუზუ გოზი** – წვრილმარცვლიანი ყურძენია, **ოქუზ გოზი** – მსხვილმარცვლიანი.

„თხის ძუძუ", „ცხენის ძუძუ", „ბატკნის თვალი", „ხარის თვალი" საყურადღებო სახელებია სახელდების თვალსაზრისითაც.

******თუღრანდა, კაროლ** (<კარულ), **ხათხულ', ჩოჩხას' –** ოთხივე ქართული ჯიშია, ვეუბნები ადამს. არც სხვების ქართულობაში მეპარება ეჭვი. „ქეჩი მემესი", „ქუზუ გოზი" ქართული სახელწოდებების თურქული თარგმანია-მეთქი, ერთი „საფერავს" ვერ მოუხერხეს ვერაფერი, თორემ იმის თურქულ სახელწოდებასაც შემოგვთავაზებდნენ.

გავიხსენებ ერთ ცნობას, ნ. მარის დღიურებში რომაა დაცული: მკვლევარმა „ატ მემესის" გვერდით დაადასტურა „ცხენის ძუძუ". აღსანიშნავია ისიც, რომ „ცხენის ძუძუ" ახსენა ქართულის არმცოდნე ჭედილელმა. XX საუკუნის დასაწყისში კლარჯეთში ახსოვდათ „ცხენის ძუძუ", ვაზის ერთ-ერთი ჯიშის ქართული სახელი.

ვფიქრობ ვაზის გადარჩენილ ჯიშებზე ჭოროხის ხეობაში. ხმამაღლა ვფიქრობ, იმიტომაც, რომ ვაზი ქართველთა იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

და კიდევ, ვაზის ქართული ჯიშების პოვნიერება ტაოს ამ კუთხეში, კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ჭოროხის ხევის ეს ნაწილი ისტორიული ქართული პროვინციაა და არა...

სოფლის ორღობეებში დავდივართ. გაპარული ჯიმშერის (ჯიმის) ჩამოსვლას ველოდებით. არ ჩანს, იგვიანებს. ვნერვულობთ. სოფელიც ამჩნევს ჩვენს ნერვულ მოძრაობას. ოთხი საათი მაინც გავიდა ლოდინში. რა აღარ ვიფიქრეთ...

როგორც იქნა ჯიმი გამოჩნდა, საღ-სალამათი და მთელი, თუმცა დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი. ოსმანი შეხვედროდა ჩვენამდე ციხიდან ჩამოსულს, ბიძამისის ოჯახში მიიყვანა, წყალი დაალევინეს, სული მოაბრუნებინეს დაღლილს.

– რატომ გაგვეპარე, ხომ ვთქვით, ერთად ავიდეთო ციხეზე? მარტო რატომ წადი? რამე რომ შეგემთხვას, არ ფიქრობ? რა უნდა გააკეთო ჯერ უცხო მხარეში და შემდეგ მთაში მარტომ? – საყვედურით ვავსებ ჯიმის.

– წავედი და...

– გეძახით, ხმას არ გვაძლევ, გირეკავთ, არ გვპასუხობ!

– არ მესმოდა!

– ასეთი რამ აღარ გაიმეორო! კარგი, რა ნახე?

– წავიდეთ, დროა, მანქანაში ვილაპარაკოთ, წინ დიდი გზა გვიდევს, – გვთავაზობს ზაზა.

ვემშვიდობებით ოსმანსა და სხვებს, მოვდივართ.

– კარგი ციხეა, ძნელი ასასვლელია, მაგრამ ავედი. ქისკიმის ციხე უყურებს ერსისის ციხეს, სხვებსაც ჭოროხის ამ სექტორში. ჩანს, ინფორმაციის მთავარი მიმღებ-გამცემი იყო ქისკიმის უსახელო ციხე.

ბარემ ვიტყვი, ქისკიმის ციხე, სახელი პირობითია, ჩვენ ვუწოდეთ უსახელო სიმაგრეს სოფლის სახელწოდების მიხედვით.

დღე მიილია. ხოჯამ საღამოს ლოცვაზე (ახშანამაზზე) მოუხმო მორწმუნეებს. ბინდი ჩამოწვა პარხლის ხევში. სასტუმროს ეზოში ვსაუბრობთ დღის შედეგებზე, დაგვიანებულ ვახშამსაც მოთმინებით ველოდებით...

2 აგვისტო, ოთხშაბათი. გათენდა. შავ ღრუბელს დაუფარავს ტაოს ცა. წვიმას აპირებს. დღეს სამუშაოდ არ წავალთ, საექსკურსიოდ გამოვიყენებთ დღევანდელ დღეს; რამდენიმე ძეგლის ნახვა გვაქვს გადაწყვეტილი, კერძოდ: ხახულის, ოშკის, იშხანის, ოთხთა ეკლესიის. თუ მოვასწრებთ ესბეკშიც ავალთ.

მოგზაურობა ხახულით, ჩვენგან უშორესი ტაძრით დავიწყეთ. თორთუმისწყლის ხეობას მაღლა ავუყევით. მშვენიერია ღრმა ხეობაში გაწოლილი მდინარე, მაღალი კლდეებით გარშემორტყმული. არაერთხელ ვყოფილვარ ამ კუთხეში, ამ გზაზეც გამივლია მრავალჯერ; ამ ხეობის ყოველი ხილვა ახალი ემოციებით მავსებს. ვფიქრობ... ვდარდობ ჭოროხის ხევის ზემოწელის ხვედრზე. ერთ დროს ქვეყნის მეწინავე კუთხე, ერთიანი საქართველოს იდეის დამბადებელი, ქართული მწერლობისა და ზოგადად, კულტურის დიდი მოამაგე ჩამოცილდა ერთიან საქართველოს და სხვა კულტურის ნაწილად იქცა. ჭოროხის ქვეყნების დიდი ნაწილი „შეერთო უცხოთა“, მაგრამ მიწას დღემდე ატყვია ქართველი კაცის ნაფეხურები, გაფერმკრთალებული და დანაცრებული. დრო შლის ქართულს ამ კუთხეში, მაგრამ რაღაც გადარჩა, რომელსაც ვეძებთ და აღვნუსხავთ, ხანდახან იქ ვპოულობთ, სადაც არ ველოდებით. თუნდაც ვაზის ქართული ჯიშების პოვნიერება რად ღირს ტაოს იმ ნაწილში, რომელსაც სხვები იჩემებენ, აღარაფერს ვამბობ ისტორიულ ძეგლებზე...

ფიქრებში დრო გავიდა. ხახულის მონასტერთან ვართ უკვე. მანქანიდან გადმოვედით და ტაძრის ეზოში შევედით. ახალგაზრდები სხედან ძელსკამზე, ყურანის კურსების მსმენელები უნდა იყვნენ, ხოჯის მომლოდინენი.

ეკლესია დაკეტილია. გასაღები ხოჯასთანაა, ხოჯა კიდევ სოფლის ჩაიხანაშია და ჩაის მიირთმევს. ხოჯა განაგებს ქრისტიანულ სალოცავს. ესეც ტაოს ტრაგიკული ისტორიის ერთი ეპიზოდია: „ახალმა პატრონებმა“ გადაღებეს ხახულის მოხატული კედლები სადამდეც მისწვდნენ, შემდეგ მეჩეთად გადააკეთეს იგი, უფრო სცადეს გადაეკეთებინათ, რადგან თავად ქრისტიანული სალოცავი არ დაყვა უცხოთა ნებას, არ გადაკეთდა ჯამედ. დღესაც ატყვია ხახულის კედლებს ძველი ფრესკების კვალი...

ჯამე გახსნეს ქრისტიანულ ტაძარში თურქებმა თუ გამუსლიმანებულმა ქართველებმა. ზარებისა და ქრისტიანული გალობის ნაცვლად ეზანის ხმა ისმის წმინდა ხახულში საუკუნეზე მეტია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჯამედ ქცევამ დანგრევას გადაარჩინა ტაძარი, მოუარეს ახალმა პატრონებმა „თავიანთ სალოცავს“.

საშინლად ცხელა. დასიცხულები ვხეტიალებთ ტაძრის ეზოში. თამარი აღფრთოვანებული ათვალიერებს ხახულს, სურათებს იღებს, ჩვენც გვიღებს, სანთლებს ანთებს... თამარის გასახარებლად ღირდა ხახულში ჩვენი დღევანდელი სტუმრობა.

ხოჯა მოვიდა. გაგვიღო ტაძრის კარი.

– სანთლების დანთება შეიძლება? – ეკითხებიან იმამს.

– არა, ჲასაღია, სანთლების დანთება გარეთ შეიძლება!

არ გაგვკვირვებია ხოჯის უარი, დასტური უფრო გაგვიკვირდებოდა...

ტაძრიდან გამოვედი. კარგა ხანს ძელსკამზე ვიჯექი და ჩვენი ექსპედიციის წევრების ფუსფუსს ვუყურებდი. შემდეგ ავდექი, ხახულს შემოვუარე, ტაძრის გარშემო გაშენებულ ბაღში გავიარე, სიმშვიდე დამეუფლა, შინაგანი სიმშვიდე, აფორიაქებულს რომ გაწყნარებს. როცა დავბრუნდი, სურათებს იღებდნენ ჩვენები ტაძრის ფონზე, მეც გადავიღე რამდენიმე ფოტო მათთან ერთად.

მანქანაში ჩავსხედით. მაღლა ავუყევით ხევს. მდინარის გაღმა, მაღალი მთის ქიმზე, ნანგრევები ჩანს, მცირე ბაზილიკა სოფლის სამლოცველოდ აშენებული.

ხახულიდან წამოვედით, უზუნდერეში ვისადილეთ და ოშკში წავედით.

ტაძართან მისასვლელი გზა მოუასფალტებიათ; აღარ აწუხებს მგზავრს მტვრის ბუღი, მანქანის გავლის შემდეგ რომ დგებოდა შარაზე.

უჭირს ოშკს, ძლივს დგას ფეხზე ბებერი, შველას სთხოვს მომსვლელს, მომლოცველ ქართველს მაინც, მშველელი არსაით ჩანს. არავის ესმის სახურავჩაქცეული და ხავსმოკიდებული ტაძრის მუდარა... შიში მიპყრობს, ფეხზე თუ დამხვდება მეორედ მოსულს. იგივე განცდა მეუფლება ოთხთა ეკლესიაში. რამდენს გაუძლებენ ლოდინით დაღლილი „მიტოვებული ტაძრები?“

გზიდან ოშკი გამოჩნდა. მადლობა ღმერთს, ფეხზე დგას კვლავაც!

კარგა ხანს ვიტრიალეთ ტაძრის ეზოში, სანთლები დავანთეთ, სურათებიც გადავიღეთ დღევანდელი დღის სამახსოვროდ.

ოშკიდან იშხნისაკენ წამოვედით.

საკმაო გზაა ოშკიდან იშხნამდე, დროც საკმაო მაქვს ფიქრისათვის მანქანის სავარძელზე მოკალათებულს, თუმცა, ახლა ფიქრიც მიჭირს, ერთმანეთში მერევა ყველაფერი...

გზა გაილია. ცენტრალური გზიდან გადავუხვიეთ და იშხნის აღმართებს შევუდექით. გვცხელა. აღარც წყალი გვაქვს მანქანაში. სოფელში ავედით, ჯამის ეზოში გავაჩერეთ მანქანა. იქვე წყალი მოდის, ცივი...

ფეხით ჩავედით ტაძრის ეზოში. რესტავრაცია თითქმის დასრულებულია. სიცოცხლე დაუბრუნდა იშხანს, „იშხანი გადარჩა“, იშხანს დანგრევა აღარ ემუქრება...

ტაძარში არ შეგვიშვეს მცველებმა, რესტავრატორები მუშაობენ, ჲასაღიაო შესვლა.

რას ვიზამთ, უნდა დავემორჩილოთ აკრძალვას.

ეზოს ვათვალიერებთ, ბევრი სიახლეა იშხნის ეზოში: არქეოლოგიური გათხრების შემდეგ აღმოჩნდა ძველი ნაგებობის საძირკვლები, სხვა სიძველეები.

კარგა ხანს დავყოვნდით იშხანში. მშვენიერი სანახავია რესტავრირებული ტაძარი. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ მოშალეს ახალმშენებლებმა ეკლესიის მარცხენა მხარეს მინაშენი, ვერაფრით რომ ჯდება ჯვარგუმბათოვანი ტაძრის არქიტექტურაში.

სურათებს ვიღებთ და ვემშვიდობებით იშხანს; ვემშვიდობებით იმედით, რომ შემდეგ მოსვლაზე დასრულებული იქნება სარესტავრაციო სამუშაოები და განახლებული ტაძრის ნახვის შესაძლებლობა მოგვეცემა...

მანქანაში ჩავსხედით და იშხნიდან წამოვედით. ცენტრალურ გზაზე ჩამოსულებმა ესბეკში წასვლა გადავიფიქრეთ, უკვე გვიანია, ცაც იქუფრება საწვიმრად... სჯობს, ოთხთა ეკლესიაში ავიდეთ.

იუსუფელში ჩავედით, იქიდან – ოთხთა ეკლესიაში.

წვიმა წამოვიდა მსხვილი და ცივი, სულხანსაბა რომ იხსარს უწოდებს. მალხაზი და თამარი არ მოერიდნენ გაწუწვას და თავსხმა წვიმაში ავიდნენ ტაძარში. სხვები კარგა ხანს მანქანაში ვისხედით და წვიმის გადაღებას ველოდით, მაგრამ ამაოდ. ვატყობთ, არ აპირებს გამოდარებას. იმედგადაწურულებმა ჩქარი ნაბიჯით ავიარეთ აღმართი...

სანთლები დავანთეთ ბათუმიდან ამ დღისათვის სპეციალურად წამოღებული, ფოტოები გადავიღეთ ტაძარში და ტაძრის ეზოში, მადლობა შევწირეთ უფალს, რომ ტაძარი ფეხზე დაგვხვდა...

უკვე გვიანია. სასტუმროში ვბრუნდებით. ამაღამ ბარგს ჩავალაგებთ და სახვალიოდ მოვემზადებით.

ხვალ, 3 აგვისტოს, ექსპედიცია „ტაო 2017“ დასრულდება.

ხვალ ექსპედიციის უმეტესი ნაწილი სახლში დაბრუნდება. მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე და მე დავრჩებით, უნიეში გადავალთ და რამდენიმე დღე მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში ვიმუშავებთ.

3 აგვისტოს, საუზმის შემდეგ, დავემშვიდობეთ სასტუმრო „აგარას“ და გზას დავადექით. კარგად გვიმასპინძლა ტაომ, – საყურადღებო მასალები შევაგროვეთ, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, რამდენიმე მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ძეგლი შევისწავლეთ. ასე რომ, ვფიქრობ, ექსპედიცია წარმატებული გამოდგა...

8 აგვისტოს, გამთენიისას, გამოვიარეთ სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი და ბათუმში დავბრუნდით.

განსჯა. დასრულდა კომპლექსური ექსპედიცია „ტაო 2017“. ექსპედიციამ ათი დღე იმუშავა ისტორიული ტაოს სოფლებში. ახლა, როდესაც მასალები გადავწერეთ, ექსპედიციის დღიურები გადავიკითხეთ და ახალი თუ დამატებითი ინფორმაციით შევავსეთ, დადგა დრო, შევაჯამოთ საველე მუშაობა, ვისაუბროთ მის მთავარ შედეგებზე, რომელიც, ვფიქრობ, შთამბეჭდავია.

I. ჩავიწერეთ დიალექტოლოგიური მასალები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია, უპირველესად, ტაოური კილოს პროფილის დასადგენად, მეორეს მხრივ, ქართული დიალექტოლოგიისათვის, ზოგადად. ახალი მასალები კიდევ მეტად გვიმტკიცებს აზრს, რომ შესაძლებელია ტაოური კილოს ერთიანი პორტრეტის შექმნა; და ეს მაშინ, როდესაც ისტორიული ტაოს დიდი ქვეყნის მხოლოდ ერთი ხეობის რამდენიმე სოფელში და მთის გადაღმა ბინათში ისმის ქართული.

ელიასხეველთა მეტყველებაში მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოჩნდა ტაოური დიალექტი:

– ტაოურში დაჩნდება ʒ ბგერა, თუმცა მას ჩვეულებრივ ცვლის ხ’, სხვაგვარად, არ აქვს სიტყვათგანმასხვავებელი, დისტინქტური ფუნქცია.

– როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ტაოურშიც გვხვდება ჲ, რომელიც ი’ს პოზიციური ვარიანტია და ქმნის დამავალ დიფთონგს, იშვიათად – აღმავალს: თურქულიდან შემოსულ სიტყვებში y ბგერის გადმოსაცემად: ჲაღი, ჲუღურთი...

– ტაოურ გამოთქმაში ისმის ირაციონალური (ʔ) ხმოვანი, დასტურდება c-c პოზიციაში...

– გარკვეულ პოზიციაში დაჩნდება უმლაუტიანი ხმოვნები. ვიტყვით, რომ ტაოურს, სხვა სამხრულ კილოებთან შედარებით, მეტად ახასიათებს უმლაუტი თუ „უმლაუტის მსგავსი მოვლენა“ (ნ. ქუთელია), თუმცა აქაც იგი „გამოუყენებელი შესაძლებლობაა“.

– დასტურდება ტონური მახვილი, რომელიც ფიქსირებულია და სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე. სამხრულ კილოთაგან ტონური მახვილი ყველაზე კარგად ტაოურს დაუცავს, თუმცა ნაშთის სახით სხვა კილოებშიც დავადასტურეთ.

– ჩაწერილ მასალებში ჩანს საყურადღებო სახელური და ზმნური ფორმები: სახელისა და ზმნის ფორმაწარმოებაში ტაოური ზოგჯერ ძველქართულისებურ ფორმებს იყენებს, ზოგ-

ჯერ – საკუთრივ დიალექტურს. სახელური და ზმნური ფორმებით ტაოური მკვეთრად გამოკვეთილი დიალექტია.

– მნიშვნელოვანია ნ'არიანი მრავლობითის ფორმები ტაოურში: ჲამაღიანნი, ქოჲდიანნი, კავლიანნი, მუსიანნი... თ'ანიანი მრავლობითის ფორმები არ დაგვიდასტურებია.

– ყურადღებას იქცევს ზმნის მრავლობითობის **–ეს** სუფიქსიანი, ძველქართულისებური წარმოება: **აკეთებს** (ერთი), მრავალი – **აკეთებდეს**.

– განსაკუთრებულ თავისებურებებს ტაოური ამჟღავნებს ლექსიკაში: დადასტურდა ისეთი სიტყვები, რომელიც სხვაგან არ გვხვდება: **მარქვალი** – კარტოფილი, **ხვარათობა** – ლაპარაკის მნიშვნელობით და სხვ.

– ყურადღებას მივაქცევთ „ქოხის სახელებს", ე.წ. ლაღაბ გვარებს, შტო-გვარებს, რომელიც ტაოურში უმეტესად **–იან** სუფიქსითაა ნაწარმოები. ძალზე იშვიათად გვხვდება **–ძე**(>ზე)'თი ნაწარმოები „გვარები", სხვა სუფიქსით ნაწარმოები სახელებიც. –იან სუფიქსიანი წარმოება უძველეს ფენად უნდა იქნას მიჩნეული.

– როგორც მეთურქულე, ისე მექართულე ტაოში ჩავიწერეთ გეოგრაფიული სახელები, რომელთა დიდი ნაწილი ქართულია, ქართული სიტყვასაწარმოებელი აფიქსებით ნაწარმოები, გვხვდება არაქართული ტოპონიმებიც. ტოპონიმიაში ნათლად ჩანს ტაოს უძველესი მოსახლეობის კვალი.

– დავაფიქსირეთ ვაზის ქართული ჯიშები: საფერავი, კარული, ჩოჩხასი... მეთურქულე ტაოში ვაზის ქართული ჯიშების „აღმოჩენა", ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია. ვაზი ხომ ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

II. ექსპედიციამ ჩაიწერა საყურადღებო ფოლკლორული მასალები. როგორც პროფესორი თინა შიოშვილი ამბობს, განსაკუთრებით მდიდარია ტაო „მითოსური ნარატივებით". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტაოს ზეპირსიტყვიერებამ ცხადად შემოინახა არქაული დარგობრივი ღვთაების, წყლის განმასახიერებელი, ე.წ. „ფერი ქალის", „ფერი დეკაცის" (ფერი დედაკაცის) სახე და მისი ფუნქციები. თუ საქართველოს სხვა კუთხეებში ეს მითოსური პერსონაჟი უკვე დეგრადირებულია და დემონად გამოიყურება, ტაოურ ნარატივში შენარჩუნებული აქვს ღვთაებრივი ფუნქციები.

– ტაოს ფოლკლორმა, კლარჯულის მსგავსად, შეინახა მარადიული გაზაფხულის, ანუ დაკარგული სამოთხის, მითოსის საყურადღებო ვარიანტები. მართალია, ეს მითოსური ეპოქა თამარის სახელს აღარ უკავშირდება, იგი ჩანაცვლებულია ქრისტიანი მღვდელმსახურით, რაც კიდევ მეტად საინტერესოს ხდის საქართველოს ამ კუთხეში რელიგიათა ურთიერთმიმართებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ევოლუციის პრობლემას.

– დაფიქსირდა მცირე წარღვნის ლეგენდის საინტერესო ვარიანტი და თქმულებანი დემონურ პერსონაჟებზე.

– ტაოში კარგადაა შემონახული ფოლკლორის ტრადიციული ჟანრები: შელოცვა, ანდაზა, გამოცანა, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და საქორწილო ლირიკა, მახვილსიტყვაობა, წყევლისა და დალოცვის ნიმუშები...

III. ექსპედიცია აკვირდებოდა ტაოელთა ყოფასა და ტრადიციულ კულტურას. ჩვენი დაკვირვების ობიექტივში მოექცა:

– ტაოური სახლი ადგილობრივ რელიეფსა და კლიმატს მორგებული: I სართული ქვისაა, იქ ბოსელია გამართული. ბოსელში შემოღობილი ადგილია **პირტყვისათვის** (წვრილფეხა საქონლისათვის: ცხვარი, თხა... – ავტ.), რომელსაც ტაოელი **ქორს** ეძახის; მეორე სართულზე საცხოვრებელი გაუმართავთ, მესამეზე – სათავსო: ბეღელი და სათივე. სახლის სართულები შიგა კიბით უკავშირდება ერთმანეთს...

– ტერასული მეურნეობა: მცირემიწიანია ტაო, ამიტომაც ტაოელი იძულებული იყო ეშენებინა **ყორეები||ყვერეები**, მოეზიდა მიწა და შეექმნა ხელოვნური დავაკება, სადაც ხნავდა და თესავდა, აშენებდა ხეხილს...

– ტაოური სოფლის დასახლება „ბუდობრივი დასახლებაა“, რაც გულისხმობს: სოფელში შტო-გვარები, „ქოხის სახელები“ ერთად სახლობენ და ქმნიან სოფლის უბანს. დასახლების ტიპით ტაო ენათესავება ჭოროხის სხვა ქვეყნებს და მთელს საქართველოს.

ტაოს ეთნოგრაფია ქართული ყოფის მნიშვნელოვანი ნაწილია.

IV. ექსპედიციამ შეისწავლა „ციხემრავალი ტაოს“ მატერიალური კულტურის ძეგლები, ციხეები, ეკლესიები, საცხოვრებელი სახლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჭოროხის ზემოწელში თუხარისის, ქისკიმის... ციხეების, ასევე იშხანს გაღმა ესბეკის ციხისა და სამონასტრო კომპლექსის შესწავლა.

ექსპედიცია „ტაო 2017“, დასრულდა. მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ისტორიული ტაოს შესახებ და, რაც მთავარია, იგი საფუძვლად დაედება მრავალპლანიან მონოგრაფიას „ტაო“...

ალექსანდრე ჩხაიძე

სელიმ ხიმშიაშვილი – ოსმალეთის ხელისუფლების სტრუქტურის ურჩი მოხელე

სელიმ ხიმშიაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში. ის რეგიონული მასშტაბის გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა და დაუღალავი მებრძოლი იყო. აღნიშნულ პერიოდში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია მთლიანად ოსმალეთის იმპერიის საზღვრებშია მოქცეული და მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რაიონებს შორის განაწილებული. ამ დაპყრობილი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის, სამცხე-საათაბაგოს, ადგილას ძირითადად ჩილდირის (ახალციხის) ვილაეთი იყო შექმნილი. მას ტრადიციულად გამაჰმადიანებული ჯაყელები მართავდნენ ფაშის ტიტულით. XVIII ს. ბოლოს მთიან აჭარაში დაწინაურებული სელიმ ხიმშიაშვილი ჯაყელების სერიოზული მეტოქე და ორჯერ (1803-1809 და 1812-1815 წწ.) ჩილდირის ვილაეთის ფაშა ხდება. ოსმალეთისათვის ეს იყო რთული პერიოდი საერთოდ და რთული რეგიონი კონკრეტულად.

აღნიშნულ ვილაეთში იმ დროს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები ორგანულადაა დაკავშირებული საერთო იმპერიულ პროცესებთან და მათი მხოლოდ ერთად განხილვაა მიზანშეწონილი.

XVIII ს. მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერია ფლობდა ტერიტორიებს ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. ამით ის აკონტროლებდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს. გაერთიანებული ჰყავდა მრავალი, განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხები და ტომები. ის ჯერ კიდევ მძლავრი ქვეყანა იყო. ამასთან ამ სიმძლავრეს შინაგანი დაძაბუნება ჰქონდა დაწყებული. აქ არსებობდა სამხედრო-ფეოდალური სისტემა, ეკონომიკა ჩამორჩებოდა განვითარებული ქვეყნების დონეს, ქვეყანა სუსტი ცენტრალიზაციით გამოირჩეოდა. ფეოდალთა ნაწილს პორტასაგან* თავი სულ უფრო დამოუკიდებლად ეკავათ. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმპერიის პერიფერიებს.

XVIII ს. მეორე ნახევრისათვის ოსმალეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ დაპყრობილი ხალხების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. ამ თვალსაზრისით აქტიურად მოქმედებდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხები-ბულგარელები, სერბები, ბერძნები, ალბანელები და სხვები. ისინი არა მარტო ფეოდალურ, არამედ პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ დისკრიმინაციას განიცდიდნენ. ანტითურქულ მოძრაობას ადგილი ჰქონდა იმპერიის სამხრეთით, არაბულ ქვეყნებშიც. აღმოსავლეთით კი თავისუფლების მოყვარული ქურთები, ასევე, დამოუკიდებლობის-

* პორტა – ევროპის ქვეყნებში იხმარებოდა როგორც ოსმალეთის მთავრობის, ზოგჯერ იმპერიის სახელწოდება („ბრწყინვალე პორტა“, „მაღალი პორტა“ და სხვა).

კენ ისწრაფვოდნენ. ამავე პერიოდში ლაზეთში, მის მთიანეთში, ლაზები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ მნიშვნელოვან თავისუფლებას და თავს არიდებდნენ დამპყრობელზე დამოკიდებულებას. ჩილდირის ვილაეთში და მის მიმდებარე რაიონებში მცხოვრები ქართველი და სომეხი მოსახლეობაც თავს უცხოდ გრძნობდა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში და ასევე ილტვოდა დამოუკიდებლობისაკენ.

XVIII ს. მეორე ნახევარი ის დროა როცა გაძლიერებული რუსეთის იმპერია ჩრდილოეთიდან მოიწევდა ძალით თუ ნებით. ბალკანეთზეც და კავკასიაშიც ის ოსმალეთის სერიოზული კონკურენტი იყო. 1801 წ. რუსეთის იმპერიამ დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო და ამიერკავკასიაში ოსმალეთის იმპერიის უშუალო მეზობელი გახდა.

სტამბოლში, გაბატონებული კლასის ნაწილი ხედავდა გართულებულ მდგომარეობას და რეფორმების გატარებით ფიქრობდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. ცვლილებათა აუცილებლობა შეგნებული ჰქონდა სულთან სელიმ III (1789-1807 წწ.). ქვეყნის გაძლიერების მიზნით, იგი შეეცადა რიგი გარდაქმნების გატარებას. თუმცა მის მცდელობას მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. საქმე შეიარაღებულ შეჯახებამდეც კი მიდიოდა. რუსეთ-ოსმალეთის (1806-1812 წწ.) ომის დაწყების შემდეგ, 1807 წ. ის ტახტიდან ჩამოაგდეს და სულთანი გახდა რეაქციონერი მუსტაფა IV. მის წინააღმდეგ სტამბოლისკენ დაიძრა რეფორმების მომხრეთა შეიარაღებული ძალები. მუსტაფა IV ბრძანებით სელიმ III მოკლეს, თუმცა თვითონ მუსტაფა IV ტახტიდან ჩამოგდეს და სულთანი გახდა მაჰმუდ II (1808-1839 წწ.). მან ხანგრძლივი მმართველობის მანძილზე ფრთხილი, თუმცა გარკვეული ზომიერი გარდაქმნების განხორციელება მოახერხა.

როგორც ვხედავთ XVIII ს. მეორე ნახევარი და XIX ს. დასაწყისი საკმაოდ რთული პერიოდი იყო ოსმალეთის იმპერიისათვის. მოძველებული სამხედრო-ფეოდალური სისტემა დეცენტრალიზაციას, სეპარატიზმს უწყობდა ხელს. რეფორმები არ იყო ეფექტური. ეკონომიკა ვერ ვითარდებოდა, ქვეყანა რუსეთთან ომებში წარუმატებლობას განიცდიდა.

იმპერიის დედაქალაქიდან დაშორებულ, მთა-გორიან ჩილდირის (ახალციხის) ვილაეთში ბრწყინვალე პორტას ხელისუფლების გავლენა დიდად ვერ აღწევდა და ისიც, ძირითადად, ამ პროვინციის ფორმალური, უმნიშვნელო მორჩილებით კმაყოფილდებოდა. მით უმეტეს, რომ აღნიშნული რაიონი საქართველოს სამეფო-სამთავროების, ხოლო 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის მეზობლადაც მდებარეობდა და ფრთხილი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო. აქ ძლიერი ფეოდალები ჯაყელები და სელიმ ხიმშიაშვილი თავს შედარებით დამოუკიდებლად გრძნობდნენ, როდესაც მათ შორის მწვავე დაპირისპირება მიმდინარეობდა პირველობისათვის, რაც ცხადია ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში არანორმალური მოვლენა იყო, თუმცა ამ ამბებს ბრწყინვალე პორტა შორიდან უყურებდა. შეიარაღებულ დაპირისპირებას იმპერიის სხვა კუთხეებშიც და დედაქალაქშიც ჰქონდა ადგილი. ის ჩილდირის ვილაეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩარევისაგან თავს იმის გამოც იკავებდა, რომ აქ, საზღვარზე, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხები ცხოვრობდნენ, მდგომარეობა არ დაეძაბა. როგორც კავკასიის მმართველი 1809-1811 წწ. გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი 1809 წ. წერდა: პორტა ამ სასაზღვრო მხარეს ძალზე ცოტა ყურადღებას აქცევს და იზღუდება მხოლოდ იმ ფაშის დამტკიცებით, რომელიც გაძლიერდება, აქვს ბასრი მახვილი და ჩამოაგდებს საკუთარ მოწინააღმდეგეს (1.785).

ხიმშიაშვილთა წარმომავლობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (2.318-319). ჩვენთვის ცნობილია, რომ მათი პირველი წარმომადგენელი აბდული საზოგადოების დაბალი ფენიდან ყოფილა, რომელმაც აჭარის სანჯაყ ბეგობას მიაღწია (2.478). იგი 1784 წ. გურიაზე თავდასხმისას მოკლეს. სავარაუდოდ, სელიმ ხიმშიაშვილი დაიბადა 1755 წელს (2.319). თურქული ლიტერატურის მიხედვით, მან დაამთავრა სტამბოლის სასწავლებელი, შემდეგ კი სამხედრო სასწავლებელი, დააწინაუ-

რეს ბრიგადის გენერლად (3.5). იგი აჭარის სანჯაყ ბეგი ანუ აჭარის მფლობელი უნდა გამხდარიყო მამის სიკვდილის შემდეგ. როგორც აღვნიშნეთ, დაბალი კლასიდან აღზევებული აბდული გურიაზე თავდასხმისას მოკლეს, რაც სელიმის დაწინაურებას შეუწყობდა ხელს. რაც მთავარია, სტამბოლში განათლებამიღებულს გააჩნდა ძლიერი, პიროვნული ქარიზმატული თვისებები.

აჭარის სანჯაყ ბეგს ძირითადად ევალებოდა გადასახადების აკრეფა და სამხედრო კონფლიქტის დროს გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცის გამოყვანა. იმ პერიოდში ოსმალეთის იმპერიაში ზოგი ლენის მფლობელი სხვადასხვა მოსაზრებით თავს არიდებდა უშუალო მოვალეობას – გამოეყვანა ჯარისკაცები თავისი სამფლობელოდან და მონაწილეობა მიეღო სამხედრო კონფლიქტებში. ანალოგიურად 1787 წ. სელიმიც თავს არიდებს საკუთარ მოვალეობას (2.345).

აჭარა ჩილდირის ვილაეთში შედიოდა და ერთი შეხედვით აჭარის მმართველს ჩილდირის მმართველების ჯაყელების დავალებები უნდა შეესრულებინა, მაგრამ სელიმი ანგარიშს არ უწევდა თანამდებობრივად მაღალ იერარქიულ კიბეზე მყოფ პირებს.

ჩვენს ხელშია 1804 წლით დათარიღებული გურიის მფლობელის, მარინას* წერილი კავკასიის მმართველის (1802-1806 წლებში) პავლე ციციანოვის (ციციშვილის) მიმართ. წერილში ვკითხულობთ: როცა საათაბაგოში ფაშა იყო ისაყი, მასთან თხოვნით წავიდა სიმონ გურიელი,** რომ მისი სამფლობელო გაეთავისუფლებია. ეხლანდელი ფაშა ხიმშიაშვილი მაშინ აჭარის მფლობელი იყო. იმ დროს აჭარლები არად აგდებდნენ ახალციხის ფაშას ისაყს. აჭარლები უკან გამობრუნებულ სიმონს თავს დაესხნენ, ერთი მსახური მოუკლეს, სხვები დააკავეს. თვითონ სიმონი ხიმშიაშვილმა თავის სახლში წაიყვანა (4.541). მართალია, შემდეგ სელიმმა სიმონი გაათავისუფლა, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ჩვენთვის საინტერესოა წერილის მოყვანილი მონაკვეთი. ისაყი ახალციხის ფაშა იყო 1791-1792 წლებში (5). სიმონ გურიელიც მასთან ამ პერიოდში უნდა წასულიყო. რაც შეეხება მის თხოვნას, ეტყობა საქმე ეხება ქვემო გურიას, რომელსაც ოსმალები XVIII ს დაეპატრონენ. უფრო ზუსტად ქვემო გურიის ჩრდილოეთ მხარეს. კერძოდ, ციხისძირის მიდამოებს და მის ჩრდილო ტერიტორიებს, ქობულეთს, ხინოს, რომელიც ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა XVIII ს. 70-იან ან 80-იან წლებში (4.539, 544).

სიმონის ვიზიტის მიზანი უშედეგოდ დარჩა. ჩვენ კი ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ იმდროის აჭარის სანჯაყ ბეგის, ესე იგი აჭარის ლენის მფლობელის, სელიმ ხიმშიაშვილის და მისი ხალხის თვითნებობაზე. ფაშასთან ვიზიტად მყოფ გურიის მთავარს კაციც კი მოუკლეს, თვითონ მთავარი სიმონი კი დააკავეს. მარინა პირდაპირ წერს, რომ აჭარლები არად აგდებდნენ ახალციხის ფაშასო. როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთის იმპერიაში ცალკეულ ფეოდალთა სეპარატისტული ტენდენციები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ აჭარის ლენის მფლობელი სარგებლობდა არა მარტო თავისი სამფლობელოს რთული რელიეფური პირობებით და მეომარი მოსახლეობით, სადაც ის თავს დაცულად გრძნობდა, არამედ იმითაც, რომ აჭარელი ბეგები თავიანთ ლენს ფლობდნენ იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით. ამ წესის მიხედვით ადგილობრივი ბეგები სარგებლობდნენ საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტით და პასუხისმგებლები იყვნენ უშუალოდ სულთნის წინაშე (6.192,231). სულთნები კი შორს იყვნენ და სერიოზული პრობლემების წინაშე მყოფებს არ ეცალათ შორეული პერიფერიისთვის, ძნელად მისავალ ადგილებში მცხოვრები მეომარი ხალხისა და მათი ფეოდალისათვის. საერთოდ ჩილდირის ვილაეთში არსებული მიშვებულობისათვის, იქაური სამოქალაქო, სისხლისმღვრელი დაპირისპირებისათვის. XVIII ს. ბოლოს და

* გურიის მფლობელი (Владительница) მარინა – ასეა საბუთში. აღნიშნულ პერიოდში გურიის მთავარი იყო ქაიხოსრო ბატონიშვილი. მისი მმართველობის პერიოდია 1797-1809 წწ.

** სიმონ III გურიელი – გურიის მთავარი 1788-1792 წწ. – წერილის ავტორის მარინა წერეთლის მეუღლე.

XIX ს. დასაწყისში კი ჩილდირის ვილაეთში პირველობისათვის სერიოზულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ასე გრძელდებოდა სანამ (1808 წ.) ტახტზე ავიდა მაჰმუდ II, რომელსაც ჰქონდა სურვილი და მცდელობა შედარებით მაინც გამოესწორებინა ქვეყნის მდგომარეობა.

სელიმ ხიმშიაშვილს, სანამ ფაშა გახდებოდა, ჰქონდა ყაფუჩი ბაშის (სახლთუხუცესის) ტიტული. ასეთივე ტიტულს ატარებდა მისი მეტოქე შერიფ ჯაყელი სანამ (1790 წ.) ფაშა გახდებოდა. ასევე, ერთი პერიოდი ყაფუჩი ბაში იყო სელიმის შვილიც, მის საგვარეულოში ყველაზე დაწინაურებული აჰმედ ხიმშიაშვილი.

XVIII ს. ბოლოს ჩილდირის ვილაეთში ფაშობისთვის ბრძოლაში შეიარაღებული დაპირისპირება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ოსმალური წყაროების მიხედვით, 1800 წ. აჭარის სანჯაყ ბეგი სელიმი აუჯანყდა ჩილდირის ვილაეთის ფაშას შერიფ ჯაყელს (7.142). დროთა განმავლობაში მისი წარმატება განვითარდა. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორმა ლაზარევმა 1802 წ. ოქტომბერში ციციანოვის უპატაკა, რომ მიიღო ცნობა სელიმ აღას მიერ ახალციხის აღების შესახებ, შერიფ ფაშა გაიქცა (4.301). 1803 წ. 10 თებერვალს ციციანოვი იმპერატორს ატყობინებდა, რომ ახალციხის ფაშად დაინიშნა ვინმე რეჯები. ხოლო სელიმ აღა ხიმშიევმა, რომელმაც განდევნა შერიფ ფაშა, მიიღო მუსელიმის* თანამდებობა ახალციხის ფაშას განკარგულებაში (4.903-904).

ჩილდირის ვილაეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკმა სელიმ აღა ყიფიანმა 1803 წ. 21 აგვისტოს ციციანოვი ჩააყენა საქმის ყურში, რომ ყაფუჩი ბაში** სელიმ ხიმშიაშვილი გახდა ახალციხის ფაშა (4.894). შედეგად, ციციანოვის მიერ 1803 წ. 14 ოქტომბერს ვორონცოვისადმი გაკეთებული წარდგინების მიხედვით: ახალციხის რეჯებ ფაშა შეიცვალა სელიმ ხიმშიევით, მე მას და ახალციხის უპირველეს ჩინოვნიკებს გავუგზავნე საჩუქრებიო (4.895). ერთი თვის შემდეგ, 15 ნოემბერს სელიმ ფაშამ თავის წერილში ციციანოვის მიმართ ჩამოთვალა საკუთარი მდგომარეობა და უფლებები, რომ ის იყო „ქ. ყოვლად სანატრელი და დიდებით სავსე ხელმწიფის ვეზირი სრულიად ჩილდრის, მისი ალეიათის და ფარშის (ფოთის – ა. ჩ.), ბათუმის და ზღვის კიდეთა მპყრობელი და სხვათა და სხვათა უფლებათა მქონებელი, სამთუღიანი სელიმ-ფაშა“ (4.900).

როგორც აღვნიშნეთ, 1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერია ამიერკავკასიაში უშუალოდ დაუმეზობლდა ოსმალეთის იმპერიას, კერძოდ, ჩილდირის ვილაეთს. რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, ცხადია, ცნობილი იყო, როგორც ოსმალეთის ფეოდალური ჩამორჩენილობის საფუძველზე იქ არსებული სეპარატისტული ტენდენციები, ისე ჩილდირის ვილაეთის, სხვა იქაური რაიონების ისტორიულად ქართული წარმომავლობა და სელიმ ხიმშიაშვილის წარმოშობით ქართველობა. სელიმ ხიმშიაშვილსა და რუსეთის კავკასიურ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის არა მხოლოდ ოფიციალური, არამედ ფარული კავშირიც გაიბა. სავარაუდოდ, სელიმის ოცნებას შეადგენდა სამცხე-საათაბაგოს აღდგენა და მისი მმართველობა. რადგან ეს უკიდურესად რთულ ამოცანას წარმოდგენდა ამიტომ ის ამ ეტაპზე უფრო პრაქტიკულ ამოცანას ისახავდა.

ეს იყო ჩილდირის ვილაეთის მყარი ერთპიროვნული მმართველობა, სულ ერთი იყო სად, ოსმალეთის იმპერიის თუ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთის მიზანს შეადგენდა ჩილდირის ანუ როგორც თვითონ უწოდებდნენ, ახალციხის ვილაეთის შეერთება თუნდაც იქ მმართველად, სელიმ ხიმშიაშვილი ყოფილიყო. ამასთან, სელიმისა და რუსეთის კავკასიური ხელისუფლების ურთიერთობა განსაკუთრებული ნდობით არ გამოირჩეოდა. რუსეთის კავკასიური ხელისუფლება სელიმის კარიერას უარყოფითად აფასებდა, ამასთან, ხაზს უსვამდა მის სეპარატიზმს. აქ უპრიანია

* მუსელიმი, იგივე მუთესელიმი – იყო ფაშის მოადგილე გადასახადების აკრეფის დარგში.
** ეტყობა, მუსელიმობის შემდეგ მან მალე მიიღო ყაფუჩი ბაშის თანამდებობა.

მოვლენებს ცოტა გავასწროთ. კავკასიის მმართველი 1809-1811 წლებში გენერალი ა. ტორმასოვი 1809 წ. 20 სექტემბერს რუმიანცევს წერდა, რომ სელიმმა ვერაგობით გაიკაფა გზა ფაშობისაკენ, ხოცავდა რა იმ ხალხს, რომლებიც მას ეხმარებოდნენ. მას შემდეგ, რაც ძალადობით გახდა ფაშა, ის არასოდეს არ ემორჩილებოდა პორტას; არ აღიარებდა არც ერთი სერასკირის უფროსობას (1.785). დროის მოთხოვნით ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამოწვეული სიმკაცრე დასტურდება თქმულებითაც: „ხალხური გადმოცემით, სელიმი „ძალიან ზალუმი“ (მრისხანე, დაუნდობელი – ა. ჩ.) კაცი იყო. მისთვის კაცის და ბუზის მოკვლა ერთი იყო“ (8.69). სერასკირი თანამდებობაა, ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მას ერზრუმის ფაშა ფლობდა და საჭირო შემთხვევაში ჩილდირის ვილაეთის ფაშა მას უნდა დამორჩილებოდა. სელიმის ურჩობას მის მიმართ ადასტურებს კავკასიის მმართველი 1806-1809 წწ. გრაფი გუდოვიჩი. 1808 წ. 31 აგვისტოს ის რუმიანცევს წერდა, რომ ახალციხის სელიმ ფაშა, როგორც ცნობილია, არაფერში არ ემორჩილება სერასკირს (9.570).

სელიმ ხიმშიაშვილის ზოგჯერ თვითნებური საქციელი, ცხადია, გამონაკლისს არ წარმოადგენდა. თუკი ის ეურჩებოდა ხელისუფლების ზემდგომ საფეხურზე მყოფ პირებს, სამაგიეროდ, მისსავე სამფლობელოში თვითნებობდნენ დაბალი რანგის მოხელეები. ეს იყო ქვეყნის საერთო მდგომარეობის გამოხატულება. სულთნისადმი მორჩილება, ფორმალური მაინც ყველასათვის სავალდებულო იყო, მაგრამ, ადგილებზე დისციპლინა მოიკოჭლებდა. კანონები ქმნის სისტემას, როცა სისტემა მოძველდება და ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს, საჭიროა კანონების შეცვლა. ეს კი მაშინ საკმაოდ რთული საქმე გახლდათ. სელიმმა სულთანს მისწერა, რომ თვითონ, მისი ნათესავები და მთელი გურჯისტანი სულთნის ერთგულია (მსგავი ლაქუცი საჭირო იყო – ა. ჩ.), მაგრამ ადგილობრივი მოხელეები გურჯისტანში ცუდად იქცევიან (2.412).

1806-1812 წწ. მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. კავკასიის საომარ ასპარეზზე ჩილდირის ვილაეთი სასაზღვრო ზონას წარმოადგენდა. იქ ჯარების დისლოკაციას, მათ მომარაგებას და გადაადგილებას მაქსიმალური ხელშეწყობა სჭირდებოდა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აბორიგენი მოსახლეობის განწყობას და მზადყოფნას საომარი კონფლიქტის დროისათვის. ამ დროს კი, 1806 წელს, გრაფმა გუდოვიჩმა მიიღო სადაზვერვო ინფორმაცია, რომ იქაური სელიმ ფაშა თავს არიდებდა ომში აქტიურ ჩარევას. ის, მიუხედავად ერზრუმის სერასკირის იუსუფ ფაშას ბრძანებისა, იმ მიზეზით, რომ გლეხებისთვის დროა Молотить хлеб (ე. ი. პურის ლეწვის – ა. ჩ.), არ აპირებდა გამოეყვანა საჭირო რაოდენობის ჯარისკაცი (9.577). 1807 წლის ზაფხულში ერზრუმის სერასკირმა იუსუფ ფაშამ არაერთხელ დაავალა ჩილდირის ვილაეთის ფაშას ყარსის დაცვისათვის გაეგზავნა დამხმარე ჯარი, თუმცა უარს იღებდა, სელიმი იმიზეზებდა, რომ ჩემს სამფლობელოს რუსების საფრთხის გამო ვერ დავტოვებო (9.615, 616, 617).

1810 წ. დასაწყისში შერიფ ჯაყელმა მოახერხა სელიმ ხიმშიაშვილის დამარცხება და ჩილდირის ვილაეთის ფაშა გახდა, სელიმი აჭარაში გაიქცა. ხელისუფლებაზე ისედაც გაჯიუტებული, დამარცხებამ სულ გააბრაზა. გენერალი ორბელიანის 1810 წ. 13 სექტემბრის მოხსენებიდან ტორმასოვის მიმართ ვგებულობთ, რომ სელიმი ფაქტიურად შპიონურ ინფორმაციებს აწვდიდა რუსებს. თუმცა, თვითონ ორბელიანი წერდა: „მე არ ვიცი ეს თუ არის სრული სიმართლე“ (1.769).

მიუხედავად თვითნებობისა, ოფიციალურად სელიმი ყოველთვის ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლად ითვლებოდა და რიგ შემთხვევაში მის ინტერესს ატარებდა. ამ თვალსაზრისით რუსეთის ხელისუფლება საქმეს რეალურად აფასებდა. (1.773). მაგრამ ამასთან, სელიმის სეპარატისტული საქციელი ძალზედ შორს წავიდა. მან თავისი პირველი ფაშობის პერიოდში გატარებული პოლიტიკის გამო პორტას გაბრაზება დაიმსახურა. 1811 წ. 2 ივნისს როცა ჩილდირის ვილაეთს შერიფ ჯაყელი მართავდა, ხოლო სელიმი აჭარაში შეიძლება ითქვას იმალებოდა, კავკასიის მმართვე-

ლი ტორმასოვი გენერალ სიმონოვიჩს წერდა, რომ ოტტომანთა პორტას წინაშე დამნაშავე სელიმ ფაშა ვერასოდეს გაბედავს გამოვიდეს მისი გამაგრებული ადგილებიდან ვერც ჩვენს დასახმარებლად, ვერც ჩვენს წინააღმდეგ. შეიძლება დაკარგოს შთამომავლობითი სამფლობელო აჭარა და სიცოცხლეც (1.774).

1811 წლის 7 ნოემბერს კავკასიის ახალი მმართველი – მარკიზი ფილიპე პაულუჩი* რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს უპატაკებდა, რომ ახალციხის ყოფილი ფაშა სელიმი თავს არიდებდა ოტტომანთა პორტას მორჩილებას (10.182), თუმცა ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და სულთანი მაჰმუდ II გადამწყვეტ ნაბიჯებს არ დგამდა ჩილდირის ეიალეთში სეპარატიზმის აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის სელიმ ხიმშიაშვილი არ იყო სასურველი მმართველი 1812 წელს მდგომარეობა მაინც სელიმის სასარგებლოდ შეიცვალა. ეტყობა პორტას რუსებთან ომის წარუმატებლობის ერთ-ერთი დამნაშავედ ჩილდირის ვილაეთის ფაშა შერიფ ჯაყელი მიაჩნდა. ომის დროს, 1811 წ. რუსებმა დაიკავეს ახალქალაქი, რაც თურქებისათვის აქ მნიშვნელოვან ზარალს წარმოადგენდა. ახალქალაქი ჯავახეთის ცენტრი იყო. ახლა კი ფაქტიურად რუსების ხელში გადადიოდა ახალქალაქის სანჯაყი, რომელიც ეკონომიკურად მდიდარი რაიონი და ქართლ-კახეთის უშიშროებისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი გახლდათ. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ბუქარესტის ზავით (1812 წ.) ოსმალებმა ახალქალაქი დაიბრუნეს.

შერიფი კარგა ხანია ითვლებოდა აქაურობის შეუფერებელ მმართველად. 1812 წელს სელიმმა შეძლო მისი დამარცხება და სულთანმაც მას ფაშობა დაუბრუნდა. 1813 წ. 10 ნოემბერს სელიმ ფაშა წერილში მამია გურიელისადმი ჩამოთვლის თავის სამსახურებრივ მდგომარეობასა და უფლებებს. ეს ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული 1803 წლის მისი მდგომარეობის გამეორებაა მცირე ცვლილებებით. მოვიყვანთ 1813 წლის საბუთის ამ მონაკვეთს: „ქ. ყოვლად ამაღლებული და დიდებით სავსე, ცათა სწორი ხელმწიფეთ ხელმწიფისაგან სამართლად პატივცემული ვეზირი ჩილდირისა, ახალციხისა და მისი ვილაეთის მპყრობელი, ბათუმისა და ზღვის კიდეთა სხვათა და სხვათა უფლებათა მქონებელი, დიდებული და ბედნიერი სამთუღიანი სელიმ-ფაშა მოგახსენებთ“ (10.510).

XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში ოსმალეთმა რუსეთთან სამი ომი გადაიხადა და სამივე ოსმალეთისათვის წარუმატებლად დასრულდა. სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდებოდა, რომ ეს ქვეყნის ჩამორჩენილობის ბრალი იყო და საჭიროება მოითხოვდა ცვლილებების მოხდენას.

მაჰმუდ II სულთნის ტახტზე ასვლის (1808 წ.) შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში მდგომარეობა შედარებით შეცვალა. სულთანმა იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთშიც მოჰკიდა ხელი სეპარატიზმის აღმოფხვრას. სულთნისათვის, პორტასთვის იქ მმართველად ყოვლად მიუღებელი იყო როგორც სელიმ ხიმშიაშვილი, ისე შერიფ ჯაყელი; მიუღებელი იყო მათი სისხლისმღვრელი, სამოქალაქო დაპირისპირება, პირველობისათვის ბრძოლა, თვითნებური საქციელი, სუბორდინაციის დარღვევა, ერზრუმის სერასკირისადმი და პორტასადმი ურჩობა, რაც ომის დროს უდისციპლინობას იწვევდა. შესაძლოა, ცნობილი გახდა რუსებთან ფარული კავშირიც.

ამიტომაც, 1815 წ. ჩილდირის ვილაეთის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი ოსმალეთის ხელისუფლების დავალებით სიკვდილით დასაჯეს. ჩვენთვის არ არის ცნობილი დასჯის კონკრეტული მიზეზი. ძირითადი მიზეზი შეიძლება სელიმ ხიმშიაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა, კერძოდ, მისი სეპარატიზმი და თვითნებობა, მის ადგილას უფრო ლოიალური პირის დანიშვნა გამხდარიყო.

* 1811 წლიდან კავკასიას მართავდნენ მარკიზი ფილიპე პაულუჩი და ნიკოლოზ რტიშჩევი. სამართავი ტერიტორია მათ შორის იყო გაყოფილი. 1812 წელს ფ. პაულიჩი წაიყვანეს და მმართველი გახდა ნ. რტიშჩევი.

კავკასიის მმართველი 1811-1816 წწ. გენერალი ნ. რტიშჩევი 1815 წ. 10 მაისს ერზრუმის სერასკირს წერდა, რომ სელიმ ფაშა მოხვდა ოტტომანთა ბრწყინვალე პორტას სამართლიანი რისხვის ქვეშ და ძლევამოსილი სულთანის, თქვენი ხელმწიფის ნებით, თქვენ მიერ ჩამორთმეული აქვს ახალციხის მმართველობაო (10.819). თუკი ადრე სულთნები მტკიცედ არ ერეოდნენ აქაურ საქმეებში, ახლა რტიშჩევის მონაცემი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დავალება აქაური ფაშას შეცვლის და მის ადგილას ერთგული ნომენკლატურული მუშაკის დანიშვნის შესახებ მაჰმუდ II-დან უნდა მოდიოდეს. ხსენებული წერილის თარიღიდან ერთი თვის შემდეგ, 10 ივნისს, გენერალი რტიშჩევი ვეიდემეიერს წერდა განვითარებული მოვლენების შესახებ: ერზრუმის სერასკირი ბაბა ფაშა არის იგივე ფეჰლევან ფაშა. ჩამოვიდა რა ერზრუმში, მმართველობა დაიწყო სელიმ ფაშა ახალციხელის დასჯით. მის წინააღმდეგ გააგზავნა ჯარი, გააგდო ახალციხიდან და იქ დაამტკიცა თავისი ახლობელი (10.821).

შემდეგ განვითარდა ცნობილი მოვლენები. სელიმ ხიმშიაშვილი აჭარაში გაიქცა. ბაბა ფაშამ მის წინააღმდეგ სამხედრო ნაწილი გაგზავნა. სელიმმა ერთგულ ხალხთან ერთად თავი ხიხანის ციხეს შეაფარა. მოალყეებმა ციხე აიღეს, სელიმს თავი მოჰკვეთეს და მოკვეთილი თავი სულთანს გაუგზავნეს.

სელიმ ხიმშიაშვილის, როგორც ოსმალეთის სახელისუფლებო სტრუქტურის მოხელის, სამხედრო-პოლიტიკურ ქმედებებს სხვადასხვანაირი შეფასება ეძლევა. ზოგს იგი ურჩ ფეოდალად მიაჩნია, ზოგს კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად, გამოთქვამენ აზრს, რომ მისი ქმედებები ხელს უწყობდა ქართული მიწა-წყლის გამოხსნას.

ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ეს ცალ-ცალკე აღებული, არასრულყოფილია. უპირველეს ყოვლისა, ის ფორმალურად აღიარებდა სულთნის უმაღლეს ხელისუფლებას და მეტ-ნაკლებად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამავე დროს რიგ სერიოზულ საკითხებში იჩენდა თვითნებობას ხელისუფლების ზემდგომი წარმომადგენლების მიმართ და წარმოგვიდგება როგორც ურჩი ფეოდალი, რაც იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიაში გამონაკლისს არ შეადგენდა. ნორმალური სახელმწიფოსთვის ყოვლად მიუღებელია სამოქალაქო ომი, რომელიც ჩილდირის ვილაეთში ერთადერთი მიზნით, ფაშის ტახტის დაუფლებისათვის გააჩაღეს სელიმ ხიმშიაშვილმა და შერიფ ჯაყელმა. ესეც იმ პერიოდში გამონაკლისს არ შეადგენდა.

სელიმ ხიმშიაშვილს ყოველთვის ჰქონდა აშკარა და ოფიციალური კავშირები საქართველოს მეფეებთან და მთავრებთან. ეს კავშირი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა ანტიოსმალური ხასიათის. მართალია, ოსმალეთის იმპერია დაძაბუნებული იყო, თუმცა დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს სამეფოები და სამთავროები უაღრესად სუსტნი იყვნენ ოსმალეთთან შედარებით. პირიქით, სელიმს უნდა გაეტარებინა საერთო ოსმალური პოლიტიკა დაშლილი საქართველოს სამეფო-სამთავროების მიმართ და ატარებდა კიდეც.

სულ სხვა საქმე იყო რუსეთის უზარმაზარი იმპერია. რუსეთის კავკასიურ ხელისუფლებასთან მისი აშკარა თუ ფარული კავშირების შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სელიმის მოღვაწეობა ამტკიცებს, რომ მის მიზანს შეადგენდა პირველობისთვის ბრძოლა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. თანაც მნიშვნელობა არ ჰქონდა სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს ტერიტორია, ოსმალეთის იმპერიაში, რუსეთის იმპერიაში, თუ (გამოვიდოდა) აღდგენილ სამცხე-საათაბაგოში. ის იშვიათად ენდობოდა ვინმეს, ისევე როგორც თვითონ არ იყო ბოლომდე სანდო ოსმალეთისა და რუსეთის ხელისუფლებისათვის.

არის აზრი, რომ სელიმ ხიმშიაშვილის ქმედებების, კერძოდ მისი თვითნებობის, სეპარატისტული ტენდენციების, სამოქალაქო ომში ჩაბმის შედეგად პროგრესული საქმე კეთდებოდა, რადგან ქართული მიწების გამოხსნას ეწყობოდა ხელი. უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში გაძლიერებული ანტი-

სახელმწიფოებრივი მოვლენები (ამ შემთხვევაში სელიმის ქმედებები) იყო უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოში არსებული უვარგისი სისტემის შედეგი. ამით სარგებლობდა ის თავისი დაუღალავი ენერგიით ებრძოლა პირველობისათვის, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის ამ ნაწილში ოსმალეთის დასუსტებას. მოცემულ პერიოდში ოსმალეთის იმპერიაში იყო ჩამორჩენილი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ამიტომაც სუსტდებოდა სახელმწიფო და ფეხი ჰქონდა მოკიდებული უკანონობას. აქ კი გამოჩნდა ქარიზმატული ლიდერი, რომელმაც ცხოვრების მიზნად ერთ რეგიონში პირველობა დაისახა და იბრძოდა კიდეც სხვადასხვა საშუალებით. ამავე დროს ისტორიამ გვიჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერიის დაშლისთვის და ქართული მიწების გამოხსნისათვის მხოლოდ შინაგანი დასუსტება არ იყო საკმარისი. ამისათვის კიდევ ომები, განსაკუთრებით კი რუსეთთან ომები გახდა საჭირო. ოსმალეთის იმპერიაში ხან აქ, ხან იქ ადგილი ჰქონდა სეპარატისტულ მოძრაობას, მათ შორის, ყველაზე მწვავე ფორმებითაც, თუმცა მათი დაქსაქსულობის და სისუსტის გამო პორტა ახერხებდა ძალების მობილიზაციას და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას. რუსეთთან ომებმა მდგომარეობა შეცვალა, მათ შორის ბალკანეთში გაჩნდა დამოუკიდებელი ქვეყნები. კავკასიის რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ, აქ ოსმალეთისგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე, მიუხედავად ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისა, ქართველებმა, ისევე როგორც სხვებმა, შეინარჩუნეს თვითმყოფადობა. რუსეთის დახმარების გარეშე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა განწირული იყო გათურქებისათვის, რაც ფაქტიურად მოხდა კიდეც თურქეთში დარჩენილ ისტორიულად ქართულ ტერიტორიებზე.

სელიმ ხიმშიაშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჭეშმარიტ ლიდერად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მის სიმბოლოდ ბოლო მომენტში იქცა, როცა სულთანმა გასცა ბრძანება მისი დასჯის შესახებ და აჭარისკენ დაიძრა სადამსჯელო ჯარი, სელიმმა და მისმა მომხრეებმა ხიხანის ციხეს შეაფარეს თავი, თუმცა იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სელიმ ხიმშიაშვილი დროის მიხედვით იყო: დასუსტების გზაზე მდგარ ვრცელ ოსმალეთის იმპერიაში სახელმწიფო მოხელეც, ურჩი ფეოდალიც, რეგიონში პირველობისათვის მებრძოლიც და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოც.

წყაროები და ლიტერატურა

1. Акты Кавказскою археографической комиссии (КАК), т. IV, издань вь типографии главнаго управления наместника кавказского, Тифлись,1870.

2. ხიმშიაშვილები (წყაროები, ლიტერატურა, პუბლიკაციები) წიგნი I, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 2003.

3. ახმედ აჭარი, ხიმშიაშვილები ისტორიაში, ტურიზმის განვითარების ფონდის გამომცემლობა, ანკარა, 1995.

4. Акты КАК, т. II, издань вь типографии главного управления наместника кавказского, Тифлись,1868.

5. ვიკიპედია – თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია, ახალციხის ფაშების სია.

6. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974.

7.მურად ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციაცია, სტამბოლი, 2012.

8. ა. სურგულაძე, რ. სურმანიძე, სელიმ ხიმშიაშვილი, თბილისი, 2013.

9. Акты КАК. т. III. издань вь типографии главного управления наместника кавказского, Тифлись,1869.

10. Акты КАК. т. V. издань вь типографии главного управления наместника кавказского, Тифлись,1873.

11. История стран Азии и Африки в новое время, издательство московского университета, 1971.



ჯემალ (სარგის) ჯაყელი

მხოლოდ სიმართლე და არაფერი სხვა!

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე არასწორი ინფორმაცია ვრცელდება ამბიციებით დასნეულებული პოლიტიკური ავანტიურისტის – სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ, რომელიც თურქეთის სულთნის, მაჰმუდ II-ის, ბრძანებით სიკვდილით დაისაჯა. ხალხს კი სურს მასზე გაიგოს სიმართლე. ქვემოთ მოცემულია უტყუარი ფაქტები მისი პოლიტიკური პორტრეტისათვის. ამ ფაქტების გაბათილების არავითარი შანსი არ არსებობს.

აი, სად და როდის დაიწყო მისი პოლიტიკური ამბიციების ავადმყოფური გამოვლინება:

„1797 წ. 20 აპრილს საბუდ ფაშა დიდი ზეიმით შევიდა ახალციხეში“ – ვკითხულობთ იოანე ხუცესის ქრონიკებში, ოცდამეთორმეტე გვერდზე. იგი იყო მეტად შეუბრალებელი პიროვნება. მან მხარის დასამორჩილებლად ბევრი მკაცრი ღონისძიება გაატარა.

აჭარის სანჯაყბეგს, სელიმს, მისი შიში ჰქონდა და ამის გამო მხარს უჭერდა ღონისძიებათა გატარებაში, მაგრამ გულში მაინც მისდამი ღალატი ედო.

საბუდ ფაშამ მხოლოდ ორი წელი გაძლო საათაბაგოს ტახტზე.

საათაბაგოს მკვიდრის, სულეიმან ფაშის შვილი შერიფ ჯაყელი ახალციხის ტახტიდან მამის გადადგომის ათი წლის შემდეგ, 1801 წ. მოულოდნელად შეიჭრა ციტადელში და აიღო იგი. აჭარის სანჯაყბეგმა, სელიმმა, დაინახა თუ არა ჯაყელ ათაბაგთა ტახტისათვის ცილობა, თვითონაც აჰყვა ქიშპის, ღალატისა და ყაჩაღობის ქარბორბალას. საამისოდ მოემზადა ათაბაგ შერიფ ჯაყელზე თავდასხმისათვის. შერიფი სულ რაღაც წელიწადნახევრის შემდეგ ჩამოაგდო ტახტიდან და თვითონ გახდა მესხეთის მმართველი. მცირე ხნის შემდეგ, იმავე შერიფმა იძია შური სელიმზე, დაიბრუნა ტახტი და 1810 წლიდან 1812 წლამდე განაგებდა მას. იმავე 1812 წლიდან 1815 წლამდე ხელმეორედ ავიდა ტახტზე სელიმ ხიმშიაშვილი. სულთანმა იცოდა, რომ საათაბაგოს ტახტი საუკუნოდ და სამკვიდრებლად ჯაყელ ათაბაგებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ოსმან ფაშას მცდელობას ტახტის შენარჩუნებისათვის ავანტიურად არ მიიჩნევდა. ბევრ რამეში იგი სულთანს არ მოსწონდა, მაგრამ რაკი საათაბაგო ტახტი მათ ეკუთვნოდათ, დუმილით ხვდებოდა ფაქტს. გამოჩნდა თუ არა საათაბაგოს არადინასტიური გვარი – ხიმშიაშვილი, ეჭვის თვალი დაატანა მის საქციელს. ტახტის დასაპყრობად აღტყინებული ამბიციური სელიმი, სულთნის მითითებებს ზერელედ უყურებდა. სულთანიც, დარწმუნებული იყო, რომ იგი საათაბაგოს ტახტზე ვერ გაძლებდა და პირველ ხანებში მხოლოდ შენიშვნებით კმაყოფილდებოდა. შერიფ ფაშა ჯაყელის მიერ ჩამოგდებული სელიმი, მეორეჯერ რომ ავა-

ზაკური გზით ტახტზე ავიდა, სულთანმა აღარ აპატია და მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. სულთანმა დასაჯა იგი არა მარტო იმიტომ, რომ საუკუნეებში დამკვიდრებულ ჯაყელთა დინასტიურ გვარს პატივი სცა, არამედ იმიტომ, რომ სელიმში დაინახა აუტანელი პოლიტიკური ავანტიურისტი.

ავანტიურული სული სელიმს გენებით ჰქონდა მიღებული. მისი მამა – აბდულ აღა ხიმშიაშვილი, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მეზობელი კუთხის, გურიის, წინააღმდეგ არასამართლიანი ლაშქრობის დროს აკეთში მოკლეს (ამ ცნობას გვაწვდის თედო ჟორდანია თავისი ქრონიკების მესამე ტომში, 389-ე გვერდზე). ამის შემდეგ აჭარის გამგებელი იყო მისი შვილი – სელიმი. იგი ისე გაჯიუტდა, რომ მის ზემდგომთ აღარ ემორჩილებოდა. ბოლოს, უფრო მეტიც, დალაშქრეს და შეიპყრეს იგი.

სელიმის პოლიტიკური პორტრეტისათვის საინტერესოა იმის გახსენება, რომ მისი თანამებრძოლი სელიმ აღა ყიფიანი, წარმოშობით ქართველი, ვერაგულად მოკლა იმის გამო, რომ მასში დაინახა მეტი ცოდნა, გამოცდილება და ღირსება. ამასთან ტახტის მეტოქე. ეს მისი ეჭვი გააძლიერა იმან, რომ სულთანმა აშკარად გამოხატა სელიმ აღა ყიფიანის მიმართ სიმპათია და მას სერასკირის მუსელიმობა უბოძა. ეს კი მხარის ხელმძღვანელობას ნიშნავდა, მართალია, სელიმ ხიმშიაშვილმაც მიიღო მუსელიმობა, მაგრამ მისი ეს თანამდებობა ნიშნავდა ახალციხის ფაშის ხელისუფლების ქვეშ ყოფნას, ხოლო სელიმ ყიფიანისა – ნიშნავდა ვალეს უფროსობას.

სელიმ აღა ყიფიანი ქართლის მმართველობასთან კავშირის მომხრე იყო. ყიფიანის შვილიც ერთგული იყო ქართველებისა. ციციანოვი წერდა: „Он был действительно нам предан и усерден ко всем христианам“ – ვკითხულობთ აქტების მეორე ტომში, 903-ე გვერდზე.

სელიმ ხიმშიაშვილმა სელიმ ყიფიანთან ქართული ელემენტის გაძლიერება შენიშნა და ვერ აიტანა. ანგარიში არ გაუწია იმას, რომ სწორედ ყიფიანის დახმარებით შეძლო ახალციხის ტახტის მოპოვება, მისი დახმარებით მიიღო ფაშობა და მაინც მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. ეს უსამართლობა ვერ აიტანა სელიმ ხიმშიაშვილის შვილმა და მამას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. სელიმმა შვილი შეიპყრო, ტყვედ ჩაიგდო ჩახანთან და ციხეში დაამწყვდია.

სელიმის შვილმა პარლამენტატორებს განუცხადა მამის წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი. ერთერთ მიზეზად დაასახელა ის, რომ ფაშა იძულებულს ხდიდა (იგულისხმება მისი მამა – სელიმი) სრულიად უმიზეზოდ აეტეხა ბრძოლა გურიასა და იმერეთს შორის, რომ მანვე სრულიად დაუმსახურებლად დასაჯა მისი ყველაზე ერთგული თანამებრძოლი და სარდალი სელიმ ყიფიანი – ვკითხულობთ აქტების მეორე ტომის 145 გვერდზე.

1809 წლის ცნობით, „ახალციხე მთლიანად განუდგა სელიმ ფაშას. ამის გამო იგი აჭარაში გაიქცა...“ გურიის დედოფლის – მარიამის ცნობით, იმავე აქტების მეოთხე ტომში, 790 გვერდზე მითითებულია, რომ „სელიმი შუა ზაფხულიდან 27 ნოემბრამდე აჭარაში იყო სულ და ჩაკეტილი“.

სელიმს თუკი რაიმე სიმპათია ჰქონდა რუსეთისა, ეს იყო გამოწვეული იმით, რომ ყველაზე გაჭირვების დროს მას რუსეთის ჯარის იმედი ჰქონდა.

1810 წ. 5 მარტს, დაკარგა ტახტი. სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკებში 45-ე გვერდზე ვკითხულობთ: „5 მარტს აჭარელი მოშალეს და გაიქცა მეტად დამარცხებული და შერცხვენილი“. რამდენჯერმე გაქცევის შემდეგ, 1815 წლის მარტში, სელიმი უკანასკნელად გაიქცა. შვილები მამია გურიელთან შეაფარა და თვითონ კი ხიხანის ციხესიმაგრეში საიმედოდ ჩაიკეტა. „მისი დასჯა დევალა არზრუმის ბაბა ფაშას... ხირხათის ციხეში შეკეტილ სელიმს უღალატეს თავისივე მებრძოლებმა. სერასკირმა ციხე აიღო და სელიმ ხიმშიაშვილის ღელვით აღსავსე და საინტერესო გზაც დასრულდა. მას თავი მოკვეთეს და სტამბულში გაგზავნეს“ – ამ ციტირებას აკეთებს ბატონი შოთა ლომსაძე აქტების მეხუთე ტომიდან და მიუთითებს 228-ე გვერდს.

მესხეთის პოლიტიკური აქტების I-V ტომები, სტეფანე ნავროზაშვილი, იოანე ხუცესი, თედო ჟორდანია, შოთა ლომსაძე და სხვები სელიმ ხიმშიაშვილის პორტრეტს წარმოადგენენ სამეცნიერო მასალებზე დაყრდნობით. მათი აზრით, სელიმი იყო მსხვილი ფეოდალი, მმართველობისათვის მძიმე ამბიციებით დასნეულებული, ტახტისათვის მებრძოლი ავანტიურისტი, ხელსისხლიანი თვითმპყრობელი, რომელმაც ტახტზე მეორედ ასვლის შემდეგ, 1812 წელს, პირველი გაძევებიდან დაბრუნებულმა, მესხეთში ჩაატარა პოლიტიკური წმენდა. საათაბაგოს ტახტის კანონიერ დინასტიურ მონაცვლეობას წინ აღუდგა, მისი მიზეზით თხუთმეტი წლის მანძილზე მესხეთში მძაფრი არეულობა სუფევდა... თურქეთის ცენტრალური მთავრობაც სელიმს ურჩად თვლიდა შერიფ ჯაყელისა და ლივანის სული ბეგ ჯაყელის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, რამაც გამოიწვია ბრძანება მისი სიკვდილით დასჯის შესახებ.

ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები არის სელიმის არასრული პოლიტიკური პორტრეტი, რომელიც შეიქმნა საათაბაგოს ტახტზე მისი ორჯერ ასვლისა და იქიდან ბოლო სამარცხვინოდ გაძევების შემდეგ.

* * *

„აჭარას საქართველოსგან ვერ მოაცილებთ“, – ეს სიტყვები თითქოს სელიმმა წარმოთქვა. ეს სიტყვები ჩაწერილია უცნობი ინფორმატორის მიერ, 100 წლის წინ, სელიმის დაბადებიდან კი გასული იყო 250 წელი. ვინ იცოდა ეს სიტყვები, რატომ მანამდე არ გამოჩნდა. მას ბეჭდური სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, არც ერთი ფოლკლორული მასალა სელიმზე არ მოიპოვება. იგი ზოგადი წარმოდგენებით შევიდა ლიტერატურაში. სელიმზე არც ერთ ქართველ მწერალს სიტყვა არ დასცდენია. ერთადერთი იყო ბატონი შოთა ლომსაძე, რომელმაც თქვა სელიმზე და თანაც გაანადგურა კიდეც. კარგი რამ თუ ითქვა მასზე, მხოლოდ აჭარაში. ისიც ყალბად. მას ადარებენ გმირს, პატრიოტს და ა. შ. საამისოდ კი არავითარი საფუძველი არ არსებობს. ხალხს უფლება აქვს, იცოდეს სელიმის სახით ვისთან გვაქვს საქმე.



ᲨᲝᲗᲐ
ᲭᲝᲠᲘᲫᲔ

„ᲞᲠᲔᲚᲔᲡᲢ ᲑᲐᲑᲐᲚᲔ“, ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲮᲘᲜᲙᲐᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ნეტავი არ წამეკითხა-მეთქი, როცა 2013 წლის ჟურნალ „ჭოროხის“ მე-4 ნომერში გავეცანი მხცოვანი მწერლის ჯემალ (სარგის) ჯაყელის სტატიას „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნამდვილი სურათი“. მეგონა, რომ ახალ აღმოჩენასთან გვქონდა საქმე, მაგრამ ვარაუდი გამიცუდდა. ბატონი ჯემალი ოთხმოცდაათს მიტანებული კაცია. ღმერთმა კიდევ დიდხანს და ჯანმრთელად ამყოფოს. ძალიანაც მიჭირს ამ ხნის კაცის ნაწერებზე შენიშვნების გასაჯაროვება, მიუხედავად იმისა, რომ როცა დროს იხელთებს შემთხვევას არ უშვებს, არ გამლანძღოს. ამაზე ჩემი რეაგირება ნულის ტოლია, მაგრამ როცა საკითხი ეხება ტრაგიკული ბედის გენიალურ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს, გაჩუმება არ შემიძლია.

ზემოთ დასახელებული სტატია, არც – მეტი, არც – ნაკლები, ავტორის ჩაუხედავობის ბრალია, თორემ ვასილ ჩაჩანიძის გამოკვლევა „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო“ რომ წაეკითხა, ასეთ უხერხულობაში არ ჩაიგდებდა თავს. ბატონი ჯემალი წერს: „...ისე ვართ მიჩვეული ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდო სურათს, შეიძლება გვეუცხოოს მისი ახლად აღმოჩენილი ნამდვილი სურათი“. მეგონა, ავშენდით და ეგ არის-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად. სტატიასთან ერთად დაბეჭდილია უცნობი პირის ფოტო, რომელიც ახლად აღმოჩენილი კი არა, ცნობილია ბარათაშვილების საოჯახო ალბომიდან და „უცნობი პირის“ სახელწოდებით ინახება საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდში. იგი მუზეუმს გადასცა ბატონი ჯემალის სტატიაში ნახსენები „პრელესტ ბაბალეს“ ანუ ბაბალე ჩოლოყაშვილის და გიორგი ბარათაშვილის შვილიშვილმა კონსტანტინე ივანეს ძე ბარათაშვილმა, 1946 წლის 11 სექტემბერს. ბაბალეს უცნობი პირის სურათი მართლაც ეგონა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მაგრამ ამას დაბეჯითებით ვერ ამბობს. ახლა იმასაც ვარაუდობენ, რომ სურათზე ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილია გამოსახული. ზოგი ვარაუდით იგი უცხოელია. ბაბალე ჩოლოყაშვილი-ბარათაშვილისა ქველმოქმედი და წარჩინებული ოჯახის პატრონი იყო. იგი მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან. 1882 წელს ვაჟა-ფშაველა მისი დახმარებით გაემგზავრა პეტერბურგში.

უცნობი პირის სურათზე, როგორც ჯემალი დაბეჯითებით, მაგრამ უსაბუთოდ „გვიმტკიცებს“, ნიკოლოზ ბარათაშვილი ვერ იქნება გამოსახული, რადგან „უცნობი პირი“ ექსპერტების აზრით, 40-45 წლისაა, ხოლო ნიკოლოზ ბარა-

თაშვილი 27 წლისა გარდაიცვალა, 1845 წელს. ჩვენში ფოტოხელოვნება 1949 წელს შემოვიდა. რაც შეეხება სურათს, რომელიც პოეტის დამ სოფომ გადასცა ილია ჭავჭავაძეს და ფოტოგრაფ დუბელირის ფოტოატელიესთან ერთად დაიწვა იმავე ღამეს, დაგეროტიპული იყო.

სამწუხაროა, რომ ჯემალს „უცნობი პირის“ სურათი აღმოჩენა ჰგონია, რახან თავად პირველად ნახა. მის სტატიაში ვკითხულობთ: „ბაბალე დიდ პატივს მიაგებდა მეუღლის ნათესავებს, ბარათაშვილებს. სწორედ ბაბალე სამოცი წლის განმავლობაში (საიდან იცის, – შ. ზ.) ინახავდა თურმე ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათს. ძნელი დასადგენია როგორ და რა ვითარებაში მოხდა პოეტის სურათი მის ოჯახში, მაგრამ ფაქტია. უნდა ითქვას, რომ მაშინ საკმაო იშვიათობას წარმოადგენდა ფოტოსურათები და ოჯახიდან ოჯახში (ვინ უთხრა, – შ. ზ.) დაატარებდნენ. ალბათ, ამ გზით მოხვდა იგი ბაბალე ბარათაშვილის ოჯახში. აქ დაცული სურათი (ლაპარაკია უცნობი პირის პორტრეტზე, – შ. ზ.) დიამეტრიულად განსხვავდება მისი დღემდე ცნობილი პორტრეტისაგან, საიდანაც იხედება ერთი ვინმე (არავინ) თვალხატულა პიჟონი (ლაპარაკია ნიკოლოზ ბარათაშვილის აღიარებულ სურათზე, – შ. ზ.), რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათთან“.

ნათელია, რომ ამ სტრიქონების ავტორი არ იცნობს ბარათაშვილის პორტრეტის შექმნის ისტორიას, არ იცნობს ლადო გუდიაშვილის მოგონებებს, მით უფრო ჩემს სტატიას „ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა“.

ჯერ ერთი, რომ ლადო გუდიაშვილი და ტატოს დისშვილი გიორგი სუმბათაშვილი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ტატოს, ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ეს ვრცელი საუბრის თემაა. მეორეც, ლადო გუდიაშვილმა შეისწავლა და გაითავისა მიხეილ თუმანიშვილისეული ბარათაშვილის პორტრეტის ესკიზები. ამაზე დაყრდნობით შექმნა პოეტის პორტრეტი, რომელიც დაამტკიცა სპეციალურად შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ, რასაც ბატონი ჯემალი „ერთი ვიღაც (არავინ) და თვალხატულა პიჟონს“ უწოდებს. ესეც გენიოსის კიდევ ერთი ტრაგიკული ბედისწერა. ბარათაშვილის პორტრეტები დამოუკიდებლად შექმნეს მხატვრებმა: ა. მრევლიშვილმა, ი. ქოქიაშვილმა, მ. თოიძემ. სამივე მათგანი ნიკოლოზ ბარათაშვილია.

რაც შეეხება ბატონი ჯემალის მოსაზრებას, რომ თიანეთში იმპერატორ ალექსანდრე პირველს ბაბალე მასპინძლობდა და მისი განსწავლულობის გამო უწოდა „პრელესტ ბაბალე“, არარეალურია, რადგან იმპერატორის მასპინძელი მთელი ქართველი თავადაზნაურობა იყო, ბაბალე კი ნადიმის დიასახლისი გახლდათ. რაც შეეხება „პრელესტ ბაბალეს“, იგი მაშინ უწოდა, როცა ბაბალემ სტუმარი უხერხულობიდან იხსნა, როცა ხინკალი შემოიტანეს სუფრაზე და სტუმარმა არ იცოდა როგორ მიერთმია.

ეს ყველაფერი წყაროებით დადასტურებულია ვასილ ჩაჩანიძის წიგნში.

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ 4

2018